



ევროკომისია

ბრიუსელი, 4.11.2025
SWD(2025) 757 საბოლოო

ევროკომისიის პერსონალის სამუშაო დოკუმენტი

საქართველო 2025 წლის ანგარიში

თან ახლავს დოკუმენტს

ევროკომისიის კომუნიკაცია ევროპარლამენტს,
საბჭოს, ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტს
და ევროპის რეგიონთა კომიტეტს

2025 წლის კომუნიკაცია ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის თაობაზე

{COM(2025) 690 საბოლოო} - {SWD(2025) 750 საბოლოო} - {SWD(2025) 751 საბოლოო} -
{SWD(2025) 752 საბოლოო} - {SWD(2025) 753 საბოლოო} - {SWD(2025) 754 საბოლოო} -
{SWD(2025) 755 საბოლოო} - {SWD(2025) 756 საბოლოო} - {SWD(2025) 758 საბოლოო} -
{SWD(2025) 759 საბოლოო}

1. შესავალი	3
1.1. კონტექსტი.....	3
1.2. ანგარიშში გაკეთებული ძირითადი დასკვნები.....	4
1.3. ნაბიჯების / პრიორიტეტების განხორციელების შეფასება	17
2. კლასტერი 1: გაწევრიანების პროცესის საფუძვლები.....	25
2.1. დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება და საჯარო მმართველობის რეფორმა	25
2.1.1 დემოკრატია	25
2.1.2 საჯარო მმართველობის რეფორმა.....	31
2.2. კანონის უზენაესობა და ფუნდამენტური უფლებები	34
2.2.1 თავი 23: სასამართლო სისტემა და ფუნდამენტური უფლებები.....	34
2.2.2 თავი 24: სამართალი, თავისუფლება და უსაფრთხოება.....	19
2.3. ეკონომიკური კრიტერიუმები	29
2.3.1 მოქმედი საბაზრო ეკონომიკის არსებობა	30
2.3.2 კონკურენტულ ზეწოლასთან და საბაზრო ძალებთან გამკლავების უნარი კავშირის ფარგლებში.....	35
2.4. სახელმწიფო შესყიდვები, სტატისტიკა, ფინანსური კონტროლი	37
თავი 5 – სახელმწიფო შესყიდვები.....	37
თავი 18 – სტატისტიკა	38
თავი 32 – ფინანსური კონტროლი.....	39
3. კარგი სამეზობლო ურთიერთობები და რეგიონული თანამშრომლობა	41
4. წევრობის ვალდებულებების აღების უნარი	41
კლასტერი 2: შიდა ბაზარი.....	41
თავი 1 – საქონლის თავისუფალი გადაადგილება.....	42
თავი 2 – სამუშაო ძლის თავისუფალი გადაადგილება	43
თავი 3 – დაფუძნების უფლება და მომსახურების გაწევის თავისუფლება	43
თავი 4 – კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება.....	43
თავი 6 – კორპორაციული სამართალი	44
თავი 7 – კანონი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ	44
თავი 8 – კონკურენციის პოლიტიკა	45
თავი 9 – ფინანსური სერვისები	46
თავი 28 – მომხმარებლის და ჯანმრთელობის დაცვა.....	47
კლასტერი 3: კონკურენტუნარიანობა და ინკლუზიური ზრდა.....	48

თავი 10 – ციფრული ტრანსფორმაცია და მედია	48
თავი 16 – დაბეგვრა	49
თავი 17 – ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკა	50
თავი 19 – სოციალური პოლიტიკა და დასაქმება	50
თავი 20 – მეწარმეობის და მრეწველობის პოლიტიკა	53
თავი 25 – მეცნიერება და კვლევა.....	54
თავი 26 – განათლება და კულტურა	55
თავი 29 – საბაჟო კავშირი.....	56
კლასტერი 4: მწვანე დღის წესრიგი და მდგრადი კავშირი	57
თავი 14 – სატრანსპორტო პოლიტიკა.....	57
თავი 15 – ენერგეტიკა	58
თავი 21 – ტრანსევროპული ქსელები	59
თავი 27 – გარემო და კლიმატის ცვლილება.....	60
კლასტერი 5: რესურსები, სოფლის მეურნეობა და კოჰესია.....	62
თავი 11 – სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება.....	62
თავი 12 – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და ფიტოსანიტარიის პოლიტიკა	63
თავი 13 - თევზჭერა და აკვაკულტურა	64
თავი 22 – რეგიონული პოლიტიკა და სტრუქტურული ინსტრუმენტების კოორდინაცია	65
თავი 33 – საფინანსო და საბიუჯეტო დებულებები	66
კლასტერი 6: საგარეო ურთიერთობები	66
თავი 30 – საგარეო ურთიერთობები	67
თავი 31 – საგარეო, უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა.....	68
დანართი I – ევროკავშირს და საქართველოს შორის ურთიერთობები	70
დანართი II – სტატისტიკური მონაცემები	72

შესავალი¹

1.1. კონტექსტი

2023 წლის დეკემბერში ევროპულმა საბჭომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიანიჭა იმ პირობით, რომ ქვეყანა ევროკომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის რეკომენდაციით გათვალისწინებულ რეფორმებს (ე. ი. ცხრა ნაბიჯს) შეასრულებდა. საქართველოში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, 2024 წლის ივნისსა და ოქტომბერში ევროპულმა საბჭომ დაადგინა, რომ ხელისუფლების ქმედებები საფრთხეს უქმნიდა საქართველოს ევროკავშირისკენ მიმავალ გზას, რამაც გაწევრიანების პროცესის de facto შეჩერება გამოიწვია. 2024 წლის დეკემბერში ევროპულმა საბჭომ სინანული გამოთქვა საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის 2028 წლამდე შეჩერებასთან დაკავშირებით. 2024 წლის კომუნიკაციაში ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ კომისიამ დაასკვნა, რომ თუ საქართველო არ დაუბრუნდება თავის ევროკავშირში გაწევრიანების გზას და არ აჩვენებს რეალურ ძალისხმევას ძირითადი რეფორმების განსახორციელებლად, ევროკომისია ვერ შეძლებს გასცეს რეკომენდაცია საქართველოსთან მოლაპარაკებების დასაწყებად.

ევროკავშირში შემდგომი ინტეგრაციისა და საჭირო რეფორმების გატარებისადმი ვალდებულების დემონსტრირების ნაცვლად, საანგარიშო პერიოდში საქართველომ კიდევ უფრო მეტად გადაუხვია ევროკავშირში გაწევრიანების გზიდან. 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომელზეც მასობრივი დარღვევები აღინიშნა, სულ უფრო გახშირებული რეპრესიული ქმედებებით და პროტესტის მონაწილეთა, სამოქალაქო საზოგადოების, დამოუკიდებელი მედიის და პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობით საქართველო ღრმა პოლიტიკურ კრიზისში ჩავარდა. გამუდმებით აღინიშნებოდა ადამიანის უფლებების მასობრივი და საყოველთაო დარღვევები. საქართველოს ხელისუფლების მიერ 2024 წლის ნოემბერში მიღებულმა გადაწყვეტილებამ შეეჩერებინა გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები, ცალსახად დაადასტურა, რომ მან გადაუხვია წინა ხელისუფლებების პოლიტიკიდან, ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობის ევროპული მისწრაფებებიდან და საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ვალდებულებიდან, რომელიც საქართველოს ევროკავშირში სრული ინტეგრაციის უზრუნველყოფას გულისხმობს. საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას მოჰყვა შემდგომი რეპრესიული ქმედებები, რომლებიც ძირითადად შეუთავსებელია ევროკავშირის ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ფუნდამენტური უფლებები. ამასთანავე, საქართველოს ხელისუფლება სისტემატურად იყენებდა ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართულ უპრეცედენტო, მტრულ რიტორიკას, რომელიც ხშირად რუსული სტილის დეზინფორმაციას იმეორებდა.

¹ წინამდებარე ანგარიში მოიცავს პერიოდს 2024 წლის 1 სექტემბრიდან 2025 წლის 1 სექტემბრამდე. მისი საფუძველია სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაცია, მათ შორის საქართველოს მთავრობის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, ევროპარლამენტის ანგარიშების და სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაცია. ის ასევე მოიცავს სხვა დაინტერესებულ მხარეთა მიერ მომზადებული შედარებითი შეფასებების და ინდექსების შედეგებს, განსაკუთრებით კანონის უზენაესობის სფეროში.

არსებული მდგომარეობის აღსაწერად ანგარიშში გამოყენებულია შემდეგი შეფასების სკალა: საწყისი ეტაპი, მზადყოფნის გარკვეული დონე, ზომიერი მომზადების დონე, კარგი მომზადების დონე და მაღალ დონეზე მომზადებული. საანგარიშო პერიოდში მიღწეული პროგრესის აღწერისთვის გამოიყენება შემდეგი სკალა: რეგრესი, პროგრესის არარსებობა, შეზღუდული პროგრესი, გარკვეული პროგრესი, კარგი პროგრესი და ძალიან კარგი პროგრესი. შესაბამის შემთხვევაში გამოყენებული იყო ასევე შუალედური ნაბიჯები.

ვინაიდან საქართველოს გაწევრიანების პროცესი შეჩერებულია, ამ ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია გაწევრიანების პროცესის ფუნდამენტურ პრინციპებზე, რომლებიც ქვეყნის კანდიდატის სტატუსის საფუძველს წარმოადგენს, და მათთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე. წლებად აღწერილი ანგარიშში აღნიშნული მნიშვნელოვანი რეგრესის და ევროკომისიის მიერ 2023 წელს პრიორიტეტად განსაზღვრული ნაბიჯების განხორციელების აუცილებლობის გათვალისწინებით, ანგარიში არ იძლევა რეკომენდაციებს ძირითადი პრინციპების ფარგლებს გარეთ არსებული თავებისთვის.

1.2. ანგარიშში გაკეთებული ძირითადი დასკვნები

კლასტერი 1: გაწევრიანების პროცესის საფუძვლები

დემოკრატია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოში დემოკრატიის მდგომარეობა მნიშვნელოვანი რეგრესით აღინიშნა. საქართველოს ხელისუფლებამ სამოქალაქო საზოგადოების, მედიის წარმომადგენლების და ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ შემოიღო რეპრესიული ზომები, რომლებმაც სერიოზულად გამოუთხარა ძირითადი დემოკრატიული პროცესები და ფაქტობრივად გააუქმა სამოქალაქო ჩართულობა და შეკავებისა და გაწონასწორების სისტემა. ოპოზიციის რვა წარმომადგენელს მიესაჯა 7-8 თვით თავისუფლების აღკვეთა და აეკრძალა საჯარო თანამდებობის დაკავება მომდევნო ორი წლის განმავლობაში. მათგან ექვსი ამჟამად პატიმრობაშია, ხოლო ორი საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია ოპოზიციის კიდევ ერთი წარმომადგენელი, რომელსაც ბრალის დამტკიცების შემთხვევაში თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ეფექტური საპარლამენტო ზედამხედველობის არარსებობამ გამოიწვია აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერება. სამოქალაქო საზოგადოების და კრიტიკული მოსაზრებების წინააღმდეგ მიმართული დაშინება, მტრული რიტორიკა, მუქარა და ძალადობა თანდათან უფრო მასობრივ ხასიათს იძენს. პარლამენტმა გააუქმა არასამთავრობო ორგანიზაციების სავალდებულო მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც სამოქალაქო საზოგადოების მმართველობიდან გამორიცხვის დამატებითი საფუძველი ხდება. გაუქმდა გენდერული თანასწორობის საბჭოები პარლამენტში და მუნიციპალურ დონეზე. სამოქალაქო საზოგადოების უამრავმა ორგანიზაციამ მიიღო ანტიკორუფციული ბიუროს სასამართლოს მიერ დამტკიცებული ბრძანებები კონფიდენციალური და ზედმეტი ინფორმაციის მოთხოვნით. ხელისუფლების მიერ 2028 წლამდე ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების შეწყვეტით გამოწვეულ პროტესტს მოჰყვა ძალადობისა და რეპრესიების არაპროპორციული გამოყენება. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეცვალოს საკუთარი ქმედებების კურსი, რომელიც ეწინააღმდეგება ევროკავშირის ფუნდამენტურ პრინციპებს და ღირებულებებს, და ქვეყნის მიერ საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს. საქართველომ უნდა გააუქმოს რეპრესიული კანონმდებლობა და გაატაროს დემოკრატიული, ყოვლისმომცველი და მდგრადი რეფორმები ევროპული ინტეგრაციის ძირითადი პრინციპების შესაბამისად. ფუნდამენტური უფლებები და პრინციპები, მათ შორის სამართლიანი სასამართლოს უფლება, გამოხატვის თავისუფლება, შეკრების თავისუფლება, მედიის თავისუფლება და პლურალიზმი, უნდა იყოს დაცული და გარანტირებული. უნდა გათავისუფლდნენ თვითნებურად დაკავებული პირები. ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევის და ძალადობის ყველა შემთხვევა ეფექტურად და დროულად უნდა იქნეს გამოძიებული, ხოლო დამნაშავეები - სასამართლო პასუხისგებაში მიცემული.

არჩევნების ზოგადი ჩარჩო მოითხოვს ყოვლისმომცველ რეფორმებს, რასაც ხაზგასმით აღნიშნავდნენ ეუთო/ოდირი, ვენეციის კომისია და ევროკომისია წარსულ

რეკომენდაციებში, რომლებიც ჯერაც შეუსრულებელია. საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა 2024 წლის 26 ოქტომბერს. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) / დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) სადამკვირვებლო მისიამ დაადგინა, რომ არჩევნები ჩატარდა უაღრესად პოლარიზებულ გარემოში, რაც გამოიხატებოდა დემოკრატიული რეგრესიით, და წლის დასაწყისში მიღებული შემზღუდავი კანონებით, რომლებიც ძირს უთხრის ფუნდამენტურ უფლებებს. კვლავ არსებობდა რამდენიმე ხარვეზი, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ანგარიშები ამომრჩევლების, განსაკუთრებით საჯარო სექტორის თანამშრომლების და ეკონომიკურად დაუცველი პირების დაშინების, იძულების, წაქეზება-ცდუნების და მათზე ზეწოლის შესახებ. ამან გამოიწვია შეშფოთება ზოგიერთი ამომრჩევლის მიერ საკუთარი აზრის თავისუფლად გამოყალიბების და ხმის მიცემის უნარის შესახებ სასჯელის შიშის გარეშე. სხვა ხარვეზებს შორის იყო არჩევნების დღის შემდგომი საჩივრების არასაკმარისი განხილვა და ხმის მიცემის საიდუმლოების დარღვევა. კანონმდებლობაში შეტანილი ბოლოდროინდელი შესწორებები კიდევ უფრო დაშორდა საერთაშორისო სტანდარტებს.

მუნიციპალური არჩევნები ჩატარდა 4 ოქტომბერს. არჩევნებისთვის მზადების პერიოდი აღინიშნა მძაფრი პოლიტიკური პოლარიზაციით, ძალადობით, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი მედიის დაშინებით. ოპოზიციური პარტიების უმეტესობამ ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს. საარჩევნო კანონმდებლობაში მმართველი პარტიის სასარგებლოდ შეტანილმა შესწორებებმა განსხვავებული აზრის გამოხატვის ფართომასშტაბიან ჩახშობასთან ერთად, მკვეთრად შეამცირა კონკურენტული არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა. გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლების მიერ საერთაშორისო დამკვირვებლების, კერძოდ, ეუთო/ოდირის დროულად მოწვევაზე უარის თქმამ ძირი გამოუთხარა საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობას და ხელი შეუშალა სანდო საერთაშორისო მონიტორინგის განხორციელებას. გარდა ამისა, რეპრესიული გარემოს გამო ადგილობრივი დამკვირვებლები უმეტესწილად არ იმყოფებოდნენ საარჩევნო უბნებზე. ამომრჩეველთა აქტივობა იყო შედარებით დაბალი.

2024 წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგად *პარლამენტში* საკუთარი მანდატებით მხოლოდ მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ წევრებმა ისარგებლეს. ამ პირობებში პარლამენტის მიერ მისი უფლებამოსილებების განხორციელება, მათ შორის აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობა და საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობა, ძალზე შეზღუდულია. სამი ოპოზიციური პარტიის პარლამენტის წევრებმა უარი თქვეს საკუთარ მანდატებზე, რადგან არჩევნები გაყალბებულად მიიჩნიეს. 2025 წლის თებერვალში პარლამენტმა 49 ოპოზიციონერ პარლამენტის წევრს მათივე მოთხოვნით მანდატები გაუუქმა. ერთი ოპოზიციური პარტიის პარლამენტის წევრებმა, რომლებმაც არ დატოვეს თავიანთი მანდატები, მაგრამ არ მონაწილეობდნენ საპარლამენტო სხდომებში, ოქტომბერში გადაწყვიტეს პარლამენტში საკუთარი ადგილების დაკავება, რითაც დასრულდა თითქმის ერთწლიანი ბოიკოტი. კანონმდებლობა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის კანონები, რომლებიც ზღუდავს გამოხატვის, მშვიდობიანი შეკრებებისა და გაერთიანების თავისუფლებას, პარლამენტმა დაჩქარებული პროცედურების გავლით მიიღო. ეს ძირს უთხრის საკანონმდებლო პროცესის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულების პრინციპს.

მმართველობის სფეროში პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების მიღების დეცენტრალიზაციის კუთხით ეროვნულიდან ადგილობრივ დონეზე ძალიან უმნიშვნელო პროგრესი აღინიშნა. 2025 წლის აპრილში პარლამენტმა გააუქმა სამოქალაქო

საზოგადოების/მოქალაქეების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვის მოთხოვნა. არ არსებობს მონაწილეობის ფორმალური მექანიზმები სამოქალაქო საზოგადოების/მოქალაქეების გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩასართავად ადგილობრივ დონეზე.

2025-2028 წლების სამთავრობო პროგრამა სახელწოდებით „მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ“ მკაფიოდ გამოხატავს საქართველოს ერთგულებას ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ. ამ დეკლარირებული მიზნის საპირისპიროდ, 2024 წლის 28 ნოემბერს პრემიერ-მინისტრმა გამოაცხადა გადაწყვეტილების შესახებ არ დაეწყო გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებები და უარი ეთქვა ევროკავშირის ფინანსურ მხარდაჭერაზე 2028 წლამდე, რამაც უპრეცედენტოდ ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები გამოიწვია. ეს ნიშნავდა მნიშვნელოვან გადახვევას წარსული პოლიტიკისა და ქართველი ხალხის ევროპული მისწრაფებებიდან. მიუხედავად იმისა, რომ მიღებული იყო 2025 წლის სამოქმედო გეგმა *ევროკავშირში ინტეგრაციის* შემდგომი განვითარებისთვის, ხელისუფლებამ არ წარმოადგინა ანგარიში ევროკომისიის 2023 წლის გაფართოების პოლიტიკის კომუნიკაციაში ასახული ძირითადი რეფორმების (ცხრა ნაბიჯის) განხორციელების შესახებ, რაც გადამწყვეტია პროგრესისთვის საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მოქმედებენ რეპრესიულ გარემოში, რომელიც უფრო და უფრო უარესდება. ეს ძირს უთხრის სამოქალაქო საზოგადოების ფუნდამენტურ როლს დემოკრატიის დაცვასა და განმტკიცებაში. რეპრესიული კანონების მიღება თანმიმდევრულად ზღუდავს სამართლებრივ ბაზას სამოქალაქო საზოგადოებისთვის, ხოლო ანტიკორუფციულ ბიუროს მინიჭებული აქვს ამ კანონების აღსრულების ფართო უფლებამოსილება. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და აქტივისტების მიმართ გამოყენებული იყო რეპრესიული ზომები, რაც ასევე მოიცავდა ანტიკორუფციულ ბიუროს სასამართლოს მიერ დამტკიცებულ საინფორმაციო ბრძანებებს, არაერთი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის საბანკო ანგარიშის გაყინვას და ადმინისტრაციული დაბრკოლებების გაძლიერებას. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფინანსური გარემო მნიშვნელოვნად დაზიანდა გრანტების შესახებ კანონსა და „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტში“ შეტანილი შესწორებების შედეგად. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ბევრი დამცველი და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტი სულ უფრო ხშირად ხდებოდა დაშინების, მუქარის, ფიზიკური თავდასხმების და ცილისწამების კამპანიების მსხვერპლი.

საჯარო მმართველობის რეფორმა

საჯარო მმართველობის რეფორმის სფეროში საქართველო არის **მომზადების გარკვეულ დონეს და ზომიერი მომზადების დონეს** შორის. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აღინიშნა რეგრესი. წინა საჯარო მმართველობის რეფორმის ჩარჩო შეარყია ინსტიტუციურმა ცვლილებებმა და შესწორებებმა კანონმდებლობაში, რომლებიც აუარესებს საჯარო სამსახურის სამართლებრივ დაცვას და ასუსტებს დამსახურებაზე დაფუძნებული, არამართლზომიერი პოლიტიკური ზეწოლისგან თავისუფალი საჯარო სამსახურის გარანტიებს. სტაბილური, თანამედროვე, ადამიანზე ორიენტირებული, ეფექტური, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე საჯარო სამსახურის უზრუნველყოფა მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს.

ევროკომისიის გასული წლის რეკომენდაციები არ შესრულდა და შესაბამისად, ისინი რჩება ძალაში. მომავალ წელს საქართველომ უნდა განახორციელოს შემდეგი ნაბიჯები, კერძოდ:

→ შეუსაბამოს საჯარო მმართველობის რეფორმის დღის წესრიგი ევროპული საჯარო მმართველობის პრინციპებს და სტანდარტებს, და უზრუნველყოს საჯარო პოლიტიკის

შემუშავების, მონიტორინგის და შეფასების ღია, თანამონაწილეობაზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროცესი;

- ქვეყნის საჯარო სამსახურის სამართლებრივ დაცვაში არსებული რეგრესი, რაც უნდა მოხდეს საკმარისი გარანტიების და დაცვის მექანიზმების ხელახალი შემოღებით გაუმართლებელი პოლიტიკური და სხვა სახის ჩარევების წინააღმდეგ;
- ქუზრუნველყოს საჯარო ინფორმაციაზე წვდომის უფლება, მათ შორის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერებით, და ხელახლა ჩაერთოს ღია მმართველობის პარტნიორობაში.

თავი 23: სასამართლო სისტემა და ფუნდამენტური უფლებები

სასამართლო სისტემისა და ფუნდამენტური უფლებების სფეროში საქართველო არის მომზადების საწყის ეტაპსა და მომზადების გარკვეულ დონეს შორის, ანუ მოხდა 2024 წლის მომზადების გარკვეული დონიდან დაღმასვლა. უკვე ზედიზედ მეორე წელია, რაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აღინიშნება რეგრესი.

სასამართლო სისტემის ფუნქციონირება

საქართველო არის მომზადების საწყის ეტაპზე, ანუ 2024 წლის მომზადების გარკვეულ დონესთან შედარებით დაბლა, და უკვე ზედიზედ მეორე წელია, რაც აღინიშნება რეგრესი. შესწორებული სამართლებრივი ჩარჩო ძირს უთხრის სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას და კეთილსინდისიერებას, და აუქმებს ადრე გატარებულ რეფორმებს. საერთო სასამართლოების შესახებ კანონში 2025 წლის ივნისში შეტანილი შესწორებები ასუსტებს სასამართლო სისტემის ლეგიტიმურობას და საფრთხეს უქმნის ძირითადი სასამართლო ინსტიტუტების და მოსამართლეების ანგარიშვალდებულებას და მიუკერძოებლობას. შესწორებები მიღებული იქნა დაჩქარებული პროცედურის მეშვეობით, სათანადო კონსულტაციების ან სიღრმისეული განხილვის გარეშე. ეს შესწორებები ზრდის სასამართლო ხელისუფლების ხელში ჩაგდების რისკებს და ეწინააღმდეგება ვენეციის კომისიის მრავალრიცხოვან რეკომენდაციებს და ცხრა ნაბიჯს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის და არჩევის წესების შეცვლამ შესწორება შეიტანა რეგულაციებში მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, ხოლო ინსპექტორის სამსახურის ინტეგრირება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შემადგენლობაში მნიშვნელოვნად ასუსტებს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას და ანგარიშვალდებულებას. სასამართლო პროცესების გამჭვირვალობა იზღუდება 2025 წლის ივნისის შესწორებებით, რომლებიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ანიჭებს უფლებას მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოებისთვის სასამართლო პროცესების ხელმისაწვდომობის თაობაზე. გარდა ამისა, აღინიშნა სხვა უარყოფითი მოვლენები, მათ შორის 2025 წლის ივნისში ახალი გენერალური პროკურორის დანიშვნა მარტივი უმრავლესობით, მისი წინამორბედის უფლებამოსილების ამოწურვამდე ოთხი წლით ადრე. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე დაინიშნა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ. საქართველოს პრეზიდენტის მიერ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არამოსამართლე წევრის დანიშვნის პრაქტიკა გაუქმდა, ხოლო შემდეგ კონკურენტი დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით. საქართველომ არ გაითვალისწინა ევროკავშირის ცხრა ნაბიჯით განსაზღვრული და ვენეციის კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაციები. პროტესტის მონაწილეებზე დაკისრებული მკაცრი და არაპროპორციული სასჯელები მოწმობს, რომ მმართველი პარტია სასამართლო სისტემას სისტემური რეპრესიების განხორციელებისთვის იყენებს.

ევროკომისიის გასული წლის რეკომენდაციები არ იქნა შესრულებული და შესაბამისად, ისინი ძალაში რჩება. გარდა ამისა, საქართველომ უნდა:

- გააუქმოს შესწორებები საერთო სასამართლოების შესახებ კანონში და მიიღოს კანონმდებლობა, რომელიც სრულად უნდა შეესაბამებოდეს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებების შესახებ

მოსამართლეთა გადაყვანასთან და უზენაესი სასამართლოსთვის შერჩევის პროცესთან დაკავშირებით (მათ შორის ეფექტური სააპელაციო პროცესი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კვალიფიკაცია და ჩიხური მდგომარეობების საწინააღმდეგო მექანიზმი);

- მიიღოს და განახორციელოს სასამართლო სისტემის უფრო ფართომასშტაბიანი რეფორმა, კერძოდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირება ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად, მათ შორის, შეზღუდვები მისი წევრების ხელახალ დანიშვნასთან დაკავშირებით, კერძოდ, ფიქსირებული ვადებით, რომლებიც განახლებას არ ექვემდებარება. გარდა ამისა, შექმნას კეთილსინდისიერების რიგგარეშე შემოწმების სისტემა საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით, რომლებსაც ამ პროცესში გადაწყვეტი როლი მიენიჭებათ, იმ კანდიდატებისა და პირებისთვის, რომლებიც ამჟამად დანიშნულები არიან სასამართლო სისტემაში ყველა წამყვან თანამდებობაზე, კერძოდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, უზენაესი სასამართლოს და საერთო სასამართლოების თავმჯდომარეებისთვის;
- დაამტკიცოს საკონსტიტუციო შესწორებები, რაც მოიცავს პარლამენტში გენერალური პროკურორის დანიშვნის პროცედურის შეცვლას მარტივიდან კვალიფიციური უმრავლესობით; პროკურატურის შესახებ კანონი მოიცვანოს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში ვენეციის კომისიის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) რეკომენდაციების, და 2023 წლის მაისში ტექნიკური დახმარების და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) მიერ ჩატარებული ექსპერტული მიმოხილვის საფუძველზე, რომელიც მართლმსაჯულების სექტორის ფუნქციონირებას და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას შეეხებოდა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კორუფციასთან ბრძოლის სფეროში საქართველომ **მომზადების გარკვეულ დონეს** მიაღწია. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აღინიშნა **რეგრესი**. ხელისუფლებამ კვლავ არ განახორციელა ვენეციის კომისიის საკვანძო რეკომენდაციები, რომლებიც უკავშირდება ანტიკორუფციული ბიუროს დამოუკიდებლობას, ამ ორგანიზაციაში პოლიტიკური ნეიტრალიტეტის და საგამომიებო ფუნქციების არარსებობას მაღალი დონეზე არსებული კორუფციის საქმეებში. ანტიკორუფციული ბიუროს მანდატი მნიშვნელოვნად გაფართოვდა, რის გამოც ის გამოყენებული იყო სამოქალაქო საზოგადოების და მედია-ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიული კანონმდებლობის აღსრულების და მონიტორინგის ინსტრუმენტად. მნიშვნელოვანი ძალისხმევაა საჭირო კორუფციასთან საბრძოლველად ყველა დონეზე. საჭიროა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსური სტრატეგიული ჩარჩოს მიღება. არ გადადგმულა არც ერთი ნაბიჯი დეოლიგარქიზაციის მიზნით, და არ გაწეულა ძალისხმევა სისტემური მიდგომით მის განსახორციელებლად. გარდა ამისა, საჭიროა რისკების მიზნობრივი შეფასებები და კონკრეტული ღონისძიებები კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად ყველაზე მოწყვლად სექტორში.

ევროკომისიის გასული წლის რეკომენდაციები არ შესრულდა და შესაბამისად, ისინი რჩება ძალაში. ამას გარდა, მომავალ წელს საქართველომ უნდა განახორციელოს შემდეგი ნაბიჯები, კერძოდ:

- ანტიკორუფციული ბიუროს შესახებ კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ODIHR/ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან და იმის უზრუნველყოფა, რომ ანტიკორუფციული ბიურო, ისევე როგორც შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოები, მოქმედებდნენ დამოუკიდებლად და ეფექტურად ნებისმიერი პოლიტიკურად შერჩევითი მიდგომის თავიდან ასაცილებლად; კორუფციასთან ბრძოლის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დამტკიცება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი კომპლექსური

განხორციელება რეალისტურ ვადებში, ადეკვატური დაფინანსებით და სათანადო მონიტორინგის მექანიზმებით; ანტიკორუფციულმა ბიურომ მუდმივად უნდა გამოაქვეყნოს თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციები;

- გააუქმოს 2023 წლის თებერვლის გადაწყვეტილება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)/კორუფციის საწინააღმდეგო ქსელის სტამბოლის ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროგრამიდან გამოსვლის შესახებ, და სრულად განახორციელოს 2022 წლის საპილოტე ანგარიშის რეკომენდაციები, მათ შორის საერთაშორისო ბიზნეს-ტრანზაქციებში უცხოელი საჯარო მოხელეების მოსყიდვასთან ბრძოლის თაობაზე;
- განახორციელოს სისტემური მიდგომა დეოლიგარქიზაციის მიმართ ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად (2023 წლის მარტის და 2023 წლის ივნისის მოსაზრებები).

ფუნდამენტური უფლებები

ადამიანის უფლებები მკვეთრად იზღუდება და მათ ძირს უთხრის ახალი რეპრესიული კანონების მიღება და შესწორებები შეტანა არსებულ კანონებში, რომლებიც არღვევს ფუნდამენტურ უფლებებს, კერძოდ, თანასწორობისა და არადისკრიმინაციის უფლებას, გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას, ასევე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, ოჯახური ცხოვრების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას. საანგარიშო პერიოდში ძალიან ხშირი იყო არასათანადო მოპყრობა პროტესტის მონაწილეთა მიმართ, ზოგიერთ შემთხვევაში - წამების ან არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ტოლფასი. სამართალდამცავმა ორგანოებმა არაპროპორციულად და განურჩევლად გამოიყენეს მასობრივი არეულობების აღკვეთის ღონისძიებები. ამჟამად გაუქმებული სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ დაწყებულმა გამოძიებებმა არ გამოიწვია ძალადობის ჩამდენი პირების სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა; გარდა ამისა, სერიოზულ შემფოთებას იწვევს ანგარიშვალდებულების უგულებელყოფა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. თვითნებური დაკავებების, წინასწარი პატიმრობის გადამეტებულად გამოყენების, და პროტესტის მონაწილეებისა და ჟურნალისტებისთვის არაპროპორციულად მკაცრი სასჯელის დაწესების შემთხვევები შემფოთებას იწვევს სამართლიანი სასამართლოს უფლების თაობაზე.

ევროკომისიის გასული წლის რეკომენდაციები არ შესრულდა და შესაბამისად, ისინი რჩება ძალაში. მიმდინარე გარემოებებში, საქართველოს დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს ზომები, რათა:

- გააუქმოს კანონები და შესწორებები, რომლებიც ზღუდავს ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს, არღვევს არადისკრიმინაციის პრინციპს და ეწინააღმდეგება შესაბამის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს, კერძოდ, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონი, უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი და საკანონმდებლო პაკეტი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ;
- გამოიკვლიოს ანგარიშები და ბრალდებები სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის გადაჭარბებული გამოყენების, მათ შორის წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის, და არაფორმალური ჯგუფების ძალადობის შესახებ, და მისცეს დამნაშავეები სასამართლო პასუხისმგებლობაში; უზრუნველყოს თავისუფალი სასამართლოს უფლების დაცვა;
- უზრუნველყოს შეკრების უფლების დაცვა და ამ უფლების განხორციელების თვითნებური ან უკანონო შეზღუდვების აღკვეთა.

გამოხატვის თავისუფლება

საქართველო, რომელიც გამოხატვის თავისუფლების სფეროში მომზადების საწყის ეტაპსა

და მომზადების გარკვეულ დონეს შორის იმყოფებოდა, **მომზადების საწყის ეტაპზე** ჩამოქვეითდა. უკვე ზედიზედ მეორე წელია, რაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში **რეგრესი** აღინიშნება. ახალი კანონმდებლობა, მათ შორის კანონში მაუწყებლობის შესახებ, უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის შესახებ კანონსა და ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ საკანონმდებლო პაკეტში შეტანილი შესწორებები, უარყოფითად მოქმედებს გამოხატვის თავისუფლების უფლებაზე და მედიის თავისუფლად მოქმედების უნარზე. ჟურნალისტების და მედიის წარმომადგენლების დაშინების, მათ წინააღმდეგ მიმართული მუქარის და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები ძალზე ხშირად იყო მოხსენებული ანგარიშებში.

ევროკომისიის გასული წლის რეკომენდაციები არ შესრულდა და შესაბამისად, ისინი რჩება ძალაში. მიმდინარე გარემოებებში, საქართველომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები, რათა:

- [გაათავისუფლოს თვითნებურ წინასწარი დაკავებაში მყოფი ჟურნალისტები და უზრუნველყოს, რომ მათ წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეები დასრულდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) შესაბამისი პრეცედენტული სამართლით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად;
- [უზრუნველყოს ჟურნალისტების უსაფრთხოება და უზრუნველყოს სწრაფი, მიუკერძოებელი და სათანადო სამართლებრივი რეაგირება ჟურნალისტებზე თავდასხმების და მათი დაშინების ყველა შემთხვევაზე; აღადგინოს უსაფრთხო და პლურალისტური გარემო, რომელიც საშუალებას მისცემს მედიას განახორციელოს საკუთარი საქმიანობა დამოუკიდებლად და შურისძიების ან სამსახურიდან დათხოვნის შიშის გარეშე;
- [გააუქმოს მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილი შესწორებები, ასევე კანონები და შესწორებები, რომლებიც პატივს არ სცემს გამოხატვის თავისუფლებას.

თავი 24: სამართალი, თავისუფლება და უსაფრთხოება

საქართველომ **გარკვეული მომზადების დონეს** მიაღწია სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროში. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აღინიშნა **რეგრესი**. ანგარიშები პოლიციის მიერ ძალის სასტიკი, არაპროპორციული და უკანონო გამოყენების და პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ დაშინების ტაქტიკის გამოყენების, ასევე ცნობები დამნაშავეთა ანგარიშვალდებულების არარსებობის შესახებ, რაც ჩადენილი ქმედებებისთვის დაუსჯელობა გამოიწვია, ხაზს უსვამს სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც ძირს უთხრის მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობას და სანდოობას. სამართალდამცავი ორგანოების ქმედებებში არასათანადო პოლიტიკური ჩარევის ნიშნები ვლინდება. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაუქმების შემდეგ სამართალდამცავი ორგანოების ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები კიდევ უფრო შესუსტდა, ხოლო საგამოძიებო ფუნქციები კიდევ უფრო მეტად იქნა კონცენტრირებული პროკურატურის ხელში. გათვალისწინებული კანონმდებლობა სისხლის სამართლებრივი დევნასა და საგამოძიებო ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ ჯერ კიდევ განხილვის მოლოდინშია. საქართველო არ ასრულებს და კიდევ უფრო შორდება მეშვიდე ანგარიშის რეკომენდაციებს ვიზების მოქმედების შეჩერების მექანიზმის თაობაზე.

ევროკომისიის გასული წლის რეკომენდაციები არ შესრულდა და შესაბამისად, ისინი რჩება ძალაში. ამას გარდა, მომავალ წელს საქართველომ უნდა განახორციელოს შემდეგი ნაბიჯები, კერძოდ:

- [ვიზალიბერალიზაციის კრიტერიუმების შესრულების უზრუნველყოფა; ვიზების

მოქმედების შეჩერების მექანიზმის მეშვიდე ანგარიშის რეკომენდაციების შესრულება, ბრძოლის გაძლიერება ზომების მისაღებად თავშესაფრის უსაფუძვლო მოთხოვნების და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში საქართველოს მოქალაქეების არალეგალურად ყოფნის მზარდი რაოდენობის წინააღმდეგ, და სავიზო პოლიტიკის ევროკავშირის კანონთა კრებულთან შესაბამისობაში მოყვანა ;

- ევროპალიბერალიზაციის კრიტერიუმების დაკმაყოფილება ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებთან, კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის პრევენციასთან/აღმოფხვრასთან, და აქტივების დაბრუნების საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით;
- ინსტიტუციური და ოპერატიული პოტენციალის გაძლიერება ორგანიზებულ დანაშაულებასთან საბრძოლველად და პოლიციის საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესება.

სერიოზული და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველომ **გარკვეული მომზადების დონეს** მიაღწია სერიოზული და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. საანგარიშო პერიოდში ამ სფეროში აღინიშნა **შეზღუდული პროგრესი**. ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ საბრძოლველად მიღებული იქნა გარკვეული ზომები, მათ შორის რისკების შეფასება და შესწორებები კანონმდებლობაში, სექტორული რისკების შეფასებები და მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა ვირტუალური აქტივების მომსახურების მიმწოდებლებისთვის. საჭიროა დამატებითი ნაბიჯები MONEYVAL-ის რეკომენდაციების შესასრულებლად, რომლებიც, *inter alia*, უკავშირდება იმ ფაქტს, რომ უძრავი ქონების აგენტებს, ასევე ტრასტის ან კომპანიის მომსახურების მიმწოდებლებს ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისთვის არასაკმარისი ვალდებულებები აკისრიათ. ამას გარდა, მოსაგვარებელია შემდეგი პრობლემები: არაადეკვატური კომუნიკაცია და მიზნობრივი ფინანსური სანქციების არასათანადო აღსრულება, განსაზღვრული არაფინანსური საწარმოების და პროფესიების არაჯეროვანი რეგულირება და მათზე არასაკმარისი ზედამხედველობა.

ევროკომისიის გასული წლის რეკომენდაციები მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა და შესაბამისად, ისინი ძირითადად რჩება ძალაში. ამას გარდა, მომავალ წელს საქართველომ უნდა განახორციელოს შემდეგი ნაბიჯები, კერძოდ:

- გააუმჯობესოს კრიმინალურ ქსელებთან დაკავშირებული საგამომიებო საქმიანობის ანგარიშვალდებულება და ეფექტიანობა, და საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობაში მონაწილეობა ნარკოტრაფიკთან და მაღალი რისკის ორგანიზებულ დანაშაულებრივ ქსელებთან საბრძოლველად;
- შეასრულოს MONEYVAL-ის მესამე გაფართოებული ანგარიშით და ტექნიკური შესაბამისობის განმეორებითი შეფასებით გათვალისწინებული რეკომენდაციები;
- მიიღოს კანონმდებლობა სისხლის სამართლებრივი დევნისა და საგამომიებო ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ; შექმნას აქტივების დაბრუნების ოფისი და აქტივების მართვის ოფისი, და შემოიღოს საბოლოო ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრი.

ეკონომიკური კრიტერიუმები

მოქმედი საბაზრო ეკონომიკის არსებობა

საქართველო **ზომიერად არის მომზადებული** და ქვეყანაში **შეზღუდული პროგრესი** აღინიშნა მოქმედი საბაზრო ეკონომიკის შესაქმნელად. ხელისუფლების მოქმედების კურსმა და გადაწყვეტილებამ, რომელიც გულისხმობს ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყების შეჩერებას 2028 წლამდე, ბიზნესს დიდი

გაურკვევლობა შეუქმნა. შენარჩუნებული მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, ის ექვემდებარება კლების რისკებს, რომლებიც ასახავს მზარდ პოლიტიკურ არასტაბილურობას და განვითარებულ მოვლენებს, რომლებიც უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიულ ომს უკავშირდება. მაკროეკონომიკური პოლიტიკის კომპლექსი მთლიანობაში მისაღები იყო. შრომის ბაზარზე გაუმჯობესებული მდგომარეობის მიუხედავად, გადაუჭრელი რჩება სტრუქტურული ნაკლოვანებების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება აგრძელებდა შერჩეული საჯარო ფინანსების რეფორმებს, სახელმწიფო საწარმოების რეფორმა წინ ნელა მიიწევდა. ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გაძლიერების კუთხით აღინიშნა პროგრესის არარსებობა, თუმცა საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოში არსებული ვაკანტური თანამდებობები შეივსო.

ევროკომისიის გასული წლის რეკომენდაციები მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა და შესაბამისად, ისინი ძირითადად რჩება ძალაში. მომავალ წელს საქართველომ უნდა განახორციელოს შემდეგი ნაბიჯები, კერძოდ:

- გააძლიეროს კანონმდებლობა ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, გააუმჯობესოს და განახორციელოს საშუალოვადიანი შემოსავლების სტრატეგია და საჯარო ინვესტიციების მართვის რეფორმა, მოახდინოს საგადასახადო ხარჯების რაციონალიზება და კიდევ უფრო გააუმჯობესოს სახელმწიფო საწარმოებზე ფისკალური ზედამხედველობა და მათი მმართველობა;
- აღმოფხვრას შრომის ბაზარზე არსებული ძირითადი ნაკლოვანებები, როგორცაა დასაქმების დაბალი მაჩვენებელი და მნიშვნელოვანი რეგიონული განსხვავებები, დაამტკიცოს შრომის ბაზრის ახალი სტრატეგია და დაიწყოს მისი დანერგვა, და მოამზადოს კომპლექსური პროგრამა არაფორმალური ეკონომიკის წილის შესამცირებლად;
- მეტად განავითაროს ფინანსური სექტორის არასაბანკო სეგმენტები, მათ შორის, კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის განხორციელებით და სადაზღვევო სექტორის გაძლიერებით.

კონკურენციის წნეხთან და საბაზრო ძალებთან გამკლავების პოტენციალი კავშირის შიგნით

საქართველოს აქვს **მზადყოფნის გარკვეული დონე** და ქვეყანაში აღინიშნა **გარკვეული პროგრესი** კონკურენციის წნეხთან და საბაზრო ძალებთან გამკლავების კუთხით. მან განაგრძო საკუთარი განათლების ჩარჩოს განახლება და დაამტკიცა პროფესიული განათლებისა და მომზადების (VET) სტრატეგია. კვლევასა და ინოვაციებზე დანახარჯები კვლავ ძალიან დაბალია. სახელმწიფო ინვესტიციების დონე კვლავ მაღალი იყო, ძირითადად სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სფეროში. ეკონომიკის სტრუქტურაში დომინირებს სერვისები დაბალი კვალიფიკაციის კადრებზე მოთხოვნით, ხოლო ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია კვლავ შეზღუდულია, რასაც ახლავს საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის ღირებულების შემცირება.

ევროკომისიის გასული წლის რეკომენდაციები მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა და შესაბამისად, ისინი ძირითადად რჩება ძალაში. მომავალ წელს საქართველომ უნდა განახორციელოს შემდეგი ნაბიჯები, კერძოდ:

- განათლებისა და ტრენინგების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება იმის

უზრუნველსაყოფად, რომ მათი შედეგები შეესაბამებოდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კერძოდ, პროფესიული განათლების და მომზადების რეფორმების შემდგომი განხორციელების, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესების და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გაუმჯობესების გზით;

- გააგრძელოს ძალისხმევა საჭირო ტრანსპორტის, კავშირისა და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარების, და ენერგეტიკის სტრუქტურაში განახლებადი ენერგიის წილის გაზრდის მიზნით;
- უზრუნველყოს ინოვაციების სტიმულირება და გასწიოს ძალისხმევა მაღალი დამატებული ღირებულების მქონე საქონლისა და მომსახურების ექსპორტის გაზრდის მიზნით, კერძოდ, სერტიფიცირების ხელშეწყობით, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სტანდარტების დაცვით, ექსპორტის ხელშეწყობით, ლოგისტიკით და ექსპორტისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებით.

თავი 5 – სახელმწიფო შესყიდვები

საქართველოს აქვს **გარკვეული მომზადების დონე** სახელმწიფო შესყიდვების სფეროში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ამ მიმართულებით **პროგრესის არარსებობა** აღინიშნა.

ევროკომისიის გასული წლის რეკომენდაციები არ შესრულდა და შესაბამისად, ისინი რჩება ძალაში. მომავალ წელს საქართველომ უნდა განახორციელოს შემდეგი ნაბიჯები, კერძოდ:

- საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების კანონთა კრებულთან შემდგომ შესაბამისობაში მოყვანა, მათ შორის კომუნალური მომსახურების და კონცესიების, ასევე საჯარო-კერძო პარტნიორობის სფეროში;
- კანონმდებლობის შემდგომი შესაბამისობა 2009/81/EC დირექტივასთან შესყიდვების შესახებ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში;
- შესყიდვებთან დაკავშირებული დავების საბჭოს საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესება, კერძოდ, მისი დამოუკიდებლობის დაცვის და მისი იურისდიქციის გავრცელების გზით, რათა მოხდეს იმ სახელმწიფო შესყიდვების პროცესების მოცვა, რომლებიც ხორციელდება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების წესების შესაბამისად.

თავი 18 – სტატისტიკა

საქართველოს აქვს **გარკვეული მომზადების დონე** სტატისტიკის სფეროში. მიღწეულია **შეზღუდული პროგრესი**, მათ შორის, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შექმნის გზით, რომელიც ხელს შეუწყობს კოორდინაციას სტატისტიკურ ორგანოებს შორის. საქართველომ ევროსტატს ოდნავ უფრო დიდი რაოდენობის მონაცემები გადასცა.

ევროკომისიის გასული წლის რეკომენდაციები მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა და შესაბამისად, ისინი ძირითადად რჩება ძალაში. მომავალ წელს საქართველომ უნდა განახორციელოს შემდეგი ნაბიჯები, კერძოდ:

- კიდევ უფრო გააუმჯობესოს ეროვნული სტატისტიკური სისტემის კოორდინაცია, და გააუმჯობესოს თანამშრომლობა დარგობრივი სამინისტროების და უწყებების მონაცემთა მომწოდებლებთან;
- კიდევ უფრო გააუმჯობესოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ადამიან რესურსები და ტექნიკური პოტენციალი;
- გაზარდოს დროული და ხარისხიანი მონაცემების გენერირება და გავრცელება, და მოამზადოს კლასიფიკაციის ახალი ვერსიები.

თავი 32 – ფინანსური კონტროლი

საქართველო აქვს **გარკვეული მომზადების დონე** ფინანსური კონტროლის სფეროში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ამ მიმართულებით პროგრესის არარსებობა აღინიშნა. ევროკომისიის გასული წლის რეკომენდაციები არ შესრულდა და შესაბამისად, ისინი რჩება ძალაში. მომავალ წელს საქართველომ უნდა განახორციელოს შემდეგი ნაბიჯები, კერძოდ:

- განახორციელოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ღონისძიებები და გააძლიეროს მენეჯერული ანგარიშვალდებულება;
- მოახდინოს ფინანსთა სამინისტროში არსებული ჰარმონიზაციის ცენტრალური ქვედანაყოფის პოტენციალის კონსოლიდაცია საკადრო და ფინანსური რესურსების კუთხით;
- გააუმჯობესოს მთავრობის მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებლები.

კლასტერი 2: შიდა ბაზარი

თავი 1 – საქონლის თავისუფალი გადაადგილება

საქართველომ გარკვეული მომზადების დონეს მიაღწია საქონლის თავისუფალი გადაადგილების სფეროში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ამ მიმართულებით პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

თავი 2 – სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილება

საქართველო იმყოფება მომზადების საწყის ეტაპზე სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილების სფეროში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ამ მიმართულებით პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

თავი 3 – დაფუძნების უფლება და მომსახურების გაწევის თავისუფლება

საქართველო ზომიერად მომზადებულია დაფუძნების უფლების და მომსახურების გაწევის თავისუფლების სფეროში. საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

თავი 4 – კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება

საქართველო ზომიერად მომზადებულია კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების სფეროში. თუმცა, საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

თავი 6 – კორპორაციული სამართალი

საქართველომ მომზადების გარკვეულ დონეს მიაღწია კორპორაციული სამართლის სფეროში. საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

თავი 7 – კანონი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ

საქართველოს აქვს გარკვეული მომზადების დონე ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონის სფეროში. საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით აღინიშნა შეზღუდული პროგრესი, განსაკუთრებით შესწორებების კუთხით კანონში სასაქონლო ნიშნების შესახებ.

თავი 8 – კონკურენციის პოლიტიკა

კონკურენციის პოლიტიკის სფეროში საქართველო იმყოფება მომზადების საწყის ეტაპსა და გარკვეული მომზადების დონეს შორის. საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

თავი 9 – ფინანსური სამსახურები

საქართველომ გარკვეული მომზადების დონეს მიაღწია ფინანსური სამსახურების სფეროში. საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

თავი 28 – მომხმარებლის და ჯანმრთელობის დაცვა

საქართველომ გარკვეული მომზადების დონეს მიაღწია მომხმარებლის და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. აღინიშნა შეზღუდული პროგრესი სისხლის, ქსოვილების, უჯრედებისა და ორგანოების ევროკავშირის კანონთა კრებულთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით.

კლასტერი 3: კონკურენტუნარიანობა და ინკლუზიური ზრდა

თავი 10 – ციფრული ტრანსფორმაცია და მედია

საქართველოს აქვს გარკვეული მომზადების დონე ციფრული ტრანსფორმაციის და მედიის სფეროში. აღინიშნა პროგრესის არარსებობა. მიღებული იქნა ციფრული ეკონომიკის და საინფორმაციო საზოგადოების სტრატეგიები, ასევე ციფრული მმართველობის სამოქმედო გეგმა. მიუხედავად ამისა, მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილი შესწორებების მიღება სერიოზულად ზღუდავს მედიის თავისუფლებას.

თავი 16 – დაბეგვრა

დაბეგვრის სფეროში საქართველო იმყოფება მომზადების გარკვეულ დონესა და მომზადების ზომიერ დონეს შორის. საანგარიშო პერიოდში აღინიშნა შეზღუდული პროგრესი, განსაკუთრებით საგადასახადო კოდექსში შეტანილი შესწორებების, თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გაზრდის და ინფორმაციის ავტომატური გაცვლის დანერგვის კუთხით.

თავი 17 – ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკა

საქართველომ მიაღწია ზომიერი მომზადების დონეს ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის სფეროში. საანგარიშო პერიოდში აღინიშნა შეზღუდული პროგრესი სახელმწიფო საწარმოების ფისკალური ზედამხედველობის თანდათანობით გაუმჯობესებით. არ იქნა მიღებული ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხის ასამაღლებლად საჭირო შესწორებები კანონმდებლობაში.

თავი 19 – სოციალური პოლიტიკა და დასაქმება

საქართველოს აქვს გარკვეული მომზადების დონე სოციალური პოლიტიკის და დასაქმების სფეროში, თუმცა საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

თავი 20 – მეწარმეობის და მრეწველობის პოლიტიკა

საქართველოს აქვს ზომიერი მომზადების დონე მეწარმეობის და მრეწველობის პოლიტიკის სფეროში, თუმცა საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

თავი 25 – მეცნიერება და კვლევა

საქართველოს აქვს ზომიერი მომზადების დონე მეცნიერებისა და კვლევის სფეროში. აღინიშნა შეზღუდული პროგრესი ევროპის კვლევით სივრცესთან დაკავშირებით, და უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების გაზრდილი ჩართულობა პროგრამაში „ჰორიზონტი ევროპა“.

თავი 26 – განათლება და კულტურა

საქართველოს აქვს ზომიერი მომზადების დონე განათლებისა და კულტურის სფეროში.

საანგარიშო პერიოდში **შეზღუდული პროგრესი** აღინიშნა 2024-2030 წლების პროფესიული განათლების და სწავლების სტრატეგიის მიღების, და პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის 2024-2030 წლების სტრატეგიის განხორციელების კუთხით.

თავი 29 – საბაჟო კავშირი

საქართველოს აქვს **ზომიერი მომზადების დონე** საბაჟო კავშირის სფეროში. საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით **შეზღუდული პროგრესი** აღინიშნა. 2025 წლის 1 თებერვალს საქართველო ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) მიერ მხარდაჭერილ საერთო ტრანზიტის კონვენციას შეუერთდა.

კლასტერი 4: მწვანე დღის წესრიგი და მდგრადი კავშირი

თავი 14 – სატრანსპორტო პოლიტიკა

საქართველოს აქვს **გარკვეული მომზადების დონე** სატრანსპორტო პოლიტიკის სფეროში. საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით აღინიშნა **გარკვეული პროგრესი**, კერძოდ სახიფათო ტვირთების საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის შესახებ დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანის და სარკინიგზო ტრანსპორტის ავარიების გამოძიების ეროვნული ორგანოს შექმნის კუთხით. საზღვაო ერთიანი ფანჯრის სისტემა ამჟამად ყველა პორტში მოქმედებს. საქართველომ დამატებითი ძალისხმევა უნდა გასწიოს საგზაო უსაფრთხოების კუთხით ავტოსაგზაო შემთხვევების და ფატალური შემთხვევების დიდი რაოდენობის შესამცირებლად.

თავი 15 – ენერგეტიკა

საქართველოს აქვს **გარკვეული მომზადების დონე** ენერგეტიკის სფეროში. საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით აღინიშნა **შეზღუდული პროგრესი**, განსაკუთრებით გადამცემი სისტემის ოპერატორების დაყოფის, ენერგორესურსების ეტიკეტირების შესახებ ყველა სამოქმედო საკანონმდებლო აქტის მიღების, და გაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების რეგულაციასთან ჰარმონიზაციის უმეტესწილად დასრულების კუთხით. მიღებულ იქნა რადიაციული დაცვის ტექნიკური რეგულაციები.

თავი 21 – ტრანსევროპული ქსელები

საქართველოს აქვს **გარკვეული მომზადების დონე** ტრანსევროპული ქსელების სფეროში. საანგარიშო პერიოდში აღინიშნა **შეზღუდული პროგრესი**, განსაკუთრებით ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის (TEN-T) საგზაო ქსელის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით.

თავი 27 – გარემო და კლიმატის ცვლილება

საქართველო არის **მომზადების საწყისი ეტაპზე** გარემოს და კლიმატის ცვლილების სფეროში. საანგარიშო პერიოდში აღინიშნა **შეზღუდული პროგრესი**, რაც თბილისის ჰაერის ხარისხის გეგმის დამტკიცებაში და მდინარეთა აუზების მართვის კანონმდებლობის განხორციელებაში აისახა.

კლასტერი 5: რესურსები, სოფლის მეურნეობა და კოჰესია

თავი 11 – სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება

საქართველო არის **მომზადების საწყისი ეტაპზე** სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების კუთხით. საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით აღინიშნა **შეზღუდული პროგრესი**, განსაკუთრებით ადმინისტრირებისა და კონტროლის ინტეგრირებული სისტემის შექმნის თვალსაზრისით.

თავი 12 – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და ფიტოსანიტარიის პოლიტიკა

საქართველოს აქვს გარკვეული მომზადების დონე სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და ფიტოსანიტარიის პოლიტიკის სფეროში. საანგარიშო პერიოდში აღინიშნა გარკვეული პროგრესი, განსაკუთრებით ევროკავშირის ოფიციალური კონტროლის შესახებ რეგულაციასთან შესაბამისობის, და ზოგიერთი ახალი სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დამტკიცების კუთხით.

თავი 13 - თევზჭერა და აკვაკულტურა

საქართველოს აქვს გარკვეული მომზადების დონე თევზჭერის და აკვაკულტურის სფეროში. საანგარიშო პერიოდში აღინიშნა შეზღუდული პროგრესი, განსაკუთრებით 2024-2028 წლების აკვაკულტურის მდგრადი განვითარების სტრატეგიის მიღების, ანჩოუსის რეწვის სფეროში მონიტორინგის, კონტროლის და ზედამხედველობის, და ზღვის აკვაკულტურისთვის გამოიჭნული ზონების მიმდინარე განაწილების კუთხით.

თავი 22 – რეგიონული პოლიტიკა და სტრუქტურული ინსტრუმენტების კოორდინაცია

საქართველო კვლავ იმყოფება მომზადების საწყისი ეტაპსა და მომზადების გარკვეული დონეს შორის რეგიონული პოლიტიკის სფეროში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ამ მიმართულებით პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

თავი 33 – საფინანსო და საბიუჯეტო დებულებები

საქართველო იმყოფება მომზადების საწყის ეტაპზე საკუთარი რესურსების სფეროში და საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

კლასტერი 6: საგარეო ურთიერთობები

თავი 30 – საგარეო ურთიერთობები

საქართველოს აქვს ზომიერი მომზადების დონე საგარეო ურთიერთობების სფეროში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ამ მიმართულებით პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

თავი 31 – საგარეო, უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა

ამ სფეროში საქართველო იმყოფება მომზადების გარკვეულ დონესა და მომზადების ზომიერ დონეს შორის. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში რეგრესი აღინიშნა. საანგარიშო პერიოდში საქართველოში უმაღლესი წარმომადგენლის მიერ ევროკავშირის სახელით გაკეთებულ განცხადებებთან და საბჭოს სანქციებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებთან თანხვედრის მაჩვენებელი შემცირდა და რჩება დაბალი; კერძოდ, 2025 წლის 24 ოქტომბრის მდგომარეობით თანხვედრის მაჩვენებელი შეადგენს 40%-ს, 2024 წლის 53%-თან შედარებით. საქართველო არ მიუერთდა ევროკავშირის მიერ რუსეთის, ბელარუსის და ირანის წინააღმდეგ დაწესებული შემზღუდველი ზომების (სანქციების) უდიდეს უმრავლესობას. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ის არ მონაწილეობდა ევროკავშირის კრიზისების მართვის მისიებსა და ოპერაციებში ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში.

1.3. ნაბიჯების / პრიორიტეტების განხორციელების შეფასება

ნაბიჯი 1. ევროკავშირისა და მისი ფასეულობების საწინააღმდეგო დეზინფორმაციასთან, უცხოურ საინფორმაციო მანიპულირებასა და ჩარევასთან ბრძოლა.

საქართველოს ხელისუფლება აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირის წინააღმდეგ დეზინფორმაციის გავრცელებაში და მან მოახდინა იმ სტრუქტურების დემონტაჟი, რომლებიც დეზინფორმაციასთან ბრძოლას ეწეოდნენ. ამ ნაბიჯის განხორციელებაში

სერიოზული რეგრესი აღინიშნა.

საქართველოს ხელისუფლება კვლავაც აცხადებდა მთავარ პრიორიტეტად ევროკავშირში ინტეგრაციას, თუმცა იმავდროულად სისტემატურად იყენებდა ევროკავშირის საწინააღმდეგო მტრულ რიტორიკას, მოვლენების მანიპულაციურ აღწერას და შეთქმულების თეორიებს, ხშირად რუსული ტიპის დეზინფორმაციის გამეორებით. მიმდინარეობს ევროკავშირის, მისი ინსტიტუტების და მისი პოლიტიკის, განსაკუთრებით კი ევროკავშირში ინტეგრაციის ყოველდღიური დისკრედიტაცია, რაც ხდება მაღალი დონის სახელმწიფო მოხელეების, მმართველი პარტიისა და მათთან დაკავშირებული მედიის მიერ დეზინფორმაციის გავრცელების გზით. ეს ნარატივები თანდათან უფრო აგრესიული ხდება და მიმართულია ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების დიპლომატებზე, პოლიტიკოსებსა და ოფიციალურ პირებზე. გარდა ამისა, ევროკავშირიდან დაფინანსების მიმღები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს სუვერენიტეტისა და სტაბილურობისთვის ძირის გამოთხრაში დაადანაშაულებს. ეს ფორმულირება გამოიყენება სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების გასამართლებლად და ევროკავშირის მხარდამჭერთა გარე ინტერესების დამცველებად წარმოსაჩენად, რაც რუსული ტიპის შეთქმულებებს და ტაქტიკას ეხმიანება. საგარეო ჩარევასთან ბრძოლის საბაზით მთავრობამ შემოიღო მთელი რიგი კანონები და მარეგულირებელი ცვლილებები, რომლებიც სინამდვილეში მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების, დამოუკიდებელი მედიის და იმ მოქალაქეების წინააღმდეგ, რომლებიც საკუთარ ფუნდამენტურ უფლებებს ახორციელებენ. რეალური უცხოური დეზინფორმაციის საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად, ამ ზომებმა ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და ანგარიშვალდებულებისადმი ერთგული ორგანიზაციების დელეგიტიმაციას შეუწყო ხელი. ეს მიდგომა ძირს უთხრის საქართველოს ევროკავშირის ღირებულებებთან თანხვედრას და ასუსტებს მის უცხოური დეზინფორმაციის საფრთხეებთან გამკლავების უნარს. საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება ნატოს და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის გაუქმების შესახებ კიდევ უფრო დაასუსტებს ძალისხმევას, რომელიც ევროკავშირის საწინააღმდეგო დეზინფორმაციასთან ბრძოლისთვის არის საჭირო.

ნაბიჯი 2. ევროკავშირის ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან საქართველოს შესაბამისობის გაუმჯობესება.

ევროკავშირის ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან საქართველოს თანხვედრის კუთხით რეგრესი აღინიშნა. საანგარიშო პერიოდში საქართველოში უმაღლესი წარმომადგენლის მიერ ევროკავშირის სახელით გაკეთებულ განცხადებებთან და საბჭოს სანქციებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებთან თანხვედრის მაჩვენებელი შემცირდა და რჩება დაბალი, კერძოდ, 2025 წლის 24 ოქტომბრის მდგომარეობით თანხვედრის მაჩვენებელი შეადგენს 40%-ს, 2024 წლის 53%-თან შედარებით. საქართველო არ შეუერთდა რუსეთის, ირანის და ბელარუსის მიმართ დაწესებული შემზღუდავი ზომების უმრავლესობას და მნიშვნელოვნად გაზარდა პირდაპირი ავიარეისების რაოდენობა რუსეთის სხვადასხვა მიმართულებით. გაუმჯობესებას საჭიროებს თანამშრომლობა იმისათვის, რომ არ მოხდეს საქართველოს ტერიტორიის და/ან საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირების **ევროკავშირის შემზღუდავი ზომების** გვერდის ავლის მიზნით გამოყენება. ძალაში რჩება გასულ წელს მიღებული კანონმდებლობა, რომელიც ოფშორული სახსრების საქართველოში გადარიცხვას გადასახადებისგან ათავისუფლებს, რაც ზრდის რისკებს სანქციების გვერდის ასავლელად.

საანგარიშო პერიოდში საქართველო სისტემატურად არ უერთდებოდა საერთაშორისო და ევროკავშირის ინიციატივებს უკრაინის მხარდასაჭერად, რაც ასევე მოიცავს გაეროს გენერალური ასამბლეის, ადამიანთა უფლებათა საბჭოს და ევროსაბჭოს მიერ მიღებულ

რეზოლუციებს.

ნაბიჯი 3. შემდგომი მუშაობა პოლიტიკური პოლარიზაციის დასაძლევად, მათ შორის საპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებთან ერთად უფრო ინკლუზიური საკანონმდებლო მუშაობის გზით, განსაკუთრებით საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე.

პოლიტიკური პოლარიზაციის დონე კიდევ უფრო გაღრმავდა და გამძაფრდა. **ამ ნაბიჯის განხორციელებაში სერიოზული რეგრესი აღინიშნა.** 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომმა მოვლენებმა, კერძოდ, ანგარიშებმა ფართომასშტაბიანი საარჩევნო დარღვევების შესახებ, ოპოზიციური პარტიების მიერ პარლამენტის ბოიკოტმა და „ქართული ოცნების“ განცხადებამ გარკვეული ოპოზიციური პარტიების აკრძალვის განზრახვის შესახებ, კიდევ უფრო გაამწვავა პოლიტიკური პოლარიზაცია. მმართველმა პარტიამ შექმნა საპარლამენტო საგამოძიებო კომისია, რომელიც გამოყენებული იქნა ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური ანგარიშსწორების ინსტრუმენტად. კომისიასთან თანამშრომლობაზე უარის თქმის საბაზით, ოპოზიციის რვა წამყვან წარმომადგენელს 7-8 თვით თავისუფლების აღკვეთა და ორი წლით საჯარო თანამდებობის დაკავება აეკრძალა. ორი მათგანი საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა, ხოლო დანარჩენი ექვსი რჩება პატიმრობაში. გარდა ამისა, მმართველმა პარტიამ კომისია გამოიყენა პლატფორმად იმისათვის, რომ გაემძლიერებინა თავისი რიტორიკა გარკვეული ოპოზიციური პარტიების აკრძალვის აუცილებლობაზე და განხორციელებინა ზეწოლა კრიტიკულად განწყობილ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე, იმ მოტივით, რომ ამ პარტიების ქმედებები საფრთხეს უქმნის მშვიდობას და ქვეყნის კონსტიტუციურ წესრიგს. ეს დემოკრატიული პლურალიზმის პრინციპზე პირდაპირი თავდასხმას წარმოადგენს.

ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენელი გახდა სიტყვიერი შეურაცხყოფის, ფიზიკური თავდასხმის და მუქარის მსხვერპლი, მათ შორის „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან. პოლიტიკური დისკურსი ხასიათდება მკვეთრად გამოხატული მტრული დამოკიდებულებით, აგრესიული რიტორიკით და მუქარის ენით. ამგვარი გარემო ძირს უთხრის კონსტრუქციულ დიალოგს და ამწვავებს სოციალურ განხეთქილებას. ოპოზიცია კვლავ დაქსაქსულია: მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის უმრავლესობამ ბოიკოტი გამოუცხადა ადგილობრივ არჩევნებს, ორმა ოპოზიციურმა პარტიამ მაინც მიიღო მასში მონაწილეობა.

ნაბიჯი 4. თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით 2024 წელს, და ეუთო/ოდირის რეკომენდაციების სრულად გათვალისწინება. არჩევნების დღემდე გაცილებით ადრე საარჩევნო რეფორმების დასრულება, მათ შორის ამომრჩევლის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა.

საარჩევნო რეფორმების განხორციელებაში რეგრესი აღინიშნა, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული არჩევნების ჩატარების პერსპექტივები. საქართველომ ვერ შეასრულა ეუთო/ოდირის ვერც ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომელიც წინა არჩევნებზე გაიცა. არ არსებობდა ჭეშმარიტი ვალდებულება ყოვლისმომცველი და მდგრადი საარჩევნო რეფორმის ჩასატარებლად და საარჩევნო პროცესისადმი ნდობის აღსადგენად.

2024 წლის დეკემბერში საარჩევნო კოდექსში შეტანილი შესწორებების მიღებამ გააუქმა მუნიციპალური არჩევნებისთვის 2021 წელს დაწესებული სამართლებრივი ბაზის ცვლილებები, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა მუნიციპალური/საქალაქო კრების (საკრებულოების) შემადგენლობა, საარჩევნო ოლქების გამიჯვნა და საარჩევნო ბარიერი. ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ ამ შესწორებებმა მუნიციპალური არჩევნების ხმის მიცემის სისტემა ისე შეცვალა, რომ ამას შეეძლო მმართველი პარტიის პოზიციების კიდევ უფრო გამყარება და ძირის გამოთხრა თანაბარი საარჩევნო უფლების პრინციპისთვის. ვენეციის

კომისიის რეკომენდაცია ამ შესწორებების გაუქმების შესახებ არ იქნა გათვალისწინებული. 2025 წლის მარტში შეტანილი შემდგომი შესწორებებით დაწესდა ახალი შეზღუდვები ადგილობრივი დამკვირვებლების, მედიისა და საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციაზე, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობაზე. მმართველი პარტიის მხრიდან ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების შერჩევისა და წარდგენის პროცესზე დაწესებული კონტროლის გამკაცრებამ კიდევ უფრო შეარყია ამ ინსტიტუტის დამოუკიდებლობის აღქმა საზოგადოების თვალში.

საარჩევნო სისტემაში შეტანილი ნებისმიერი შემდგომი შესწორება უნდა ემყარებოდეს საფუძვლიან მიმოხილვას, რაც უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ რეფორმას, და არა ფრაგმენტულ კორექტირებებს.

2025 წლის 4 ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნების წინასაარჩევნო გარემო გაუარესებული იყო მძაფრი პოლიტიკური პოლარიზაციით, დაშინებით და მტრული რიტორიკით ოპოზიციური პარტიების, აქტივისტების და სამოქალაქო საზოგადოების დამკვირვებელთა ჯგუფების მიმართ. იმ ოპოზიციური პარტიებიდან, რომლებმაც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბარიერი გადალახეს, მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია გაიარა მხოლოდ ორმა, ხოლო დანარჩენმა პარტიებმა ადგილობრივ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს. საარჩევნო კანონმდებლობაში მმართველი პარტიის სასარგებლოდ შეტანილმა შესწორებებმა განსხვავებული აზრის გამოხატვის ფართომასშტაბიან ჩახშობასთან ერთად, მკვეთრად შეამცირა კონკურენტული არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა. ამომრჩეველთა აქტივობა იყო შედარებით დაბალი. ეუთო/ოდირმა ვერ შეძლო სადამკვირვებლო მისიის გაგზავნა, რადგან მან საქართველოს ხელისუფლების მიწვევა არჩევნების დღემდე ერთ თვეზე ნაკლები დროით ადრე მიიღო, რამაც ხელი შეუშალა სანდო და მრავალმნიშვნელოვანი საერთაშორისო დაკვირვების ჩატარებას, რომელიც საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. გარდა ამისა, გამოცდილმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა არჩევნებზე დაკვირვებისგან თავი შეიკავეს არსებული რეპრესიული გარემოს გამო.

ნაბიჯი 5. საპარლამენტო ზედამხედველობის აღსრულების შემდგომი გაუმჯობესება, განსაკუთრებით უსაფრთხოების სამსახურებზე. საკვანძო ინსტიტუტების, განსაკუთრებით საარჩევნო ადმინისტრაციის, ეროვნული ბანკის და კომუნიკაციების კომისიის ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა.

პარლამენტში პოლიტიკური პლურალიზმის ფაქტობრივმა არარსებობამ და ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და კომუნიკაციების კომისიის საქმიანობის გაზრდილმა პოლიტიზებამ შეასუსტა ზედამხედველობა და ინსტიტუციური დამოუკიდებლობა. ამ ნაბიჯის განხორციელებაში რეგრესი აღინიშნა.

შეუსრულებელი დარჩა ოდირის და ვენეციის კომისიის მიერ დიდი ხნის წინ გაკეთებული რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობას ეხებოდა. ეს მოიცავს რეკომენდაციას, რომელიც გულისხმობს საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის პროცესის გადახედვას ყველა დონეზე, რათა თავიდან იქნას აცილებული რომელიმე პოლიტიკური პარტიის დომინირება და მოგვარდეს მოქალაქეებში საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობის დაბალი დონის პრობლემა. ამ რეკომენდაციების საწინააღმდეგოდ, 2025 წლის აპრილში მიღებულმა შესწორებებმა კიდევ უფრო გაამკაცრა მმართველი პარტიის კონტროლი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების შერჩევისა და ნომინაციის პროცესზე, რისთვისაც ამჟამად მხოლოდ ხმების უბრალო უმრავლესობაა (76) საჭირო ორი მესამედის (90) ნაცვლად.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაციების კომისიის რეალური დამოუკიდებლობა და

მიუკერძოებლობა უწინდებურად ექვექცეშ დგას, 2025 წლის აპრილში „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შეტანილი შესწორებების მიღებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა კომუნიკაციების კომისიის უფლებამოსილებები მაუწყებლებისთვის კონტენტთან დაკავშირებული მკაცრი შეზღუდვების დასაწესებლად. თვითრეგულირების ადრე არსებული რეჟიმი, რომელიც მაუწყებლების თვითრეგულირების ორგანოებს ეთიკასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული დავების განხილვის საშუალებას აძლევდა, მნიშვნელოვნად შესუსტდა. ახალი დებულებები მმართველმა პარტიამ უკვე გამოიყენა საჩივრების შესატანად ოპოზიციურად განწყობილი ტელეარხების წინააღმდეგ ვითომდა პროვოკაციული ენის გამოყენების გამო.

ოთხი ახალი წევრის დამტკიცებით საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) საბჭო სრულად დაკომპლექტდა და მის უმრავლესობას არაადმინისტრულზელი წევრები შეადგენენ. მიუხედავად ამისა, ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის გაუმჯობესების კუთხით აღინიშნა პროგრესის არარსებობა. რამდენიმე დებულება, როგორიცაა მმართველისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანოების წევრთა გათავისუფლების საფუძვლები, არ შეესაბამება ევროკავშირის კანონთა კრებულს. საქართველომ უნდა გადადგას სარწმუნო ნაბიჯები საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის გასამდიერებლად, კერძოდ, საბჭოს წევრების კვალიფიკაციის და დამოუკიდებლობის კრიტერიუმების გამკაცრებით.

უსაფრთხოების სამსახურებზე პარლამენტის ზედამხედველობის ხარისხი უწინდებურად შეზღუდულია. 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ჩამოყალიბებულ ახალ პარლამენტში ოპოზიციის კვოტა პარლამენტის ნდობის ჯგუფში, რომელიც პასუხისმგებელია უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობაზე, მმართველ პარტიასთან მჭიდროდ დაკავშირებული ჯგუფის წარმომადგენელმა შეავსო. იმ ბრალდებებთან დაკავშირებული გამოძიება, რომლებიც 2021 წლის ფართომასშტაბიან, უკანონო ფარულ მოსმენებს ეხებოდა, ჯერჯერობით არცერთი სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველი არ გამხდარა.

ნაბიჯი 6. ყოვლისმომცველი და ეფექტიანი სასამართლო რეფორმის დასრულება და განხორციელება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და პროკურატურის ყოვლისმომცველი რეფორმის ჩათვლით, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრულად შესრულების და გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის უზრუნველყოფის გზით.

საქართველოს არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს სასამართლო სისტემის სისტემური და არსებითი რეფორმის ჩასატარებლად და ევროკომისიის და ვენეციის კომისიის შესაბამისი რეკომენდაციების შესასრულებლად. ამის ნაცვლად, საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები აუქმებს ადრე გატარებულ რეფორმებს, ძირს უთხრის სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას და კეთილსინდისიერებას, და მკვეთრად ზრდის სასამართლოს ხელში ჩაგდების რისკებს. უფრო მეტიც, სასამართლო სისტემა მმართველი პარტიის მიერ სისტემური რეპრესიების განსახორციელებლად იყო გამოყენებული. ამ ნაბიჯის განხორციელებაში სერიოზული რეგრესი აღინიშნა.

შეუსრულებელი რჩება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და უზენაესი სასამართლოს კომპლექსური რეფორმა არსებული რეკომენდაციების შესაბამისად, განსაკუთრებით კეთილსინდისიერების შემოწმების სისტემის უზრუნველყოფის კუთხით. საერთო სასამართლოების შესახებ კანონში 2025 წლის ივნისში შეტანილი შესწორებები ძირს უთხრის საკვანძო სასამართლო ინსტიტუტების და მოსამართლეების დამოუკიდებლობას და საფრთხეს უქმნის მათ ანგარიშვალდებულებას და მიუკერძოებლობას. ეს შესწორებები აუქმებს წინა რეფორმებს, რომლებიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არჩევას და მის შემადგენლობას, და მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას უკავშირდებოდა. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ინტეგრირება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში,

რაც უფრო მეტად ახდენს უფლებამოსილებათა კონცენტრირებას არარეფორმირებულ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, საფრთხეს უქმნის სასამართლოს დამოუკიდებლობას. გარდა ამისა, ეს შესწორებები იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ანიჭებს უფლებას მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლო პროცესების საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის თაობაზე. აღნიშნული, ახალ რეგულაციასთან ერთად, რომელიც ზღუდავს სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობას საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სერიოზულად ზღუდავს სასამართლო პროცესების გამჭვირვალობას.

არ იქნა შესრულებული ვენეციის კომისიის საკვანძო რეკომენდაციები გენერალური პროკურორის თანამდებობასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს მისი დანიშვნის პროცედურას, გენერალური პროკურატურის და საპროკურორო საბჭოს ფუნქციონირებას, დისციპლინური სამართალწარმოების ჩათვლით. 2025 წლის ივნისში მიღებული შესწორებები აუქმებს წინა რეფორმებს და უფრო მეტად უთხრის ძირს გენერალური პროკურორის თანამდებობის დამოუკიდებლობას.

სასამართლო სისტემაში, მათ შორის უზენაეს სასამართლოში საკვანძო თანამდებობებზე დანიშვნა არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, რაც ძირს უთხრის სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას და კეთილსინდისიერებას. შემაშფოთებელია 2025 წლის მარტში თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის გადაწყვეტილების გაუქმება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ახალი არამოსამართლე წევრის დანიშვნის თაობაზე, ხოლო შემდეგ ამ თანამდებობაზე მისი კონკურენტის დანიშვნა.

წინასწარი პატიმრობის გადაჭარბებული გამოყენება და სასჯელის არაპროპორციული გამოყენება სერიოზულ გავლენას ახდენს სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე. კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს უფლების გამუდმებულმა დარღვევამ გავლენა მოახდინა საპროტესტო აქციების დროს დაკავებული პირების სასამართლო პროცესებზე. პროტესტის მონაწილეებზე დაკისრებული მკაცრი და არაპროპორციული სასჯელები მოწმობს, რომ მმართველი პარტია სასამართლო სისტემას სისტემური რეპრესიების განსახორციელებლად იყენებს.

ნაბიჯი 7: ანტიკორუფციული ბიუროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ეფექტიანობის, ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შემდგომი უზრუნველყოფა. ამ ორგანოებთან მიმართებით ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესრულება ინკლუზიური პროცესის გზით. კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეების გამოძიების ძლიერი მონაცემთა ბაზის შექმნა.

ამ ნაბიჯის განხორციელებაში რეგრესი აღინიშნა. შეუსრულებელი რჩება ვენეციის კომისიის საკვანძო რეკომენდაციები ანტიკორუფციული ბიუროს დამოუკიდებლობასთან, პოლიტიკურ მიუკერძოებლობასა და საგამოძიებო ფუნქციებთან დაკავშირებით. ამ უწყების მანდატი მნიშვნელოვნად გაფართოვდა რეპრესიული კანონმდებლობის, მათ შორის გრანტების შესახებ კანონისა და უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის 2025 წლის გაზაფხულზე დამტკიცებული შესწორებების საფუძველზე. აღნიშნული კანონები ანტიკორუფციულ ბიუროს ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებებს ანიჭებს და იწვევს ღრმა შეშფოთებას იმის გამო, რომ ეს უწყება პოლიტიკურად მოტივირებული მიზნებისთვის და მედია ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიული კანონმდებლობის აღსასრულებლად გამოიყენება. გარდა ამისა, გამჭვირვალობის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ 2025 წლიდან საზოგადოების წვდომა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემაზე არ არის თანმიმდევრულად უზრუნველყოფილი.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რომელიც პასუხისმგებელი იყო საჯარო მოხელეებისა

და სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზე და ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე, 2025 წლის მაისში გაუქმდა და მისი კომპეტენციები გენერალური პროკურატურის იურისდიქციას გადაეცა. ამ ცვლილებამ კიდევ უფრო გააძლიერა უფლებამოსილებათა კონცენტრაცია გენერალური პროკურატურის ხელში, იმ დროს, როდესაც ჯერაც შეუსრულებელია ვენეციის კომისიისა და ევროკავშირის ადრე გაცემული რეკომენდაციები პროკურატურის დამოუკიდებლობის გაძლიერების თაობაზე. სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში გადაცემული საქმეების რაოდენობა ძალიან დაბალია, ხოლო სახალხო დამცველმა შემოთქვა გამოთქვა სპეციალური საგამომიბო სამსახურის გამოძიებების არასაკმარისი ეფექტიანობისა და დამოუკიდებლობის თაობაზე, მათ შორის 2024 და 2025 წლების საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით.

2024 წელს გაუარესდა სამართლებრივი დევნის მაჩვენებლები საჯარო სექტორში, მათ შორის საქმეებში, რომლებიც მაღალი დონის კორუფციას და ორგანიზებული დანაშაულის გამოძიებას უკავშირდება. არ განხორციელებულა არავითარი ქმედება მონაცემთა დაცვის ოფისის ეფექტიანობის და ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გასაუმჯობესებლად და არ იქნა შესრულებული ვენეციის კომისიის რეკომენდაციები.

ნაბიჯი 8: დეოლიგარქიზაციის არსებული სამოქმედო გეგმის გაუმჯობესება მრავალსექტორული, სისტემური მიდგომის განსახორციელებლად, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად და გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის წარმოებით, რომელშიც ჩართულები იქნებიან ოპოზიციური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოება.

საქართველოს ხელისუფლებამ არ განახორციელა არავითარი ქმედება დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად ადრე გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად. ამ ნაბიჯის განხორციელებაში პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

არ გადადგმულა არც ერთი ნაბიჯი დეოლიგარქიზაციის პრობლემის მოსაგვარებლად, არ გაწეულა არავითარი ძალისხმევა მის განსახორციელებლად სისტემური მიდგომით და არ იქნა შესრულებული ვენეციის კომისიის რეკომენდაციები. არასაკმარისად ხორციელდება სამოქმედო გეგმა, ხოლო პროგრესი სექტორულ ასპექტებში ხელს არ უწყობს დეოლიგარქიზაციისადმი თანმიმდევრული მიდგომის ფორმირებას. სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით კონსულტაციები ოპოზიციურ პარტიებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან არ ჩატარებულა ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ წარმოებული ფართომასშტაბიანი თავდასხმების და იმ საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე, რომლებიც აუქმებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კონსულტაციების აუცილებლობას საკანონმდებლო პროცესებში.

ნაბიჯი 9: ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესება, მათ შორის ადამიანის უფლებათა დაცვის ამბიციური სტრატეგიის განხორციელების და შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის გზით. მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიებების დაწყება ინციდენტებზე, რომლებიც ეხება დაუცველი ჯგუფების, მედიის სფეროში მომუშავე პროფესიონალებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების უსაფრთხოებას, და ძალადობაში დამნაშავე პირებისა და ორგანიზატორების გასამართლება. სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების წარმოება და თანამშრომლობა, რაც მათ საშუალებას მისცემს არსებითად ჩაერთონ საკანონმდებლო და პოლიტიკის შემუშავების პროცესებში, და მათი თავისუფალი მუშაობის უზრუნველყოფა.

რეპრესიული კანონმდებლობის, მათ შორის უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის მიღება და შესწორებების შეტანა გრანტების შესახებ კანონსა და მაუწყებლობის შესახებ კანონში, სერიოზულ რეგრესს წარმოადგენს ამ ნაბიჯის განხორციელებაში. ეს კანონმდებლობა, რომელიც სათანადო საჯარო კონსულტაციების გარეშე და დაჩქარებული

წესით იქნა მიღებული, არღვევს ფუნდამენტურ თავისუფლებებს, კერძოდ, გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებებს, და სერიოზულად უთხრის ძირს სამოქალაქო საზოგადოების და მედიის საქმიანობას. ეს კანონმდებლობა საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ საფუძვლებს და უპრეცედენტოა კანდიდატ ქვეყნებს შორის. 2025 წლის 15 ოქტომბრის მოსაზრებაში ვენეციის კომისიამ დაადგინა, რომ ამ კანონებით შექმნილი საკანონმდებლო ბაზა არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლებრივი განსაზღვრულობის და პროპორციულობის პრინციპებთან თავსებადად დემოკრატიულ საზოგადოებაში, და მათი გაუქმებისკენ მოუწოდა. კომისიამ აღნიშნა, რომ მათი კუმულაციური ეფექტი არის ძალდატანებითი, სტიგმატიზაციის გამომწვევი და საბოლოო ჯამში, დემოკრატიულ პლურალიზმთან შეუსაბამო.

მედიის სამუშაო გარემო მკვეთრად გაუარესდა, გახშირდა მუქარები, სიძულვილის ენის გამოყენება და დაშინებისა და ძალადობის ფაქტები ჟურნალისტების მიმართ. უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი (FARA) წარმოადგენს დამატებით ზეწოლის მექანიზმს სამოქალაქო საზოგადოებასა და დამოუკიდებელ მედიაზე, იქედან გამომდინარე, რომ მისი მოთხოვნების შეუსრულებლობამ შესაძლოა ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა გამოიწვიოს. შესწორებული კანონი მაუწყებლობის შესახებ ზრდის კომუნიკაციების კომისიის უფლებამოსილებას მაუწყებლობის კონტენტის კონტროლის თვალსაზრისით და კრძალავს უცხოური ორგანიზაციების მხრიდან აუდიო-ვიზუალური მაუწყებლების პირდაპირ ან არაპირდაპირ დაფინანსებას. ეს მოვლენები კიდევ უფრო აძლიერებს უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის შემაფერხებელ გავლენას გამოხატვის თავისუფლებაზე, ახდენს უცხოური დაფინანსების მიმღები მედია საშუალებების სტიგმატიზაციას და მათ ძალზე მძიმე მოთხოვნებს აკისრებს.

საანგარიშო პერიოდი აღინიშნა საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების სერიოზული დარღვევების სერიით, რამაც გამოიწვია ცალკეულ პირთა პიროვნებების ხელშეუხებლობის ხელყოფა და უწყვეტი მოხსენებები წამებისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის შესახებ. არ დამდგარა არც ერთი დამნაშავის პასუხისმგებლობის საკითხი, რამაც ხელი შეუწყო დაუსჯელობის გარემოს შექმნას. შეკრების უფლების მარეგულირებელ სხვადასხვა კანონში, მათ შორის შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი შესწორებები იწვევს გაუმართლებელ შეზღუდვებს დემონსტრანტებისთვის და შეუთავსებელია კანონიერების, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპებთან. თვითნებური დაკავებების შემთხვევების, დაკავებულთა სათანადო სასამართლო სამართალწარმოების უფლების დაუცველობის, წინასწარი პატიმრობის გადაჭარბებული გამოყენების და პროტესტის მონაწილეთა და ჟურნალისტების მიმართ გამოყენებული არაპროპორციულად მკაცრი სასჯელების გამო ეჭვქვეშ დადგა სამართლიანი სასამართლოს უფლება და გამოვლინდა მართლმსაჯულების სისტემის პოლიტიკურ ინსტრუმენტად ქცევა.

სამოქალაქო სივრცე, რომელიც ფუნდამენტურია ადამიანის უფლებების უზრუნველყოფისთვის, მნიშვნელოვნად შემცირდა. რეპრესიული კანონმდებლობა, პოლიტიკურ ზეწოლასთან, კონსულტაციის მოთხოვნების გაუქმებასთან და სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიზებასთან ერთად, ასახავს სამოქალაქო სივრცეზე კონტროლის ინსტიტუციონალიზაციის წინასწარგანზრახულ პოლიტიკას, რომელიც უნდა განხორციელდეს სამოქალაქო სუბიექტების დამოუკიდებლობისა და ფუნქციურობის სერიოზული ხელყოფის გზით. 2025 წლის აპრილში მიღებულმა საკანონმდებლო პაკეტმა მოშალა სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციის საკვანძო მექანიზმები. პარლამენტის რეგლამენტში შეტანილი ცვლილებებით გაუქმდა მოთხოვნა, რომელიც

არასამთავრობო ორგანიზაციების საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში სავალდებულო მონაწილეობას ითვალისწინებს. ეს ნაბიჯები წარმოადგენს გადაწყვეტ გადახვევას ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავების ამ დრომდე არსებული დე იურე ვალდებულებიდან და განზრახ გამოირიცხავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს საკანონმდებლო პროცესებიდან. ხელისუფლებამ გააყინა რამდენიმე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის საბანკო ანგარიში მიმდინარე სისხლის სამართლებრივი გამოძიების ფონზე ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული სავარაუდო საბოტაჟისა და ქმედებების გამო, რაც იწვევს შეშფოთებას მართლმსაჯულების სისტემის სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული სისტემური რეპრესიებისა და პოლიტიკური დევნის დამატებით იარაღად ქცევის გამო.

ადამიანის უფლებების დაცვის 2022-2030 წლების ეროვნულ სტრატეგიაში არ იქნა შეტანილი შესწორებები იმ რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომლებიც 2024 წლის გაფართოების ანგარიშში იყო გაცემული. საქართველოში ლგბტიქ პირებს სულ უფრო მტრულ და სტიგმატიზებულ გარემოში უწევთ ცხოვრება, განსაკუთრებით ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ საკანონმდებლო პაკეტის მიღების შემდეგ. ხელისუფლება არა მხოლოდ არ აღიარებს ლგბტიქ პირების მიმართ არსებული დისკრიმინაციის სისტემურ ხასიათს და არ აგვარებს მას, არამედ პირიქით, აძლიერებს დისკრიმინაციას, შეუწყნარებლობას და სისტემურ ძალადობას. გამოძიება 2021 და 2023 წლების პრაიდის ღონისძიებებზე ძალადობის ორგანიზების ფაქტებთან დაკავშირებით არ არის დასრულებული. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმის ვადა ამოიწურა. მოწოდებულია ანგარიშები სამართალდამცავი ორგანოების ოფიციალური წარმომადგენლებისგან მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფის, სექსუალური შევიწროვების და გაუპატიურების ან მოკვლის მუქარების შესახებ, რომლებიც დემონსტრაციებში მონაწილე ქალების წინააღმდეგ იყო მიმართული. რეგრესი აღინიშნა სტამბოლის კონვენციის იურიდიულ ჩარჩოსთან თანხვედრის თვალსაზრისით. გაუპატიურების იურიდიული განსაზღვრება არ შეესაბამება კონვენციით დადგენილ სტანდარტებს.

2. კლასტერი 1: გაწევრიანების პროცესის საფუძვლები

2.1. დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება და საჯარო მმართველობის რეფორმა

2.1.1 დემოკრატია

საანგარიშო პერიოდში დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპები მნიშვნელოვნად შეირყა. საქართველოს ხელისუფლების თავდასხმა დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებზე მტრული რიტორიკით, დეზინფორმაციის გამუდმებული გავრცელებით, დაშინებით, რეპრესიული ქმედებებით და საკანონმდებლო ზომებით, ქვეყნის დემოკრატიის მკვეთრ უკუსვლას წარმოადგენს. დარღვეულია სამოქალაქო თავისუფლებები, შეკავებისა და გაწონასწორების პრინციპი და დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების პროცესები. არ არსებობს ეფექტური საპარლამენტო ზედამხედველობა და სახეზეა აღმასრულებელი ხელისუფლების კონსოლიდაცია. პარლამენტი, რომელიც ოპოზიციის ბოიკოტის გამო მმართველი პარტიის და მასთან აფილირებული პარტიების წევრებისგან შედგება, კანონების მისაღებად ხშირად დაჩქარებულ პროცედურებს იყენებდა. ნაჩქარევად, შინაარსიანი კონსულტაციების გარეშე მიღებული კანონმდებლობა მოიცავს კანონებს, რომლებიც აფერხებს ადამიანის უფლებების დაცვას, გაუმართლებლად ზღუდავს ფუნდამენტურ თავისუფლებებს და ძირს უთხრის დემოკრატიულ გადაწყვეტილების მიღების პროცესებს. პარლამენტმა კანონმდებლობიდან

ამოიღო არასამთავრობო ორგანიზაციების საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სავალდებულო მონაწილეობის მოთხოვნა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები არ იყვნენ ჩართულები გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. საქართველოს დემოკრატიისთვის აუცილებელი რიგი ინსტიტუტები და ორგანოები, კერძოდ, ცენტრალური საარჩევნო კომისია, კომუნიკაციების კომისია, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საკონსტიტუციო სასამართლო, პროკურატურა, ანტიკორუფციული ბიურო, ეროვნული ბანკი, სამართალდამცავი და უსაფრთხოების სააგენტოები არ მოქმედებენ მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად.

საანგარიშო პერიოდში აღინიშნა გამუდმებული მტრული რიტორიკა და დაშინების, მუქარისა და ფიზიკური თავდასხმის ფაქტების გახშირება სამოქალაქო საზოგადოების, ოპოზიციონერი პოლიტიკოსების, აქტივისტებისა და ჟურნალისტების მიმართ. საქართველოს ხელისუფლება განსხვავებული აზრის ჩასახშობად თანდათან უფრო ხშირად მიმართავს დაშინების ტაქტიკას და ძალადობას. მას შემდეგ, მმართველი პარტიის მიერ ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყების 2028 წლამდე გადავადების შესახებ განცხადების საპასუხოდ მთელ საქართველოში საპროტესტო აქციები დაიწყო, მშვიდობიანი მომიტინგეები, ჟურნალისტები და ოპოზიციონერი პოლიტიკოსები საკუთარი ფუნდამენტური უფლებების განხორციელებისთვის იქცნენ დევნის, მათ შორის თვითნებური დაკავებების სამიზნედ. ივნისსა და ივლისში ოპოზიციური პარტიების რვა წარმომადგენელი იქნა დაპატიმრებული 7-8 თვით და მათ აკრძალათ სახელმწიფო თანამდებობების დაკავება მომდევნო ორი წლის განმავლობაში. ეს გამოწვეული იყო მათი უარით, გამოცხადებულიყვნენ პოლიტიკურად მოტივირებულ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიაში, რომელიც შეიქმნა 2025 წლის თებერვალში იმისათვის, რომ გამოეძიებინა პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული თანამდებობის პირების საქმიანობა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელობით მოქმედი მთავრობის პერიოდში 2003 წლიდან დღემდე. სექტემბერში საქართველოს პრეზიდენტმა დაპატიმრებული პოლიტიკოსებიდან ორი შეიწყალა. ოპოზიციის სხვა ლიდერების მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა, რომელთაგან ზოგიერთს დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში 15-წლიანი პატიმრობა ემუქრება. ეს ნაბიჯები მიუთითებს, რომ მმართველი პარტია სასამართლო სისტემას პოლიტიკური ანგარიშსწორების ინსტრუმენტად იყენებს. მმართველი პარტიის მიერ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ დეკლარირებული მიზანი იყო მოემზადებინა ნიადაგი საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ოპოზიციური პარტიების ასაკრძალად. ეს ქმედება ფუნდამენტურ საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ პლურალიზმს.

არჩევნები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, 2024 წლის 26 ოქტომბერს საქართველომ საპარლამენტო არჩევნები ჩაატარა. ამომრჩევლებს 4 წლის ვადით უნდა აერჩიათ 150 პარლამენტის წევრი პროპორციული საარჩევნო სისტემის საშუალებით. პარტიები იბრძოდნენ ერთიან საარჩევნო ოლქში მთელი ქვეყნის მასშტაბით და მანდატების განაწილების უფლების მოსაპოვებლად მათ 5%-იანი ბარიერი უნდა გადაელახათ. არჩევნებში სულ 18 პარტია დარეგისტრირდა. ამომრჩეველთა აქტივობა იყო 60.2%.

ეუთო/ოდირის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიშში აღნიშნულია, რომ უამრავმა დარღვევამ უარყოფითი გავლენა მოახდინა არჩევნების კეთილსინდისიერებაზე და ძირი გამოუთხარა საზოგადოების ნდობას პროცესის მიმართ. არჩევნები ჩატარდა დაძაბულ და უაღრესად პოლარიზებულ გარემოში სერიოზული შეშფოთების ფონზე, რომელიც ფუნდამენტური უფლებების და სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის შემზღუდავი კანონმდებლობის გავლენას უკავშირდებოდა. საარჩევნო კამპანიის დროს

ფართოდ ვრცელდებოდა ინფორმაცია ამომრჩევლებზე, განსაკუთრებით საჯარო სექტორში დასაქმებულებზე ზეწოლის შესახებ. ამ ფაქტმა, არჩევნების დღეს ამომრჩევლებზე განხორციელებულ ფართომასშტაბიან კონტროლთან ერთად, სერიოზული შემფოთება გამოიწვია იმის გამო, რომ ანგარიშსწორების შიში უარყოფით გავლენას ახდენდა ზოგიერთი ამომრჩევლის ხმის მიცემის უნარზე. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებისთვის მზადება კარგად იყო ორგანიზებული, ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანმა დისბალანსმა და თანამდებობრივი უპირატესობით სარგებლობამ კიდევ უფრო გააუარესა ისედაც არათანაბარი საარჩევნო პირობები. პოლარიზებულმა მედია-გარემომ და კერძო მედია-საშუალებების პოლიტიკური პროპაგანდის ინსტრუმენტად გამოყენებამ გავლენა მოახდინა ახალი ამბების გაშუქებაზე, რამაც ხელი შეუშალა ამომრჩევლებს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში. საკანონმდებლო ხარვეზები და არასათანადო აღსრულება ხელს უშლიდა პარტიებისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსებაზე გამჭვირვალე და ეფექტიან ზედამხედველობას, რომელსაც ანტიკორუფციული ბურო 2023 წლიდან ახორციელებს. ეუთო/ოდირის მონაცემებით, არჩევნების მეორე დღეს შეტანილი საჩივრების არაჯეროვანმა განხილვამ საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში შელახა სამართლიანი სასამართლოს უფლება, ვერ უზრუნველყო სამართლებრივი დაცვის ეფექტური მექანიზმი და ვერ მოახერხა სრულყოფილად გამკლავებოდა საყოველთაო შემფოთებას, რომელიც არჩევნების შედეგების კეთილსინდისიერებას უკავშირდებოდა.

წინა არჩევნების შემდეგ ეუთო/ოდირის მიერ გაცემული არცერთი პრიორიტეტული რეკომენდაცია დღემდე არ შესრულებულა. პირიქით, 2024 წლის დეკემბერსა და 2025 წლის მარტში საარჩევნო კოდექსში შეტანილი დამატებითი შესწორებები აღნიშნავს კიდევ უფრო მკვეთრ გადახრას საერთაშორისო სტანდარტებიდან. ეს უკანასკნელი ცვლის 2021 წელს მუნიციპალური არჩევნების შესახებ საკანონმდებლო ჩარჩოში შეტანილ ცვლილებებს და მნიშვნელოვნად ცვლის მუნიციპალური/საქალაქო კრების (*საკრებულოების*) შემადგენლობას, საარჩევნო ოლქების გამიჯვნას და საარჩევნო ბარიერს. 2025 წლის 18 მარტს გამოქვეყნებულ თავის მოსაზრებაში ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ ეს ცვლილებები აძლიერებს ადგილობრივი საარჩევნო კანონმდებლობის მაჟორიტარულ კომპონენტს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მმართველი პარტიის პოზიციების შემდგომი გამყარება და ძირი გამოუთხაროს თანაბარი საარჩევნო უფლების პრინციპს. ვენეციის კომისიამ მოუწოდა 2024 წელს შეტანილი ცვლილებების გაუქმებისკენ და გასცა რეკომენდაცია მიუკერძოებელი ორგანოს შესაქმნელად (შემდეგი ადგილობრივი არჩევნების შემდეგ), რომელიც ზედამხედველობას გაუწევს საარჩევნო ოლქების საზღვრების გამიჯვნას. გარდა ამისა, ვენეციის კომისიის მოსაზრებით, ნებისმიერი შემდგომი შესწორება საარჩევნო კოდექსში უნდა შევიდეს საარჩევნო სისტემის საფუძვლიანი გადახედვის ფარგლებში. ამგვარად ხშირი და ფრაგმენტული ცვლილებების ნაცვლად უზრუნველყოფილი იქნება ყოვლისმომცველი რეფორმის ჩატარება. ეს შეესაბამება ევროკომისიის 2024 წლის გაფართოების ანგარიშში ასახულ რეკომენდაციას ყოვლისმომცველი საარჩევნო რეფორმის აუცილებლობის შესახებ.

2025 წლის 4 მარტს პარლამენტმა მიიღო დამატებითი ცვლილებები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობაზე. ეს ცვლილებები აწესებს ახალ შეზღუდვებს ადგილობრივი დამკვირვებლების, მედიისა და საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციაზე. 2025 წლის აპრილში მიღებულმა ცვლილებებმა კიდევ უფრო გაამკაცრა მმართველი პარტიის კონტროლი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების შერჩევისა და წარდგენის პროცესზე, რომელიც ამჟამად მხოლოდ ხმების უბრალო უმრავლესობას (76) მოითხოვს 3/5 უმრავლესობის (90) ნაცვლად.

2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალური არჩევნები ჩატარდა მძაფრი პოლიტიკური პოლარიზაციის, ფიზიკური დაპირისპირების, დაშინების, დაპატიმრებების, და ოპოზიციური პარტიების, აქტივისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების დამკვირვებელთა ჯგუფების მიმართ მტრული რიტორიკის ფონზე. არჩევნები, რომელსაც ბოიკოტი გამოუცხადა ოპოზიციის დიდმა ნაწილმა, შედარებით დაბალი აქტივობით გამოირჩეოდა. საარჩევნო კანონმდებლობაში მმართველი პარტიის სასარგებლოდ შეტანილმა შესწორებებმა განსხვავებული აზრის გამოხატვის ფართომასშტაბიან ჩახშობასთან ერთად, მკვეთრად შეამცირა კონკურენტული არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა. საქართველოს ხელისუფლებამ დროულად არ მოიწვია ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისია. ეუთო/ოდირმა უარი თქვა დაგვიანებულ მიწვევაზე და განმარტა, რომ საქართველოდან არჩევნებამდე თვეზე ნაკლები დროით ადრე გაგზავნილი მოთხოვნის გამო სანდო და შინაარსიანი დაკვირვების ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა. გარდა ამისა, ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების უმრავლესობამ ვერ შეძლო სადამკვირვებლო მისიების ამოქმედება, უმეტესწილად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მათ შორის არჩევნებზე მომუშავე ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმდინარე რეპრესიები გამო.

13 მაისს პარლამენტმა მიიღო მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში შეტანილი შესწორებები. ეს ცვლილებები უფლებამოსილებას ანიჭებს საკონსტიტუციო სასამართლოს აკრძალოს ოპოზიციური ჯგუფები, რომელთა ხელმძღვანელობა, ამოცანები ან საქმიანობა ადრე აკრძალული პარტიის ხელმძღვანელობის, ამოცანების ან საქმიანობის იდენტურია. ეს დებულებები, დამოუკიდებელი საკონსტიტუციო სასამართლოს არარსებობის პირობებში, საფრთხეს უქმნის პოლიტიკურ პლურალიზმს და გამორიცხავს სამართლიანი და კონკურენტული არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას.

რაც შეეხება არჩევნებში **ქალთა მონაწილეობას**, მიუხედავად კონსტიტუციური დებულებებისა, რომლებიც სახელმწიფოს ავალდებულებს გაატაროს სპეციალური ზომები გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, და ვენეციის კომისიის დასკვნისა 2024 წელს მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც აუქმებს სავალდებულო გენდერულ კვოტებს საპარლამენტო კანდიდატთა სიებში, საჯარო თანამდებობებზე ქალები კვლავ არასაკმარისად არიან წარმოდგენილები. სავალდებულო გენდერული კვოტების გაუქმებამ არჩევით თანამდებობებზე ქალთა არასაკმარის წარმომადგენლობასთან, ფესვგადგმულ სტერეოტიპებთან, პოლიტიკურ პარტიებში არსებულ შიდა გამოწვევებთან და გენდერით განპირობებულ საფრთხეებთან ერთად, ძალზე ნეგატიური გავლენა იქონია ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე. შედეგად, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტიული სიის კანდიდატებიდან მხოლოდ 29% იყო ქალი, რომელთა უმეტესობა არაარჩევით პოზიციებზე, რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება 2020 წლის არჩევნების 44%-იან მაჩვენებელს. არჩეულ პარლამენტის წევრებიდან 34 იყო ქალი, რაც მთლიანი რაოდენობის 23%-ს წარმოადგენს.

პარლამენტი


2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პარტიიდან „ქართული ოცნება“ პარლამენტში მხოლოდ 89 დეპუტატი იქნა არჩეული. ოთხი ოპოზიციური პარტიიდან, რომელმაც საარჩევნო ბარიერი გადალახა, სამი პარტიის არჩეულმა პარლამენტის წევრებმა უარი თქვეს თავიანთ მანდატებზე, ხოლო მეოთხე პარტიამ ახლად არჩეული პარლამენტი არალეგიტიმურად გამოაცხადა და განაცხადა, რომ არჩევნები გაყალბებული იყო. 5 თებერვალს პარლამენტმა სამი ოპოზიციური პარტიის 49 პარლამენტის წევრს მანდატი შეუწყვიტა ამ პარტიების მიერ წარდგენილი ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე მანდატების გაუქმების შესახებ. მეოთხე ოპოზიციურმა პარტიამ არჩევნებში მოპოვებულ 12

მანდატზე უარი არ თქვა, მაგრამ მას საპარლამენტო სხდომებში მონაწილეობა არ მიუღია. 20 ოქტომბერს ამ პარტიამ გამოაცხადა პარლამენტში თავისი ადგილების დაკავების გადაწყვეტილების შესახებ, რითაც თითქმის ერთწლიანი ბოიკოტი შეწყვიტა. ოპოზიციის რვა წარმომადგენელს მიესაჯა 7-8 თვით თავისუფლების აღკვეთა და აეკრძალა საჯარო თანამდებობის დაკავება მომდევნო ორი წლის განმავლობაში. მათგან ორი საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა, ხოლო ოპოზიციის კიდევ ერთ ლიდერს დაბრუნების შემდეგ სისხლის სამართლის დანაშაულის გამო თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

საკანონმდებლო ხელისუფლებას მხოლოდ მმართველი პარტია და მასთან დაკავშირებული პარტიები წარმოადგენენ.

ფაქტობრივად, მმართველი პარტია ახორციელებს კონტროლს როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაზე.

ახალი პარლამენტი ხშირად იყენებდა დაჩქარებულ პროცედურებს კანონმდებლობის მისაღებად, მათ შორის მნიშვნელოვან და სენსიტიურ საკითხებზე, ზოგჯერ რამდენიმე დღის ფარგლებში. დაჩქარებული



პროცედურით რამდენიმე დღეში მიღებული კანონმდებლობის მაგალითებია: შესწორებები საარჩევნო კოდექსში (2024 წლის დეკემბერი), კანონში შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ (2025 წლის თებერვალი); ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (2025 წლის თებერვალი და 2025 წლის ოქტომბერი); სისხლის სამართლის კოდექსში (2025 წლის ოქტომბერი) და შესწორებები ორგანულ კანონში საერთო სასამართლოების შესახებ (2025 წლის ივნისი). უსაფრთხოების სამსახურების საპარლამენტო ზედამხედველობა, მათ შორის პარლამენტის ნდობის ჯგუფის მეშვეობით, დარჩა შეზღუდული. 2025 წლის მარტში პარლამენტმა დაამტკიცა ნდობის ჯგუფის ახალი შემადგენლობა, რომელშიც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები არ მონაწილეობენ.

მმართველობა

ოთხმა ოპოზიციურმა პარტიამ, რომელმაც გადალახა საარჩევნო ბარიერი, პროტესტი გამოუცხადა 2024 წლის ოქტომბრის არჩევნებს და მთავრობა არალეგიტიმურად მიიჩნია. პოლიტიკის შემუშავების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების სავალდებულო კონსულტაციების გაუქმება პარლამენტის საკანონმდებლო ცვლილებების გზით ქვეყნის დემოკრატიული მმართველობის რეგრესის კიდევ ერთ გამოხატულებას წარმოადგენს.

2020–2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგია კვლავაც ადგილობრივი მმართველობის რეფორმების წარმართვას ემსახურება. პოლიტიკისა და გადაწყვეტილების მიღების დეცენტრალიზაციის კუთხით ეროვნულიდან ადგილობრივ დონეზე ძალიან მცირე პროგრესი აღინიშნება. არ არსებობს ფორმალური კოორდინაციის მექანიზმები ეროვნულ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. პრემიერ-მინისტრი ახორციელებს სამართლებრივ ზედამხედველობას მუნიციპალიტეტების საქმიანობაზე. სახელმწიფო ხელისუფლება კვლავ ახორციელებს პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და ფინანსურ ზეწოლას გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ადგილობრივ დონეზე. არ არსებობს მონაწილეობის ფორმალური მექანიზმები სამოქალაქო საზოგადოების/მოქალაქეების გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩასართავად ადგილობრივ დონეზე.

ევროკავშირში ინტეგრაცია

2025-2028 წლების სამთავრობო პროგრამაში, სახელწოდებით „მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ“ ნათქვამია, რომ საქართველო გააგრძელებს შეუქცევად სვლას ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისკენ. 2024 წლის 28 ნოემბერს პრემიერ-მინისტრმა გამოაცხადა მმართველი პარტიის გადაწყვეტილების შესახებ არ დაეწყო გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებები და უარი ეთქვა ევროკავშირის ფინანსურ მხარდაჭერაზე 2028 წლამდე. ეს განცხადება აღნიშნავდა გადახვევას ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობის ევროპული მისწრაფებებიდან და საქართველოს კონსტიტუციის იმ დებულებიდან, რომლის მიხედვით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქვეყნის სრული ინტეგრაცია ევროკავშირში.

ხელისუფლებამ არ წარმოადგინა ინფორმაცია სამოქმედო გეგმის განხორციელების თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ ევროკომისიის 2023 წლის კომუნიკაციაში განსაზღვრული ცხრა ნაბიჯის შესრულებას, რაც აუცილებელია პროგრესისთვის საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე. საქართველოს ხელისუფლება უწინდებურად აცხადებდა მთავარ პრიორიტეტად ევროკავშირში ინტეგრაციას, თუმცა იმავდროულად სისტემატურად იყენებდა ევროკავშირის საწინააღმდეგო მტრულ რიტორიკას, მოვლენების მანიპულაციურ აღწერას და შეთქმულების თეორიებს, ხშირად რუსული ტიპის დეზინფორმაციის გამეორებით.

ევროკავშირში ინტეგრაცია ოფიციალურად დარჩა საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპული ინტეგრაციის გენერალური დირექტორატის კოორდინაციის სფეროში. პარლამენტის ევროკავშირთან ინტეგრაციის კომიტეტმა ზედამხედველობის ფუნქცია შეინარჩუნა.

სამოქალაქო საზოგადოება

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მოქმედებენ რეპრესიულ გარემოში, რომელიც თანდათანობით უარესდება. ეს ძირს უთხრის სამოქალაქო საზოგადოების ფუნდამენტურ როლს დემოკრატიის დაცვასა და განმტკიცებაში, კანონის უზენაესობას და ფუნდამენტურ უფლებებს. მთელი რიგი შემზღუდველი და დისკრიმინაციული კანონების და შესწორებების შემოღებას, რომლებიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს ადამიანის უფლებების სფეროში, შემაკავებელი გავლენა აქვს სამოქალაქო საზოგადოებაზე და აძლევს საქართველოს ხელისუფლებას დამატებით იარაღს პოლიტიკური უთანხმოების დასათრგუნად. ახალი კანონმდებლობის კუმულაციური ეფექტი საფრთხეს უქმნის თვით დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოების არსებობას ქვეყანაში. ეს ხელს უწყობს საქართველოში დემოკრატიის საფუძვლების შემდგომ შერყევას და ფუნდამენტურად შეუთავსებელია ევროკავშირის ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ფუნდამენტური უფლებების პატივისცემა და მედია პლურალიზმი. ვენეციის კომისიის 2025 წლის 15 ოქტომბრის მოსაზრებაში ნათქვამია, რომ ეს კანონები აწესებს ფართო და ერთმანეთის გადამფარავ ვალდებულებებს მკაცრი პასუხისმგებლობის დებულებებთან ერთად, რომლებიც დემოკრატიაზე ზედამხედველობასა და უფლებების დაცვაში ჩართულ პირებს არაპროპორციულად ტვირთავს და მათ კონტროლს უქვემდებარებს. მოსაზრებაში ნათქვამია, რომ მათი კუმულაციური ეფექტი არის იძულებითი, სტიგმატიზაციის გამომწვევი, საბოლოო ჯამში - დემოკრატიულ პლურალიზმთან შეუსაბამო, და მოთხოვნილია მათი გაუქმება.

2025 წლის აპრილში მიღებული „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ავალდებულებს დარეგისტრირდნენ, როგორც „უცხოეთის აგენტები“ და წარადგინონ დეტალური ანგარიშები მათი საქმიანობისა და ფინანსების შესახებ. კანონი ითვალისწინებს უფრო მკაცრ ჯარიმებს შეუსრულებლობისთვის, მათ შორის სისხლის

სამართლის პასუხისმგებლობას და საქმიანობის შეჩერებას. კანონი ასევე ავალდებულებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომ თავიანთი საჯარო განცხადებები მოიხსენიონ, როგორც მომზადებული უცხოეთის აგენტის მიერ, რაც ამ ორგანიზაციების სტიგმატიზაციას კიდევ უფრო ამძაფრებს.

2025 წლის აპრილში გრანტების შესახებ კანონში მიღებული ცვლილებები სამოქალაქო სივრცის შემდგომ შევიწროვებას იწვევს. კანონმდებლობა მნიშვნელოვნად ზღუდავს საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერის ალტერნატივებს და აწესებს შემზღუდავ მონიტორინგს და სადამსჯელო ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. კანონი საერთაშორისო დონორებისგან გრანტების სახელმწიფო ორგანოების მიერ წინასწარ დამტკიცებას მოითხოვს, ხოლო აღნიშნულის შეუსრულებლობა გრანტის მიმღებს ადმინისტრაციულ ჯარიმას აკისრებს. ეს მოთხოვნები აზიანებს სამოქალაქო საზოგადოებას და ხელს უშლის ორგანიზაციებს საერთაშორისო დაფინანსების მიღებაში, მათ შორის ევროკავშირიდან. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უმეტესობა, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე, უცხოელი დონორებისგან მიღებულ დაფინანსებაზეა დამოკიდებული. ამას გარდა, 2025 წლის თებერვალში შექმნილი სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტო ხელს არ უწყობს დამოუკიდებელი და სიცოცხლისუნარიანი სამოქალაქო საზოგადოების სექტორის განვითარებას. სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტო რისკავს ხელი შეუწყოს მთავრობასთან დაკავშირებული ორგანიზაციების (ე. წ. სამთავრობო არასამთავრობო ორგანიზაციების) მიერ დომინირებული გარემოს ჩამოყალიბებას და მიკერძოებული დაფინანსების პრაქტიკას, რითაც ასუსტებს რეალურ წარმომადგენლობას და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ავტონომიას.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის არსებული საერთო გარემო ასევე დაზარალდა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიმართ დაშინების, ვანდალიზმის, მუქარისა და ფიზიკური თავდასხმების გახშირებული შემთხვევების, რეპრესიული ქმედებების, მათ შორის ანტიკორუფციული ბიუროს სასამართლოს მიერ დამტკიცებული საინფორმაციო ბრძანებების, რამდენიმე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის საბანკო ანგარიშების გაყინვისა და ადმინისტრაციული ბარიერების გამკაცრების გამო, რაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს საკუთარი ამოცანების შესრულებას ურთულებს. სამართლებრივი გაურკვევლობა, რომელიც რეპრესიული კანონმდებლობის აღსრულებას უკავშირდება, მისი შერჩევითად გამოყენების რისკს შეიცავს.

საკანონმდებლო შესწორებების პაკეტის მიღებამ 2025 წლის აპრილში **გააუქმა პოლიტიკურ დიალოგში** და პოლიტიკასა და კანონშემოქმედების პროცესში **სამოქალაქო ჩართულობის** ძირითადი მექანიზმები. პარლამენტის რეგლამენტში შეტანილი ცვლილებებით გაუქმდა მოთხოვნა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში სავალდებულო მონაწილეობას ითვალისწინებს. ეს წარმოადგენს განზრახ გადახვევას ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავების ფორმალური ვალდებულებიდან და სამოქალაქო საზოგადოების განზრახ გამორიცხვას საკანონმდებლო პროცესებიდან, რაც ეწინააღმდეგება ევროკავშირის დიდი ხნის წინ დადგენილ რეკომენდაციებს, მათ შორის ცხრა ნაბიჯს.

2.1.2 . საჯარო მმართველობის რეფორმა

საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგიული ჩარჩო

საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) სტრატეგიული ჩარჩო ნაწილობრივ არსებობს, მაგრამ ის მნიშვნელოვნად დააზიანა საჯარო სამსახურის შესახებ კანონში, მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონში და

დიპლომატიური სამსახურის შესახებ კანონში შეტანილმა შესწორებებმა. ეს შესწორებები მიღებული იქნა მთავრობის საწინააღმდეგო ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების ფონზე, რამაც გააჩინა შეშფოთება, რომ ისინი შეიძლება საჯარო სამსახურში განსხვავებული აზრის პოლიტიკურად მოტივირებული დევნის ინსტრუმენტად იქცეს. საკანონმდებლო შესწორებებმა რამდენიმე ინსტიტუტის რეორგანიზაციასთან ერთად საჯარო მოხელეების სამსახურებიდან მასობრივი დათხოვნა გამოიწვია. ასობით საჯარო მოხელემ - და ანგარიშების მიხედვით, ზოგიერთმა სამსახურიდან დათხოვნილმა პირმა - ხელი მოაწერა კოლექტიურ განცხადებებს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზის მხარდასაჭერად. ეს საკანონმდებლო შესწორებები აუქმებს საჯარო სამსახურის რეფორმებს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობაზე. ასევე საჯარო მოხელეების სამართლებრივ დაცვაზე. ეს მოწმობს მმართველი პარტიის მხარდ პოლიტიკურ გავლენას საჯარო მმართველობაზე. ინსტიტუციური ცვლილებების შედეგად ცენტრალური მთავრობის ორგანოს (მთავრობის ადმინისტრაციის) გადამწყვეტი როლი საჯარო მმართველობის რეფორმის, როგორც სტრატეგიული პრიორიტეტის მხარდაჭერაში, აღარ არის აღიარებული. მთავრობის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული საჯარო მმართველობის რეფორმის დანაყოფი გაუქმდა და მისი მოვალეობები ანალიტიკურ დეპარტამენტს გადაეცა. საანგარიშო პერიოდში საჯარო მმართველობის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო არ შეკრებილა.

2023-2026 წლების საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგიისა და მისი 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში არ მომზადებულა. 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა ჯერ არ არის შემუშავებული.

პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია

პოლიტიკის შემუშავების და კოორდინაციის ასპექტები უწინდებურად გაუმჯობესებას მოითხოვს. სამთავრობო პოლიტიკის შემუშავების და კოორდინაციის ორგანოები უფრო მეტად ცენტრალიზებული ხდება. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავების, კონსულტაციებისა და საზოგადოებრივი კოორდინაციის მექანიზმები, ასევე მონიტორინგის მექანიზმები, მკვეთრად შეზღუდულია. პოლიტიკის კოორდინაცია მნიშვნელოვნად შესუსტებულია. გაუქმებულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სავალდებულო მონაწილეობა საჯარო პოლიტიკაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

სახელმწიფო ფინანსების მართვა

სახელმწიფო ფინანსების მართვა (PFM) უმეტესწილად წარმოებს, მაგრამ ის შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს. სახელმწიფო ფინანსების მართვის 2023-2026 წლების სტრატეგიისა და წლიური სამოქმედო გეგმების განხორციელებამ ხელი შეუწყო სახელმწიფო ფინანსების სტაბილურ მართვას. საბიუჯეტო კონტროლის პოლიტიკა ბიუჯეტის დეფიციტს და სახელმწიფო ვალს ფისკალური წესებით დადგენილ ფარგლებში ინარჩუნებს. საშუალოვადიანი შემოსავლების სტრატეგია 2024 წლის დეკემბერში იქნა მიღებული. გაძლიერდა შიდა აუდიტის შესაძლებლობები და გაუმჯობესდა რისკების მართვის პოლიტიკა.

სტრატეგიულ დაგეგმვასა და ბიუჯეტირებას შორის კავშირის გასაძლიერებლად, ელექტრონული ბიუჯეტის სისტემაში პოლიტიკის კლასიფიკატორი დაინერგა. სხვა საკითხებთან ერთად ის მოიცავს გენდერულ თანასწორობას, კლიმატის ცვლილებას და ეროვნული განვითარების სტრატეგიის მარკერებს.

სახელმწიფო ინვესტიციების მართვის რეფორმა გაგრძელდა სახელმწიფო ინვესტიციების მართვის ელექტრონული სისტემის (ePIM) შემუშავებით. ახალი საინვესტიციო პროექტები შესაბამის ბიუჯეტში შესვლამდე სახელმწიფო ინვესტიციების მართვის (PIM)

მეთოდოლოგიის შესაბამისად შეირჩევა.

პროგრესის არარსებობა აღინიშნა სახელმწიფო აქტივების ინვენტარიზაციის და შეფასების, შიდა ფინანსური კონტროლის და აუდიტის სფეროებში.

ბიუჯეტის გამჭვირვალობა მეტწილად უზრუნველყოფილია. ბიუჯეტის გამჭვირვალობის კუთხით შემდგომი განვითარება არ მომხდარა. საბიუჯეტო პროცესებში საზოგადოების ჩართულობა და ინფორმაციის გავრცელება მოქალაქეთა საბიუჯეტო საჭიროებების შესახებ გაუმჯობესებას მოითხოვს.

საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა

საჯარო სამსახურის და ადამიანური რესურსების მართვაზე სერიოზული გავლენა იქონია საჯარო სამსახურის შესახებ კანონში 2024 წლის დეკემბერში შეტანილმა საკანონმდებლო შესწორებებმა. ამ შესწორებებმა გააუქმა წარსული ძირითადი რეფორმები, ძირითადად გამოუთხარა საჯარო სამსახურის დაცვას გაუმართლებელი პოლიტიკური ზეწოლისგან და საფრთხე შეუქმნა დამსახურებაზე დაფუძნებულ პროფესიულ საჯარო სამსახურს. ეს შესწორებები მნიშვნელოვნად ზღუდავს საჯარო მოხელეების უფლებებს, მათ შორის სასამართლოში მიმართვის უფლებას, და ზრდის საჯარო სამსახურის პოლიტიკების რისკს. 2024 წლის დეკემბრიდან სამსახურიდან გაათავისუფლეს ასობით საჯარო მოხელე, ან მათ შრომითი ხელშეკრულებები აღარ განუახლეს.

საჯარო სამსახურის ბიურო 2025 წლის აპრილში გაუქმდა და მისი ფუნქციების ნაწილი მთავრობის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში მყოფ ადამიანური რესურსების დეპარტამენტს გადაეცა.

საქართველოში საჯარო სამსახური ხასიათდება ქალთა არასაკმარისი წარმომადგენლობით მაღალი დონის მენეჯმენტში.

ადმინისტრაციის ანგარიშვალდებულება

ადმინისტრაციის ანგარიშვალდებულება კვლავ გაუმჯობესებას საჭიროებს. მთავრობას ჯერ არ გადაუდგამს ნაბიჯები საკანონმდებლო რეფორმების გატარების და დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს შექმნის მიზნით, რომელიც დაიცავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. არსებობს სამართლებრივი ხარვეზები ინფორმაციის თავისუფლების და ევროპის საბჭოს კონვენციის აღიარების თაობაზე, რომელიც ოფიციალური დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობას ეხება. საჯარო სამართლის იურიდიული პირები არ არიან შებოჭილი საჯარო ინფორმაციაზე წვდომის არსებული კანონმდებლობით.

არ ხდება საჯარო ინფორმაციაზე წვდომის უფლების სათანადოდ აღსრულება. პროაქტიული ინფორმაციის გამოქვეყნების მაჩვენებელი კვლავ უარესდება. 2024 წელს სახალხო დამცველმა განიხილა საჯარო ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვებთან დაკავშირებული 60 საჩივარი, განსაკუთრებით მედია საშუალებების, ჟურნალისტებისა და ადამიანის უფლებადამცველების შესახებ. ანალიზის შედეგად გაკეთდა დასკვნა, რომ აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებები და საჯარო დაწესებულების კონცეფციის უფრო მკაფიოდ განსაზღვრა.

ზედამხედველობის ორგანოების, მათ შორის სახალხო დამცველის ოფისის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი კვლავ დაბალია. სახალხო დამცველის მიერ ცენტრალური ხელისუფლებისთვის 2024 წელს გაცემული 258 რეკომენდაციიდან ხელისუფლებამ სრულად შეასრულა მხოლოდ 19%, ნაწილობრივ შეასრულა 24% და არ შეასრულა 34%. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციებიდან სრულად შესრულდა მხოლოდ 46%, ხოლო ნაწილობრივ - 28%. არ ხდება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების სისტემატური აღსრულება, მათ შორის -

სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული დავების შემთხვევაში.

საქართველომ ვერ შეასრულა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) რეკომენდაციები, რის გამოც OGP-ის მმართველი კომიტეტმა საქართველოს მთავრობას ოფიციალურად შეუჩერა პარტნიორის სტატუსი იმ საკანონმდებლო ქმედებებით გამოწვეული შემთხვევების გამო, რომლებიც ძირს უთხრის სამოქალაქო თავისუფლებებს და ფუნდამენტურ უფლებებს.

2025 წლის მაისში შიდა აუდიტის სამსახური მთავრობის ეფექტიანობის დეპარტამენტად გადაკეთდა, რომელიც შედის მთავრობის ადმინისტრაციის ფარგლებში. ის ზედამხედველობას გაუწევს როგორც შიდა აუდიტს, ისე ეფექტიანობის შეფასებას ყველა აღმასრულებელი ორგანოში.

სერვისების მიწოდება მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის

მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის სერვისების მიწოდება შემდგომ სტრატეგიულ განვითარებას და ინვესტიციებს მოითხოვს. მიღწეულია პროგრესი, რაც საქართველოში ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025-2030 წლების სტრატეგიის და 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმის მიღებამ განაპირობა. 2025 წლის თებერვალში საქართველომ დაამტკიცა ციფრული მმართველობის 2025-2030 წლების სტრატეგია და 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმა. არსებული სტრატეგიები, მათ შორის საჯარო სამსახურების განვითარების შესახებ, ჯერ კიდევ საჭიროებს განხორციელებას. ციფრული სერვისების რაოდენობა გაიზარდა, ხოლო მომსახურების ხარისხი შემცირდა.

2.2. კანონის უზენაესობა და ფუნდამენტური უფლებები

2.2.1 თავი 23: სასამართლო სისტემა და ფუნდამენტური უფლებები

ევროკავშირის ფუძემდებლური ღირებულებები კანონის უზენაესობას და ადამიანის უფლებების პატივისცემას გულისხმობს. ეფექტიანი (დამოუკიდებელი, მაღალი ხარისხის და ქმედითი) სასამართლო სისტემა და კორუფციის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა უმნიშვნელოვანესია, ისევე როგორც ფუნდამენტური უფლებების პატივისცემა სამართალსა და პრაქტიკაში.

სასამართლო სისტემის ფუნქციონირება

სტრატეგიული დოკუმენტები

სასამართლო სისტემის ყოვლისმომცველი რეფორმის გათვალისწინებით, უწინდებურად საჭიროა სტრუქტურირებული და ყოვლისმომცველი სტრატეგიული დოკუმენტების და საკანონმდებლო ჩარჩოს მიღება. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ჯერ არ შეუშუშავებია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და სასამართლო სისტემის ფუნქციონირების სტრატეგია.

არ განხორციელებულა რეფორმები ევროკომისიის და ვენეციის კომისიის ყველა არსებული სისტემური და არსებითი რეკომენდაციის შესასრულებლად. კერძოდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და უზენაესი სასამართლოს ყოვლისმომცველი რეფორმა არსებული რეკომენდაციების შესაბამისად და საფუძვლიანი და ინკლუზიური კონსულტაციების პროცესის ფარგლებში, კვლავ შეუსრულებელი რჩება.

შესწორებული სამართლებრივი ბაზა ძირს უთხრის სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას და კეთილსინდისიერებას და აუქმებს რეფორმის წარსულში გადადგმულ ნაბიჯებს. საერთო სასამართლოების შესახებ კანონში 2025 წლის ივნისში ევროკავშირთან ან ვენეციის კომისიასთან კონსულტაციების გარეშე მიღებული შესწორებები აუქმებს ადრინდელ რეფორმებს და ეწინააღმდეგება ევროკავშირის წარსულში გაცემულ რეკომენდაციებს და ვენეციის კომისიის მოსაზრებებს. ეს შესწორებები კიდევ უფრო ასუსტებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობას, ანგარიშვალდებულებას და გამჭვირვალობას შეცვლილი საარჩევნო წესებით და ასევე

იმით, რომ არ უზრუნველყოფილს წონასწორობას ვენეციის კომისიის რეკომენდაციით გათვალისწინებულ მოსამართლე და არამოსამართლე წევრების რაოდენობას შორის. გარდა ამისა, შეცვლილი წესები მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ უარყოფით გავლენას ახდენს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე. ეს წესები მნიშვნელოვნად აფართოებს დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების სამართლებრივ საფუძველს, რაც ძალიან ბუნდოვანია და ზრდის ზედმეტად ფართო ინტერპრეტაციისა და ბოროტად გამოყენების რისკს. გარდა ამისა, ამ შესწორებებს დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილება დამოუკიდებელი ინსპექტორიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანზე გადააქვს; ეს ახდენს უფლებამოსილებების შემდგომ კონცენტრაციას არარეფორმირებულ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რაც ქმნის სასამართლოს დამოუკიდებლობის შელახვის რისკს. გარდა ამისა, მოსამართლეთა გადაყვანის ახალი წესები ამჟამად ითვალისწინებს თანხმობის გარეშე გადაყვანის შესაძლებლობას ხუთ წლამდე ვადით (ადრე - სამი წლით), რაც სერიოზულად უთხრის ძირს სასამართლოს დამოუკიდებლობას, განსაკუთრებით დღემდე არარსებული დამცავი მექანიზმების პირობებში. გარდა ამისა, ახალი წესები ზღუდავს მედიის წვდომას და სასამართლო გადაწყვეტილებების დროულ გამოქვეყნებას, რითაც აუქმებს წინა რეფორმებს და აუარესებს გამჭვირვალობას. სრულად ამოქმედდა კონსტიტუციური დებულება ყველა სასამართლოს მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის შესახებ. 2024 წლის 31 დეკემბრიდან მოსამართლეები დაინიშნებიან უვადოდ, საწყისი სამწლიანი ვადის გარეშე.

გენერალური პროკურატურის საკანონმდებლო ბაზა, მათ შორის გენერალური პროკურორის დანიშვნის პროცედურა და პროკურორებთან დაკავშირებული დისციპლინური სამართალწარმოება ევროპულ სტანდარტებს არ შეესაბამება. მხედველობაში არ იქნა მიღებული ვენეციის კომისიის რეკომენდაციები და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის მექანიზმის (TAIEX) მიერ 2023 წლის მაისში ჩატარებული ექსპერტული მიმოხილვის დასკვნა, რომელიც სასამართლო სექტორის ფუნქციონირებას და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას შეეხებოდა. გარდა ამისა, პროკურატურის შესახებ კანონში 2025 წლის ივნისის საკანონმდებლო შესწორებებით გაუქმდა ადრე მიღებული რეფორმები. ეს შესწორებები აუქმებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და იურიდიულ ექსპერტებთან კონსულტაციებს გენერალური პროკურორის თანამდებობაზე კანდიდატების შესარჩევად და ახალი გენერალური პროკურორის წარდგენისა და დანიშვნის პროცედურის დასრულებას ერთი კვირის ვადაში ითვალისწინებს. 2025 წლის ივნისში ახალი გენერალური პროკურორი დაინიშნა უბრალო უმრავლესობით და მისი წინამორბედის უფლებამოსილების ამოწურვამდე ოთხი წლით ადრე. აღნიშნული ევროკავშირისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს არ შეესაბამება.

მმართველობის ორგანოები

მმართველობის ორგანოები, იუსტიციის უმაღლესი საბჭო და პროკურატურის საბჭო არსებობს. თუმცა, ისინი ვერ აკმაყოფილებენ ევროკავშირის და ევროპის საბჭოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და გამჭვირვალობის სტანდარტებს.

საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებული არავითარი რეფორმა ამ სასამართლო ინსტიტუტების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. არ გადადგმულა არავითარი ნაბიჯი ვენეციის კომისიის რეკომენდაციებში ასახული ორივე მმართველობითი ორგანოს შემადგენლობასთან, ფუნქციონირებასთან და უფლებამოსილებებთან დაკავშირებული გადაუჭრელი საკითხების მოსაგვარებლად.


საქართველომ არ გადადგა არავითარი ნაბიჯი სასამართლო სისტემაში კეთილსინდისიერების შემოწმების სისტემის შესაქმნელად, საერთაშორისო ექსპერტების

მონაწილეობით და გადამწყვეტ როლით, იმ კანდიდატების და უკვე დანიშნული თანამდებობის პირებისთვის, რომლებიც რომელიც სასამართლო სისტემაში, კერძოდ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, უზენაეს სასამართლოში და საერთო სასამართლოებში უმაღლეს თანამდებობებს იკავებენ.

2025 წლის მარტში თბილისის საქალაქო სასამართლომ გააუქმა 2024 წლის ივლისში წარდგენილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის დანიშვნა და მის ნაცვლად მისი კონკურენტის დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღო. ამ გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო შეარყია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობა და კეთილსინდისიერება. ვენეციის კომისიამ თავის მოსაზრებებში შემოთქვა გამოთქვა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების წინა დანიშვნებთან დაკავშირებით.

2024 წლის ნოემბერში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იმოქმედა დისკრიმინაციულად, როდესაც 2015-2016 წლებში ორჯერ თქვა უარი მოსამართლის ხელახლა დანიშვნაზე.

ვენეციის კომისიის მიერ მოსამართლე კანდიდატებისა და მოსამართლეების შეფასების მიზნით გაცემული რეკომენდაციები არ იქნა შესრულებული.



დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა არასაკმარისია როგორც უმაღლესი დონის, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოებში. საჭიროა სასამართლო სისტემის საფუძვლიანი და ყოვლისმომცველი რეფორმა, და როგორც ეს რეკომენდებულია ვენეციის კომისიის მიერ, განსაკუთრებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და უზენაესი სასამართლოს კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად, რამაც უნდა გააუმჯობესოს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა და გაზარდოს საზოგადოების ნდობა მის მიმართ.

2025 წლის სექტემბერში დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური და დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობა გაუქმდა, ხოლო მისი ფუნქციები იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გადაეცა; ამგვარად მოხდა უფლებამოსილების შემდგომი კონცენტრაცია არარეფორმირებულ იუსტიციის უმაღლესი საბჭოში, რაც საფრთხეს უქმნის სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას.

საანგარიშო პერიოდში აღინიშნა პროგრესის არარსებობა პროკურორების და საპროკურორო

სამსახურის დამოუკიდებლობის და ავტონომიის დაცვის გარანტიების გასაძლიერებლად ევროკავშირისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად. ევროკავშირისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაცია იმ საკონსტიტუციო ცვლილებების დასამტკიცებლად, რომელიც გენერალური პროკურორის დანიშვნის პროცედურაში კვალიფიციურ უმრავლესობას მოითხოვდა, არ იქნა შესრულებული.

თავის მოსაზრებებში ვენეციის კომისიამ ხაზი გაუსვა იმის აუცილებლობას, რომ სასამართლოში დანიშვნისას დაცული იყოს თანასწორი მოპყრობის პრინციპი ყველა კანდიდატის მიმართ.


2025 წლის ივნისში საერთო სასამართლოების შესახებ კანონში შეტანილი საკანონმდებლო შესწორებები, რომლებიც კრძალავს სასამართლოს შენობაში ფოტო- და ვიდეოგადაღებას და აუდიოჩაწერას, საფრთხეს უქმნის სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობას და სერიოზულად ზღუდავს სასამართლო პროცესებზე ზედამხედველობას.

ანგარიშვალდებულება


სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულება არადამაკმაყოფილებელია. საკანონმდებლო ბაზის, ისევე, როგორც მოსამართლეების და პროკურორების ანგარიშვალდებულების წესების ეფექტიან განხორციელებას ხელს უშლის გამოწვევები, რომელთა გადაჭრის კუთხით პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

2024 წელს მოსამართლეების წინააღმდეგ დაწყებული და დასრულებული დისციპლინური პროცედურების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. პროკურორების წინააღმდეგ დაწყებული დისციპლინური პროცედურებისა და გამოტანილი სანქციების რაოდენობა 2024

გრაფიკი 3.1: საქართველო - დისციპლინური პროცედურები
მოსამართლეები - პროცედურების შედეგები



გრაფიკი 3.2: საქართველო - დისციპლინური პროცედურები
პროკურორები - პროცედურების შედეგები



წელთან შედარებით შემცირდა.

უფლებამოსილებების კონცენტრაცია გენერალური პროკურატურის ხელში (რომელიც პოლიტიკურად დაინიშნა უზრალო საპარლამენტო უმრავლესობით) კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც 2025 წლის მაისში სპეციალური საგამოძიებო სამსახური გენერალურ პროკურატურას შეუერთდა. ამ ცვლილებამ კიდევ უფრო გააძლიერა უფლებამოსილებათა კონცენტრაცია გენერალური პროკურატურის ხელში, იმ დროს, როდესაც უწინდებურად შეუსრულებელია ვენეციის კომისიისა და ევროკავშირის ადრე გაცემული რეკომენდაციები პროკურატურის დამოუკიდებლობის გაძლიერების თაობაზე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გამჭვირვალობის გაუმჯობესების კუთხით პროგრესის არარსებობა აღინიშნა. საანგარიშო პერიოდში გადაწყვეტილებები ან ოქმები არ გამოქვეყნებულა. სასამართლო პროცესების გამჭვირვალობა იზღუდება 2025 წლის ივნისში კანონში საერთო სასამართლოების შესახებ შეტანილი შესწორებებით კანონმდებლობაში, რომლებიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ანიჭებს უფლებას მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოებისთვის სასამართლო პროცესების ხელმისაწვდომობის შესახებ.

მართლმსაჯულების ხარისხი

მართლმსაჯულების ხარისხი გაუმჯობესებას მოითხოვს.

უწინდებურად საჭიროა დამატებითი ძალისხმევა, რათა მოხდეს მართლმსაჯულების ეფექტიანი და ქმედითი განხორციელების ევროპულ სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა, მათ შორის მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) ინსტრუმენტების გამოყენებით (ევროპის საბჭო).

მნიშვნელოვანი პროგრესი არ აღინიშნა მეორე ინსტანციის მოსამართლეებისა და პროკურორების რაოდენობის გაზრდის და მოსამართლეებისა და პროკურორების ვაკანტური თანამდებობების შევსების კუთხით. მართლმსაჯულების ხარისხზე კვლავ უარყოფითად მოქმედებს მოსამართლეების მაღალი დატვირთვა, რაც იწვევს საქმეების განხილვის გადავადებას და საერთო სასამართლოების სისტემაში დაგროვილი საქმეების არაეფექტურ მართვას. გამჭვირვალობის სტანდარტების ეფექტიანი დანერგვა შეფერხებულია. სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებზე ღია წვდომა სისტემატურად არ იყო უზრუნველყოფილი. საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო გაუარესდა სასამართლოს გადაწყვეტილებებზე წვდომა ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნით და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების და გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა. ამავდროულად, უზენაესმა სასამართლომ უზრუნველყო პროაქტიული წვდომა მისი გადაწყვეტილებების ანონიმიზებულ ტექსტებზე.


გაიზარდა მედიაციის და აკრედიტებული მედიატორების მიერ გადაჭრილი საქმეების რაოდენობა. მონაცემთა შეკრება გაუმჯობესებას მოითხოვს.

მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს. საჭიროა კვალიფიკაციის ამაღლების და მოწინავე საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთგაზიარების შემდგომი განვითარება და პროფესიულ განვითარებაში მათი ინტეგრაცია. მოსამართლეთა სწავლების სიტემის მასშტაბი, მონაწილეობის მაჩვენებელი და საბიუჯეტო განაწილება შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს.


ეფექტიანობა

შესაძლებელია მართლმსაჯულების ეფექტიანობის შემდგომი გაუმჯობესება, განსაკუთრებით ადმინისტრაციულ საქმეებისთვის.


გრაფიკი 4: საქართველო: მართლმსაჯულების პროფესიონალო რაოდენობები - 2024



Graph 5: Georgia - Alternative dispute resolution



2023 წელთან შედარებით, შემოსული არა-სისხლის სამართლებრივი საქმეების რაოდენობა პირველი ინსტანციის სასამართლოებში 3%-ით, ხოლო მეორე ინსტანციის სასამართლოებში 8%-ით გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ერთ მოსამართლეზე რეგისტრირებული საქმეების რაოდენობა. პირველი ინსტანციის სასამართლოების დონეზე სამოქალაქო და კომერციულ საქმეებში საქმის განხილვის დრო (სასამართლო სისტემის მიერ საქმის



გადასაჭრელად საჭირო დრო) 356 დღემდე გაიზარდა, 2023 წლის 325 დღესთან შედარებით. ადმინისტრაციული საქმეების განხილვის დრო 2024 წელს 695 დღემდე გაიზარდა, 2023 წლის 633 დღესთან შედარებით. სისხლის სამართლის საქმეების განხილვის დრო 2023 წლის 144 დღიდან 2024 წელს 80 დღემდე შემცირდა.


2024 წელს სამოქალაქო და კომერციული საქმეების დასრულების მაჩვენებელი ყველა

სასამართლოში საერთო ჯამში მაღალ დონეზე დარჩა. 2024 წელს სამოქალაქო და კომერციული საქმეების დასრულების მაჩვენებელი პირველი ინსტანციის სასამართლოებში 91%-მდე შემცირდა (2023 წელს - 94%).

დაუსრულებელი სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა პირველი ინსტანციის სასამართლოებში 2024 წელს 7 841-მდე (2023 წელს - 7 079) გაიზარდა, ხოლო მეორე ინსტანციის სააპელაციო სასამართლოებში იყო 716 (2023 წელს - 823). სამოქალაქო და კომერციული საქმეების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსრულებელი საქმეების რაოდენობა 2024 წელს 97 899-მდე (2023 წელს - 88 764), ხოლო მეორე ინსტანციის სასამართლოებში 4 337-მდე (2023 წელს - 4 097) გაიზარდა.

2024 წელს მოსამართლეთა რაოდენობა 367-მდე გაიზარდა (2023 წელს - 332); მათი უმრავლესობა პირველი ინსტანციის სასამართლოებში დაინიშნა (2023 წელს - 218; 2024 წელს - 251). 2024 წელს მეორე ინსტანციის მოსამართლეების რაოდენობა 89-მდე გაიზარდა (2023 წელს - 87).

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2024 წელს გამოტანილი გადაწყვეტილებების რაოდენობა 18-მდე შემცირდა (2023 წელს - 19). სასამართლო პოზიციებზე ვაკანტური ადგილების დიდი რაოდენობა კვლავ გამოწვევად რჩება სასამართლო სისტემის ეფექტიანობისთვის. დაუსრულებელი საქმეების რაოდენობა მცირდება, მაგრამ საერთო ჯამში რჩება მაღალი. აუცილებელია სასამართლოს მენეჯმენტის



*სამოქალაქო და კომერციული საქმეები, ადმინისტრაციული საქმეები, არასადასრულებელი საქმეები, სხვა საქმეები
არ შეესაბამება: არ შეესაბამება წყარო: მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ)

მოდერნიზაცია, მათ შორის მართლმსაჯულების ახალი საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინსტრუმენტების დანერგვით და სასამართლო საქმეების მართვის სისტემის სრულად ამოქმედებით საქმეების ავტომატური/შემთხვევითი პრინციპით განაწილების მიზნით.


სისტემის მიერ განაწილებული საქმეების რაოდენობა კვლავ მაღალია (95-100%). საჭიროა მეტი ძალისხმევა ციფრული ტექნოლოგიების დასანერგად მართლმსაჯულების სისტემაში. კვლავაც საჭიროა საინფორმაციო-ტექნოლოგიური პლატფორმების ოპერაციული თავსებადობის გაუმჯობესება სასჯელაღსრულების ჯაჭვის ყველა რგოლს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო სისტემისთვის გამოყოფილი მთლიანი ბიუჯეტი ბოლო წლებში სტაბილურად იზრდება, მისი წილი ქვეყნის მთლიან ბიუჯეტში მაინც ჩამორჩება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს. 2023 წლიდან 2024 წლამდე პერიოდში საქართველოს სასამართლო სისტემის მთლიანი ბიუჯეტი 5.2%-ით გაიზარდა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

დინამიკა

გრაფიკი 7.1: საქართველო: მაღალი დონის კორუფციის შემთხვევები - მონაცემები კორუფციაში ჩართული პირების/იურიდიული პირების რაოდენობის შესახებ




კორუფციასთან ბრძოლის დინამიკა საჯარო სექტორში, მათ შორის მაღალი დონის კორუფციის საქმეებთან დაკავშირებით, გაუარესდა.

2024 წელს მაღალი დონის კორუფციის საქმეებზე გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენების რაოდენობა საერთო ჯამში შემცირდა. სამი მაღალი თანამდებობის პირის მიმართ აღიმრა სასამართლო საქმეები (2023 წელს - 12), ხოლო სამი თანამდებობის პირი საჯარო სექტორში დამნაშავედ იქნა ცნობილი კორუფციის გამო (2023 წელს - ოთხი). 2024 წელს შედარებით დაბალ დონეზე კორუფციის

გამოძიებული საქმეების რაოდენობა 225-მდე შემცირდა (2023 წელს - 233); სასამართლოში გადაცემული საქმეების რაოდენობა 185-მდე შემცირდა (2023 წელს - 232), ხოლო საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენების რაოდენობა 153-მდე გაიზარდა (2023 წელს - 140).

ევროპის საბჭოს კორუფციასთან მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) შეფასების მეხუთე რაუნდის რეკომენდაციების შესრულება კვლავ აუცილებელია. ეს მოიცავს მიზნობრივი ანტიკორუფციული სტრატეგიის, აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების ქცევის კოდექსის და დამოუკიდებელი ზედამხედველობის მექანიზმის მიღებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს გამჭვირვალობის შესახებ კანონების სათანადო განხორციელება. აღინიშნა პროგრესის არარსებობა



საზოგადოების ინფორმირების და მის წინაშე ანგარიშვალდებულების კუთხით სავარაუდო მაღალი დონის კორუფციის შემთხვევებთან დაკავშირებით. დეტალური სტატისტიკური ინფორმაცია კორუფციის შემთხვევების, განსაკუთრებით მაღალი დონის კორუფციის შემთხვევების გამოვლენის, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო გადაწყვეტილების მიღების შესახებ უწინდებურად არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

სამართლებრივი ჩარჩო

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ჩარჩო არასაკმარისია პრევენციული ზომების თვალსაზრისით და სამართალდამცავ ორგანოებთან მიმართებით გაუმჯობესებას საჭიროებს.

პროგრესის არარსებობა აღინიშნა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის გადასინჯვის საკითხში, რომელის მიზანია ანტიკორუფციული ბიუროს სამართლებრივი ბაზით უზრუნველყოფა მისი ოპერატიული დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. ვენეციის კომისიის რეკომენდაციები, კერძოდ, ანტიკორუფციული ბიუროს დამოუკიდებლობასთან, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტთან, თანამდებობის პირთა ქონებისა და ინტერესების დეკლარაციების გამჭვირვალე შემოწმებასთან და მაღალი დონის კორუფციის საქმეებში საგამოძიებო ფუნქციებთან დაკავშირებით, კვლავაც შეუსრულებელია. 2025 წლის აპრილში ანტიკორუფციული ბიუროს მანდატი გაფართოვდა უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის (FARA) და გრანტების შესახებ კანონში შეტანილი საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგის და აღსრულების მიზნით და ანტიკორუფციული ბიუროს მიენიჭა ფართო უფლებამოსილება ამ კანონების გამოყენებისთვის. ანტიკორუფციული ბიუროს დამატებითი ფართო საგამოძიებო და აღმასრულებელი უფლებამოსილებები მოიცავს შემოწმებებს, ჯარიმების დაკისრებას, პირთა დაკითხვას და სისხლის სამართლის საქმეების აღძვრას საგამოძიებო ორგანოებში. ეს დამატებითი უფლებამოსილებები ხელს უწყობს ანტიკორუფციული ბიუროს დამოუკიდებლობის მკვეთრ შეზღუდვას და ამ უწყობის გადაჭარბებულ პოლიტიზაციას. მისი გაფართოებული მანდატის შერჩევითი განხორციელება, კერძოდ, უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის კანონმდებლობის და გრანტების შესახებ გადასინჯული კანონის აღსრულება, სერიოზულ შემფოთებას იწვევს სასამართლოს მიერ დამტკიცებული ბრძანებების თაობაზე, რომლებიც გადაეცა სამოქალაქო საზოგადოების უმეტეს ნაწილს და მათ ანტიკორუფციული ბიუროსთვის ინფორმაციის მიწოდებას ავალდებულებს.

მას შემდეგ, რაც 2024 წლის მაისში ანტიკორუფციული საკონსულტაციო საბჭო გაუქმდა, სამართლებრივი ბაზა არ ითვალისწინებს დამოუკიდებელი საკონსულტაციო უწყების შექმნას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში.

საჭიროა შემდგომი ჰარმონიზაცია კორუფციის მამხილებელი პირების დაცვის საკითხში. კორუფციის მამხილებელი პირების დაცვასთან დაკავშირებული პროცედურები და ანგარიშგების მექანიზმები ონლაინ პლატფორმაშია ინტეგრირებული.

სტრატეგიული დოკუმენტები

სტრატეგიული დოკუმენტები არ არსებობს. 2020 წლიდან არ შემუშავებულა ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ხოლო საანგარიშო პერიოდში კორუფციასთან ბრძოლის სექტორული რისკების განახლებული შეფასება არ ჩატარებულა. საქართველომ უნდა მიიღოს ყოვლისმომცველი ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც შეესაბამება კორუფციასთან მებრძოლი სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) რეკომენდაციებს, განსაკუთრებული ფოკუსით კეთილსინდისიერების შემოწმებაზე, ინტერესთა კონფლიქტზე, ლობირებასა და ქონებრივი დეკლარაციის სისტემებზე.

საქართველომ უნდა გაითვალისწინოს კორუფციასთან მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) შეფასების მეხუთე რაუნდში მოცემული ყველა რეკომენდაცია, მათ შორის,

აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებისთვის მიზნობრივი ანტიკორუფციული სტრატეგიის, აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების ქცევის კოდექსის, ქონებრივი დეკლარაციის წარმდგენი პირების სიის გაფართოებისა და კორუფციული დანაშაულების გამოძიების შესახებ. საჭიროა მომზადდეს სტრატეგიული დოკუმენტები რისკების შეფასებისა და ინტერესთა კონფლიქტების პრევენციის შესახებ, ასევე პოლიციის ანტიკორუფციული სტრატეგიის და კორუფციის რისკებთან დაკავშირებული მიზნობრივი მიდგომის შესახებ სამართალდამცავი ორგანოებისთვის.

პროგრესის არარსებობა აღინიშნება 2023 წლის ნოემბერში მიღებული დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების კუთხით. ვენეციის კომისიის რეკომენდაციები ჯერ კიდევ შესასრულებელია. სრულად უნდა შესრულდეს კორუფციასთან მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) შეფასების მეხუთე რაუნდში მოცემული შეუსრულებელი რეკომენდაციები.

ინსტიტუციური ჩარჩო

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუციური ჩარჩო არსებობს, მაგრამ პრევენციული ზომების თვალსაზრისით ის არაა დამაკმაყოფილებელია და მოითხოვს გაუმჯობესებას სამართალდამცავ ორგანოებთან მიმართებით.

აღნიშნული იყო პროგრესის არარსებობა ანტიკორუფციული ბიუროს ინსტიტუციური მოწყობის და სტრატეგიულ ჩარჩოს კუთხით, ხოლო ვენეციის კომისიის ძირითადი რეკომენდაციები კვლავაც შეუსრულებელია. ანტიკორუფციული ბიუროს მანდატი მნიშვნელოვნად გაფართოვდა რეპრესიული კანონმდებლობის, მათ შორის გრანტების შესახებ კანონში და უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე. 2025 წლის აპრილში მიღებულმა კანონმდებლობამ გააუქმა სამოქალაქო საზოგადოების სავალდებულო მონაწილეობა და კონსულტაციები საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. ამან გამორიცხა სამოქალაქო საზოგადოება შესარჩევი კომისიიდან, რომელსაც ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის დანიშვნა ევალება.

2024 წელს გაიზარდა ანტიკორუფციული ბიუროს მიერ შემოწმებული ქონებრივი დეკლარაციების რაოდენობა. შემოწმებული იქნა 353 თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაცია; 319 შემთხვევაში მონიტორინგი ხარვეზების გარეშე დასრულდა; დარღვევები აღმოჩენილი იქნა 34 შემთხვევაში (2023 წელს - 220 თანამდებობის პირი, რომელთაგან 23 შემთხვევაში სახეზე იყო თანამდებობრივი შეუთავსებლობა და ინტერესთა კონფლიქტები).

საჭიროა მეტი ძალისხმევა შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების საგამოძიებო დანაყოფების ეფექტიანობის და ქმედითუნარიანობის გასაუმჯობესებლად. მათ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ ავტონომიური უფლებამოსილებები და საკუთარი დამოუკიდებლობის დაცვის მექანიზმები გაუმართლებელი პოლიტიკური ზეგავლენის რისკების თავიდან ასაცილებლად.

გამჭვირვალობა და საზოგადოების წვდომა ქონებრივ დეკლარაციებზე ანტიკორუფციული ბიუროს ვებსაიტზე პრობლემას წარმოადგენდა. 2025 წელს ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემაზე საზოგადოების წვდომა არ იყო სათანადოდ უზრუნველყოფილი.

საქართველოში უწინდებურად არ არსებობს სპეციალიზებული და ავტონომიური ერთეულები სამართალდამცავ ორგანოებში, საპროკურორო სერვისები ან სპეციალიზებული სასამართლოები კორუფციასთან საბრძოლველად, და მაღალი დონის კორუფციის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დამოუკიდებელი სპეციალიზებული ორგანოები. კორუფციასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიება კვლავ სხვადასხვა უწყებებზეა გადანაწილებული, რაც იწვევს ფრაგმენტულ მიდგომას და უარყოფით შედეგებს აღსრულების კუთხით.

საქართველო უნდა დაუბრუნდეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანტიკორუფციული მონიტორინგის ქსელს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიისთვის, და მან უნდა შეასრულოს სტამბოლის ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მეოთხე რაუნდის რეკომენდაციები.

ფუნდამენტური უფლებები

ზოგადი ჩარჩო


ფუნდამენტური უფლებების ზოგადი ჩარჩო, რომელიც მნიშვნელოვნად შესუსტდა საკანონმდებლო აქტებით, საჭიროებს ფუნდამენტურ გადასინჯვას საერთაშორისო სტანდარტებთან შედარების გზით. ახალი კანონმდებლობა, მათ შორის უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი, ცვლილებები კანონში შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და სისხლის სამართლის კოდექსი მიღებული იქნა სათანადო საჯარო კონსულტაციების გარეშე. ეს ზომები ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა სამართლით ნაკისრ ვალდებულებებს და კერძოდ, ისინი არღვევს გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებებს. მნიშვნელოვანი ხარვეზები აღინიშნება ადამიანის უფლებების დაცვის 2022-2030 წლების ეროვნულ სტრატეგიასა და მის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმაში.

საანგარიშო პერიოდში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების განხორციელება და აღსრულება მკვეთრად შეზღუდა პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ ძალის არაპროპორციულმა, უსამართლო და გადამეტებულმა გამოყენებამ, რაც ზოგიერთ შემთხვევაში არაადამიანურ მოპყრობას და წამებას უტოლდებოდა.

ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტები

საჭიროა გაუმჯობესდეს ადამიანის უფლებათა მონიტორინგის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი რეკომენდაციების შესრულება. საქართველოს რატიფიცირებული აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითადი ევროპული და საერთაშორისო ინსტრუმენტების უმეტესობა. საქართველოს არა აქვს ხელი მოწერილი საერთაშორისო კონვენციაზე იძულებით გაუჩინარებისგან ყველა პირის დაცვის შესახებ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო



არადამაკმაყოფილებელია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან (ECtHR) თანამშრომლობა და მისი გადაწყვეტილებების აღსრულება. საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ რვა გადაწყვეტილება გამოიტანა. ადამიანის უფლებათა


ევროპულმა სასამართლომ საქართველო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამრღვევად ცნო ისეთ საკმეებში, რომლებიც ძირითადად სასამართლო პროცესების ხანგრძლივობას, სიცოცხლის უფლებას, სამართლიანი სასამართლოს უფლებას, წამების აკრძალვას, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას, დისკრიმინაციის აკრძალვას, ასევე აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას უკავშირდებოდა. ამჟამად მინისტრთა კომიტეტის გაძლიერებული ზედამხედველობის ქვეშ არის 45 საქმე. საქართველომ

უნდა მოაგვაროს სასამართლოს მიერ წამოჭრილი სისტემური და სტრუქტურული საკითხები, კერძოდ, მართლმსაჯულების სისტემასთან, სასჯელაღსრულების და სამართალდამცავ სისტემებთან და დისკრიმინაციისგან დაცვასთან დაკავშირებით და უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების სისტემატური აღსრულება.

ადამიანის უფლებების ხელშეწყობა და აღსრულება

ადამიანის უფლებათა ხელშეწყობის, დაცვისა და აღსრულების სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო არასრულია და გაუმჯობესებას მოითხოვს. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელება ჯერ კიდევ არ დაწყებულა. მისი განხორციელების მონიტორინგის პროცესი არ არის განსაზღვრული.

სახალხო დამცველის ოფისი კვლავ წარმოადგენს ძირითად ინსტიტუტს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და განხორციელების ვალდებულებებზე ზედამხედველობისთვის.



სახალხო დამცველის აპარატი კვლავ დამაკმაყოფილებლად, თუმცა შერჩევითად აგრძელებს საკუთარი მანდატის განხორციელებას. 2024 წელს სახალხო დამცველის აპარატმა ხელისუფლებისთვის 82 რეკომენდაცია, 16 სპეციალური ანგარიში და რამდენიმე შეტყობინება

გამოაქვეყნა. თუმცა, მისი რეკომენდაციების შესრულება სახელმწიფო ორგანოებისთვის მიერ კვლავ შეზღუდული რჩება - ამ რეკომენდაციებიდან მხოლოდ 56% იქნა გათვალისწინებული.

წამების და არაადამიანური მოპყრობის პრევენცია

გრაფიკი 10: საქართველო - წამება / არაადამიანური მოპყრობა / ძალის გამოყენებული გამოყენება



საქართველოს აქვს არაადეკვატური სამართლებრივი ბაზა წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის, ხოლო საქმეებზე რეაგირება არასაკმარისად ხდება. არსებული ინფორმაციის მიხედვით, მშვიდობიანი შეკრებების მონაწილეები, დაკავებულები და ჟურნალისტები დაექვემდებარნენ წამებას და არასათანადო მოპყრობას სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან.

სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლების მიერ ჩატარებული ინტერვიუების

საფუძველზე, 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 1 მარტამდე გამოკითხულ დაპატიმრებულთა 60% აღნიშნავდა არაადამიანურ მოპყრობას და ხაზს უსვამდა სისტემატურ და საყოველთაო ძალადობას პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ. მსხვერპლთა წინააღმდეგ გამოიყენებოდა სასტიკი ცემა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა, რაც ზოგ შემთხვევაში წამებას და არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას უთანაბრდებოდა. ეს მოხდა მომიტინგეების დარბევის, ან მათი გარემოცვაში მოქცევის დროს, დაკავების და მოგვიანებით პოლიციის ავტომობილებით ტრანსპორტირების დროს. სახალხო დამცველის აპარატის მიხედვით, არასათანადო მოპყრობის მეთოდების, ტექნიკისა და ფორმების თანმიმდევრული მაგალითები შეიძლება მიუთითებდეს, რომ არასათანადო მოპყრობის ერთიანი მეთოდები წინასწარ იყო დაგეგმილი. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრამდე პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა გამოავლინა არასათანადო მოპყრობის 282 სავარაუდო შემთხვევა. სამართლებრივ პასუხისგებაში არ იყო მიცემული სამართალდამცავი სისტემის არც ერთი ოფიცერი.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის (NPM) რეკომენდაციები კვლავ არაჯეროვანად სრულდება. 2024 წელს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ჩატარებული იყო 92 პროფილაქტიკური ვიზიტი 65 დაწესებულებაში. ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში პაციენტები ჯერ კიდევ არ არიან სრულად დაცული ძალადობისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისგან. პრევენციის ეროვნული მექანიზმმა მიიღო ანგარიშები თანამშრომლების მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის თაობაზე. 2024 წელს ამჟამად გაუქმებულმა სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მიიღო ანგარიშები სპეციალური სასჯელაღსრულების სამსახურის თანამშრომლების მხრიდან პატიმართა მიმართ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის 175 სავარაუდო შემთხვევის შესახებ და დაიწყო გამოძიება 16 სისხლის სამართლის საქმეზე.

ადმინისტრაციულ


სამართალდარღვევათა

კოდექსში არსებული ხარვეზები, მათ შორის სამართლებრივ გარანტიებთან მიმართებაში, მტკიცებულების სტანდარტების არასაკმარისი სიღრმე და დაკავების გადაწყვეტილების გასაჩივრების არსებითი უფლების არარსებობა, კვლავაც გამოსასწორებელია. გარდა ამისა, აღსრულების

მოლოდინშია ადამიანის


უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) 18 გადაწყვეტილება მე-2 და მე-3 მუხლების სხვადასხვა არსებით და პროცედურულ დარღვევასთან დაკავშირებით წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების გამო.

პატიმართა რაოდენობის შემცირების მცდელობები უნდა გაძლიერდეს, რადგან საქართველო ევროპის საბჭოს ქვეყნებს შორის პატიმრობის მაჩვენებლით (256 ყოველ 100 000-ზე) მეორე ადგილზეა. დაკავების მაჩვენებელი 2024 წლის დეკემბერში 82.1%-ს შეადგენდა. დეესკალაციისა და უსაფრთხოების ოთახების სადამსჯელო მიზნებისთვის გამოყენების, ისევე როგორც ასეთ ოთახებში ხანგრძლივი განთავსების მაჩვენებელი კვლავაც შემამფოთებელია. სახალხო დამცველმა ამ პრაქტიკას არასათანადო მოპყრობის კვალიფიკაცია მისცა. უნდა გადაიჭრას ისეთი პრობლემები, როგორიცაა ძალის გადამეტებული გამოყენება და ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა სამართალდამცავი უწყებების თანამშრომელთა მხრიდან.




სისხლის სამართლის სანქციების აღსრულება

წინასწარი პატიმრობის გადაჭარბებული გამოყენება და სასჯელის არაპროპორციული გამოყენება სერიოზულ გავლენას ახდენს სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე. კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს უფლების გამუდმებულმა დარღვევამ გავლენა მოახდინა საპროტესტო აქციების დროს დაკავებული პირების სასამართლო პროცესებზე.



უნდა გაუმჯობესდეს სისხლის სამართლებრივი სანქციების აღსრულების სისტემა, პრობაციის ჩათვლით. მონაცემები წინასწარი პატიმრობების საშუალო ხანგრძლივობის შესახებ შეკრებილი არ არის. 2024 ნოემბრის დემონსტრაციების დროს დაკავებული პრების მიმართ გამოყენებული იყო სხვადასხვა ფორმის ძალადობა, მათ შორის არაპროპორციული და ხშირად უსამართლო წინასწარი პატიმრობა, რაც ხშირად დაკავებისთანავე, ადეკვატური დასაბუთების და ინდივიდუალიზებული შეფასების გარეშე ხდებოდა.



პერსონალურ მონაცემთა დაცვა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი ჩარჩო არადაამკმაყოფილებელია, ხოლო მონაცემთა დაცვის სააგენტოს პოტენციალს გაუმჯობესება სჭირდება. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი სრულად არ შეესაბამება მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციას და სამართლის აღსრულების დირექტივას. საქართველოს არა აქვს ხელი მოწერილი ევროპის საბჭოს 108+ კონვენციაზე. ვენეციის კომისიის ძირითადი რეკომენდაციები ინსტიტუციური დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფლებამოსილების შესახებ უწინდებურად შეუსრულებელია.

რელიგიის ან რწმენის თავისუფლება

აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება ზოგადად დაცულია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება („ქართველ მუსლიმთა ურთიერთობა“ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ), რომლითაც დადგინდა, რომ საქართველომ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით, არ შესრულებულა. 2025 წლის ივლისში ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული მუნიციპალიტეტის საჩივარი, რითაც გააუქმა ქვედა სასამართლოს გადაწყვეტილება. ეს საქმე აჩენს შეშფოთებას რელიგიური თავისუფლებისა და მუსლიმური თემის პოტენციური დისკრიმინაციის შესახებ. გაგრძელდა სიძულვილის ენის გამოყენება და სავარაუდოდ სიძულვილის გაღვივების გამო

რელიგიური ნიშნით ჩადენილი დანაშაულები. 2024 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატში დარეგისტრირდა შვიდი განცხადება რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციაში დადანაშაულების თაობაზე, რომელთაგან ორი შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულს ეხებოდა.

გამოხატვის თავისუფლება

ჟურნალისტების დამინება

ჟურნალისტების უსაფრთხოება მნიშვნელოვნად გაუარესდა დაშინების, სიძულვილის ენის, ძალადობის გამოყენების, სამართლებრივი ზეწოლისა და დაკავების მზარდი რაოდენობის გამო, რაც ხელს უშლიდა მათ პროფესიული მოვალეობების თავისუფლად შესრულებაში. 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 4 ივნისამდე მოხსენებული იყო ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩარევის 150-ზე მეტი შემთხვევა. მიუხედავად იმისა, რომ მოხსენებული იყო სპეცრაზმის და პოლიციის მხრიდან ჟურნალისტებზე ძალადობის შესახებ, ფიზიკური შეურაცხყოფის და აპარატურის განადგურების ჩათვლით, არც ერთ აღნიშნულ ინციდენტს არ მოჰყოლია საქმის აღძვრა ან გასამართლება, რის გამოც დამნაშავეები დაუსჯელები დარჩნენ. არაერთმა ჟურნალისტმა და მედიის თანამშრომელმა მიიღო არაპროპორციული ადმინისტრაციული ჯარიმა, ან ისინი თვითნებურად დააკავეს სამუშაოს შესრულებისას. საპროტესტო აქციების დროს დააკავეს ონლაინ მედია საშუალება „ბათუმელების“ დამფუძნებელი და დირექტორი, რომელსაც ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. გრძელდება სტრატეგიული სარჩელების გამოყენება საზოგადოების მონაწილეობის წინააღმდეგ (SLAPP). უზრუნველყოფილი უნდა იყოს ევროკავშირის ანტი-SLAPP დირექტივასთან და რეკომენდაციასთან შესაბამისობა.

საკანონმდებლო გარემო

უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი (FARA) წარმოადგენს დამატებითი ზეწოლის მექანიზმს მედიის სექტორზე და ძირს უთხრის პრესის თავისუფლებას, გამომდინარე იქედან, რომ მისი მოთხოვნების შეუსრულებლობამ შესაძლოა ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა გამოიწვიოს. „აგენტების“ განმარტების ფიზიკურ პირებზე გავრცელება, სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ჟურნალისტების დამოუკიდებლობაზე.

2025 წლის აპრილში პარლამენტმა მიიღო შესწორებები მაუწყებლობის შესახებ კანონში, რომელიც კრძალავს აუდიოვიზუალური მაუწყებლების პირდაპირ ან ირიბ დაფინანსებას „უცხოელი სუბიექტების“ მიერ. შეზღუდვები ვრცელდება მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმაზე, მათ შორის პირდაპირ ფინანსურ დახმარებაზე, აღჭურვილობის გადაცემაზე, პერსონალის მომზადებასა და მედიის განვითარების პროგრამებზე. ეს ცვლილებები, გრანტების შესახებ კანონში ცვლილებებთან ერთად, რომლებიც აწესებს აპრიორულ, *ex ante* ავტორიზაციის მოთხოვნას უცხოური დაფინანსებით მიღებულ თითოეულ გრანტზე, მკვეთრად ზღუდავს მედია საშუალებების წვდომას დაფინანსებაზე და ძირს უთხრის მედიის პლურალიზმს. გარდა ამისა, შესწორებულმა კანონმა მაუწყებლობის შესახებ კომუნიკაციების კომისიას (ComCom) მიანიჭა მეტი კონტროლის უფლება მაუწყებლობის კონტენტზე იმ ახლად შემოღებული მოთხოვნების ფონზე, რომლებიც ფაქტობრივ სიზუსტეს, სამართლიანობას და მიუკერძოებლობას შეეხება.

2025 წლის ივნისში პარლამენტმა მიიღო შესწორებები კანონში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ. ამ შესწორებებმა გააუქმა გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გარანტიები, კერძოდ, კვალიფიციური პრივილეგია, ცილისწამების მტკიცების ტვირთი მოსარჩელიდან მოპასუხეზე გადაიტანა და შეასუსტა კონფიდენციალური წყაროებისა და პროფესიული საიდუმლოების დაცვის სტანდარტი. 2025 წლის თებერვალში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი შესწორებების მიღებამ მნიშვნელოვნად შეამცირა მთავრობის წარმომადგენლების მიმართ

კრიტიკული მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა, რაც გამოხატვის თავისუფლებაში ლეგიტიმური ჩარევის სტანდარტებს ეწინააღმდეგება. 2024 წლის სექტემბერში ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ საკანონმდებლო პაკეტის მიღებამ შეზღუდა გამოხატვის თავისუფლება ლგბტქ თემთან დაკავშირებულ კონტენტზე, რადგან ის კრძალავს ლგბტქ თემის იდენტობის ხელშეწყობისკენ მიმართული ინფორმაციის გავრცელებას.

კანონმდებლობის განხორციელება/ინსტიტუტები

უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონს კვლავაც აქვს შემაფერხებელი ეფექტი მედიაზე, რაც ახდენს უცხოური დაფინანსების მიმღები საშუალებების სტიგმატიზაციას.

შემფოთებას იწვევს კომუნიკაციების კომისიის ეფექტური დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, ვინაიდან ის პასუხისმგებელია ლიცენზირებასა და სამაუწყებლო მედიის ზედამხედველობაზე. კომუნიკაციების კომისიას აკრიტიკებენ კანონების შერჩევითი და თვითნებური ინტერპრეტაციის გამო, რადგან ეს მედია საშუალებებს კანონების მოთხოვნების შესრულებას ურთულებდა. 2025 წლის ივნისში მმართველმა პარტიამ კომუნიკაციების კომისიაში შეიტანა საჩივარი ოპოზიციურად განწყობილი ტელეარხების - ფორმულას, მთავარის და ტვ-პირველის წინააღმდეგ, რომლითაც ისინი გაშუქების სტანდარტების დარღვევაში დაადანაშაულა. 2025 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით კომუნიკაციების კომისიამ აღიარა სამი მაუწყებლის მიერ „სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის“ დებულების დარღვევა, მაგრამ გაათავისუფლა ისინი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან. რუსული სტილის დეზინფორმაცია, რომელიც ძირითადად ევროკავშირისა და ევროკავშირის ელჩის წინააღმდეგაა მიმართული, ძალიან ხშირად შუქდება ტელევიზიით და სხვადასხვა მედია საშუალებებით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში აპრილში შეტანილმა შესწორებებმა შექმნა იმის იურიდიული საფუძველი, რომ მმართველ პარტიას შინაგან საქმეთა სამინისტროში აქტივისტების, ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების წინააღმდეგ საჩივრები შეეტანა. ამ საჩივრების საფუძველზე, სასამართლოებმა საქმეების უმრავლესობაში ყველაზე მაღალი შესაძლო ჯარიმები (4000 ლარი) გამოიყენეს. გარდა ამისა, იყო ადმინისტრაციული დაკავების ორი შემთხვევა.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს არ გააჩნია დამოუკიდებლობა, აქვს მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკა და ხელს უწყობს ევროკავშირის საწინააღმდეგო რიტორიკის პოპულარიზაციას. 2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე მან არაპროპორციულად გაანაწილა საეთერო დრო, კერძოდ, საარჩევნო კამპანიის გასაშუქებლად საეთერო დროის უმეტესი ნაწილი (61%) „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. 2025 წლის აპრილში „ქართული ოცნების“ ყოფილი მაღალი თანამდებობის პოლიტიკოსი ხელახლა აირჩიეს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ; ამ პოსტზე სხვა კანდიდატი წარდგენილი არ ყოფილა. სამეთვალყურეო საბჭოს და მენეჯმენტის წინააღმდეგ შეტანილი იქნა საჩივრები საზოგადოებრივი ინტერესების იგნორირების და მრავალფეროვანი შეხედულებების გაუთვალისწინებლობის გამო, რაც საპროტესტო აქციების გაშუქებაზე უარის თქმით იყო გამოხატული. რამდენიმე ჟურნალისტი სამსახურიდან გაათავისუფლეს, რადგან რაც მათ პროტესტი გამოთქვეს საზოგადოებრივი მაუწყებლის წინააღმდეგ, როდესაც ამ უკანასკნელმა ხელისუფლებისადმი კრიტიკული თოქ-შოუს დახურვის გადაწყვეტილება მიიღო.

ეკონომიკური ფაქტორები

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ პარტიებს ეკრძალებათ მედიის ფლობა, შემფოთება კვლავ არსებობს მსხვილი მედია ქსელების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან

დაკავშირებით, რადგან პოლიტიკური კუთვნილება გავლენას ახდენს მედიის მფლობელობაზე. სარეკლამო ბაზარი განუვითარებელია და ბევრი მედია საშუალება, განსაკუთრებით დამოუკიდებელი ონლაინ საშუალებები, კვლავ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დონორებისგან მიღებულ დაფინანსებაზე. შემცირებული მედია ბაზარი, მთავრობის შემზღუდავი პოლიტიკა და დონორების მხარდაჭერის მიღებასთან დაკავშირებული მზარდი რისკები კი სულ უფრო ართულებს მდგრადი დაფინანსების მოპოვებას.

ინტერნეტი

ზოგადად ინტერნეტის მიწოდება ხდება გაუმართლებელი შეზღუდვების გარეშე.

პროფესიული ორგანიზაციები და სამუშაო პირობები

ქართველი ჟურნალისტები და მედია საშუალებები წარმოდგენილია რამდენიმე წევრობაზე დაფუძნებული პროფესიული ასოციაციითა და ორგანიზაციით. მთავრობასა და მედიის პროფესიულ ორგანოებს შორის დიალოგი არ წარმოებს. ხშირია საკადრო შემცირებები და დაგვიანებები ხელფასების გადახდისას. რედაქციებში, განსაკუთრებით რეგიონულ მედიაში, მაღალია პერსონალის დენადობა.

შეკრებისა და გაერთიანებების თავისუფლება

საქართველო არ იძლევა შეკრებებისა და გაერთიანების თავისუფლების საკმარის სამართლებრივ გარანტიებს, ხოლო შეკრებების რეგულირება შემზღუდველია. 2024 წლის დეკემბერში, 2025 წლის თებერვალში და 2025 წლის ოქტომბერში პარლამენტმა მიიღო არაერთი შესწორება შეკრების უფლების მარეგულირებელ კანონებში, მათ შორის შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და სისხლის სამართლის კოდექსში. ეს შესწორებები აწესებს თვითნებურ შეზღუდვებს დემონსტრანტებისთვის, აფართოებს სამართალდამცავი ორგანოების უფლებამოსილებებს და აფართოებს ადმინისტრაციული დაკავების, ჩხრეკისა და ჩამორთმევის, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლებს. ეს ცვლილებები მნიშვნელოვნად და არაპროპორციულად ზრდის სასჯელებს, მათ შორის ადმინისტრაციულ დაკავებას და თავისუფლების აღკვეთას შეკრების თავისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებული დარღვევებისთვის და აწესებს არაგონივრულად მკაცრ პასუხისმგებლობას ახალი დარღვევებისთვის.

საანგარიშო პერიოდში მშვიდობიან საპროტესტო შეკრებებს მოჰყვა ძალის არაპროპორციული, კანონსაწინააღმდეგო და გადამეტებული გამოყენება. ფიზიკური ძალადობის გარდა, სამართალდამცავმა ძალებმა არაპროპორციულად გამოიყენეს მასობრივი არეულობების აღკვეთის ზომები, როგორცაა წყლის ჭავლი, ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები. სახალხო დამცველის აპარატმა განაცხადა პროტესტის მონაწილეთა უფლებების დარღვევის, მათ შორის მათი თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების აღკვეთის, ასევე წამებისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის შესახებ. დააკავეს რამდენიმე ასეული მომიტინგე. 60-ზე მეტი ადამიანის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ფართოდ იყო გავრცელებული თვითნებური ადმინისტრაციული ჯარიმების გამოყენება.

გაერთიანების თავისუფლება სერიოზულად შეიზღუდა მრავალი შემზღუდავი კანონისა და შესწორების შემოღებით, რომლებიც გახდა განსხვავებული აზრის ჩახშობის ინსტრუმენტი. ახალი კანონმდებლობის კუმულაციური ეფექტი, ფართოდ გავრცელებულ დეზინფორმაციასთან, სტიგმატიზაციასთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფინანსურ რესურსებზე თავდასხმასთან ერთად, საფრთხეს უქმნის გაერთიანების თავისუფლებას.

შრომით და პროფესიული კავშირები განხილულია თავში 19 – სოციალური პოლიტიკა და

დასაქმება.

საკუთრების უფლება

საკუთრების უფლების საკანონმდებლო გარანტიები უზრუნველყოფილია. მიწის პირველადი რეგისტრაციის პროცესი საკადასტრო სისტემის საშუალებით ჯერ არ დასრულებულა.

არადისკრიმინაცია

არადისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის და სიძულვილის ენის შესახებ სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო არასრულყოფილია, ხოლო თანასწორობის დაცვის ორგანოების შესაძლებლობები - არასაკმარისი. ეს სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო სრულად უნდა იყოს შესაბამისობაში ევროკავშირის კანონთა კრებულთან (EU *acquis*), მათ შორის *inter alia* რასობრივი თანასწორობის დირექტივასთან (დირექტივა 2000/78/EC) და თანასწორობის დაცვის ორგანოების სტანდარტების შესახებ დირექტივებთან (დირექტივა (EU) 2024/1499, და დირექტივასთან (EU) 2024/1500). სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის და სიძულვილის ენის შესახებ

კანონმდებლობა არ შეესაბამება ევროკავშირის კანონთა კრებულს და ევროპულ სტანდარტებს. აუცილებელია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის უკეთ აღსრულება და უფრო ხელშესახები ქმედებები დაუცველ მდგომარეობაში მყოფი პირების პირობების გასაუმჯობესებლად.


სიძულვილით მოტივირებული

დანაშაულები, მათ შორის პოლიტიკოსების მხრიდან, საყოველთაო ხასიათს ატარებს და ძირითადად რეაგირების გარეშე რჩება. არ ხდება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევების გამოძიება და დამნაშავეთა ეფექტურად დასჯა.

გენდერული თანასწორობა


გენდერული თანასწორობისა და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო არასრულყოფილია, ხოლო მისი აღსრულება - არაჯეროვანი.

გრაფიკი 13.2: საქართველო-ქალთა მიმართ ძალადობა - არ არის ხელმისაწვდომი საქართველოს სახალხო დამცველი



ისინი ჩანაცვლეს ტერმინით „ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა“. გენდერულ საკითხთა კოორდინატორები ქალთა უფლებების კოორდინატორებით ჩანაცვლდა. ეს

გრაფიკი 13.1: საქართველო - ქალთა მიმართ ძალადობა (ოჯახში და სექსუალური ძალადობის ჩათვლით)



ბოლოდროინდელი მოვლენები გენდერულ თანასწორობასა და სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში უკუსვლას წარმოადგენს. 2025 წლის აპრილში პარლამენტმა მიიღო შესწორებები, რომლითაც საქართველოს ყველა კანონმდებლობიდან ამოიღეს ტერმინები „გენდერი“ და „გენდერული თანასწორობა“, და

ცვლილება მნიშვნელოვან გადახვევას წარმოადგენს წინა ძალისხმევიდან, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს სამართლებრივი ბაზის შესაბამისობაში მოყვანას ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან და გენდერული თანასწორობის საკითხებში ევროკავშირის კანონთა კრებულთან. ადამიანის უფლებადამცველი ადგილობრივი ორგანიზაციები იტყობინებოდნენ სამართალდამცავი ორგანოების ოფიციალური წარმომადგენლებისგან მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფის, სექსუალური შევიწროვების და გაუპატიურების ან მოკვლის მუქარების შესახებ, რომლებიც დემონსტრაციებში მონაწილე ქალების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმების ვადა ამოიწურა. სტამბოლის კონვენციასთან შესაბამისობისა და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფის (GREVIO) 2022 წლის რეკომენდაციების შესრულების კუთხით რეგრესი აღინიშნა.

2024 წელს პროკურატურამ ფემიციდის 16 და ფემიციდის მცდელობის 13 შემთხვევა აღრიცხა. გენდერული ნიშნით ძალადობის სხვადასხვა ფორმა იყო აღრიცხული საპროტესტო აქციების მონაწილეთა მიმართ.

საქართველოში პროგრესის არარსებობა აღინიშნა მუნიციპალიტეტების წახალისების კუთხით იმისათვის, რომ მათ ხელი მოეწერათ ქალთა და კაცთა თანასწორობის ევროპულ ქარტიაზე და გაეტარებინათ ის ცხოვრებაში ადგილობრივ დონეზე. საკანონმდებლო შესწორებებით, რომელთა მიხედვით ეროვნული სამართლებრივი ბაზიდან ამოღებული იქნა სიტყვები „გენდერი“ და „გენდერული თანასწორობა“, დამატებითი ბარიერები შეიქმნა ქარტიის მისაღებად ადგილობრივ დონეზე.

ბავშვთა უფლებები

სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო ბავშვთა უფლებების შესახებ არსებობს, თუმცა მისი განხორციელება და აღსრულება გაუმჯობესებას საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა უფლებების დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო ჯერ კიდევ 2019 წელს შეიქმნა, მისი მუშაობა ჯერ დაწყებული არ არის. ბავშვთა უფლებების კოდექსის განხორციელება კვლავ გამოწვევად რჩება. ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების რეფორმის განხორციელება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსისა და ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისად ჯერ არ არის დასრულებული.

ბავშვთა უფლებების დაცვის ძალისხმევა ასევე უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის კანონთა კრებულს და ეფუძნებოდეს ევროკომისიის ძირითად რეკომენდაციებს, კერძოდ, ბავშვთა დაცვის ინტეგრირებულ სისტემებთან დაკავშირებით, ვინაიდან ბავშვთა დაცვის ინტეგრირებული სისტემის მიმართულებით კვლავ პროგრესის არარსებობა აღინიშნება. ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ ყოვლისმომცველი მონაცემები არ არსებობს, რაც ართულებს პრობლემის მასშტაბის შეფასებას. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მონაცემებით 2024 წელს ბავშვთა მიმართ ძალადობის 2 055 შემთხვევა აღირიცხა, 2023 წელს კი 1 564.

კვლავ გამოწვევად რჩება ბავშვთა ასაკში ქორწინების აღმოფხვრა. არაჯეროვანი საკანონმდებლო რეგულირების გამო მშობელთა მიერ ინიცირებული ბავშვთა ქორწინების შემთხვევები ხშირად სტატისტიკაში არ აღირიცხება და რჩება სათანადო რეაგირების გარეშე. 2024 წლის ოფიციალური მონაცემებით საქართველოში 427 არასრულწლოვანი ორსული გოგონა და 365 მშობელი ბავშვი იყო აღრიცხული. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო ბავშვთა ქორწინებით მოტივირებული შესაძლო დანაშაულების 84 შემთხვევის გამოძიება და გასცა 74 შემთხვევითი ორდერი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

უფლებების შესახებ შემდგომ შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ევროკავშირის კანონთა კრებულთან და მისი განხორციელება და აღსრულება უნდა გაუმჯობესდეს. საქართველომ მოახდინა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (CRPD) და მისი ფაკულტატიური ოქმის რატიფიკაცია, თუმცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები კვლავ აწყდებიან სისტემურ ბარიერებს საკუთარი უფლებებით სარგებლობის პროცესში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის საწინააღმდეგოდ, საქართველო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსის დასადგენად სამედიცინო მოდელს ეყრდნობა. ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვა მნიშვნელოვან შეფერხებებს აწყდება, რაც შემოფოთებას იწვევს ახალი სისტემის დროულ შემოღებასთან დაკავშირებით. 2024 წლის ბოლოს დიდი დაწესებულების დახურვა მარტყოფში დეინსტიტუციონალიზაციის მიმართულებით პროგრესზე მიუთითებს, თუმცა სრულად და ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად დამატებითი ძალისხმევაა საჭირო. სახალხო დამცველის 2024 წლის ანგარიშში ხაზგასმულია ის ხარვეზები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფაში არსებობს.

ლგბტიქ პირები

ლგბტიქ პირების უფლებების სამართლებრივი დაცვა უმეტესწილად არასრულყოფილია, ხოლო თავად ლგბტიქ პირების წინააღმდეგ ხორციელდება სერიოზულ დისკრიმინაცია, შეუწყნარებლობა და სისტემური ძალადობა. გრძელდებოდა ჰომოფობიური და ტრანსფობიური რიტორიკა, მათ შორის მაღალი თანამდებობის პირების მიერ წაქეზებული და გაძლიერებული განცხადებები.

2024 წლის სექტემბერში საკანონმდებლო პაკეტის მიღებამ ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, გარდა იმ ძალზე უარყოფითი სამართლებრივი შედეგებისა, რომლებიც ლგბტიქ პირებისთვის ამ კანონის მიღებას მოჰყვა, გააძლიერა მტრული გარემო საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ფენებისათვის და სტიგმატიზაცია და დისკრიმინაცია წაახალისა. კანონის დებულებები, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს არაპეტეროსექსუალი პირებისთვის ბავშვების შვილად აყვანის აკრძალვის დამკვიდრებას, ლგბტიქ პირებისთვის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში სქესის ნიშნის შეცვლის აკრძალვას და საჯარო შეკრებებისა და ინფორმაციის გავრცელების აკრძალვას ლგბტიქ იდენტობის პოპულარიზაციის მიზნით საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და მედიაში. ვენეციის კომისია ამ კანონმდებლობას შესაბამის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუთავსებლად მიიჩნევს. მისმა მიღებამ ხელი შეუწყო სიძულვილით მოტივირებული დამნაშავეობის ზრდას და ბარიერების გაძლიერებას ლგბტიქ პირებისთვის ჯანდაცვის, განათლებისა და დასაქმების უფლებებით სარგებლობისას.

ხელისუფლება არა მხოლოდ არ აღიარებს ლგბტიქ პირების მიმართ არსებულ დისკრიმინაციის სისტემურ ხასიათს და ვერ აგვარებს მას, არამედ პირიქით, აძლიერებს დისკრიმინაციას, შეუწყნარებლობას და სისტემურ ძალადობას. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და მისი 2024-26 წლების სამოქმედო გეგმა ლგბტიქ თემის წარმომადგენელთა უფლებებს არ ითვალისწინებს. საქართველო სისტემატურად არ ასრულებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, მათ შორის საქმეში ა. დ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ. კვლავაც დაუსჯელები არიან იმ ძალადობის წამქეზებლები და ორგანიზატორები, რომელიც განხორციელდა ლგბტიქ პირების წინააღმდეგ, მათ შორის თბილისი-პრაიდზე 2021 და 2023 წლებში.

პროცედურული უფლებები და დაზარალებულთა უფლებები

პროცედურულ უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზა არასრულია, ხოლო ამ ბაზაში დაზარალებულთა უფლებების დაცვა - არასრულყოფილი. გამუდმებით ხდება სამართლიანი სასამართლო უფლების დარღვევა. სახალხო დამცველის ოფისის ყოველწლიურ

ანგარიშში ასახულია გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევები მხოლოდ პოლიციის ჩვენებებზე დაყრდნობით, ადვოკატისთვის საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობაზე უარის თქმა, დაცვის მხარისთვის საქმის მასალების კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების დაკისრება კონკრეტული დასაბუთების ან ფარგლების გარეშე, და ექსპერტიზის დაგვიანებით ჩატარების შემთხვევები. გარდა ამისა, აღინიშნა სამართლიანი სასამართლოს სტანდარტების და სათანადო პროცედურული გარანტიების დარღვევის შემთხვევები მასობრივი საპროტესტო აქციების დროს დაკავებული პირების სასამართლო პროცესებზე. 2024 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევები დაადგინა ექვს საქმეში საქართველოს წინააღმდეგ. ეს ძირითადად ეხებოდა შეფერხებებს სამართალწარმოებაში, ხოლო ორ შემთხვევაში - მოსამართლეთა აცილების საკითხს.

ეროვნული უმცირესობების დაცვა

ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა დაცვის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო არასრულყოფილია, თავად ეს პირები კი სერიოზულ დისკრიმინაციას განიცდიან. ეთნიკურ უმცირესობებს კვლავაც უჭირთ ხარისხიან განათლებასა და საჯარო მომსახურებაზე წვდომა, სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობა და საჯარო სამსახურში დასაქმება. გამუდმებით არსებობს ენობრივი და საინფორმაციო ბარიერები, რაც განსაკუთრებით პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობაზე ახდენს გავლენას. მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობები მოსახლეობის 13%-ს შეადგენენ, 2024 წლის არჩევნებში უმცირესობათა თემებს კანდიდატთა მხოლოდ 5% მიეკუთვნება. რეგულარული საკონსულტაციო ორგანოების დეფიციტი როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე ზღუდავს ეროვნული უმცირესობების პოლიტიკურ წარმომადგენლობას. რჩება მნიშვნელოვანი ხარვეზები სტრატეგიულ ჩარჩოში, მათ შორის ადამიანის უფლებების დაცვის 2022-2030 წლების ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიაში. მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები საფრთხეს უქმნის უმცირესობათა ენებზე მომუშავე მედიის წვდომას დაფინანსებაზე.

ბოშები

არ არსებობს კონკრეტული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ბოშა ხალხის უფლებებს უზრუნველყოფს. ბოშათა თემები კვლავაც განიცდიან დისკრიმინაციას, მათ შორის საცხოვრებელზე, განათლებასა და სხვა სახელმწიფო სერვისებზე წვდომის კუთხით.²

მოქალაქეობის უფლება

საქართველოს მოქალაქეობის მიღება შესაძლებელია დაბადებით, ნატურალიზაციით, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, მოქალაქეობის აღდგენით, შვილად აყვანით ან მოქალაქეობის მემკვიდრეობით მიღებით. საქართველო, როგორც წესი, არ იძლევა ორმაგ მოქალაქეობას, თუმცა პრეზიდენტს შეუძლია გასცეს ორმაგი მოქალაქეობის შენარჩუნების ნებართვა განსაკუთრებულ შემთხვევებში. მოქალაქეობის მიღებაზე განაცხადებს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (SSDA) განიხილავს. საქართველო ამჟამად არ სთავაზობს ფორმალური, გარანტირებული მოქალაქეობის ინვესტიციით მიღების ან „ოქროს პასპორტის“ პროგრამას, თუმცა, ქვეყანა საშუალებას აძლევს უცხოელებს მიიღონ დროებითი ან მუდმივი ბინადრობის ნებართვა ინვესტიციების გზით. 2024 წელს 3 587 პირს, ძირითადად რუსეთიდან (2 361), გერმანიიდან (251) და უკრაინიდან (175), მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა, რაც 476-ით მეტია 2023 წელთან შედარებით, ხოლო 1 592-მა მოქალაქეობა დაკარგა ძირითადად

² ევროპული ინსტიტუტების ტერმინოლოგიის შესაბამისად, ქოლგა-ტერმინი “ბოშა” ამ დოკუმენტში გამოიყენება რიგ განსხვავებულ ჯგუფებთან მიმართებით, ამ ჯგუფების სპეციფიკური მახასიათებლების უარყოფის გარეშე.

რუსეთის მოქალაქეობის მიღების გამო (802 შემთხვევა).

2.2.2 თავი 24: სამართალი, თავისუფლება და უსაფრთხოება

ევროკავშირის აქვს საერთო წესები საზღვრის და მიგრაციის მართვის, სავიზო პოლიტიკისა და თავშესაფრის საკითხებში. შენგენის თანამშრომლობა გულისხმობს სასაზღვრო კონტროლის გაუქმებას ევროკავშირის შიგნით. არსებობს ასევე თანამშრომლობა სერიოზული და ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე სასამართლო, საპოლიციო და საბაჟო თანამშრომლობა, ყველაფერი - ევროკავშირის იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სააგენტოების მხარდაჭერით.

სერიოზული და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

სერიოზული და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის კანონთა კრებულს. სერიოზული და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პოტენციალი გაზრდას საჭიროებს.

სამართლებრივი თანხვედრა, სტრატეგიული და ინსტიტუციური ჩარჩო

შემდგომი ჰარმონიზაცია საჭირო ადამიანების ტრეფიკინგის და მიგრანტების უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლის, კრიმინალური აქტივების კონფისკაციის, კომუნიკაციების მოსმენების შესახებ კანონმდებლობისა და ფინანსური დანაშაულისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის სფეროებში.

სისხლისსამართლებრივი დევნისა და საგამომიებო ორგანოებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის საკითხი ჯერაც გადაუჭრელია.

სამართალდამცავ ორგანოებში ადამიანური რესურსების მართვა და პროფესიული განვითარება უნდა გაძლიერდეს გამჭვირვალე, პროფესიული და დამსახურებაზე დაფუძნებული კრიტერიუმების შესაბამისად. 2024 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა კანონმდებლობა პოლიციის თანამშრომლების დაქირავების სტანდარტების დადაბლების მიზნით. პოლიციაში ქალი პოლიციელების პროცენტული მაჩვენებელი 14.7%-მდე შემცირდა. სამართალდამცავ ორგანოებში გენდერული ბალანსის უკეთ უზრუნველყოფისთვის დამატებითი ძალისხმევა საჭირო.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2025-2028 წლების სტრატეგიის ფარგლებში, რომელიც ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ 2025 წლის აგვისტოში დაამტკიცა, საქართველომ დამატებით უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს სერიოზული და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ყოვლისმომცველი და დაზვერვაზე დაფუძნებული მიდგომა, მაღალი რისკის კრიმინალური ქსელების შესახებ უკეთესი სადაზვერვო სურათის შექმნით და საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის მხარდაჭერით, ევროკავშირის 2025 წლის მარტის სერიოზული და ორგანიზებული დანაშაულის საფრთხის შეფასების შესაბამისად. საქართველოს 2021 წლის შეფასების განახლება არ ჩაუტარებია.

საჭიროა ევროპული სტანდარტების შესაბამისი ეფექტური და სპეციალიზებული აქტივების აღდგენის ოფისის და აქტივების მართვის ოფისის შექმნა. გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების და იურიდიული დეპარტამენტი ახორციელებს აქტივების აღდგენის ოფისებთან თანამშრომლობის მენეჯმენტს.

საქართველომ ნორმის სახით უნდა დააწესოს გაფართოებული კონფისკაციის და ექვივალენტური ღირებულების კონფისკაციის გამოყენება ყველა იმ საქმეში, რომელიც ეხება შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ სერიოზულ დანაშაულებს და ტერორიზმის დაფინანსებას.

2025 წლის ივლისში შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შეიქმნა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება.


ბავშვებზე ონლაინ სექსუალური ძალადობის კუთხით, საქართველოს ჯერ არ შეუმუშავებია ეროვნული სამოქმედო გეგმა ციფრულ სივრცეში ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ლანსაროტეს კონვენციის შესაბამისად.

საჭიროა ადამიანების ტრეფიკინგთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემდგომ შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის დირექტივასთან 2011/26/EU, რომელიც ეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებას და მის წინააღმდეგ ბრძოლას და დაზარალებულთა დაცვას.

მთლიანობაში სისხლის სამართლებრივი გამოძიებათა რაოდენობა შემცირდა. ორგანიზებული დანაშაულის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამამტყუნებელი განაჩენების რაოდენობა გაიზარდა, მაგრამ მძიმე დანაშაულის საქმეებზე შემცირდა. უნდა გაძლიერდეს საქონლისა და აკრძალული ნივთიერებების კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის ძალისხმევა.


აღინიშნა პროგრესის არარსებობა სამართალდამცავი ორგანოების მიერ დამოუკიდებელი გამოძიებების ჩატარების შესაძლებლობების გაზრდის კუთხით, პროკურატურის წინასწარი ნებართვის გარეშე, საწყისი საგამოძიებო ნაბიჯებისთვის. პროკურორებმა და გამომძიებლებმა

განხორციელების და აღსრულების პოტენციალი უკეთ უნდა ითანამშრომლონ ოპერატიულ დონეზე.



დაზვერვაზე დაფუძნებული საპოლიციო პრაქტიკის ეფექტური განხორციელება კვლავ შეზღუდულია, ვინაიდან არ არსებობს ტექნიკური ინფრასტრუქტურა ანალიტიკური პრაქტიკის მხარდასაჭერად და სახეზეა ინსტიტუციური ბარიერები, რომლებიც ზღუდავს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკას. ეს ასევე უარყოფითად მოქმედებს ადამიანებით ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელებაზე.

გაგრძელდა ძალისხმევა საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის კონცეფციის გასამყარებლად, რაც ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაზე გრძელვადიანი რეაგირების



განუყოფელი ნაწილია. შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შსს) შექმნა სამუშაო ჯგუფი საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის (COP) კონცეფციის შესამუშავებლად, რომელსაც დაევა COP 2024-2027 სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი მისი მიღების შემდეგ 2024 წლის ივლისში. COP-ის მცდელობებს მნიშვნელოვნად აფერხებს ის ფაქტი, რომ 2024 წლის 28 ნოემბრიდან დაწყებული რეპრესიული ქმედებებისა და მშვიდობიანი მომიტინგეების სასტიკი დარბევისთვის სამართალდამცავი ორგანოების პასუხისმგებლობა არ დამდგარა.

დანაშაულის ადგილის სასამართლო ექსპერტიზის სფეროში მიღწეული იქნა პროგრესი, რაც განაპირობა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასამართლო-კრიმინალისტიკის განყოფილების საერთაშორისო ISO აკრედიტაციამ და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დნმ-ის მონაცემთა ბაზის შექმნამ.

სამართალდამცავი ორგანოები (პოლიციის გამომძიებლები და პროკურორები) იყენებენ „ორმაგი რელსის“ მეთოდს, რაც სისხლის სამართლის და ფინანსური გამოძიებების პარალელურად ჩატარებას გულისხმობს.

ჩამორთმეული და რეკვიზირებული აქტივების ოდენობა, განსაკუთრებით ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა. რეკვიზირებული აქტივების მოცულობა კვლავ დაბალია, კერძოდ ის დაახლოებით 14.3 მილიონ ევროს შეადგენს. 2024 წელს შემცირდა ფულის გათეთრების დანაშაულებთან დაკავშირებული რეგისტრირებული გამოძიებების რაოდენობა, ხოლო გახსნილი საქმეების რაოდენობა დარჩა დაბალ დონეზე. **ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების** სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა კარგად მიმდინარეობს. საქართველომ უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობაში ნარკოტიკებით ვაჭრობის და მაღალი რისკის ორგანიზებული დანაშაულებრივი ქსელების წინააღმდეგ. უსაფრთხო ინფორმაციის გაცვლის ქსელის აპლიკაციის (SIENA) მეშვეობით შსს-ს მიერ ევროპოლის წევრებთან და პარტნიორ ქვეყნებთან გაცვლილი ოპერატიული ინფორმაციის მოცულობა 2023 წლის შემდეგ გაიზარდა: 2025 წლის იანვრიდან ივნისამდე მოხდა 800 ერთეული ოპერატიული ინფორმაციის გაცვლა, ხოლო 2024 წელს - 1 400 ერთეულის. ამავდროულად, საქართველო უფრო აქტიურად მონაწილეობს ევროპოლის ანალიტიკურ პროექტებში.

შსს-მ განაგრძო თანამშრომლობა ინტერპოლთან და საქართველო აქტიურად იყო ჩართული შვიდ სამუშაო ჯგუფში. საქართველომ განაგრძო თანამშრომლობა ევროკავშირის სამართალდამცავი ორგანოების სწავლების სააგენტოსთან (CEPOL) - ძირითადად აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონული პროექტის „TOPCOP“ (ტრენინგი და ოპერატიული პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ) საშუალებით.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პარტნიორ ქვეყნებში (მათ შორის ევროკავშირის 12 წევრ


სახელმწიფოში) გაგზავნა 19 პოლიციელი, რამაც სულ 38 ქვეყანა მოიცვა (ევროკავშირის/შენგენის 26 ქვეყნის ჩათვლით).

საქართველო უფრო აქტიურად ჩაერთო სისხლის სამართლის საფრთხეების წინააღმდეგ ევროპული მულტიდისციპლინური პლატფორმის (EMPACT) მუშაობაში. 2024-2025 წლებში შინაგან საქმეთა სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო 10 ოპერატიულ სამოქმედო გეგმაში (ერთში მათგანში როგორც თანალიდერმა) და 136 ოპერატიულ მოქმედებაში.

საქართველომ უნდა გააძლიეროს კიბერდანაშაულთან ბრძოლის პოტენციალი, კერძოდ, სააგენტოების კიბერდანაშაულთან (მათ შორის ინტერნეტის ჩრდილოვან სეგმენტთან/ზნელ ქსელთან დაკავშირებულ კიბერდანაშაულთან) ბრძოლაში მონაწილე თანამშრომელთა შემდგომი გადამზადებით. 2024 წელს კიბერდანაშაულის უფრო ნაკლები შემთხვევა (317) გაიხსნა 2023 წელთან (505) შედარებით, და ამასთანავე, დარეგისტრირდა უფრო ნაკლები შემთხვევა (2024 წელს - 749, შედარებით 2023 წლის 999-თან).

2024 წელს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტებზე სასამართლოში განხილული საქმეების და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევების რაოდენობა 2024 წელს შემცირდა, კერძოდ განხილული იქნა 143 საქმე (2023 წელს - 191) და გამოტანილი იქნა 94 გამამტყუნებელი განაჩენი (2023 წელს - 114). ეროვნული კანონმდებლობა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის თაობაზე უმეტესწილად ჯერაც არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, ხოლო ინსტიტუციური პოტენციალი ამ სფეროში გაძლიერებას მოითხოვს.

გრაფიკი 14: საქართველო - ადამიანის ტრეფიკინგის მსხვერპლთა აღიარება სასამართლოების მიერ



წყარო: მონაცემები ეროვნულ დონეზე ორგანიზებული დანაშაულის და კორუფციის რეგისტრირებული შედეგებიდან (OCCTR) n/a= არ შეესაბამება (OCCTR) ელ-პლატფორმა

ადამიანების ტრეფიკინგის კუთხით, კვლავ სახეზეა ხარვეზები დაცვის ღონისძიებების, პროაქტიური გამოძიებების და დაზვერვაზე დამყარებული საპოლიციო ქმედებების განხორციელებაში. საქართველომ მომავალშიც უნდა გააუმჯობესოს სისხლის სამართლებრივი გამოძიების ეფექტიანობა და გააძლიეროს უწყებებს შორის თანამშრომლობა ეფექტური გამოძიების სფეროში. 2024 წელს აღიარებული იქნა 19 სტატუტური მსხვერპლი.

რაც შეეხება **იარაღის კონტროლს**, 2024 წელს რეგისტრირებული იყო 797 დანაშაული (2023 წელს - 1 003), რომელთაგან 688 გახსნილია.

მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი რეაგირება ფემიციდის შემთხვევებზე გაიზარდა, ჯერ კიდევ სახეზეა ხარვეზები გამოძიების, სისხლის სამართლებრივი დევნის და სასამართლო კონტროლის კუთხით. საქმეების სათანადო სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაცია კვლავ გამოწვევად რჩება, რასაც ადასტურებს ბრალდება ნაკლებად მძიმე დანაშაულში, როდესაც სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები უფრო მძიმე დანაშაულზე მიუთითებს.

თანამშრომლობა ნარკოტიკებთან ბრძოლის სფეროში

ნარკოტიკებთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის სამართლებრივი ჩარჩო დახვეწას მოითხოვს.


სამართლებრივი თანხვედრა, სტრატეგიული და ინსტიტუციური ჩარჩო

2023-2030 წლების ნარკოტიკებთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგია და 2022-2026 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა უმეტესწილად შეესაბამება ევროკავშირის ნარკოტიკებთან ბრძოლის 2021-2025 წლების სტრატეგიას. 2025 წლის აპრილსა და ივნისში მიღებული შესწორებები ამკაცრებს ნარკოტიკების მოხმარებისა და უკანონო ვაჭრობისთვის დაწესებულ სასჯელებს, მათ შორის მინიმალური განაჩენებისა და სასჯელების წესებს ნარკოტიკებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის დანაშაულისთვის.


ნარკომანიის პრევენციის ეროვნულ ცენტრსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობა მკვეთრად შეზღუდულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ რეპრესიული კანონმდებლობის პირობებში. მეტად უნდა გაძლიერდეს ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ ადრეული გაფრთხილების ეროვნული სისტემა, განსაკუთრებით ინფორმაციის გაცვლის კუთხით.

განხორციელების და აღსრულების პოტენციალი

საქართველო კვლავ რჩება ტრანზიტულ ქვეყნად კავკასიის ნარკომარშრუტზე, რომელიც სულ უფრო მეტად გამოიყენება ჰეროინის ირანიდან და ავღანეთიდან თურქეთში, შემდეგ კი ევროკავშირში კონტრაბანდისთვის. 2024 წელს შემცირდა ნარკოტიკების წარმოებასთან და ტრეფიკინგთან დაკავშირებული საქმეების გამოძიებებისა და საბოლოო განაჩენების რაოდენობა. 2024 წელს ამოღებული და განადგურებული ნარკოტიკების რაოდენობა გაიზარდა.



გრაფიკი 15.2: საქართველო - ნარკოტიკები - ჩამორთმეული და განადგურებული ნარკოტიკების მოცულობა კგ-ში



არ/არის: არ არის წყარო: ეროვნულ მონაცემთა მცვრელი ორგ. დანამუშავების და კორექტივის რეგისტრ. შედეგების სამუშაოებით (OCCT)ელ-პლატფორმა

საჭიროა აღსრულებისა და ინსტიტუციური პოტენციალის გაძლიერება, ასევე საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის გაუმჯობესება ნარკოტიკებით ვაჭრობის პრევენციის საკითხებში.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და რადიკალიზაციის და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია

ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მეტწილად დამაკმაყოფილებელია.

სამართლებრივი თანხვედრა, სტრატეგიული და ინსტიტუციური ჩარჩო

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის და ძალადობრივი ექსტრემიზმის აღმოფხვრის სამართლებრივი ბაზა მეტწილად ევროკავშირის კანონთა კრებულს შესაბამეა. კიბერუსაფრთხოების სფეროში კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის სამართლებრივი ჩარჩო ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის კანონთა კრებულს. კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვისა და კრიტიკული ობიექტების მდგრადობის შესახებ სამართლებრივი ჩარჩო უნდა შეესაბამებოდეს კრიტიკული ობიექტების მდგრადობის შესახებ დირექტივას, ასევე ონლაინ ტერორისტული კონტენტის რეგულაციას.

განხორციელების და აღსრულების პოტენციალი

2022-2026 წლების საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის განხორციელებას და მონიტორინგს აწარმოებს მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისია.

ტერორისტული საფრთხის დონე რჩება დაბალი და საანგარიშო პერიოდში ინციდენტები არ მომხდარა. მთავრობამ მიიღო პრევენციული კონტრტერორისტული ზომები, რასაც მოჰყვა დაპატიმრებები და გამამტყუნებელი განაჩენები. საქართველო აგრძელებდა აქტიურ თანამშრომლობას კონტრტერორისტულ საქმიანობაში ევროპოლთან და ინტერპოლთან, და აგრძელებდა მონაწილეობას პრევენციულ კონტრტერორისტულ საქმიანობაში საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის ნატოსთან და გაეროსთან.


სასამართლო თანამშრომლობა სისხლის სამართლის, სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში

სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკითხებში სასამართლო თანამშრომლობა ზოგადად დამაკმაყოფილებელია. საქართველო ჯერ კიდევ არ არის მიერთებული ჰააგის კერძო საერთაშორისო სამართლის კონვენციის ორ ძირითად ინსტრუმენტთან: 2000 წლის ჰააგის კონვენციასთან ზრდასრულთა საერთაშორისო დაცვის შესახებ და 2019 წლის ჰააგის კონვენციასთან სამოქალაქო ან კომერციულ საკითხებში უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ.

2024 წელს გენერალური პროკურატურის პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფ სისხლის სამართლის

საქმეებში სამართლებრივი ურთიერთდახმარების საკითხებთან დაკავშირებული შემოსული და გასული მოთხოვნების რაოდენობა გაიზარდა. საქართველო ასევე მონაწილეობდა ევროპის საბჭოს მოლაპარაკებებში ახალი ინსტრუმენტის შესახებ, რომელიც იძლევა სასამართლო თანამშრომლობის გაძლიერების პირობას დანაშაულებრივი გზით მოპოვებული აქტივების ამოღების საკითხებში. 2024 წელს იუსტიციის სამინისტროს პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფ სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით შემოსული და გასული მოთხოვნების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის საკითხებში სასამართლო თანამშრომლობის მოთხოვნების შესრულება მნიშვნელოვან შეფერხებებს განიცდის.

გაგრძელდა თანამშრომლობა ევროჯასტთან - ევროკავშირის სააგენტოსთან სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის საკითხში. 2025 წელს საქართველომ მონაწილეობა მიიღო ევროჯასტის 88 ახალ საქმეში, მათ შორის ხუთ ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფში, რომლებსაც კოორდინაციას უწევდა ევროჯასტი (სამი - 2023 წელს); ეს საქმეები უკავშირდებოდა ფულის გათეთრებას, თაღლითობას და კიბერდანაშაულს, და მათი დიდი უმრავლესობა (59) გაიხსნა მეკავშირე პროკურორის მოთხოვნით. ევროპის პროკურატურამ (EPPO) და საქართველოს პროკურატურამ სამუშაო შეთანხმებას 2022 წლის სექტემბერში მოაწერეს ხელი, თუმცა 2024 წელს სამართლებრივი დახმარების სფეროში ურთიერთგაცვლის შესახებ არც ერთი მოთხოვნა არ იყო რეგისტრირებული (ერთი - 2023 წელს).



ლეგალური და არალეგალური მიგრაცია

ლეგალური და არალეგალური მიგრაციის მართვის სამართლებრივი ჩარჩო ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის კანონთა კრებულს. ლეგალური და არალეგალური მიგრაციის საჭიროებების მართვა გაუმჯობესებას მოითხოვს.

სამართლებრივი თანხვედრა, სტრატეგიული და ინსტიტუციური ჩარჩო

შრომითი მიგრაციის შესახებ კანონში საკანონმდებლო ცვლილებები 2025 წლის ივნისში იქნა მიღებული.

ხორციელდება მიგრაციის 2021-2030 წლების სტრატეგია და საზღვრის ინტეგრირებული მართვის 2023-2027 წლების სტრატეგია. 2025 წლის ყოველწლიური სამოქმედო გეგმა 2024 წლის დეკემბერში იქნა მიღებული, და ის ავსებს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიას. დასახული მიზნების მიღწევა, ისევე, როგორც მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და მტკიცებულებებზე დამყარებული პოლიტიკის შემუშავების გაუმჯობესება დამატებით ძალისხმევას მოითხოვს.

მიგრაციის და საზღვრის მართვის ინსტიტუციური ჩარჩო უწინდებურად კარგად არის განვითარებული. მიგრაციის პოლიტიკის კოორდინაციის ჩარჩო მთლიანობაში თანხვედრაშია ევექტიან საერთაშორისო პრაქტიკასთან, ხოლო მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია


საკუთარ როლს კვლავ ეფექტიანად ასრულებს. მიგრაციის მართვის ინსტიტუციური მოწყობა პოტენციალის გაძლიერებას და გაზრდილ საბიუჯეტო რესურსებს მოითხოვს.

საქართველოს რეადმისიის შეთანხმებები აქვს ევროკავშირთან და ორმხრივად - დანიასთან, დიდ ბრიტანეთთან, ისლანდიასთან, ნორვეგიასთან, შვეიცარიასთან, მონტენეგროსთან, მოლდოვასთან, ბელარუსთან, სომხეთთან და უკრაინასთან. გარდა ამისა, მას აქვს იმპლემენტაციის ოქმები ევროკავშირის 13 წევრ სახელმწიფოსთან.

განხორციელების და აღსრულების პოტენციალი

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში თავშესაფრის მაძიებელი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა 2024 წელს 40%-ით შემცირდა (14 765 განაცხადი). ამ მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად, თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობით საქართველო პირველ 30 ქვეყანას შორის რჩება, თუმცა აღიარების მაჩვენებელი უწინდებურად დაბალია. ჯანმრთელობით განპირობებული მიგრაციის მაჩვენებელი განაგრძობს ზრდას, ხოლო გარე მიგრაციის, მათ შორის არალეგალური მიგრაციის საერთო მაჩვენებლები რჩება მაღალი.

გრაფიკი 17: საქართველო - არალეგალური გადაადგილების რაოდენობა



არ არის: არ არის

წყარო: შსს

ევროკავშირთან რეადმისიის შეთანხმების განხორციელება ძალიან კარგად მიმდინარეობს. 2024 წელს ტერიტორიის დატოვების ბრძანების მიღების შემდეგ, 11 525 საქართველოს მოქალაქე ფაქტობრივად დაბრუნდა (2023 წელს - 10 195).

2024 წელს საქართველოდან დაბრუნებულთა საერთო რაოდენობის 75%-ს არ მიუღია რეინტეგრაციის რაიმე სახის

მხარდაჭერა ევროპის ქვეყნებიდან (2023 წელს - 88%). საქართველომ უნდა გაზარდოს დაბრუნების მხარდაჭერა და რეინტეგრაციის მეტი ფუნქცია და რესურსი გადასცეს ადგილობრივ თვითმმართველობას.

საქართველო სულ უფრო მეტად ხდება დანიშნულების ქვეყანა მიგრაციის მსურველთათვის. 2024 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გასცა 363 გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ, რომელშიც რაოდენობის მიხედვით პირველი სამი ქვეყანა იყო აზერბაიჯანი (71), ირანი (54) და ინდოეთი (33).

საქართველოში გაზრდილ მიგრაციულ ნაკადებთან დაკავშირებული მომსახურების პოტენციალი გაძლიერებას მოითხოვს. თბილისში მხოლოდ ერთი დროებითი განთავსების ცენტრია, რომელიც ძირითადად ფუნქციონირებს, როგორც მიგრაციის დაკავების ცენტრი და ერთდროულად იტევს 80-მდე ადამიანს. 2023 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 მარტამდე, დროებითი განთავსების ცენტრში 57 არასრულწლოვანი იყო მოთავსებული. სახალხო დამცველმა შეშფოთება გამოთქვა არასრულწლოვანთა დაკავებასთან დაკავშირებით, კერძოდ, მტკიცებებთან დაკავშირებით სავარაუდო წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შესახებ, რომლებიც ამჟამად გაუქმებულ სპეციალურ საგამომძიებო სამსახურს გადაეცა.

თავშესაფარი

საკანონმდებლო ჩარჩო თავშესაფრის მინიჭების თაობაზე ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის კანონთა კრებულს. თავშესაფრის მენეჯმენტი გაუმჯობესებას მოითხოვს.

სამართლებრივი თანხედრა, სტრატეგიული და ინსტიტუციური ჩარჩოები

2025 წლის ივნისში მიღებულ იქნა სამართლებრივი ცვლილებები თავშესაფრის სისტემაში, რომლებიც შედის 18 კანონისგან შემდგარ პაკეტში უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესახებ. ეს ცვლილებები ვერ უზრუნველყოფს მექანიზმს იძულებითი გაძევების შემთხვევების გამოვლინებისა და მოგვარებისთვის. განმცხადებლების საერთაშორისო დაცვის უფლება გარანტირებული უნდა იყოს პროცედურული დაცვის მექანიზმებით.

განხორციელების და აღსრულების პოტენციალი


2024 წელს საქართველოში თავშესაფარი მოითხოვა 1 641 პირმა (2023 წლის 1 052-თან შედარებით), მათგან უმეტესობა იყო თურქეთიდან (248), ირანიდან (226) და პაკისტანიდან (220). 2024 წელს ლტოლვილად აღიარების საერთო მაჩვენებელი ქენევის კონვენციის ლტოლვილებისთვის იყო 4%. უარი ეთქვა თავშესაფრის მოთხოვნის 1 418 განაცხადს, 11 პირს მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი, ხოლო 104-ს - ჰუმანიტარული სტატუსი. ამჟამად საქართველოში დაახლოებით 30 000 უკრაინის მოქალაქეა. 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ საქართველოში შემოსული უკრაინის მოქალაქეების უვიზოდ ყოფნის ვადა 2025 წლის მარტში ერთი წლით გახანგრძლივდა. თუმცა, უვიზოდ ყოფნის მაქსიმალური ხანგრძლივობა სამი წლიდან ერთ წლამდე შემცირდა. გადაწყვეტილებები თავშესაფართან დაკავშირებით საშუალოდ 11.7 თვის ვადაში გაიცემა.

სავიზო პოლიტიკა


საქართველო არ ასრულებს და კიდევ უფრო შორდება მეშვიდე ანგარიშის რეკომენდაციებს ვიზების მოქმედების შეჩერების მექანიზმის შესახებ. ეს საკითხები აუცილებლად უნდა გადაიჭრას იმისათვის, რომ უწყვეტად იყოს დაკმაყოფილებული ვიზალიბერალიზაციის მოთხოვნები.

საქართველო აგრძელებს სავიზო პოლიტიკის გატარებას, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროკავშირის კანონთა კრებულისგან, განსაკუთრებით შემდეგი პუნქტით: იმ ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებსაც ვიზა მოეთხოვებათ, საქართველო შესვლის უფლებას ანიჭებს მესამე ქვეყნის მიერ გაცემული ვიზის ან ბინადრობის უფლების საფუძველზე. არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ საბრძოლველად 2025 წლის მაისიდან უვიზო

გრაფიკი 18.1: საქართველო - განაცხადი თავშესაფრის მისაღებად



გრაფიკი 18.2: საქართველო - ლტოლვილად აღიარების მაჩვენებელი (%)



*ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლები ასახავს პირველი ინსტანციის დადებით გადაწყვეტილებებს ლტოლვილის სტატუსის, ჰუმანიტარული სტატუსის და დამატებითი დაცვის სტატუსის შესახებ.

მიმოსვლის პირობები შეიზღუდა 17 ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომელთაც აქვთ ერთ წელზე ნაკლები ვადით მოქმედი ვიზა და/ან ბინადრობის ნებართვა, გაცემული სპარსეთის ყურის ქვეყნების მიერ (არაბთა გაერთიანებული საამიროები, ბაჰრეინი, საუდის არაბეთი, კატარი, ქუვეითი ან ომანი).

იმ მესამე ქვეყნების სია, რომლებთანაც საქართველო ინარჩუნებს უვიზო რეჟიმებს, არ არის სრულ შესაბამისობაში იმ მესამე ქვეყნების სიასთან, რომელთა მოქალაქეებსაც ევროკავშირში მოკლევადიანი ვიზიტისთვის ვიზა ესაჭიროებათ. ამჟამად საქართველოს აქვს უვიზო რეჟიმი 26 ქვეყანასთან, რომლებსაც ევროკავშირში მოკლევადიანი ვიზიტისთვის ვიზა მოეთხოვებათ. ვიზების და სამგზავრო დოკუმენტების უსაფრთხოების კონტროლის საშუალებები მთლიანობაში ევროკავშირის სტანდარტებს შეესაბამება.

ვინაიდან საქართველომ დაარღვია ფუნდამენტური პრინციპები, რომელთა საფუძველზე ევროკავშირს და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების შეთანხმება დაიდო, ევროკომისიამ 2024 წლის დეკემბერში მიიღო წინადადება საბჭოს გადაწყვეტილების თაობაზე ამ შეთანხმების ნაწილობრივ შეჩერების შესახებ. მიღებული ნაწილობრივი შეჩერება ითვალისწინებს უვიზო რეჟიმის შეჩერებას ქართველი დიპლომატებისთვის და გამარტივებული სავიზო რეჟიმის შეჩერებას ქართველი დიპლომატებისა და თანამდებობის პირებისთვის. 2025 წლის იანვარში საბჭომ მიიღო ევროკომისიის წინადადება. ამ გადაწყვეტილების შემდეგ წევრ სახელმწიფოებს აღარ დასჭირდებათ ქართველი დიპლომატების სავიზო მოთხოვნებისგან გათავისუფლება და დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების მფლობელებისთვის ვიზების გაცემის გამარტივება. 2025 წლის სექტემბრისთვის ევროკავშირის 19 წევრმა სახელმწიფომ მიიღო საჭირო შიდა ზომები საბჭოს გადაწყვეტილების განსახორციელებლად გამარტივებული სავიზო რეჟიმის შეჩერების შესახებ და შეწყვიტა დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების მფლობელების სავიზო მოთხოვნებისგან გათავისუფლება.

უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმის მეშვიდე ანგარიში შეიცავდა რეკომენდაციებს, მათ შორის ფუნდამენტური უფლებების დაცვის უზრუნველყოფას, ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდავი ნებისმიერი კანონმდებლობის გაუქმებას, საქართველოს სავიზო პოლიტიკის შესაბამისობაში მოყვანას ევროკავშირის მესამე ქვეყნების სიასთან, რომელთაც ვიზა ესაჭიროებათ, და ანტიკორუფციული ბიუროს ეფექტური დამოუკიდებლობის, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის და ფუნქციების უზრუნველყოფას.

შენგენის მმართველობა და საგარეო საზღვრები

საგარეო საზღვრების მართვის საკანონმდებლო და სტრატეგიული ჩარჩო ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის კანონთა კრებულს. საზღვრების მართვა მთლიანობაში დამაკმაყოფილებელია.

სამართლებრივი თანხვედრა, სტრატეგიული და ინსტიტუციური ჩარჩო

საქართველო აგრძელებდა სტრატეგიულ ურთიერთობებს საზღვრის ინტეგრირებული მართვის (IBM) ჩარჩოს ფარგლებში. საზღვრის ინტეგრირებული მართვის სტრატეგია და მისი ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2027) ძირითადად ეფუძნება ევროკავშირის კონცეფციას საზღვრის ინტეგრირებული მართვის შესახებ. 2025 წლის სამოქმედო გეგმა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ინტეგრირებული რისკების ანალიზის მოდელის განხორციელებისთვის 2024 წლის დეკემბერში დამტკიცდა. სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება კვლავ გამოწვევად რჩება, ხოლო ძირითადი რეფორმების განხორციელება კვლავ შეზღუდულია, რაც ინსტიტუციური ფრაგმენტაციით, კოორდინაციის არარსებობით და შეზღუდული რესურსებით გამოიხატება. საჭიროა ინსტიტუციური და საკადრო პოტენციალის გაძლიერება.

განხორციელების და აღსრულების პოტენციალი

ხორციელდება საზღვრის ინტეგრირებული მართვის სტრატეგია და წლიური სამოქმედო გეგმა. 2024 წელს მოხდა ინფრასტრუქტურის გარკვეული გაუმჯობესება, მათ შორის ჩატარდა სასაზღვრო-გამშვები პუნქტების, სასაზღვრო სექტორებისა და პოსტების რემონტი და ნაწილობრივი განახლება. 2024 წელს შემუშავდა საპატრულო პოლიციის ინციდენტების აღრიცხვის ახალი სისტემა. ძველი სისტემა ფუნქციონირებდა 2019 წლიდან. 2024 წლის დეკემბერში საქართველო შეუერთდა ევროპის საერთო ტრანზიტის კონვენციას და დაიწყო ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის გამოყენება. ეს სისტემა ხელს უწყობს საქონლის უსაფრთხო და ქაღალდის დოკუმენტაციის გარეშე გადაადგილებას საზღვრებს შორის.

მეთვალყურეობისა და კონტროლის კრიტიკული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, განსაკუთრებით მწვანე და ლურჯი საზღვრების გასწვრივ, კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი დამატებითი ინვესტიციების საჭიროება. საზღვრის მართვის საინფორმაციო სისტემა განახლებას საჭიროებს.

კვლავ სუსტია ინსტიტუციური და უწყებათაშორისი კოორდინაცია. სასაზღვრო დაცვის სამსახურების და სასაზღვრო პოლიციის პოტენციალი შემდგომ გაძლიერებას მოითხოვს.

ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოსთან (Frontex) თანამშრომლობა გაუარესდა ქვეყნის დემოკრატიული უკუსვლის საპასუხოდ ევროკავშირის მიერ მიღებული ზომების პირობებში, მაგრამ კვლავ ეფექტურია, განსაკუთრებით მოქალაქეთა დაბრუნების სფეროში. საქართველო თანამშრომლობდა Frontex-თან ერთობლივ ოპერაციის, პოტენციალის გაძლიერების, დოკუმენტების გაყალბებასთან ბრძოლის და მოქალაქეთა დაბრუნების ფარგლებში. Frontex-ის კონტინგენტი საკონსულტაციო სტატუსით შერჩეულ სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში იმყოფება.

ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა მეზობელ ქვეყნებთან კვლავ დამაკმაყოფილებელია. საჭიროა კორუფციასთან ბრძოლის ღონისძიებების გაძლიერება.

ევროს გაყალბება (სისხლის სამართლებრივი ასპექტები)

სათანადო კანონმდებლობა ყალბ ვალუტასთან ბრძოლის შესახებ ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის კანონთა კრებულს. საანგარიშო პერიოდში აღინიშნა პროგრესის არარსებობა კანონმდებლობის ევროკავშირის კანონთა კრებულთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით.

საბაჟო თანამშრომლობის ყველა ასპექტი განხილულია თავში 29 - საბაჟო კავშირი.

2.3. ეკონომიკური კრიტერიუმები

ცხრილი 19:	2016-21	2022	2023	2024
საქართველო - საკვანძო ეკონომიკური მაჩვენებლები	საშუალო			
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (EU-27-ის % PPS-ით)	0.33	0.39	0.41	0.45
მშპ-ს რეალური ზრდა	2.9	11.0	7,8	9.4
20-64 წლის ასაკის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელი (%), სულ	61.7	65.9	68.7	70.8
15 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის უმუშევრობის მაჩვენებელი (%), სულ	21.1	17.3	16.4	13.9
20-64 წლის ასაკის მოსახლეობის უმუშევრობა (წლიური ზრდა %)	0.3	5.4	4,0	5.1
ნომინალური ხელფასები (წლიური ზრდა %)	6,5	18.3	20.4	16.5
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (წლიური ზრდა %)	4.1	11.9	2.5	1.1
ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებით	2.9	3.1	2.8	2.9
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (მშპ-ს %)	-9.5	-4.4	-5.6	-4.4
წმინდა უცხოური პირდაპირი ინვესტიციები, FDI (მშპ-ს %)	7.2	7.1	5,3	2.7

საერთო სახელმწიფო ბალანსი (მშპ-ს %)	-2.3	-2.2	-1.9	-2.1
საერთო სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	43.4	39.2	38.9	36.1
მენიშვნები წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საკუთარი გამოთვლები				

2.3.1 მოქმედი საბაზრო ეკონომიკის არსებობა

ეკონომიკური მმართველობა

ხელისუფლების მოქმედების კურსმა და გადაწყვეტილებამ არ განაგრძოს ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებები 2028 წლამდე, ბიზნესს დიდი გაურკვევლობა შეუქმნა. ეკონომიკური რეფორმების კუთხით შეზღუდული პროგრესი აღინიშნა, და კვლავ შემოფოთებას იწვევს ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხი. ხელისუფლებას ჰქონდა წინსვლა საჯარო ფინანსების შერჩეული რეფორმების თვალსაზრისით, მაგალითად, გამოქვეყნდა საშუალოვადიანი შემოსავლების სტრატეგია, თუმცა დაგეგმილი რეფორმების შეზღუდული მასშტაბით, და მათი რაოდენობრივი მაჩვენებლების და ვადების გარეშე. მათ ასევე დაიწყეს შემოსავლების სამსახურის მოდერნიზაციის ახალი გაზა და გამოაქვეყნეს ანგარიში, რომელიც აფასებს არსებული საგადასახადო ხარჯების სოციალურ-ეკონომიკურ ზეგავლენას სოფლის მეურნეობაზე. გაგრძელდა სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) შეფასებაზე დაფუძნებული 2023-2026 წლების საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგიის განხორციელება, და მითითებული იქნა შემდგომი ძალისხმევის საჭიროება ზოგიერთი კონკრეტული ასპექტისთვის, როგორიცაა ყოველწლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, საჯარო აქტივების მართვა და მუნიციპალური ფინანსები. ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გაძლიერების კუთხით აღინიშნა პროგრესის არარსებობა, თუმცა საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოში არსებული ვაკანტური თანამდებობები შეივსო. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან სამწლიანი სარეზერვო საკრედიტო შეთანხმება 2023 წლის შუა პერიოდიდან შეჩერებული იყო და 2025 წლის ივნისში ამოიწურა.

მაკროეკონომიკური სტაბილურობა

საქართველოში აღრიცხული იქნა მყარი ზრდა, განპირობებული კერძო და სამთავრობო მოხმარებით, რომელიც კვლავ იღებდა სარგებელს ტურიზმის გამოცოცხლების, რუსეთიდან შემოსული მაღალკვალიფიციური მიგრანტების და გარკვეული მომსახურებისა და სავაჭრო გზების რუსეთიდან გატანის ხარჯზე უკრაინის წინააღმდეგ მისი სრულმასშტაბიანი აგრესიული ომის დაწყების შემდეგ. მშპ-ს ზრდამ 2024 წელს 9.4%-ს მიაღწია. ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები იყო კერძო და სამთავრობო მოხმარება, სტიმულირებული ხელფასების მკვეთრი ზრდით, დასაქმების ზრდით და სწრაფად მზარდი სამომხმარებლო სესხებით. გარდა ამისა, იმავე პერიოდში გაიზარდა ინვესტიციების მოცულობა, რასაც ხელს უწყობდა ბიზნეს-სესხების მოცულობის ზრდა, საწარმოების კარგი ფინანსური შედეგები და მძლავრი სახელმწიფო ინვესტიციები. საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტის, ასევე მარაგების წვლილი ზრდაში უარყოფითი იყო. მიწოდების მხრივ, დამატებული ღირებულება ყველაზე მეტად გაიზარდა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში, მშენებლობაში, ტურიზმში, ტრანსპორტში, განათლებაში და სხვა მომსახურებაში.

ზრდა ერთი შეხედვით იყო მდგრადი, თუმცა მას თან ახლავს კლების რისკები, რაც განსაკუთრებით ასახავს გაზრდილ პოლიტიკურ არასტაბილურობას და არასტაბილურ საერთაშორისო


გარემოს. წინასწარი მაჩვენებლებით, ზრდა გაგრძელდა 2025 წლის პირველ ნახევარში და წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაში წლიურ 8%-ს მიაღწია. თუმცა, საქართველოს ეკონომიკა მაღალი ხარისხის

გაურკვევლობით ხასიათდება. შიდა პოლიტიკური სიტუაციის გაუარესებამ და ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის დე ფაქტო შეჩერებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ინვესტიციებისა და მომხმარებლების ნდობაზე, შეაფერხოს ტურიზმი და განაახლოს ზეწოლა ქართულ ვალუტაზე, ლარზე.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2023 წლის მშპ-ს 5.6%-დან 2024 წელს მშპ-ს 4.4%-მდე შემცირდა. საქონლის ექსპორტი აშშ დოლარში 6%-ით გაიზარდა, რაც მეტალურგიულ პროდუქციასა და რეექსპორტირებულ ავტომობილებზე მოთხოვნის აღდგენამ განაპირობა. იმპორტი 7%-ით გაიზარდა, რაც განპირობებული იყო საინვესტიციო და სამომხმარებლო საქონელზე შიდა მოთხოვნის ზრდით, იმპორტირებულ ნავთობზე დაბალი ფასების მიუხედავად. იმპორტსა და ექსპორტს შორის განსხვავება (სავაჭრო ბალანში) 2024 წელს გაიზარდა. უფრო მაღალმა პროფიციტმა სერვისებში, განსაკუთრებით ტურიზმში, რომელიც ძირითადად რუსეთიდან, თურქეთიდან და ევროკავშირიდან ჩამოსვლით იყო განპირობებული, და საინვესტიციო შემოსავლის წმინდა გადინების შემცირებამ, ხელი შეუწყო მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებას. მეორეს მხრივ, რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვების შემცირებამ, რაც ასახავდა ფულადი გზავნილების შემცირებულ შემოდინებას რუსეთიდან, საპირისპირო ეფექტი გამოიღო.


პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) შემოდინება და რეზერვები 2024 წელს

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება მშპ-ს 6.3%-დან (2023), მშპ-ს 4.6%-მდე (2024) შემცირდა. ვარდნა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო სააქციო კაპიტალის ინვესტიციებში. საქართველოს აქვს მკვეთრად უარყოფითი წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია და



შედარებით მაღალი საგარეო ვალი. თუმცა, ბოლო სამი წლის განმავლობაში ორივე მაჩვენებელი შემცირდა, ძირითადად ნომინალური მშპ-ს საგარეო ვალთან შედარებით უფრო სწრაფად ზრდის გამო. 2024 წლის დეკემბრის მონაცემებით, ისინი შესაბამისად, მშპ-ს - 89%-ს და 75%-ს შეადგენდა. ოფიციალური მთლიანი სავალუტო რეზერვების დონე 2023 წლის ბოლოს არსებული 5 მილიარდი აშშ დოლარიდან 2024 წლის ნოემბერში 4.1 მილიარდ აშშ დოლარამდე შემცირდა, რაც განპირობებული იყო ცენტრალური ბანკის საგარეო სავალუტო ინტერვენციებით, რომლებიც მიზნად ისახავდა ლარის სტაბილიზაციას შიდა გაურკვევლობის პირობებში. მას შემდეგ ცენტრალურმა ბანკმა 2025 წლის აგვისტოში თავისი რეზერვები 5.2 მილიარდ აშშ დოლარამდე შეავსო, თუმცა ეს მაინც ჩამორჩება ხელისუფლების მიერ სასურველ დიაპაზონს - 120-130%-ს


გრაფიკი 20.1: საქართველო - მშპ-ს რეალური ზრდა და წვლილი



საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეზერვების ადეკვატურობის შეფასების მაჩვენებლებიდან.

საშუალო სამომხმარებლო ფასების ინფლაციის ტემპი 2024 წელს 1.1%-მდე შემცირდა დაბალი იმპორტირებული ინფლაციისა და ცენტრალური ბანკის გონივრული მონეტარული პოლიტიკის წყალობით, მაგრამ 2025 წელს ის თანდათან გაიზარდა და აგვისტოში 4.6%-ს მიაღწია. სამომხმარებლო ფასების ზრდის დაჩქარება შეიძლება აიხსნას ხელფასების ზრდის და სურსათზე ფასების ზრდის, ასევე საბაზო ფასის გავლენით. საბაზო ინფლაციამ, სურსათისა და ენერგომატარებლების გამოკლებით, აგვისტოში 3%-ს მიაღწია. ცენტრალურმა ბანკმა მისი საპროცენტო განაკვეთი 2024 წლის მაისიდან უცვლელად 8%-ზე შეინარჩუნა.

2024 წელს მთავრობის საერთო შემოსავლები მოსალოდნელზე გაცილებით მაღალი იყო, თუმცა მიმდინარე ხარჯები კიდევ უფრო სწრაფად გაიზარდა. სახელმწიფო შემოსავლები 2023 წელთან შედარებით 18%-ით გაიზარდა, რასაც ხელი შეუწყო ეკონომიკურმა ზრდამ, კერძოდ, ხელფასების ზრდამ, რომელიც ასტიმულირებდა შემოსავლებს ფიზიკური



პირების საშემოსავლო გადასახადიდან, და დისკრეციულმა ღონისძიებებმა, როგორიცაა სათამაშო დაწესებულებების მოსაკრებლების ზრდა და საგადასახადო რეფორმა საბანკო სექტორში. მიმდინარე ხარჯები იმავე პერიოდში 20%-ით გაიზარდა, ძირითადად საჯარო სექტორში ხელფასების და საპროცენტო ხარჯების ზრდის გამო. ისედაც მაღალი კაპიტალური ხარჯები 10%-ით გაიზარდა. 2024 წელს მთავრობის საერთო დეფიციტი მშპ-ს 2.1%-ს შეადგენდა, რაც თავდაპირველად დაგეგმილ მშპ-ს 2.5%-ზე ნაკლები იყო. მთავრობის მთლიანი ვალი 2023 წლის მშპ-ს 38.9%-დან 2024 წელს მშპ-ს 36.1%-მდე შემცირდა, ძირითადად მაღალი ნომინალური მშპ-ს ზრდის გამო, რომელმაც ვალის შემცირების ეფექტი იქონია.

მაკროეკონომიკური პოლიტიკა მთლიანობაში ადეკვატური იყო. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ხარჯების 20%-ით, განსაკუთრებით კი საჯარო სექტორის ხელფასების 30%-ით ზრდა წინა წელთან შედარებით მაღალი იყო, ამ ერთჯერად კორექტირებას შეუძლია დაეხმაროს საჯარო სექტორს კერძო სექტორთან კონკურენციაში კვალიფიციური კადრების მოსაზიდად. ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკა საკმარისად მკაცრი იყო ინფლაციის მოლოდინების შესაჩერებლად მაღალი შიდა და გლობალური გაურკვევლობის პირობებში. მაკროეკონომიკური სტაბილურობის ძირითადი რისკები, სხვა რისკებთან ერთად, მოიცავს შიდა პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბიზნესისა და მომხმარებლის განწყობაზე, ასევე რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ აგრესიულ ომთან დაკავშირებულ მოვლენებს და გლობალური ვაჭრობის ტემპის შენელებას.

სასაქონლო ბაზრების ფუნქციონირება

საქართველოში ბიზნესის გარემო საკმაოდ დინამიურად ვითარდება. მაგრამ ბევრი სტრუქტურული ხარვეზი ჯერ კიდევ აფერხებს ბიზნესის განვითარებას, და ამ ხარვეზების გამოსწორებაში გასულ წელს ძალზე შეზღუდული პროგრესი აღინიშნა. საქართველოში ბიზნეს-გარემო ლიბერალიზებულია და ბარიერები ბაზარზე შესვლისას დაბალია. საქართველოს კომპანიების შექმნის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი და კომპანიების გადარჩენის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ევროპაში. ცალკეულ კომპანიებში აღინიშნება შრომის ნაყოფიერების დაბალი ზრდის ტემპი და უწყვეტი დამოკიდებულება დაბალგანვითარებულ ბაზრებზე; ამავე დროს ევროკავშირის ბაზარზე შესვლისას კომპანიები მაღალ ხარჯებს აწყდებიან (მათ შორის სტანდარტიზაციის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო). ბიზნესის წინაშე არსებულ მთავარ დაბრკოლებებს

წარმოადგენს პოლიტიკური არასტაბილურობა, არასაკმარისად განათლებული კადრები, სასამართლო სისტემის არაეფექტიანობა და ვალუტის კურსის რყევები.

არსებობს არაფორმალური ეკონომიკის წილის შემდგომი შემცირების შესაძლებლობები. არაფორმალური ეკონომიკა საქართველოში მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურას, რომელშიც დომინირებს სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და ტურიზმი, რომელშიც არ არსებობს შემწეობები უმუშევრობისთვის, და მაღალია თვითდასაქმებულთა და ნაღდი ფულით გადახდების წილი. 2024 წლის ოქტომბერში ხელისუფლებამ შექმნა სამინისტროთაშორისი სამუშაო ჯგუფი არაფორმალური ეკონომიკის კომპლექსური, საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით შემცირების პროგრამის მოსამზადებლად. სამუშაო ჯგუფმა დაიწყო თანამშრომლობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ILO) საქართველოში არაფორმალური ეკონომიკის კომპლექსური შეფასების ჩატარების მოთხოვნით; შეფასებას უნდა მოეცემა არაფორმალური ეკონომიკის მოცულობა და სტრუქტურა, რაც საფუძვლად დაედებოდა დასაქმების, შემოსავლების ფორმირების და არაფორმალურ ეკონომიკასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი საკითხების შემდგომ ანალიზს. სამუშაო ჯგუფმა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ ჩაატარეს სემინარები დამსაქმებელთა და მშრომელთა ორგანიზაციებთან, რათა შეეკრიბათ მათი მოსაზრებები არაფორმალური ეკონომიკის ძირეული მიზეზების შესახებ.


სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების (სახელმწიფო საწარმოების) რეფორმებში ნელი პროგრესი აღინიშნა, ხოლო ფინანსური ზედამხედველობა გაუმჯობესდა. ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობა კვლავ შეზღუდულია: 2024 წელს სახელმწიფო საწარმოებმა საქართველოს დამატებული ღირებულების 4.2% და დასაქმების 8% შეადგინეს. ხელისუფლებამ ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროების მიერ სამი სახელმწიფო საწარმოს საზიარო საკუთრების პილოტირება განახორციელა, რამდენიმე სახელმწიფო საწარმოში დანიშნა დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭოები და დაადგინა სახელმწიფო საწარმოთა საქმიანობის სამიზნე მაჩვენებლები. თუმცა, საკუთრების ფუნქციის განხორციელების გაძლიერების შესახებ შეთანხმება ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. ფინანსთა სამინისტრო აგრძელებს ფინანსური ზედამხედველობის თანდათანობით გაძლიერებას, რისთვისაც 114 სახელმწიფო საწარმოს ანგარიში ერთიან სახაზინო ანგარიშზე გააერთიანა შესაძლო ფისკალური რისკების უკეთ კონტროლის მიზნით. სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან და გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2024 წელს მშპ-ს 0.26% შეადგინა. საქართველოში სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული სახელმწიფო დახმარების მთლიანი ოდენობა ძალიან დაბალი იყო და მშპ-ს 0.01% შეადგენდა, მაგრამ ანგარიშგების მეთოდოლოგია არ შეესაბამება ევროკავშირის კანონთა კრებულს. ფასების რეგულირების მასშტაბები საქართველოში კვლავ ძალზე შეზღუდულია. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გაიზარდა სახელმწიფო დაფინანსება ბიზნესის განვითარებისთვის, განსაკუთრებით სააგენტო „Enterprise Georgia“-ს მიერ გამოყოფილი თანხები სამ სფეროში, როგორცაა ბიზნეს-სესხების თანადაფინანსება, ინვესტიციების ხელშეწყობა და ექსპორტის მხარდაჭერა.

ფინანსური ბაზრის ფუნქციონირება

საქართველოს საბანკო სექტორი კვლავ სტაბილურია, თუმცა ის სავალუტო რისკების ზემოქმედებას განიცდის. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით 2025 წლის ივლისში საბანკო სისტემის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 23%-ს შეადგენდა. კრედიტორების უმეტესობა კვლავ მაღალრენტაბელური იყო, საკუთარ კაპიტალზე ჯამური 22.1%-იანი რენტაბელობის მაჩვენებლით. სექტორის აქტივების ხარისხი მთლიანობაში მაღალი რჩება, ხოლო უმოქმედო სესხების მთლიან სესხებთან თანაფარდობა ძირითადად უცვლელია და რჩება დაბალ 2.6%-ზე. როგორც აქტივების, ისე ვალდებულებების მაღალი დოლარიზაცია კვლავ საბანკო სისტემის სტრუქტურულ სისუსტედ რჩება, თუმცა ფინანსური სტაბილურობის თვალსაზრისით ბანკებს საკმარისად დიდი სავალუტო ბუფერები აქვთ.

უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების წილი საანგარიშო პერიოდში ძირითადად სტაბილური დარჩა და 2025 წლის ივლისში 40% შეადგინა. დეპოზიტების დოლარიზაციის დონე სესხებთან შედარებით მაღალია და 2024 წლის ბოლო თვეებში ოდნავ გაიზარდა 51.5%-მდე (რაც გაზრდილ გაურკვევლობას ასახავს), სანამ 2025 წლის ივლისში 50.0%-მდე არ შემცირდებოდა. კრედიტების ზრდა მაღალი დარჩა, კერძოდ, 2025 წლის ივლისში - 14.9%-ზე (გაცვლითი კურსის რყევების ზეგავლენის გაუთვალისწინებლად) როგორც კორპორატიული, ასევე საცალო სესხებისთვის. ფინანსებზე წვდომა კვლავ ალიქმება, როგორც მთავარი დაბრკოლება მრავალი მცირე ბიზნესისთვის, თუმცა ბოლო პერიოდში ამ მხრივ სიტუაცია გაუმჯობესდა.

სადაზღვევო სექტორი და კაპიტალის ბაზარი ჯერ კიდევ განუვითარებელია. ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ბაზარი ხასიათდება მცირე მოცულობით, დაბალი ლიკვიდურობით და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დომინირებით, ასევე არააქტიური მეორადი ბაზრით. გარკვეული გაუმჯობესება მიღწეულია იმის გამო, რომ განხორციელდა 2023-2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია. მაგალითად, კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა საფუძვლიანად შესწორდა 2024 წლის სექტემბერში, რათა მოეხდინა ქართული კომპანიების ობლიგაციების გამოშვების ხარჯების და მათი საკრედიტო რეიტინგების თანადაფინანსება, დაფინანსებაზე ბიზნესის წვდომის გაუმჯობესების მიზნით. 2025 წლის ივნისში შესწორებები შევიდა კანონში საინვესტიციო ფონდების შესახებ.



შრომის ბაზრის ფუნქციონირება

მდგომარეობა შრომის ბაზარზე კიდევ უფრო გაუმჯობესდა, რასაც ხელი შეუწყო ეკონომიკის ზრდამ, თუმცა სისუსტეები კვლავ არსებობს. 20-64³ წლის ასაკის მოსახლეობაში დასაქმების მაჩვენებელი 2023 წლის 56.9%-დან 2024 წელს 60.4%-მდე გაიზარდა, თუმცა ის მაინც გაცილებით დაბალია დასაქმების ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე (67%) წევრ სახელმწიფოებთან შედარებით. 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში უმუშევრობის მაჩვენებელი 2023 წლის 16.4%-დან 2024 წელს 13.9%-მდე შემცირდა. სახელმწიფო დასაქმების მხარდაჭერის სააგენტოს პოტენციური განაგრძობდა განვითარებას, ხოლო სააგენტოს ქსელი გაფართოვდა და მუნიციპალიტეტები მოიცვა. შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ახალი ეროვნული სტრატეგია ჯერ არ არის მიღებული. კვლავ სახეზეა შრომის ბაზრის ზოგიერთი სტრუქტურული სისუსტე, მათ შორის მუდმივი შეუსაბამო შრომით უნარებსა და ბიზნესის საჭიროებებს შორის, ახალგაზრდებში უმუშევრობის მაღალი დონე, მნიშვნელოვანი გენდერული უთანასწორობა და რეგიონული განსხვავებები. 2023 წლის დინამიური ზრდის შემდეგ, რეალური ხელფასები 2024 წელს კვლავ მკვეთრად გაიზარდა, კერძოდ - 15%-ით. ეს რამდენიმე ფაქტორს ასახავს: რუსეთიდან შემოსული მაღალკვალიფიციური მიგრანტების

³ ევროსტატის დასაქმების ინდიკატორები გამოითვლება 20-64 წლის ასაკის მოსახლეობისთვის, ხოლო საქსტატი იყენებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებებზე დაფუძნებულ ინდიკატორებს, რომლებიც 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობას მოიცავს. შესაბამისად, საქსტატის განსაზღვრებების მიხედვით, 2024 წელს საქართველოში დასაქმების მაჩვენებელი 47.1% იყო.


ხელფასების გავლენებს, განსაკუთრებით საინფორმაციო-ტექნოლოგიების სექტორში; სტაბილური მოთხოვნას, რომელიც საშუალებას აძლევს ქართულ კომპანიებს დააბალანსონ გაძვირებული ცხოვრება, რაც განსაკუთრებით დიდ ქალაქებში ბინის ქირის ზრდას შეეხება; საკადრო დეფიციტს წარმოების ზოგიერთ სექტორში.

2.3.2 კონკურენტულ ზეწოლასთან და საბაზრო ძალებთან გამკლავების უნარი კავშირის ფარგლებში

განათლება და ინოვაციები

საქართველო აგრძელებდა საკუთარი განათლების ჩარჩოს განახლებას, თუმცა შეუსაბამობა უნარებსა და ბიზნესის საჭიროებებს შორის კვლავ პრობლემად რჩება. 2024 წელს განათლებაზე მთავრობის ხარჯები მშპ-ს 3.9%-მდე გაიზარდა, მაგრამ მაინც დაბალი იყო ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით; არსებობს ასევე პოტენციალი, რომ გაიზარდოს არსებული საგანმანათლებლო რესურსების ხარჯვის ეფექტიანობა. რეფორმების ძალისხმევა ფოკუსირებული იყო პროფესიული განათლებისა და მომზადების (VET) სისტემაზე, რომელიც მოიცავდა VET სტრატეგიის მიღებას 2024 წლის სექტემბერში, პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავებას VET-ისთვის, მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას და მათი ქსელების განვითარებას. სავალდებულო ზოგადი განათლების ასაკი 15-დან 16 წლამდე გაიზარდა და განხორციელდა სკოლამდელი განათლების რეფორმა. მიმდინარე რეფორმების მიუხედავად, კვლავ რჩება შეუსაბამობა უნარებსა და კერძო სექტორის საჭიროებებს შორის, რასაც ძირითადად განაპირობებს სწავლების მოძველებული მეთოდები, ბიზნესსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის არასაკმარისი თანამშრომლობა, და ბიზნესის მხრიდან უნარებთან დაკავშირებული მკაფიოდ განსაზღვრული მოთხოვნების არარსებობა. მნიშვნელოვანი გარე მხარდაჭერის მიუხედავად, არასაკმარისია კერძო სექტორის მონაწილეობა უნარების განვითარების პროგრამებში. ყალიბდება უნარების განვითარების სექტორული ორგანიზაციები, როგორც მრეწველობას და განათლებას შორის არსებული ხარვეზის აღმოფხვრის საშუალება, თუმცა მათ წინაშე დგება ისეთი გამოწვევები, როგორიცაა შეზღუდული სექტორული თანამშრომლობა და შესაძლებლობები.

საქართველო ძალისხმევას არ იშურებს ინოვაციური გარემოს გასაუმჯობესებლად, თუმცა კვლევასა და განვითარებაზე დანახარჯები კვლავ ძალიან დაბალია და მშპ-ს 0.3%-ს შეადგენს. 2024 წლის გლობალური ინოვაციების ინდექსში საქართველომ 57-ე ადგილი დაიკავა (133 ქვეყანას შორის), რაც 2022 წლის 63-ე ადგილთან შედარებით გაუმჯობესებაა. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო აგრძელებდა ინოვაციური სტარტაპების და ტრენინგების მხარდაჭერას უმთავრესად საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორში. გარდა ამისა, ხელისუფლებამ გადაწყვიტა ქუთაისში ტექნოლოგიური ცენტრის აშენება, მათ შორის ტექნოლოგიური პარკის, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის, საინფორმაციო-ტექნოლოგიების და ტექნოლოგიების სკოლის, და სხვა ობიექტების ჩათვლით.



ფიზიკური კაპიტალი და ინფრასტრუქტურის ხარისხი

სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობა დარჩა მაღალი (2024 წელს - მშპ-ს 8.5%-ზე მეტი), ძირითადი აქცენტით სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე. სახელმწიფო ინვესტიციების მართვის (PIM) რეფორმის მიხედვით, შესაბამის ბიუჯეტში შეტანამდე ყველა ახალი მსხვილი საინვესტიციო პროექტის შერჩევა ხდება ახალი PIM მეთოდოლოგიის შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში აღინიშნა მნიშვნელოვანი პროგრესი, კერძოდ დასრულდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის რამდენიმე მონაკვეთი და განახლდა მეორადი გზების ქსელი. რკინიგზის მოდერნიზაციის ბოლოდროინდელი პროექტი დასასრულს უახლოვდება, თუმცა რკინიგზის ქსელისა და მოძრავი შემადგენლობის დიდი ნაწილი უწინდებურად მოძველებულია. 2024 წელს ანაკლიაში დაიწყო ახალი ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა, რომელიც ჩინეთის და ცენტრალური აზიის ევროპასთან დამაკავშირებელი შუა დერეფნის ნაწილს წარმოადგენს რუსეთის გვერდის ავლით. ამ პორტში ინვესტორად შერჩეული იქნა ჩინური კონსორციუმი, მაგრამ საინვესტიციო შეთანხმება ჯერ დასრულებული არ არის. გარდა ამისა, 2024 წლის ოქტომბერში ქუთაისის აეროპორტში ახალი ასაფრენ-დასაჯდომი ზოლის მშენებლობა დაიწყო. ენერგეტიკის სექტორში მთავრობის მიზანია გადამცემი ქსელის გაფართოება და კერძო ინვესტიციების მოზიდვა ახალი ქარის, მზის და ჰიდროელექტროსადგურებისთვის. 2024 წელს ჩატარებული განახლებადი ენერგიის გენერაციის ორი დიდი აუქციონის შემდეგ, ხელისუფლებამ შეაფასა შემდგომი განახლებადი პროექტებისთვის მიღებული განაცხადები, რომელთა განხორციელება პირდაპირი კონტრაქტებით მოხდება. გაგრძელდა მოსამზადებელი სამუშაოები შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტისთვის, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს რუმინეთთან დაკავშირებას ელექტროენერგიის და ოპტიკურ-ბოჭკოვანი წყალქვეშა კაბელებით. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტზე აბონენტთა წვდომა შინამეურნეოებში გაიზარდა და 99%-ს მიაღწია. ხელისუფლებამ განაგრძო ბოჭკოვან ქსელებში ინვესტიციების განხორციელება უფრო შორეულ რეგიონებში. თუმცა, კვლავ პრობლემად რჩება მაღალსიჩქარიანი ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის შედარებით მაღალი ფასები, არასაკმარისი ციფრული უნარები და სუსტი საერთაშორისო ციფრული კავშირი.

სექტორული და საწარმოო სტრუქტურა

ეკონომიკა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული სერვისებზე, ხოლო სოფლის მეურნეობის და მრეწველობის როლი მცირდება. 2024 წელს მომსახურების სექტორმა მშპ-ში საკუთარი წილი 71.9%-მდე გაზარდა, ამასთანავე გასულ წელს უდიდესი მატება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, განათლების და ტურიზმის სექტორებში აღინიშნა. მშენებლობის წილი შედარებით მაღალია და 8.4%-ს შეადგენს, რასაც განაპირობებს

საცხოვრებელი ბინათმშენებლობის დიდი აღმავლობა დიდ ქალაქებში და მნიშვნელოვანი ინვესტიციები საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურაში. საქართველოში წარმოების წილი - 9.3%, შედარებით დაბალია ანალოგიურ ქვეყნებთან შედარებით და კვლავ მცირდება. სოფლის მეურნეობა, ტრადიციულად მნიშვნელოვანი სექტორი, რომელიც დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდება, 2024 წელს მშპ-ს 6.2%-მდე შემცირდა, თუმცა მისი წილი მთლიანი დასაქმების 16%-ს მაინც შეადგენს. მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდიოდა საწარმო სექტორის დამატებული ღირებულების 54% და ისინი დასაქმებაში იმავე წილს შეადგენდნენ.

ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია და ფასების კონკურენტუნარიანობა

ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია შეზღუდულია. ევროკავშირის წილი საქართველოს ექსპორტში 2023 წლის 11.6%-დან 2024 წელს 8.7%-მდე შემცირდა. ეს ასახავდა როგორც ევროკავშირში ექსპორტის ღირებულების 19%-ით შემცირებას, ისე ავტომობილების რეექსპორტის მკვეთრ ზრდას საქართველოდან ცენტრალურ აზიაში. ევროკავშირიდან საქართველოში იმპორტი 2024 წელს 2.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და იმპორტის მთლიანი მოცულობის 27.2% შეადგინა. ამის შედეგად ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო დეფიციტმა 4 მილიარდ აშშ დოლარს, ანუ მშპ-ს 12%-ს გადააჭარბა. და პირიქით, საქართველოს ევროკავშირთან მომსახურებით ვაჭრობის ბალანსი იყო დადებითი, თუმცა გაცილებით უფრო მცირე (მშპ-ს 1%-ის ეკვივალენტი). 2024 წელს ევროკავშირი უწინდებურად იყო საქართველოში ფულადი გზავნილების უდიდესი წყარო (მთლიანი მოცულობის 43%, ანუ მშპ-ს 4.5%) და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეორე წყარო გაერთიანებული სამეფოს შემდეგ (მთლიანი მოცულობის 23%, მშპ-ს 1%).

ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი თორმეტ თვეში, 2025 წლის ივლისამდე 4%-ით გაუფასურდა. ქართული ვალუტის რეალური გაცვლითი კურსი განსაკუთრებით შესუსტდა ევროსა და თურქულ ლირასთან მიმართებაში, ხოლო აშშ დოლართან და რუსულ რუბლთან მიმართებაში გამყარდა. რაც შეეხება ნომინალურ გაცვლით კურსებს, ლარის ეფექტური კურსი ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში ძირითადად სტაბილური დარჩა, და ამავე დროს ის დასუსტდა ევროსთან მიმართებაში, გამყარდა ლირასთან მიმართებაში და სტაბილური დარჩა აშშ დოლართან მიმართებაში.

2.4. სახელმწიფო შესყიდვები, სტატისტიკა, ფინანსური კონტროლი

თავი 5 – სახელმწიფო შესყიდვები

ევროკავშირის წესები უზრუნველყოფს, რომ საქონლის, მომსახურების და სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვები ნებისმიერ წევრ ქვეყანაში იყოს გამჭვირვალე და ღია ევროკავშირის ყველა კომპანიისთვის არადისკრიმინაციის და თანაბარი მოპყრობის საფუძველზე.

ინსტიტუციური მოწყობა და სამართლებრივი შესაბამისობა

საკანონმდებლო ბაზა ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის კანონთა კრებულს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ახალი კანონის ძალაში შესვლა 2027 წლის იანვრამდე გადაიდო იმ მოტივით, რომ ის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად მნიშვნელოვან კორექტირებას საჭიროებს. საქართველოს წესები სენსიტიურ თავდაცვისა და უსაფრთხოების შესყიდვების სფეროში არ არის სრულ შესაბამისობაში 2009/81/EC დირექტივასთან, ხოლო მისი კანონმდებლობა უწინდებურად არ შეესაბამება ევროკავშირის კანონთა კრებულს კომუნალური მომსახურების, კონცესიების და სახელმწიფო-კერძო პარტნიორობების საკითხებში.

არსებული კანონმდებლობა იძლევა შესყიდვებთან დაკავშირებული დავების საბჭოს (PDRC) დამოუკიდებლობის გარანტიას. საბჭო დამოუკიდებელია, მის წევრებს ირჩევენ საჯარო კონკურენტული პროცედურის საშუალებით, ხოლო შემდეგ მათ ნიშნავს პრემიერ-მინისტრი.

განხორციელების და აღსრულების პოტენციალი

2024 წელს სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით გამოცხადდა 30 014 ღია ელექტრონული ტენდერი (6.43%-ით ნაკლები, ვიდრე 2023 წელს). აქედან, დაახლოებით 88.6% იყო NAT (ტენდერი აუქციონის გარეშე), 6.4% - SPA (ტენდერი აუქციონით), ხოლო 5% იყო ყველა სხვა ელექტრონული შესყიდვის პროცედურა. 3 623 შემთხვევაში შემსყიდველმა ორგანიზაციებმა გამოიყენეს კონტრაქტის პირდაპირი მინიჭების პროცედურა. განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ტრანზაქციების საერთო მოცულობა 2023 წელს ქვეყნის მშპ-ს 13.1%-დან 2024 წელს 9%-მდე შემცირდა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (SPA) აგრძელებს შესყიდვების პროცედურების და პრაქტიკის საკითხებზე ტრენინგების ჩატარებას დარგობრივი სამინისტროებისთვის, მუნიციპალიტეტებისა და სახელმწიფო საწარმოებისთვის (2024 წელს ტრენინგი ჩატარდა 273 თანამდებობის პირს). კონტრაქტების გაფორმების პროცესის ონლაინ მონიტორინგის სისტემის შექმნა ჯერ დასრულებული არ არის.

ზოგადად, არსებობს, კეთილსინდისიერების და ინტერესთა კონფლიქტების მართვის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო. თუმცა რისკების შეფასება, შიდა და გარე კონტროლი შემსყიდველ ორგანოებში უწინდებურად სუსტია. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო რეგულარულ მონიტორინგს უწევს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოყენებულ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებს. დარღვევების შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შეუძლია გასცეს ადმინისტრაციული ბრძანება ან მიმართოს სასამართლოს. მონიტორინგის სტატისტიკის შედეგები ყოველწლიურად ქვეყნდება. 2024 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ხუთი კონსოლიდირებული ტენდერი გაასაჩივრა, რომელთაგან ორი შეწყდა შუამდგომლობის საფუძველზე, ხოლო სამი განხილვის პროცესშია.

დავების განხილვის ეფექტიანი სისტემა

საქართველოში აღინიშნა პროგრესის არარსებობა კანონმდებლობის სამართლებრივი დაცვის უფლების შესახებ ევროკავშირის კანონთა კრებულთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით. 2024 წელს შესყიდვების დავების განხილვის საბჭომ განიხილა 1 164 საჩივარი, 2023 წელს - 1 006. აქედან საჩივრების 63% ბიზნესის სასარგებლოდ გადაწყდა.

თავი 18 – სტატისტიკა

ევროპულ სტატისტიკის შემუშავება, წარმოება და გავრცელება ხდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ, რომლებიც ხელმძღვანელობენ ევროპული სტატისტიკის შესახებ რეგულაციაში გადმოცემული პრინციპებით და ხარისხის კრიტერიუმებით, როგორიცაა პროფესიული დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, სანდოობა, ხელმისაწვდომობა და სტატისტიკური კონფიდენციალურობა. სტატისტიკური ინფორმაციის მეთოდოლოგიის, წარმოების და გავრცელებისთვის არსებობს ზოგადი წესები, რომელთა შემდგომი დაზუსტება ხდება სექტორულ კანონმდებლობაში - ევროკავშირის კანონთა კრებულში სტატისტიკის შესახებ.

სტატისტიკური ინფრასტრუქტურა

რაც შეეხება სტატისტიკურ ინფრასტრუქტურას, საქართველოს საკანონმდებლო ბაზა უწინდებურად ნაწილობრივ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს და პრინციპებს, რომლებიც გადმოცემულია ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსში. კოორდინაციის გასაუმჯობესებლად 2025 წლის მარტში შეიქმნა საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭო. ინსტიტუციური ჩარჩო შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს, მათ შორის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საკადრო და ტექნიკური პოტენციალის კუთხით.

რაც შეეხება რეესტრებს და კლასიფიკაციებს, სტატისტიკისთვის ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურის (NUTS) ეკვივალენტური სტატისტიკური რეგიონების

შეთახმების კუთხით პროგრესის არარსებობა აღინიშნა. საჭიროა ეკონომიკური საქმიანობის, პროდუქტების, პროფესიების და განათლების განახლებული საერთაშორისო კლასიფიკაციების მიღება და გამოყენება. გაუმჯობესდა დროული და მაღალი ხარისხის მონაცემების წარმოება და გავრცელება. საქართველომ დაიწყო მონაცემების გადაცემა ევროსტატში ეროვნული სტატისტიკური ბიზნეს-რეესტრისთვის, მაგრამ საჭიროა რეესტრის შემდგომი განვითარება, რადგან სავალდებულო ცვლადების მეოთხედი, რომელსაც მოითხოვს ევროპული ბიზნესის სტატისტიკის რეგულაციები, არ არსებობს, ან არასრულია.

მაკროეკონომიკური სტატისტიკის მხრივ, საქართველო ამზადებს ეროვნულ ანგარიშებს 2008 წლის საერთაშორისო მეთოდოლოგიის შესაბამისად, და მშპ-ს ითვლის წარმოების, ხარჯებისა და შემოსავლების მიხედვით და საქმიანობის შესაბამისი კლასიფიკაციის საფუძველზე, თუმცა მონაცემები ევროსტატს არ გადაეცემა.

რაც შეეხება **სოციალურ და სოფლის მეურნეობის სტატისტიკას**, მოსახლეობის და სოფლის მეურნეობის აღწერა, გადავადებების შემდეგ, 2024 წლის ბოლოს ჩატარდა.

ამ პერიოდში აღნიშნული უმნიშვნელო ზრდის მიუხედავად, მრავალი სტატისტიკური სფეროს შესაბამისობის დონის შეფასება შეუძლებელია, რადგან საქართველოში ძალზე შეზღუდულად წარმოებს ანგარიშგება მონაცემების და მეტამონაცემების შესახებ, და მონაცემების ევროსტატისთვის გადაცემა. საქართველომ გააუმჯობესა გადაცემა და საკუთარი შესაბამისობის დონე **განათლების, ტრანსპორტის, ბიზნესის, ენერგოეფექტურობის და გარემოსდაცვითი** სტატისტიკის სფეროში.

2025 წლის ივნისში ახალი ინტერაქტიული ენერგეტიკული პორტალის დანერგვით საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) მომხმარებლებისთვის ოფიციალური სტატისტიკის ხელმისაწვდომობა გააუმჯობესა. გარდა ამისა, 2024 წლის დეკემბერში საქსტატმა 37 ახალი ინდიკატორი დანერგა რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის პორტალზე, რომელიც ამჟამად მუნიციპალურ დონეზე 161 ინდიკატორს მოიცავს სექტორების ფართო სპექტრისთვის; ეს სექტორებია: მოსახლეობა და დემოგრაფია, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, მშენებლობა, ტურიზმი, ბიზნესის რეესტრი და ბიზნესი.

თავი 32 - ფინანსური კონტროლი

ევროკავშირი ხელს უწყობს ეროვნული მმართველობის სისტემების რეფორმას მენეჯერული ანგარიშვალდებულების, შემოსავლების და ხარჯების სათანადო ფინანსური მენეჯმენტის და სახელმწიფო სახსრების გარე აუდიტის გასაუმჯობესებლად. ფინანსური კონტროლის წესები წარმოადგენს დამატებით საშუალებას, რომელიც იცავს ევროკავშირის ფინანსურ ინტერესებს თაღლითობისგან ევროკავშირის სახსრების მენეჯმენტში, ხოლო ევროს - გაყალბებისგან.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი

ფინანსური მენეჯმენტის და კონტროლის სისტემის პრაქტიკული განხორციელება უწინდებურად განვითარების საწყის ეტაპზეა. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების ახალი 2025-2028 წლების სტრატეგია მიღებული იქნა 2025 წლის მაისში. ყურადღება კვლავ გამახვილებულია მეთოდოლოგიების გაუმჯობესებაზე და ცნობიერების ამაღლების და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობაზე ცენტრალურ სამინისტროებში, ასევე პილოტური პროექტის განხორციელებაზე სამ შერჩეულ სამინისტროში.

2024 წლის მდგომარეობით, რვა ცენტრალურ სამინისტროში დანიშნულია რისკების მართვის პროცესის კოორდინატორები და ჩატარდა შესაბამისი ტრენინგი. გარდა ამისა, სექტორულ დეპარტამენტებთან თანამშრომლობით შემუშავდა რისკის რეესტრები.

შიდა აუდიტის სფეროში 2025 წლის იანვარში დამტკიცდა და ძალაში შევიდა შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის მიერ დადგენილი ახალი გლობალური სტანდარტი. სამინისტროების და მუნიციპალიტეტების 19 აუდიტორს კვალიფიკაციის სერტიფიკატები

გადაეცა.

ფინანსთა სამინისტროში შექმნილი ჰარმონიზაციის ცენტრალური ქვედანაყოფი კვლავ არასაკმარისად არის კადრებით არის დაკომპლექტებული და მას არ გააჩნია შესაბამისი მანდატი იმისათვის, რომ ქმედითად დაუჭიროს მხარი სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განხორციელებას.

გარე აუდიტი

აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი კვლავ დაბალია (50%-ზე ქვემოთ). კონსტიტუცია შეიცავს გარანტიებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობის შესახებ, ხოლო კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ უზრუნველყოფს გენერალური აუდიტორის (AG) დამოუკიდებლობას. მიუხედავად ამისა, გენერალური აუდიტორის გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილების დამოუკიდებლობა კონსტიტუციაში მკაფიოდ არ არის მოხსენიებული.

საგადასახადო შემოსავლების აუდიტის მანდატი არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, ხოლო მსხვილი სახელმწიფო საწარმოების აუდიტი არ ტარდება. გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი არ ინიშნება საკმარისად ხანგრძლივი და ფიქსირებული ვადით, რათა მიეცეს მას საკუთარი მანდატის დამოუკიდებლად განხორციელების საშუალება.

2025 წლის შემდეგ სახელმწიფო აუდიტის სამსახური ახორციელებს მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ აუდიტს, რომელიც ცვლის ცალკეული სამინისტროების აუდიტის უწინდელ პრაქტიკას. ამის შედეგად ნაერთი ბიუჯეტის დაფარვა მნიშვნელოვნად გაიზარდა 96%-მდე (2023 წლის 88%-თან შედარებით). ეს ცვლილება უზრუნველყოფს სრულ შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან და შეფასებებთან, როგორცაა უმაღლესი აუდიტორული დაწესებულების საქმიანობის შეფასების ჩარჩო, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება და სახელმწიფო დანახარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების პროგრამა.

ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვა

საქართველომ დაიწყო მისი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონთა კრებულის მოთხოვნებთან, განსაკუთრებით კი დირექტივასთან ევროკავშირის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ თაღლითობასთან ბრძოლის შესახებ სისხლის სამართლის კანონმდებლობის გზით. **თაღლითობის წინააღმდეგო საკოორდინაციო სამსახური** ოფიციალურად დანიშნული არ არის, მაგრამ საქართველოს პროკურატურა მოქმედებს, როგორც ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისთან (OLAF) და ევროპის სახელმწიფო პროკურატურასთან თანამშრომლობის საკოორდინაციო ცენტრი. ამ უკანასკნელის მხრიდან 2024 წელს მოთხოვნები არ ყოფილა (2023 წელს - ერთი მოთხოვნა).

2025 წელს ფინანსური გამოძიების განყოფილებამ კიდევ უფრო გააძლიერა თავისი ინსტიტუციური სტრუქტურა სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტის შექმნით. ეს ახალი ერთეული წარმოადგენს გადანაცვლებას უფრო დაზვერვაზე დამყარებული და პროაქტიური მიდგომისკენ ფინანსური ზედამხედველობისა და ეროვნული რისკების შეფასების მიმართ. ეს დეპარტამენტი უფლებამოსილია ჩაატაროს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების ტენდენციებისა და ტიპოლოგიების თემატური, მომავალზე ორიენტირებული ანალიზი.

ევროს დაცვა გაყალბებისგან

ევროკავშირის კანონთა კრებულთან შემდგომი შესაბამისობის თვალსაზრისით მიღებული ზომების შესახებ მოხსენიებული არ ყოფილა. 2000 წელს საქართველო მიუერთდა 1929 წლის საერთაშორისო (ჟენევის) კონვენციას ვალუტის გაყალბების აღკვეთის შესახებ, მაგრამ მისი რატიფიცირება ჯერ არ მოუხდენია.

3. კარგი სამეზობლო ურთიერთობები და რეგიონული თანამშრომლობა

საქართველო მონაწილეობს რეგიონული თანამშრომლობის სხვადასხვა პლატფორმებში, რომელთა შორისაა აღმოსავლეთ პარტნიორობა, ცენტრალური ევროპის ინიციატივა, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, დემოკრატიის და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თანამშრომლობის პროცესი და რეგიონული თანამშრომლობის საბჭო.

მთლიანობაში, საქართველო ინარჩუნებს კარგ ორმხრივ ურთიერთობებს თავის მეზობელ და გაფართოების სხვა ქვეყნებთან. 2024 წელს საქართველომ გააუმჯობესა ურთიერთობა სერბეთთან. კერძოდ, საქართველოს სერბეთთან გაფორმებული აქვს ურთიერთგაგების მემორანდუმი ევროინტეგრაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. საქართველო არ აღიარებს კოსოვოს¹ სახელმწიფოს დამოუკიდებლობას.

საქართველოს და თურქეთს აქვთ სტრატეგიული პარტნიორობა მაღალი დონის კონტრაქტებით, მათ შორის, მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს შემადგენლობაში. თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია ევროკავშირის შემდეგ, და ეს ორი ქვეყანა თანამშრომლობს ისეთ მთავარ ენერგეტიკულ პროექტებზე, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენი და სამხრეთის გაზის დერეფანი. გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა შუა დერეფნის პროექტზე, კერძოდ, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ხაზზე მიმოსვლის აღდგენის კუთხით. 2024 წელს თურქეთმა და საქართველომ ხელი მოაწერეს კულტურული თანამშრომლობის პროგრამას 2024-2028 წლებისთვის. გრძელდება მაღალი დონის სამხრეთი სტრატეგიული თანამშრომლობის ფორმატი საქართველოს, თურქეთს და აზერბაიჯანს შორის, რაც გულისხმობს რეგიონული ენერგეტიკული და სატრანსპორტო კავშირების გაღრმავებას და თანამშრომლობას უსაფრთხოების საკითხებში.

საქართველო და უკრაინა სტრატეგიულ პარტნიორობას 2017 წლის შემდეგ ახორციელებენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მხარს უჭერს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, უკრაინამ გამოთქვა შემოთავაზება რუსეთის წინააღმდეგ ევროკავშირის სანქციებთან საქართველოს მიუერთებლობის და სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის გამო. საანგარიშო პერიოდში ურთიერთობები გაუარესდა - 2024 წლის დეკემბერში უკრაინამ სანქციები დაუწესა „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარეს ბიძინა ივანიშვილს და 19 სხვა ოფიციალური პირს. 2025 წლის მარტში საქართველოში 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ შემოსულ უკრაინის მოქალაქეებს უვიზო რეჟიმი ერთი წლით გაუხანგრძლივებს, ხოლო უვიზო ყოფნის მაქსიმალური ხანგრძლივობა სამი წლიდან ერთ წლამდე შემცირდა.

ტრადიციულად საქართველოს და მოლდოვას კარგი ორმხრივი ურთიერთობები აქვთ ერთმანეთის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის ს მხარდაჭერის საფუძველზე.

4. წევრობის ვალდებულებების აღების უნარი

კლასტერი 2: შიდა ბაზარი

ეს კლასტერი მოიცავს შემდეგს: საქონლის თავისუფალი გადაადგილება (თავი 1); სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილება (თავი 2); დაფუძნების უფლება და მომსახურების გაწევის თავისუფლება (თავის 3); კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება (თავი 4); კორპორაციული სამართალი (თავი 6); კანონი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ (თავი 7); კონკურენციის პოლიტიკა (თავი 8); ფინანსური სერვისები (თავი 9); და მომხმარებლის და ჯანმრთელობის დაცვა (თავი 28).

თავი 1 – საქონლის თავისუფალი გადაადგილება

საქონლის თავისუფალი გადაადგილება უზრუნველყოფს იმას, რომ შესაძლებელი იქნება მრავალი პროდუქტით თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირის ტერიტორიაზე საერთო წესებისა და პროცედურების საფუძველზე. იქ, სადაც პროდუქტები რეგულირდება ეროვნული წესებით, საქონლის თავისუფალი გადაადგილების პრინციპი ხელს უშლის ამ წესებს ვაჭრობისთვის გაუმართლებელი ბარიერების შექმნაში.

ზოგადი პრინციპები

მოქმედებს ევროკავშირის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს რამდენიმე ელემენტი, რომელიც საქონლის თავისუფალ გადაადგილებას განსაზღვრავს. ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების მიხედვით, საქართველოს აღებული აქვს ევროკავშირის კანონთა კრებულთან შესაბამისობის ვალდებულება ჰარმონიზებულ სფეროებში.

მეს განცხადება არ ცვლის არავის მოსაზრებას კოსოვოს სტატუსთან დაკავშირებით და შეესაბამება გაეროს უშიშროების საბჭოს 1244/1999 რეზოლუციას და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსაზრებას კოსოვოს დამოუკიდებლობის შესახებ.

არაჰარმონიზებული სფეროები

საქართველომ არ გადადგა შემდგომი ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ კანონმდებლობა და ადმინისტრაციული პრაქტიკა შეესაბამებოდეს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 34-36 მუხლებს და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკას.

ჰარმონიზებული სფერო: ხარისხის ინფრასტრუქტურა

სტანდარტიზაციის კუთხით, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ უკვე დააკმაყოფილა ტექნიკური მოთხოვნები, განსაზღვრული სახელმძღვანელოში ორგანიზაციული სტრუქტურისა და პროცესების შესახებ სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტისა და ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის წევრობის კრიტერიუმების შეფასებისთვის (CEN/CENELEC გზამკვლევი), რაც მას აძლევს ამ ორგანიზაციების სრულუფლებიანი წევრობის უფლებას.

საქართველოს **ბაზარზე ზედამხედველობის** „წინასწარ შეტყობინებების“ სისტემა არ შეესაბამება ევროკავშირის კანონთა კრებულს. 2025 წლის იანვარში ძალაში შევიდა ცვლილებები პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კანონში, რომელიც განმარტავს ეკონომიკური ოპერატორების ვალდებულებებს, და ამავე დროს განაახლებს არსებული ჯარიმებს და შემოაქვს ახალი ჯარიმები ეკონომიკური ოპერატორების მიერ პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევისთვის. საანგარიშო პერიოდში ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტომ უზრუნველყო ბაზრის ზედამხედველობის 452 კონტროლის განხორციელება და ჯარიმები დააკისრა 80 ეკონომიკურ ოპერატორს.

საქართველოში აღინიშნა პროგრესის არარსებობა შესაბამისობის შეფასების, აკრედიტაციის და მეტროლოგიის საკითხებში.

ჰარმონიზებული სფერო: დარგობრივი კანონმდებლობა

პროდუქტებისადმი ახალი და გლობალური მიდგომის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, მიღებულ იქნა 14 ტექნიკური რეგულაცია ენერგოეტიკეტირების შესახებ (EU) 2017/1369 რეგულაციასთან შესაბამისობის მიზნით. აღინიშნა პროგრესის არარსებობა პროდუქტებისადმი ევროკავშირის ძველი მიდგომის საკანონმდებლო და პროცედურული ზომების საკითხებში.

საქართველოს ბაზრის ზედამხედველობის დებულება ანტიკორუფციულ ღონისძიებებს არ ითვალისწინებს.

თავი 2 – სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილება

ერთი წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებს აქვთ უფლება იმუშაონ სხვა წევრ სახელმწიფოში და მათ უნდა მიეცეთ იგივე სამუშაო და სოციალური პირობები, როგორც სხვა დასაქმებულებს.

რაც შეეხება შრომის ბაზრის ხელმისაწვდომობას, 2025 წლის ივნისში პარლამენტმა მიიღო ცვლილებები კანონში შრომითი მიგრაციის შესახებ, რომლითაც 2026 წლის 1 მარტიდან შემოღებულია სამუშაო ნებართვა. ევროკავშირის მოქალაქეები და უვიზო მიმოსვლის უფლების მქონე სხვა უცხოელები ვალდებული არიან მიიღონ ეს ნებართვა. ცვლილებები ასახავს საქართველოს ხელისუფლების განზრახვას უკეთესად გააკონტროლოს შრომითი მიგრაცია ქვეყანაში და დააკვირდეს მას. საქართველოს საკანონმდებლო ბაზა არ შეესაბამება ევროკავშირის კანონთა კრებულს და არ არსებობს სპეციალური ორგანო, რომელიც სამუშაო ძალის თავისუფალ გადაადგილებას აწესრიგებს.

საქართველოს არ ჩაუტარებია მოსამზადებელი სამუშაოები დასაქმების სერვისების ევროპულ ქსელსა და ევროპის შრომის ორგანოში გასაწევრიანებლად.

სოციალური დაცვის სისტემების კოორდინაციის კუთხით აღინიშნა პროგრესის არარსებობა. სოციალური დაცვის სისტემების ორმხრივი კოორდინაციის საკითხზე ახალი შეთანხმებები არ გაფორმებულა. საქართველოს აქვს სამი ორმხრივი შეთანხმება ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან (გერმანია, ბულგარეთი და საფრანგეთი).

საანგარიშო პერიოდში საქართველოს არ დაუწერგავს ჯანმრთელობის დაზღვევის ეროვნული ბარათი და არ ყოფილა რაიმე სახის განვითარება ჯანმრთელობის დაზღვევის ევროპული ბარათის დანერგვის მიმართულებით.

თავი 3 - დაფუძნების უფლება და მომსახურების გაწევის თავისუფლება

ევროკავშირის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ დამკვიდრდნენ ნებისმიერ წევრ სახელმწიფოში და გასწიონ ტრანსსასაზღვრო მომსახურება. გარკვეული რეგულირებადი პროფესიებისთვის მოქმედებს კვალიფიკაციის ურთიერთაღიარების წესები. საფოსტო სერვისების შესახებ ევროკავშირის წესები მიზნად ისახავს უნივერსალური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, ბაზრის თანდათანობით გახსნას კონკურენციისთვის და დამოუკიდებელი მარეგულირებლის შექმნას.

დაფუძნების უფლების, მომსახურების მიწოდების თავისუფლების და საფოსტო მომსახურების კუთხით პროგრესის არარსებობა აღინიშნა. ასოცირების შეთანხმების / ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების დანართის განახლებაზე მუშაობა, რომელიც საფოსტო და საკურიერო სერვისებზე მოქმედ წესებს ეხება, ამჟამად შეჩერებულია. საქართველო არ არის სრულ შესაბამისობაში ევროკავშირის კანონთა კრებულთან პროფესიული კვალიფიკაციების ურთიერთაღიარების შესახებ. დარგობრივი სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს კვალიფიციური ექთნების მინიმალურ კომპეტენციებს, დამტკიცდა 2024 წლის დეკემბერში, რათა შესაბამისობაში იყოს მოყვანილი 2005/36/EC დირექტივასთან პროფესიული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ.

თავი 4 - კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება

ევროკავშირში კაპიტალისა და ინვესტიციების გადაადგილება შეზღუდვების გარეშე უნდა იყოს შესაძლებელი, ტრანსსასაზღვრო გადახდების საერთო წესების დაცვით. ბანკები და სხვა ეკონომიკური ოპერატორები გარკვეულ წესებს იყენებენ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მხარდასაჭერად.

კაპიტალის გადაადგილებასა და გადახდებში პროგრესის არარსებობა აღინიშნა. შეზღუდვები სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენაზე ევროკავშირის მოქალაქეების მიერ ძალაში რჩება. საქართველოს არ გადაუდგამს არც ერთი ნაბიჯი გადახდის სერვისების ევროკავშირის კანონთა კრებულთან შემდგომ შესაბამისობაში მოსაყვანად.

რაც შეეხება ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლას,

უწინდებურად არასრულია საქართველოს ევროკავშირის კანონთა კრებულთან შესაბამისობა. 2024 წლის ოქტომბერში MONEYVAL-მა ჩაატარა ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) ორ რეკომენდაციასთან საქართველოს ტექნიკური შესაბამისობის განმეორებითი კლასიფიკაცია და უმეტესწილად შესაბამისობის დონეს მიაღწია: რეკომენდაცია 1 - რისკების შეფასება და რისკზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება; და რეკომენდაცია 15 (R.15) - ახალი ტექნოლოგიები. 2025 წელს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა, რომელიც ფინანსური დაზვერვის ერთეულს წარმოადგენს, MONEYVAL-ის მიერ გამოვლენილი გასაუმჯობესებელი სფეროების საფუძველზე სტრატეგიული ანალიტიკური დეპარტამენტი ჩამოაყალიბა. საქართველომ უნდა გააძლიეროს მონაცემთა დამუშავების საინფორმაციო-ტექნოლოგიური პოტენციალი, რათა გადაჭრას ისეთი მზარდი გამოწვევები, როგორიცაა კრიპტოვალუტების მიმოქცევა. საქართველოს ჯერ კიდევ შესასრულებელი აქვს ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის რამდენიმე რეკომენდაცია, მათ შორის ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრის შექმნა.

თავი 6 – კორპორაციული სამართალი

ევროკავშირის აქვს კომპანიის ფორმირების, რეგისტრაციისა და გამჟღავნების მოთხოვნების საერთო წესები, დამატებითი წესებით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების, ასევე სავალდებულო გარე აუდიტისთვის.

კორპორაციული სამართლის და კორპორატიული მმართველობის სფეროში პროგრესის არარსებობა აღინიშნა. საქართველო ნაწილობრივ შესაბამისობაშია ევროკავშირის კანონთა კრებულთან. ამ სფეროში საჭიროა ევროკავშირის კანონთა კრებულთან შემდგომი ჰარმონიზაცია და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული პოტენციალის გაძლიერება.

კომპანიების ანგარიშგების კუთხით, 2024 წლის ოქტომბერში ძალაში შევიდა ცვლილებები კანონქვემდებარე აქტში, რომელთა მიზანია მცირე და საშუალო საწარმოების ზომების კრიტერიუმების მოთხოვნებთან შესაბამისობა.

სავალდებულო გარე აუდიტის კუთხით, საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს ზედამხედველი ორგანოს (SARAS) მენეჯმენტის ანგარიშგების სახელმძღვანელო განახლდა, როგორც არასავალდებულო დოკუმენტი, რათა სუბიექტებს მიეწოდოთ ინფორმაცია ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის და ევროპული მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტების მოთხოვნების შესახებ. 2025 წლის მაისში ძალაში შევიდა აღრიცხვა-ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს ზედამხედველი ორგანოს ხელმძღვანელის ორი ბრძანება, რომელიც ამტკიცებს იმ აუდიტორული ორგანიზაციების გამჭვირვალობის ანგარიშის მომზადების და გამოქვეყნების წესებს, რომლებიც ატარებენ საზოგადოებრივი ინტერესის სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, და აუდიტორული ფირმების მიერ აუდიტის კომიტეტებისთვის დამატებითი ანგარიშის მომზადების და წარდგენის წესებს. საანგარიშო პერიოდში ძალაში შევიდა აუდიტის განახლებული მარეგულირებელი სტანდარტები.

თავი 7 – კანონი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ

ევროკავშირმა მეტწილად მოახდინა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სამართლებრივი დაცვის და აღსრულების წესების ჰარმონიზაცია, რაც ძირითადად მოიცავს პატენტებს, ბიოტექნოლოგიურ გამოგონებებს და ფარმაცევტულ პროდუქტებს, მათ შორის დამატებითი დაცვის სერტიფიკატებს (SPC), სასაქონლო ნიშნებს, დიზაინებს, გეოგრაფიულ აღნიშვნებს, მათ შორის ხელნაკეთი პროდუქციის და სამრეწველო გეოგრაფიულ აღნიშვნებს, ასევე საავტორო და მომიჯნავე უფლებებს.

საქართველოში საავტორო უფლებებსა და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებით პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

სამრეწველო საკუთრების უფლებებთან დაკავშირებით, 2024 წლის სექტემბერში მიღებულ

იქნა შესწორებები სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონში, რომლითაც გაფართოვდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის (საქპატენტი) სააპელაციო პალატის უფლებამოსილება. საქართველოსა და ევროპის პატენტების ორგანიზაციის შორის ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ შეთანხმების თანახმად, საქპატენტმა 2024 წლის იანვრიდან მიიღო პატენტის ვალიდაციის ცხრა განაცხადი, რომელთაგან სამი დაკმაყოფილდა 2025 წლის თებერვლამდე. საქპატენტის ელექტრონული წარდგენის სისტემა განახლდა, რათა მას განაცხადების მიღება და გამოქვეყნება შეეძლოს. 2025 წელს საქართველო შეუერთდა ლისაბონის შეთანხმების ქენევის აქტს.

აღსრულების სფეროში პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

თავი 8 – კონკურენციის პოლიტიკა

ევროკავშირის წესები იცავს თავისუფალ კონკურენციას. ისინი მოიცავს ანტიმონოპოლიურ წესებს კომპანიებს შორის შემზღუდავი შეთანხმებების და დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების შესახებ, და მოიცავს წესებს კომპანიებს შორის კონცენტრაციების თაობაზე, რომლებსაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეაფერხოს ეფექტური კონკურენცია. გარდა ამისა, ევროკავშირის წესები ადგენს სახელმწიფო დახმარების კონტროლის სისტემას. კონკურენციის დამახინჯების პრევენციის მიზნით მთავრობებს უფლება აქვთ გასცენ სახელმწიფო დახმარება მხოლოდ შემზღუდავი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

ანტიმონოპოლიური კანონები და კომპანიების შერწყმა

საქართველოს **საკანონმდებლო ბაზა** ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის კანონთა კრებულს ანტიმონოპოლიური კანონების და კომპანიების შერწყმის შესახებ. ცვლილებები შევიდა ჯგუფური გამონაკლისების და შერწყმის კონტროლისა და შეტყობინების ფორმების შესახებ რეგულაციებში, ევროკავშირის წესებთან შესაბამისობაში მათი მოყვანის მიზნით. რაც შეეხება **ინსტიტუციურ ჩარჩოს**, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (GCCA) დაამტკიცა ინსტიტუციური განვითარების სტრატეგია 2025–2027 წლებისთვის, რომელიც სააგენტოს მისიას, მიმდინარე გამოწვევებს და სტრატეგიულ პრიორიტეტებს ასახავს. **განხორციელების** საკითხზე, GCCA-მ დაასრულა ორი **ანტიმონოპოლიური** საქმის მოკვლევა, რომლებიც ეხებოდა გადაჭარბებულ ფასებს ავტომობილების გადაყიდვის და ფარმაცევტულ სექტორებში. ამ მოკვლევების საფუძველი იყო საჩივრები დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების, ანტიკონკურენტული შეთანხმებების, სახელმწიფოს მიერ კონკურენციის დამახინჯების და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ. GCCA-მ მოკვლევა დაიწყო საკუთარი ინიციატივით (კომერციული ბანკის მიერ დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების სავარაუდო ფაქტი ელ-კომერციის სექტორში). GCCA-მ შეაფასა 14 **შეტყობინება შერწყმის (კონცენტრაციის)** თაობაზე. ყველა შერწყმა დამტკიცდა, ორ შემთხვევაში - სამართლებრივი დაცვის ზომების გამოყენებით. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც GCCA-მ შერწყმის დამტკიცების პირობად სამართლებრივი დაცვის ზომების გამოყენება დააწესა. GCCA პროაქტიულად აწარმოებს დასრულებულ შერწყმების მონიტორინგს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან და შემოსავლების სამსახურთან თანამშრომლობით.

სახელმწიფო დახმარება

სახელმწიფო დახმარების **საკანონმდებლო ბაზა** არ შეესაბამება ევროკავშირის კანონთა კრებულს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ამ სფეროში პროგრესის არარსებობა აღინიშნა. საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს **ინსტიტუციური ჩარჩო** და აღსრულების პოტენციალი გაძლიერებას მოითხოვს. **განხორციელების** საკითხზე, საანგარიშო პერიოდში არავითარი გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული სახელმწიფო დახმარების საკითხებზე, წარმოებდა მხოლოდ *de minimis* ინფორმაციის შეკრება სახელმწიფო დახმარების შესახებ.

ლიბერალიზაცია

საქართველოს კონკურენციისა და სახელმწიფო დახმარების კანონმდებლობა ვრცელდება საჯარო საწარმოებსა და სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებების მქონე საწარმოებზე. ზოგადი ეკონომიკური ინტერესების მომსახურების დაფინანსების წესების ევროკავშირის საკანონმდებლო კრებულთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

თავი 9 - ფინანსური სერვისები

ევროკავშირის წესები მიზნად ისახავს ფინანსურ ინსტიტუტებს შორის სამართლიანი კონკურენციის, და ფინანსური ბაზრების სტაბილურობის და მთლიანობის უზრუნველყოფას, კერძოდ, საბანკო საქმიანობის, დაზღვევის, დამატებითი პენსიების, საინვესტიციო მომსახურების და ფასიანი ქაღალდების სფეროში. ისინი ამ ინსტიტუტების ავტორიზაციის, ფუნქციონირების და მათზე ზედამხედველობის წესებს მოიცავს.

რაც შეეხება **ბანკებს და ფინანსურ კონგლომერატებს**, 2025 წლის თებერვალში დამტკიცდა და ძალაში შევიდა კონტრაგენტების საკრედიტო რისკის მართვის რეგულაცია საქართველოს საბანკო სექტორში დერივატივების გაზრდილი მოცულობით გამოწვეული რისკების მართვის მიზნით. ზედამხედველობის არსებული, წესებზე დამყარებული მიდგომა რისკებზე დამყარებული მიდგომით შეიცვალა. განახლებული რეგულაცია სისტემურად მნიშვნელოვანი კომერციული ბანკების განსაზღვრის და სისტემური ბუფერის განაკვეთის განსაზღვრის წესის შესახებ დამტკიცდა 2024 წლის დეკემბერში. 2025 წლის იანვარში ძალაში შევიდა დადგენილება, რომელიც მოიცავდა ინფორმაციის გამოქვეყნებას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული სანქციების შესახებ. დამატებითი სამუშაოებია საჭირო ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით, რომელიც დეპოზიტების დაზღვევას და ბანკების აღდგენას და სანაციას მოიცავს.

რაც შეეხება **დაზღვევასა და არასახელმწიფო/კორპორატიულ პენსიებს**, 2025 წლის იანვარში მიღებულ იქნა და ძალაში შევიდა დადგენილება, რომელიც მიზნად ისახავს შესაბამისობას დირექტივასთან (IORP II) კორპორატიული საპენსიო უზრუნველყოფის უწყებების საქმიანობის და მათზე ზედამხედველობის შესახებ. საანგარიშო პერიოდში ძალაში შევიდა ნებაყოფლობითი კერძო პენსიების და დეპოზიტების შესახებ რამდენიმე საკანონმდებლო აქტი, რომელიც შემდეგს საკითხებს არეგულირებს: საპენსიო ფონდის მმართველობა; საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო მანდატის გაფართოება; საპენსიო ფონდის საქმიანობის რეგულირება; და ფინანსური ინსტიტუტებისთვის, რომლებსაც სურთ აიღონ სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქცია, ასევე აქტივების მმართველებისთვის, რომლებიც კერძო საპენსიო სქემის მართვას აპირებენ. როგორც დამზღვევების, ისე გადაზღვევის კომპანიებისთვის, საქართველოში მოქმედი საზედამხედველო რეჟიმი კვლავ ეფუძნება „გადახდისუნარიანობა I“-ის მარეგულირებელ ჩარჩოს. საქართველომ უნდა იმუშაოს „გადახდისუნარიანობა II“-ის ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოსვლის მიმართულებით. ჯერ კიდევ არ არის მიღება დასრულებული და არ ხორციელდება კანონმდებლობა ავტომობილების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის რისკის შიდა დაზღვევის შესახებ.

აღინიშნა პროგრესის არარსებობა საქართველოს **ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის** კანონმდებლობის და ფასიანი **ქაღალდების ბაზრების და საინვესტიციო მომსახურების** კანონმდებლობის ევროკავშირის კანონთა კრებულთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით.

მდგრადი და ციფრული ფინანსების მხრივ, ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნა მისი პირველი შეფასება კლიმატის და სხვა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკების შესახებ 2024 წლის სექტემბერში, ხოლო პირველი კლიმატური სტრეს-ტესტი 2024 წლის დეკემბერში დაასრულა, რითაც შეფასდა კლიმატთან დაკავშირებული რისკების პოტენციური გავლენა საქართველოს ფინანსურ სექტორზე. 2025 წლის მარტში სებ-მა საქართველოსთვის მდგრადი დაფინანსების მეორე სამოქმედო გეგმა ამოქმედდა.

თავი 28 – მომხმარებლის და ჯანმრთელობის დაცვა

ევროკავშირის წესები იცავს მომხმარებელთა ეკონომიკურ ინტერესებს და ასევე უზრუნველყოფს პროდუქციის უსაფრთხოებას, ხელს უშლის სახიფათო იმიტაციების გაჩენას და ადგენს პასუხისმგებლობას უხარისხო პროდუქციისთვის. გარდა ამისა, ევროკავშირი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მაღალ დონეს და კერძოდ, უზრუნველყოფს თამბაქოს კონტროლის, სისხლის, ქსოვილების, უჯრედების და ორგანოების, ასევე ადამიანის და ვეტერინარული სამკურნალო პროდუქტების მაღალ ზოგად სტანდარტებს. ევროკავშირის ასევე აქვს წესები პაციენტთა უფლებების დასაცავად ევროკავშირის სხვა ქვეყანაში მიღებული ჯანდაცვის მომსახურების, და ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდან ჯანმრთელობის სერიოზული საფრთხეებისთვის მომზადების და მათზე რეაგირების კუთხით, რაც ასევე გადამდებ დაავადებებს გულისხმობს.

მომხმარებელთა დაცვა

ჰორიზონტალურ ასპექტებსა და უსაფრთხოებისგან განსხვავებულ საკითხებში მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის კანონთა კრებულს. უკვე არსებობს მომხმარებელთა დაცვის ინსტიტუციური ჩარჩო. სამართალდარღველების და ზარალის ანაზღაურების კუთხით, მომხმარებელთა დაცვის მთავარმა ორგანომ, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (GCCA), გააძლიერა საკუთარი აღმასრულებელი პოტენციალი და აქტიური როლი შეასრულა მომხმარებელთა დაცვის და აღსრულების საერთაშორისო ქსელში. 2024 წლის დეკემბერში სააგენტომ შეიმუშავა სახელმძღვანელო რეკომენდაციები საქონლისა და მომსახურების ფასების აღმნიშვნის შესახებ, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019/2161 დირექტივის საფუძველზე.

საანგარიშო პერიოდში სააგენტომ დაამუშავა 1 158 განაცხადი (320 - 2024 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე და 838 - 2025 წლის იანვრიდან აგვისტომდე). საქმეების თითქმის 90% გადაწყდა მომხმარებლების სასარგებლოდ (39% წინა საანგარიშო პერიოდში).

პროდუქციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს სამართლებრივი ბაზის ევროკავშირის კანონთა კრებულთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით შემდგომი პროგრესის არარსებობა აღინიშნა. ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული კანონმდებლობა და პროცესები არ არის შესაბამისობაში ევროკავშირის კანონთა კრებულთან.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობა

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კუთხით ეროვნული ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონთა კრებულთან შემდგომი ჰარმონიზაცია არ მომხდარა. საქართველო აგრძელებს მისი 2022-2030 წლების ეროვნული ჯანმრთელობის სტრატეგიის განხორციელებას, რომლის მიზანია ჯანდაცვით უნივერსალური მოცვის მიღწევა. 2024 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა კიბოს ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის 2025-2027 წლების საკომუნიკაციო სამოქმედო გეგმა.

საანგარიშო პერიოდში **ელ-ჯანმრთელობის** სფეროში არავითარი განვითარება არ მომხდარა.

მოხდა **სისხლის, ქსოვილების, უჯრედებისა და ორგანოების** საკითხებში სამართლებრივი ბაზის შემდგომი დაახლოება ევროკავშირის კანონთა კრებულთან, რაც განხორციელდა 2024 წლის დეკემბერში შესწორების მიღებით სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ კანონში, რომელთა ძალაში შესვლა 2026 წლის აპრილისთვის იგეგმება. საქართველო უნდა მოემზადოს ჰარმონიზაციისთვის უახლეს რეგულაციასთან (EU) 2024/1938, რომელიც ეხება ადამიანის მიერ მოხმარებისთვის განკუთვნილი ადამიანური წარმოშობის ნივთიერებების ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტებს.

საქართველო ნაწილობრივ შესაბამისობაშია **თამბაქოს კონტროლის** შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობასთან და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციასთან. 2025 წლის აპრილიდან ძალაში შევიდა რეგულაცია თამბაქოს ნაწარმის

სტანდარტიზებული შეფუთვის შესახებ. საქართველოში გარკვეული სახის თამბაქოს ნაწარმის გაყიდვა და/ან დისტრიბუცია დაშვებულია მხოლოდ სტანდარტიზებული (უბრალო) შეფუთვით. საქართველომ უნდა გადახედოს თავის ეროვნულ კანონმდებლობას, რათა უზრუნველყოს შესაბამისობა ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმებასთან და თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა.

2024 წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა **კიბოს მკურნალობაზე**, მათ შორის მკურნალობასა და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა მოზრდილებისა და ბავშვებისთვის.

რაც შეეხება **არაგადამდებ დაავადებებს**, 2025 წლის იანვარში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ საქართველო მაღარიისგან თავისუფალ ქვეყნად იქნა სერტიფიცირებული. საქართველოში აღინიშნა პროგრესი ანტიმიკრობული პრეპარატების მიმართ რეზისტენტობის კუთხით, ბაქტერიოფაგური თერაპიის ინტეგრირების და „ერთიანი ჯანმრთელობის“ მიდგომის დანერგვის საფუძველზე. საქართველომ ანტიმიკრობული პრეპარატების მიმართ რეზისტენტობის წინააღმდეგ ბრძოლა შემდგომშიც უნდა გააძლიეროს.

აღინიშნა პროგრესის არარსებობა შემდეგ საკითხებში: **სამედიცინო მოწყობილობები, ტრანსსასაზღვრო ჯანმრთელობის სერიოზული საფრთხეები, გადამდები დაავადებები, პაციენტების უფლებები ტრანსსასაზღვრო ჯანდაცვის სფეროში, ადამიანის და ვეტერინარული სამედიცინო პროდუქტები, ჯანდაცვის ტექნოლოგიების შეფასება, ნარკოტიკების პრევენცია და ზიანის შემცირება, ჯანმრთელობის უთანასწორობა, ფსიქიკური ჯანმრთელობა, იშვიათი დაავადებები ან კოსმეტიკა.**

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა გააძლიეროს **ანტიკორუფციული ზომები** სამინისტროს კორუფციასთან ბრძოლის სტრატეგიის საფუძველზე, რომელსაც შიდა აუდიტის, მონიტორინგის და ინსპექტირების დეპარტამენტი ახორციელებს.

კლასტერი 3: კონკურენტუნარიანობა და ინკლუზიური ზრდა

ეს კლასტერი შემდეგ თავებს მოიცავს: ციფრული ტრანსფორმაცია და მედია (თავი 10); დაბეგვრა (თავი 16); ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკა (თავი 17); სოციალური პოლიტიკა და დასაქმება (თავი 19); სამრეწველო პოლიტიკა (თავი 20), მეცნიერება და კვლევა (თავი 25); განათლება და კულტურა (თავი 26); და საბაჟო კავშირი (თავი 29).

თავი 10 – ციფრული ტრანსფორმაცია და მედია

ევროკავშირი მხარს უჭერს ელექტრონული კომუნიკაციების, ელექტრონული კომერციისა და აუდიოვიზუალური მომსახურების შიდა ბაზრის გამართულ ფუნქციონირებას. წესები იცავს მომხმარებლებს და ხელს უწყობს თანამედროვე სერვისების უნივერსალურ ხელმისაწვდომობას.

ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგიასთან დაკავშირებით, 2025 წლის თებერვალში მიღებული იქნა საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025-2030 წლების სტრატეგია და მისი 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმა.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველო არ არის შესაბამისობაში გეობლოკირების და პლატფორმა-ბიზნესის ურთიერთობების რეგულაციასთან. საქართველო ჯერ არ არის შესაბამისობაში ევროპის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსთან. **5G-ს** სფეროში საქართველოს კომუნიკაციების კომისიამ მაგთიკომს 5G ინტერნეტის დანერგვის ლიცენზია მიანიჭა. საქართველო შესაბამისობაში უნდა მოვიდეს 5G კიბერუსაფრთხოების ინსტრუმენტთა ნაკრებთან, რათა უზრუნველყოს, რომ მისი დანერგვა არ იყოს დამოკიდებული მაღალი რისკის მქონე მომწოდებლებზე.

ციფრული სერვისების სფეროში ახალი ციფრული მმართველობის სტრატეგია განსაზღვრავს ძირითად მიზნებს, მათ შორის ციფრულ სერვისებზე წვდომის გაფართოებას, ციფრული

მმართველობის მხარდამჭერი პროცესების და კომპონენტების გაუმჯობესებას, ციფრული მმართველობის პოტენციალის და კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობას. გარდა ამისა, საქართველომ 2024 წლის სექტემბერში ხელი მოაწერა ევროსაბჭოს ჩარჩო-კონვენციას ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის შესახებ.

ციფრული სანდოობის და კიბერუსაფრთხოების კუთხით, საქართველომ უნდა შექმნას ოპერაციული თავსებადობის ეროვნული ჩარჩო ევროპის ოპერაციული თავსებადობის ჩარჩოს შესაბამისად და მიზნად დაისახოს ევროპის ოპერაციული თავსებადობის აქტის დებულებებთან დაახლოება.

მედიის რეგულირების კუთხით, 2025 წლის აპრილში მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილი შესწორებებით მაუწყებლებსა და მათ ონლაინ პლატფორმებს ეკრძალებათ უცხოური წყაროებიდან ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერის მიღება; დაშვებულია მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის გამონაკლისები, რომლებიც კომერციულ რეკლამას, სპონსორობის გარიგებებს ან პროდუქტის განთავსებას ეხება.

გარდა ამისა, ამ შესწორებებმა მედიის მარეგულირებელ ორგანოს, კომუნიკაციების კომისიას მიანიჭა უფლებამოსილება დააწესოს ფინანსური ჯარიმები და შეაჩეროს მაუწყებლობის ლიცენზიები კონტენტთან დაკავშირებული დარღვევების გამო. ფაქტობრივ შეცდომებთან, კონფიდენციალურობის დარღვევასთან, მიუკერძოებლობის და სხვა საკითხებთან დაკავშირებული საჩივრები, რომლებსაც ადრე მედია-ორგანიზაციების შიდა ორგანოები აგვარებდნენ, ახლა შეიძლება პირდაპირ კომუნიკაციების კომისიაში იქნას შეტანილი, რაც მნიშვნელოვნად ზრდის კომისიის ძალაუფლებას ჟურნალისტურ ეთიკასთან, რეპორტაჟების სისწორესთან და სავარაუდო ცილისწამებასთან დაკავშირებულ დავებში, და ფაქტობრივად აუქმებს თვითრეგულირების ორგანოებს *(იხილეთ გამოხატვის თავისუფლების ქვეთავი 2.2.1. თავი 23: სასამართლო და ფუნდამენტური უფლებები)*.

საქართველო შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ევროკავშირის კანონთან ხელოვნური ინტელექტის შესახებ და შექმნას საჭირო მმართველობის სტრუქტურები.

თავი 16 – დაბეგვრა

ევროკავშირის დაბეგვრის წესები დამატებული ღირებულების გადასახადს, აქციზურ გადასახადებს და კორპორაციული დაბეგვრის ასპექტებს მოიცავს. გარდა ამისა, ისინი მოიცავს საგადასახადო ადმინისტრაციებს შორის თანამშრომლობას, მათ შორის ინფორმაციის გაცვლას გადასახადებისგან თავის არიდების პრევენციის მიზნით.

არაპირდაპირი დაბეგვრის კუთხით საქართველოს საგადასახადო კოდექსი ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის კანონთა კრებულს დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ. 2025 წლის იანვარში თამბაქოს ნაწარმზე სააქციზო გადასახადები გაიზარდა ევროკავშირის გადასახადების დონესთან თანდათანობითი ჰარმონიზაციის მიზნით. აღინიშნა პროგრესის არარსებობა ალკოჰოლზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და ენერგეტიკულ პროდუქტებზე აქციზის გადასახადებთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით. არ არსებობს სააქციზო პროდუქტების გადაადგილების კონტროლის და მონიტორინგის ეფექტური სისტემა.

პირდაპირი დაბეგვრის მხრივ, გაუნაწილებელი ან რეინვესტირებული მოგების, შერწყმის, შვილობილი კომპანიების, პროცენტისა და ჰონორარის წესები არ არის სრულ შესაბამისობაში ევროკავშირის კანონთა კრებულთან. სათამაშო ბიზნესიდან მიღებული შემოსავლის საგადასახადო განაკვეთი 2025 წლის იანვარში 15%-დან 20%-მდე გაიზარდა.

ადმინისტრაციული თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების კუთხით, საქართველომ დანერგა ინფორმაციის ავტომატური გაცვლა ანგარიშგების საერთო სტანდარტის შესაბამისად.

2025 წლის იანვარში საქართველომ დაიწყო პარტნიორ იურისდიქციებთან ანგარიშების გაზიარება თითოეული ქვეყნის მიხედვით.

რაც შეეხება **ოპერატიულ შესაძლებლობებს და კომპიუტერიზაციას**, შემოსავლების სამსახურმა 2025-2030 წლების სტრატეგია დაამტკიცა. სტრატეგიული მიზნები მოიცავს ციფრულ ტრანსფორმაციას და შესაბამისობის გაუმჯობესებას, საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემების მოდერნიზაციას და ანალიტიკური შესაძლებლობების გაზრდას, ორგანიზაციის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას და საერთაშორისო თანამშრომლობას. მცირე ბიზნესისთვის წინასწარ შევსებული სამშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია ამოქმედდა მათთვის, ვინც დღგ-ს გადამხდელი არ არის.

თავი 17 – ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკა

ევროკავშირის წესები მოითხოვს ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობას და უკრძალავს მათ საჯარო სექტორის პირდაპირ დაფინანსებას. წევრი სახელმწიფოები კოორდინაციას უწევენ საკუთარ ეკონომიკურ პოლიტიკას და ფისკალურ, ეკონომიკურ და ფინანსურ ზედამხედველობას ექვემდებარებიან.

საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარი მიზანია ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, რაც შეესაბამება ევროკავშირის **მონეტარული პოლიტიკის** საკანონმდებლო ბაზას. 2025 წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს ოთხი ახალი წევრი და მმართველი. ამ დანიშვნებით საბჭო ამჟამად სრულად არის დაკომპლექტებული არააღმასრულებელი წევრების უმრავლესობით. ძალაში რჩება დებულება, რომელიც პირველ ვიცე-პრეზიდენტს საშუალებას აძლევს განუსაზღვრელი ვადით შეასრულოს მმართველის მოვალეობის შემსრულებლის ფუნქცია. ეს დებულება, ისევე როგორც სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს ეროვნული ბანკის მმართველის და დეპარტამენტის წევრების გათავისუფლებისთვის, ევროკავშირის კანონთა კრებულს არ შეესაბამება. საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა უნდა გაძლიერდეს, მათ შორის საბჭოს წევრების საკვალიფიკაციო კრიტერიუმების გამკაცრებით.

ეკონომიკური პოლიტიკის მხრივ, საბიუჯეტო ჩარჩო ზოგადად მყარად და გამჭვირვალედ ითვლება. სისუსტეები უწინდებურად უკავშირდება მთავრობის სხვადასხვა ფისკალურ ანგარიშებში გამოქვეყნებული ძირითადი აგრეგატული მაჩვენებლების შედარებადობას, მთავრობის წმინდა დაფინანსების და ვალის მოცულობის ცვლილების შეჯერებას, და გარე ზედამხედველობას მთავრობის ფინანსურ მდგომარეობაზე. მეტად უნდა გაძლიერდეს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დამოუკიდებლობა, კერძოდ, მისი მანდატის, კვალიფიკაციის კრიტერიუმების და ფინანსური ავტონომიის გარკვევით. ფისკალური ზედამხედველობა ზოგადად სამთავრობო სექტორზე, კერძოდ, არაკომერციულ სახელმწიფო საწარმოებზე, კვლავ გაუმჯობესდა მათი ნაღდი ფულის მართვის ხაზინის ერთიანი ანგარიშისთვის თანდათანობითი გადაცემის გზით. 2025 წლის სექტემბრის მდგომარეობით, ხაზინის ერთიან ანგარიშზე 114 სახელმწიფო საწარმო იყო მოქცეული.

თავი 19 - სოციალური პოლიტიკა და დასაქმება

სოციალურ სფეროში ევროკავშირის წესები მოიცავს შრომის სამართლის მინიმალურ სტანდარტებს, თანასწორობას და დისკრიმინაციის აკრძალვას, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებს სამუშაო ადგილზე. ისინი ასევე ხელს უწყობს სოციალურ ჩართულობას, სოციალურ დაცვას და სოციალურ დიალოგს ევროკავშირის დონეზე.

შრომის სამართლის სფეროში კვლავ სახეზეა მნიშვნელოვანი ხარვეზები სამართლებრივი ბაზის ევროკავშირის კანონთა კრებულთან შესაბამისობის კუთხით. ინსტიტუციური ჩარჩო არსებობს, მაგრამ ის შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს. საქართველოს ჯერ არ მოუხდენია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რამდენიმე კონვენციის რატიფიცირება, მათ შორის

კონვენციების შრომის ინსპექტირების, სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის, დედობის დაცვის, მინიმალური ხელფასის, სოციალური უზრუნველყოფის და სამუშაო ადგილზე ძალადობისა და შევიწროების შესახებ. საქართველოს ჯერ არ მიუღია შრომის უფლებების რამდენიმე დებულება სოციალური უფლებების ევროპული ქარტიის ფარგლებში. საჯარო სამსახურის შესახებ კანონში 2024 წლის დეკემბერში შეტანილი შესწორებები მნიშვნელოვნად ასუსტებს საჯარო მოხელეების შრომით უფლებებს და არ შეესაბამება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 158-ე კონვენციის პრინციპებს, განსაკუთრებით თვითნებური გათავისუფლების, სამუშაო ადგილის უსაფრთხოებისა და პროცედურული სამართლიანობის საკითხებში.

სამუშაო ადგილზე შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კუთხით, აღინიშნა პროგრესის არარსებობა ევროკავშირის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის კანონთა კრებულთან შემდგომ შესაბამისობაში მოყვანის კუთხით. 25 დირექტივიდან 19 ჯერ კიდევ არ არის შესაბამისობაში მოყვანილი. საქართველომ უნდა უზრუნველყოს წესების აღსრულება, განსაკუთრებით შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის შესახებ უახლეს დირექტივებთან დაკავშირებით. შრომის ინსპექციის სამსახურის პოტენციალი - როგორც ინსტიტუციური, ისე ადამიანური რესურსები - კიდევ უფრო გაძლიერდა. სამსახურის ბიუჯეტი 2025 წელს 2024 წელთან შედარებით 16%-ით გაიზარდა.

2024 წლის განმავლობაში სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად გარდაიცვალა 33 (2023 წელს - 34) და დაშავდა 260 (2023 წელს - 347) ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოო უბედური შემთხვევების რაოდენობა სტაბილურად მცირდება, ფატალური საწარმოო შემთხვევების საშუალო მაჩვენებელი კვლავ უფრო მაღალია, ვიდრე ევროკავშირში.

სოციალური დიალოგის კუთხით, ფუნქციონირებს სამმხრივი დიალოგი ეროვნულ დონეზე, მაგრამ რეგიონებში ის ძირითადად არ წარმოებს. საწარმოო მოლაპარაკებების კუთხით აღინიშნა პროგრესის არარსებობა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია საწარმოო მოლაპარაკებების შესახებ საქართველოს მიერ რატიფიცირებული არ არის.

დასაქმების პოლიტიკის მიმართულებით, განვითარდა და გაძლიერდა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს პოტენციალი. საჭიროა შემდგომი მუშაობა, კერძოდ, რეგიონებში ამ სააგენტოს მომსახურებაზე წვდომის გასაუმჯობესებლად, ხოლო შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ახალი ეროვნული სტრატეგია ჯერ კიდევ დასამტკიცებელია. 2024 წელს მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის ზოგადი დონე 54.8% იყო (53.3% - 2023 წელს), საიდანაც ქალების მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის დონე იყო 44.8% (43.1% - 2023 წელს), ხოლო მამაკაცების - 66.2% (65.1% - 2023 წელს). 2024 წელს ღია შრომის ბაზარზე 15 609 მხარდაჭერილი სამუშაოს მაძიებელი დასაქმდა (15 899 - 2023 წელს). დასაქმების ხელშეწყობის სერვისებზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით, 2024 წელს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლობითი ოფისები კიდევ ხუთ მუნიციპალიტეტში ამოქმედდა (ხელვაჩაური, სამტრედია, ხარაგაული, სიღნაღი, ჩოხატაური).

2024 წელს საქართველოში უმუშევრობის დონემ 13.9% შეადგინა, რაც 16.4%-ით ნაკლებია 2023 წელთან შედარებით. 2024 წელს მამაკაცებში უმუშევრობის დონე უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქალებში (16.1% შედარებით 11.1%-თან), ისევე, როგორც დასაქმების მაჩვენებელი (55.6% შედარებით 39.8%-თან). თუმცა, გენდერული სხვაობა შრომის ანაზღაურებაში კვლავ პრობლემად რჩება, რადგან ქალების საშუალო ხელფასი მამაკაცების ხელფასის 67.9%-ს შეადგენს. შრომის ანაზღაურებაში გენდერული დისკრიმინაციის არც ერთ შემთხვევასთან დაკავშირებით სამართლებრივი ქმედებები არ განხორციელებულა. 15-29 წლის ახალგაზრდების წილი, რომლებიც არ არიან განათლებაში ან ტრენინგში ჩართული, ან დასაქმებული (NEET) 2024 წელს 24.1%-მდე შემცირდა (26.9%-დან), მაგრამ კვლავ მაღალია

ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით (2024 წელს - 11%). საქართველომ უნდა მოაგვაროს ახალგაზრდებში უმუშევრობის სერიოზული პრობლემა და დაიცვას საბჭოს რეკომენდაციები ახალგაზრდების გარანტიის და გრძელვადიანი უმუშევრობის შესახებ.

არადეკლარირებული სამუშაო კვლავ გამოწვევად რჩება, რადგან 2024 წელს დასაქმების ასაკის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (29.1%) არასასოფლო-სამეურნეო არადეკლარირებულ სამუშაოში იყო ჩართული, აქედან უფრო მეტი მამაკაცი, ვიდრე ქალი (34.2% შედარებით 23.3%-თან) და უფრო მეტი სოფლად, ვიდრე ქალაქში (34.4% შედარებით 26.8%-თან).

სოციალური დაცვისა და ინკლუზიის კუთხით, საქართველოს უწინდებურად არ გააჩნია ყოვლისმომცველი და მიზნობრივი სოციალური დაცვის სისტემა, რომელიც მხარს დაუჭერს დასაქმების პოლიტიკას. 2024 წელს, აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილმა რეკორდულად დაბალ ნიშნულს – 9.4%-ს მიაღწია (2023 წლის 11.8%-თან შედარებით). ჯინის კოეფიციენტი სტაბილური დარჩა, რაც მიუთითებს, რომ უთანასწორობა უწინდებურად მაღალია. არ არსებობს ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ალტერნატიული მზრუნველობის უზრუნველყოფის ეროვნული სტრატეგია. გრძელდება პირებისთვის განკუთვნილი ფართომასშტაბიანი პანსიონატების დეინსტიტუციონალიზაცია. 2024 წლის განმავლობაში გრძელდებოდა ოთხი ახალი სახლის მშენებლობა და რემონტი ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის. 2024 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი ერთი მსხვილი დაწესებულება დაიხურა.

სერიოზული და მზარდი ხარვეზებია სამართლებრივ, პოლიტიკურ და სტრატეგიულ ჩარჩოებში **დასაქმებაში ანტიდისკრიმინაციის და სოციალური პოლიტიკის** საკითხებთან დაკავშირებით. ანტიდისკრიმინაციულ კანონში, გენდერული თანასწორობის კანონსა და შრომის კოდექსში 2025 წლის აპრილში მიღებული შესწორებებით ამოღებული იქნა ტერმინები „გენდერი“ და „გენდერული თანასწორობა“; ეს წარმოადგენს გადახვევას ადრეული ნაბიჯებიდან, რომლებიც ანტიდისკრიმინაციული და გენდერული თანასწორობის შესახებ ევროკავშირის კანონთა კრებულთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით იყო გადადგმული. არ არსებობს შესაბამისობა დასაქმებაში თანასწორობის დირექტივასთან და რასობრივი თანასწორობის დირექტივასთან. გარდა ამისა, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ ეროვნული კანონის აღსრულება უწინდებურად არადაამკმაყოფილებელია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობა შრომის ბაზარზე კვლავ გამოწვევად რჩება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის შესახებ შეთანხმებას სამთავრობო უწყებებს შორის ხელი 2025 წლის თებერვალში მოეწერა.

დასაქმებისა და სოციალური პოლიტიკის სფეროში ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის კუთხით მოქმედ კანონმდებლობაში მხოლოდ ძირითადი პრინციპები და ზოგადი დებულებები არსებობს. საქართველომ უნდა მიიღოს მიზნობრივი დებულებები, რათა საკუთარი კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს გენდერული თანასწორობის შესახებ ევროკავშირის კანონთა კრებულთან, რაც, inter alia, ასევე მოიცავს სამუშაო და პირადი ცხოვრების ბალანსის დირექტივას, ანაზღაურების გამჭვირვალობის დირექტივას და დირექტივას დირექტორთა საბჭოში ქალთა მონაწილეობის შესახებ. 2025 წლის აპრილის საკანონმდებლო შესწორებებით კანონმდებლობიდან ამოღებულია მითითებები გენდერულ თანასწორობაზე და ის მამაკაცებსა და ქალებს შორის თანასწორობით არის ჩანაცვლებული. ქალეთა სეგრეგაცია დარგების და პროფესიების მიხედვით, და მათი სპეციალობების კონცენტრაცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, განათლებასა და ჯანდაცვაში, აიძულებს მათ დასაქმდნენ ეკონომიკის დაბალშემოსავლიან სფეროებში. ქალები ხუთჯერ უფრო მეტ აუნაზღაურებელ საყოფაცხოვრებო და მოვლასთან დაკავშირებულ სამუშაოს ასრულებენ მამაკაცებთან შედარებით, ძირითადად გაბატონებული სტერეოტიპების და მზრუნველობის სერვისებისა და ადგილობრივი ტრანსპორტის შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო, რაც

ასევე შრომის ბაზარზე ქალთა შეზღუდული მონაწილეობის მთავარ მიზეზს წარმოადგენს. ქალები უფრო დიდი ალბათობით ხდებიან სახელმწიფო სოციალური დახმარების ბენეფიციარები, ვიდრე მამაკაცები, ხოლო გენდერული სხვაობა შრომის ანაზღაურებაში აჩვენებს, რომ ქალები 32.1%-ით ნაკლებს გამოიმუშავენ მამაკაცებთან შედარებით.

რაც შეეხება **ევროპის სოციალურ ფონდს (ESF)**, საქართველო მისი მონაწილე ან ბენეფიციარი არ არის. (იხილეთ აგრეთვე თავი 22 - რეგიონული პოლიტიკა და სტრუქტურული ინსტრუმენტების კოორდინაცია).

თავი 20 – მეწარმეობის და მრეწველობის პოლიტიკა


ევროკავშირის ინდუსტრიული პოლიტიკა აძლიერებს კონკურენტუნარიანობას, ხელს უწყობს სტრუქტურულ ცვლილებებს და ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, რაც ახდენს მცირე და საშუალო საწარმოების სტიმულირებას.

რაც შეეხება **მეწარმეობის და მრეწველობის პოლიტიკის პრინციპებს**, საქართველოს მრეწველობის პოლიტიკა ასახულია განვითარების სტრატეგიაში „საქართველო - ხედვა 2030“ და დასაბუთებულია ყოველწლიურ სამთავრობო პროგრამებში, და არა ცალკე სამრეწველო სტრატეგიაში. მოქმედებს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის. არსებობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების რეფორმირების სტრატეგია, რომელშიც აღიარებულია სახელმწიფოს აქციონერის, მარეგულირებელი და პოლიტიკური ფუნქციების გამიჯვნის მნიშვნელობა.

რაც შეეხება **მეწარმეობის პოლიტიკას და ინსტრუმენტებს**, აღინიშნა პროგრესის არარსებობა 2011/7/EU დირექტივასთან შესაბამისობის კუთხით, რომელიც კომერციულ ტრანზაქციებში

დაგვიანებულ

გადახდებს ეხება. 2024 წლის სექტემბერში სახელმწიფო უწყებამ “აწარმოე საქართველოში” მის ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამაში დაწერა სესხის/ლიზინგის თანადაფინანსების კომპონენტი, რომლის მიზანია კერძო სექტორის



კონკურენტუნარიანობის გაზრდა ნარჩენების შეგროვების, დამუშავებისა და განადგურების სფეროში. 2024 წელს პროგრამამ მხარი დაუჭირა 560 ბენეფიციარს და დაამტკიცა 154 მილიონი ევროს ოდენობის სესხი და იჯარა. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში ფუნქციონირება დაიწყო სამმა ახალმა რეგიონულმა საკონსულტაციო ცენტრმა (ზრდის ჰაბები), რამაც მათი საერთო რაოდენობა ექვსამდე გაზარდა, ხოლო იმ რეგიონებში, სადაც ზრდის ჰაბები ჯერ არ ფუნქციონირებს, გაიხსნა დიაგნოსტიკური ცენტრები. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ 2025 წლის გაზაფხულზე დაიწყო ინოვაციური სტარტაპების აქსელერაციის პროგრამის შექმნა.

2024 წლის სექტემბერში კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, გაიზარდა შემოსავლის საერთო ლიმიტი ბენეფიციარებისთვის და გაფართოვდა შესაბამისი აქტივობების და სექტორების სია ამ პროგრამის მოქმედების ფართობებში. 2025 წლის აპრილში მიღებულ იქნა კაპიტალის ბაზრის განვითარების 2023-2028 წლების სტრატეგიის ახალი სამოქმედო გეგმა 2025-2026 წლებისთვის. 2025 წლის ივნისში

მიღებულ იქნა შესწორებები საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონში, რითაც საინვესტიციო ფონდებში სახელმწიფო ორგანოების და/ან სახელმწიფო საწარმოების მონაწილეობის წილი 25%-დან 40%-მდე გაიზარდა.

სექტორულ პოლიტიკასთან დაკავშირებით ახალი განვითარება არ მომხდარა.

თავი 25 - მეცნიერება და კვლევა

ევროკავშირი მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევს კვლევას და ინოვაციებს. ყველა წევრ სახელმწიფოს შეუძლია ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების პროგრამებში მონაწილეობის მიღება და მათგან სარგებლობა, განსაკუთრებით იქ, სადაც არსებობს მოწინავე სამეცნიერო გამოცდილება და კვლევასა და ინოვაციებში სერიოზული ინვესტიციები ხორციელდება.

საქართველომ გარკვეული ნაბიჯები გადადგა **კვლევისა და ინოვაციების პოლიტიკის** მოდერნიზების და ევროკავშირის კანონთა კრებულთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ თავის 2022-2030 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიან ეროვნულ სტრატეგიაში ღია მეცნიერების პრინციპების ინტეგრირება მოახდინა. ტრენინგებისა და პოტენციალის განვითარების ინიციატივებმა ხელი შეუწყო საქართველოს უწყებებს ღია მეცნიერების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებაში. სულ უფრო მეტი მკვლევარი აქვეყნებს პუბლიკაციებს ღია წვდომის ჟურნალებში ან ინახავს სამეცნიერო პუბლიკაციებს ეროვნულ საცავებში. ქვეყანაში ღია წვდომის რესურსების გამოყენება შეფასებულია 60%-ით, რაც ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს შეესაბამება.

მომზადდა და 2025 წლის აპრილში საჯარო კონსულტაციებისთვის გამოქვეყნდა მეცნიერების, კვლევის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის განვითარების 2025-2027 წლების სექტორული სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს განათლებისა და მეცნიერების 2022-2030 წლების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის განხორციელებას. სამოქმედო გეგმა უნდა იყოს ევროპული კვლევითი სივრცის (ERA) ეროვნული გზამკვლევი და მოიცავდეს ERA-ს პრიორიტეტულ სფეროებს.

აღინიშნა პროგრესის არარსებობა ინოვაციების მხარდასაჭერის მიმართულებით ახალი ევროპული ინოვაციური დღის წესრიგის ხუთი ფლაგმანის შესაბამისად, ხოლო კვლევას და მრეწველობას შორის თანამშრომლობა უწინდებურად რთულია კვლევით ორგანიზაციებს, უნივერსიტეტებსა და კერძო კომპანიებს შორის თანამშრომლობის კულტურის არარსებობის გამო. უნივერსიტეტებსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის დამყარებისას კვლავ არსებობს გამოწვევები, მათ შორის იმის გამო, რომ უნივერსიტეტებში საკადრო და ფინანსური შესაძლებლობები შეზღუდულია. ჰკვირავს სპეციალიზაციის კუთხით, მთავრობამ დაამტკიცა იმერეთის საპილოტე რეგიონის ჰკვირავს სპეციალიზაციის 2024-2030 წლების სტრატეგია და მიიღო სამოქმედო გეგმა 2024-2026 წლებისთვის. ჯერ კიდევ მიმდინარეობს მზადება ქუთაისის ტექნოლოგიური ჰაბის - რეგიონში დაგეგმილი ინოვაციური ცენტრის - შესაქმნელად.

რაც შეეხება ევროპული ინოვაციების ტაბლოს, საჭირო სტატისტიკური ინდიკატორების არარსებობის გამო საქართველო 2024 წლის ევროპული ინოვაციების ტაბლოში შეტანილი არ იყო.

ევროკავშირის **კვლევისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამების** კუთხით, საქართველო 2021 წლიდან ასოცირდება პროგრამასთან „ჰორიზონტი ევროპა“; აღსანიშნავია, რომ გაიზარდა პროგრამაში „ჰორიზონტი ევროპა“ უნივერსიტეტების და კვლევითი ცენტრების მონაწილეობის მაჩვენებელი.

მთლიანი შიდა ხარჯები კვლევასა და განვითარებაზე (GERD), როგორც მშპ-ს წილი, 2020 წლიდან არ შეცვლილა და რჩება დაახლოებით 0.24%-ის დონეზე, რაც ევროკავშირის 27 ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე (2.24%) და ევროკავშირის მშპ-ს 3%-იან მიზნობრივ მაჩვენებელზე ნაკლებია.

თავი 26 – განათლება და კულტურა

ევროკავშირი მხარს უჭერს თანამშროლობას განათლების და კულტურის სფეროში პროგრამების დაფინანსებით და წევრ სახელმწიფოთა პოლიტიკის კოორდინაციით ღია კოორდინაციის მეთოდის საშუალებით. ევროკავშირი და მისი წევრი ქვეყნები ვალდებული არიან უზრუნველყონ დისკრიმინაციის პრევენცია და ხარისხიანი განათლება მიგრანტი მუშაკების, მათ შორის არახელსაყრელი პირობების მქონე ოჯახებიდან გამოსული ბავშვებისთვის.

განათლების და ტრენინგის სფეროში განათლებაზე სახელმწიფო ხარჯებმა 2024 წელს მშპ-ს 3.93% შეადგინა, ანუ აღინიშნა უმნიშვნელო ზრდა წინა წელთან შედარებით, თუმცა ეს მაჩვენებელი ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს მაინც ჩამოუვარდება (4.6% 2022 წელს).

სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა კვლავ გამოწვევად რჩება. 2024 წელს, წინა წელთან შედარებით, დაწყებით განათლებაში ჩარიცხვის მაჩვენებელი, მათ შორის ქალებისა და გოგონებისთვის, ოდნავ შემცირდა, ხოლო საშუალო განათლებისთვის გაიზარდა. 2025 წელს საქართველო მონაწილეობს მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასების პროგრამაში (PISA 2025). გარდა ამისა, საქართველომ მონაწილეობა უნდა მიიღოს საერთაშორისო ტესტებში „პროგრესი წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში“ (PIRLS) 2026, „მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების საერთაშორისო კვლევის ტენდენციები“ (TIMSS) 2027 და „მოქალაქეობრივი განათლების საერთაშორისო კვლევა“ (ICCS) 2027.

პროფესიული განათლების და მომზადების (VET) 2024-2030 წლების სტრატეგია მიღებულ იქნა 2024 წლის სექტემბერში, ხოლო 2024 წელს პროფესიული განათლების და მომზადების ინტეგრირებული პროგრამების დანერგვით გაიზარდა წვდომა პროფესიულ განათლებაზე. სტუდენტთა რაოდენობა პროფესიული განათლების და მომზადების სექტორში 2024 წელს 17 083-მდე გაიზარდა (2023 წელს - 15 494).

უმაღლესი განათლების მხრივ, 2024 წელს 2023 წელთან შედარებით ჩარიცხვების მაჩვენებელი გაიზარდა. საქართველო ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის (ბოლონიის პროცესი) სრულუფლებიანი წევრია. ბოლონიის პროცესის განხორციელების 2024 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველოს ჯერ კიდევ სჭირდება მუშაობა ძირითადი ვალდებულებების სრულად შესრულებაზე, როგორცაა ბოლონიის ხარისხის სტრუქტურა და ავტომატური აღიარება. საქართველოდან 3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მონაწილეობს ევროპის უნივერსიტეტების ალიანსებში ასოცირებული პარტნიორების სტატუსით.

უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის მხრივ მნიშვნელოვანი უკუსვლა აღინიშნა. 2024 წლის ნოემბერში განათლების ხარისხის გაუმჯობესების ეროვნულ ცენტრს შეუჩერდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაციაში (ENQA) წევრობა; ამის მიზეზი იყო დაწესებულების არასარწმუნო დამოუკიდებლობა და მის მიერ ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტების ინტერპრეტაცია და გამოყენება. დისტანციური განათლება და ელ-სწავლება უმაღლეს და პროფესიულ განათლებაში სასწავლო გეგმის ნაწილს შეადგენს.

ინკლუზიური განათლების მხრივ, 2025 წლის აპრილში განათლების სამინისტროს ინკლუზიური განათლების დეპარტამენტი გაუქმდა და მისი ფუნქციები სტრატეგიული დაგეგმვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს გადაეცა, რაც ინკლუზიური განათლების ნაკლებ პრიორიტეტულობაზე მიუთითებდა. რაც შეეხება დადებით მხარეს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩარიცხვის წესებსა და პირობებში შევიდა ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების პროფესიული განათლების პროგრამებში ჩარიცხვის ხელშეწყობას. ამის შედეგად, 2024 წელს პროფესიული განათლების პროგრამებში 494 პირი ჩაირიცხა. სოციალურად დაუცველი ადამიანების ჩარიცხვა სოციალური სტიპენდიებით იყო მხარდაჭერილი. 2025 წელს უნარების სააგენტომ მოამზადა მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამხმარებისთვის, რათა ბავშვები და შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირები მაღალი ხარისხის დამხმარე მომსახურებით იყვნენ უზრუნველყოფილი. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები ქალებისთვის, კვლავ შეზღუდულია.

ციფრული მოქალაქეობა და მწვანე უნარები ეროვნულ სასწავლო გეგმაში ასახულია, როგორც გამჭოლი უნარები დაწყებით, საბაზისო, საშუალო და პროფესიული განათლების დონეზე. დამატებითი ძალისხმევაა საჭირო ციფრული განათლების ევროკავშირის 2021-2027 წლების ციფრული განათლების სამოქმედო გეგმასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. საქართველო მონაწილეობს 2021-2027 წლების Erasmus+ პროგრამის საერთაშორისო მიმართულებაში.

საქართველოს **ახალგაზრდული** ორგანიზაციების ეროვნულმა საბჭომ - არასამთავრობო ორგანიზაციამ და ევროპის ახალგაზრდული ფორუმის სრულუფლებიანმა წევრმა, საქმიანობა შეწყვიტა 2024 და 2025 წლებში მიღებული კანონმდებლობის გამო, რომლითაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობა შეიზღუდა.

2025 წელს **სპორტის** სამინისტრო დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანოდ ჩამოყალიბდა. საქართველო აგრძელებს მონაწილეობას ევროპის სპორტის კვირეულში.

კულტურის პოლიტიკაზე დიალოგი მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის შეჩერდა 14 კანონში შეტანილი შესწორების ფონზე, რითაც გაუქმდა არასამთავრობო ორგანიზაციების სავალდებულო მონაწილეობა საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. საქართველო ჯერ არ მიერთებია 2005 წლის იუნესკოს კონვენციას კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის საკითხებზე. საქართველო კვლავ სრულად არის ჩართული პროგრამის „შემოქმედებით ევროპა“ კულტურის და სექტორთაშორის, და ნაწილობრივ - MEDIA მიმართულებაში.

თავი 29 - საბაჟო კავშირი

ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო შედის ევროკავშირის საბაჟო კავშირში და იცავს ერთსა და იმავე საბაჟო წესებსა და პროცედურებს. ეს მოითხოვს საკანონმდებლო შესაბამისობას, განხორციელებას და აღსრულების სათანადო პოტენციალს, და ევროკავშირის ელექტრონულ საბაჟო გარემოზე წვდომას და მასთან ოპერაციულ თავსებადობას.

საქართველომ გადადგა გარკვეული ნაბიჯები **საბაჟო კანონმდებლობის** ევროკავშირის საბაჟო კოდექსთან ჰარმონიზაციისთვის. 2025 წლის თებერვალში საქართველო შეუერთდა საერთო ტრანზიტის კონვენციას და კონვენციას საქონლით ვაჭრობის ფორმალობების გამარტივების შესახებ, და მოახდინა ამ ორი კონვენციის ინტეგრაცია თავის სამართლებრივ სტრუქტურაში. ამის შედეგად კონვენციის წევრი ქვეყნებიდან და ქვეყნებისკენ ყოველგვარი სატრანზიტო გადაადგილება წარმოებს ახალი კომპიუტერიზებული ტრანზიტული სისტემის საშუალებით.

საქართველომ უნდა გაზარდოს საბაჟო სამსახურის **ადმინისტრაციული და საოპერაციო პოტენციალი**. კვლავ პრობლემად რჩება თამბაქოს ნაწარმის კონტრაბანდა და სხვა უკანონო საქმიანობა ოკუპირებული სეპარატისტული რეგიონების მახლობლად მდებარე რეგიონებში. მცირე პროგრესი აღინიშნა საბაჟო თაღლითობასთან ბრძოლის ზომების გაძლიერების და ჯანმოს თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობის აღმოფხვრის ოქმთან მიერთების კუთხით.

რაც შეეხება ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის (AEO) სისტემას, 2025 წლის სექტემბრის მონაცემებით 28 კომპანიას აქვს AEO სტატუსი. ამ რაოდენობიდან 22-ს მიენიჭა AEO-S ავტორიზაცია, რაც მათ აძლევს ურთიერთდღიარების უფლებას ევროკავშირთან შესაბამისი შეთანხმების გაფორმების შემდეგ. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების ურთიერთდღიარებაზე მუშაობა ამჟამად შეჩერებულია.

კლასტერი 4: მწვანე დღის წესრიგი და მდგრადი კავშირი

მწვანე დღის წესრიგის და მდგრადი კავშირების კლასტერი მოიცავს: სატრანსპორტო პოლიტიკას (თავი 14); ენერგეტიკას (თავი 15); ტრანსევროპულ ქსელებს (თავი 21); და გარემოს და კლიმატის ცვლილებას (თავი 27).

თავი 14 – სატრანსპორტო პოლიტიკა

ევროკავშირს აქვს საერთო წესები ტექნიკური და უსაფრთხოების სტანდარტების, უსაფრთხოების, სოციალური სტანდარტების, სახელმწიფო დახმარებისა და ბაზრის ლიბერალიზაციის შესახებ საავტომობილო ტრანსპორტის, რკინიგზის, შიდა საწყლოსნო გზების, მულტიმოდალური ტრანსპორტის, ავიაციის და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში.

რაც შეეხება **ზოგადად ტრანსპორტს**, ძალაშია შესული ეროვნული ტრანსპორტის და ლოგისტიკის სტრატეგია. საანგარიშო პერიოდში მიღებული იქნა 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა.

რაც შეეხება **საგზაო ტრანსპორტს**, საგზაო უსაფრთხოება კვლავ შემფოთების მიზეზია ფატალური შემთხვევების უფრო მაღალი მაჩვენებლების გამო ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. 2024 წელს რეგისტრირებულია ავტოავარიის 5 866 შემთხვევა, აქედან 444 - ფატალური შედეგით (5 594 ავარია 442 ფატალური შედეგით - 2023 წელს). 2025 წლის პირველ ნახევარში საგზაო ავარიების რიცხვი 20%-ით გაიზარდა.

საქართველოს კანონმდებლობა არ არის სრულ შესაბამისობაში ევროკავშირის ძირითად კანონთა კრებულთან საგზაო ტრანსპორტის სოციალური კანონმდებლობის კუთხით, როგორცაა რეგულაცია ავტომობილის მართვის და დასვენების დროის შესახებ. სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირებასთან

დაკავშირებით, გზისპირა ზონაში გზისპირა შემოწმებისა და დარღვევების ხარისხის განსაზღვრის წესები მიღებული იქნა 2025 წლის იანვარში. ინსპექტირება სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირების წესებთან და მძღოლის მუშაობისა და დასვენების რეჟიმთან შესაბამისობას შეამოწმებს. საქართველომ დაიწყო სატრანსპორტო სექტორში მოქმედ ევროკავშირის გარემოსდაცვით კანონთა კრებულთან ჰარმონიზაციის პროცესი.

რკინიგზის ტრანსპორტზე სატრანსპორტო უსაფრთხოების მოკვლევის ბიურო 2025 წლის იანვარში შეიქმნა და მოქმედებს, როგორც უბედური შემთხვევების მოკვლევის ეროვნული ორგანო. სარკინიგზო უსაფრთხოების წესები, რომლებიც 2025 წლის იანვარში შეიქმნა, ავალდებულებს მისასვლელი ლიანდაგების მფლობელებს მიიღონ უსაფრთხოების ნებართვა სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მართვისა და ექსპლუატაციისთვის. სახიფათო ტვირთების ტრანსპორტირების, მატარებლის მემანქანეების სერტიფიცირების, სარკინიგზო სისტემის თავსებადობის და რკინიგზაზე უსაფრთხოების საკანონმდებლო ბაზა ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის კანონთა კრებულს. საანგარიშო პერიოდში არავითარი განვითარება აღნიშნული არ არის.

რაც შეეხება **საზღვაო ტრანსპორტს**, 2024 წლის ოქტომბრიდან ყველა პორტში ფუნქციონირებს ერთი ფანჯრის საზღვაო სისტემა. დამატებით 2024 წლის ნოემბერში მიღებული იქნა

გრაფიკი 24 - საქართველოში რეგისტრირებული საგზაო ავარიები სასიკვდილო შედეგით 100 000 მოსახლეზე



საქართველო ევროკავშირის საშუალო n/a: არ არის ხელმისაწვდომი

წყარო: ტრანსპორტი

განმახორციელებელი კანონმდებლობა სისტემაში მომხმარებლების რეგისტრაციის და ავტორიზაციის პროცედურის შესახებ.

შიდა საწყლოსნო ტრანსპორტთან დაკავშირებით მთავრობამ მიიღო რამდენიმე ძირითადი საკანონმდებლო აქტი უსაფრთხოების წესების, რეგისტრაციის წესებისა და ინსპექტირების წესების გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, სექტორზე მარეგულირებელი ზედამხედველობის გასაძლიერებლად საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დაქვემდებარებაში შეიქმნა შიდა საწყლოსნო ტრანსპორტის დეპარტამენტი.

სამოქალაქო ავიაციასა და მულტიმოდალური ტრანსპორტის სფეროში პროგრესის არარსებობა აღინიშნა. საქართველო ჯერ არ არის შესაბამისობაში კომბინირებული ტრანსპორტის დირექტივასთან.

თავი 15 - ენერგეტიკა

ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა მოიცავს ენერგიის მიწოდებას, ინფრასტრუქტურას, შიდა ენერგეტიკულ ბაზარს, მომხმარებლებს, განახლებად ენერგიას, ენერგოეფექტურობას, ბირთვულ ენერგიას, ბირთვულ უსაფრთხოებას, რადიაციისგან დაცვას და გარანტიებს ბირთვულ მასალებთან დაკავშირებით.

მიწოდების უსაფრთხოების კუთხით, საქართველომ ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოების წესები რისკებისთვის მზადყოფნის რეგულაციის დებულებათა უმეტესობასთან შესაბამისობაში მოიყვანა. ბუნებრივი გაზის რისკის შეფასების წარდგენით საქართველომ გადადგა ნაბიჯები გაზის მიწოდების უსაფრთხოების რეგულაციასთან შესაბამისობისკენ გაზომიარაგების უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, 2024 წლის ოქტომბერში საქართველომ ენერგეტიკული თანამეგობრობის სამდივნოს წარუდგინა ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების დეკლარაცია.

შიდა ენერგეტიკული ბაზრის კუთხით, საანგარიშო პერიოდში ელექტრობის ინტეგრაციის პაკეტთან შესაბამისობაში მოყვანასა და მის განხორციელებაში პროგრესის არარსებობა აღინიშნა. დებულებები გამოყოფისა და ბაზრის გახსნის შესახებ მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გამოყენებული (მაგ., რამდენიმე ენერგეტიკული კომპანიის მმართველი სუბიექტის შეცვლა). სახელმწიფო ქონების შესახებ ცვლილებები, რომლებიც აუცილებელია გაზის და ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორის (TSO) გამოყოფისთვის, ძალაში 2024 წლის დეკემბერში შევიდა, თუმცა ეს ცვლილებები საჭიროებს გამყარებას მეორადი კანონმდებლობით და კორპორაციული რეფორმებით. საქართველოს მარეგულირებელი ჩარჩო არ არის თანხვედრაში ელექტროენერგიის ინტეგრაციის პაკეტთან. **ელექტროენერგიის** სექტორში ელექტროენერგიის ბაზრის კონცეფციის შემუშავებაში შეტანილი ცვლილებებით საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის გახსნა 2027 წლის 1 ივლისამდე გადაიდო. საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს თურქეთის გადამცემი სისტემის ოპერატორთან (TSO), რათა 2027 წლის ივლისში ხელი მოაწეროს საოპერაციო შეთანხმებებს TSO-ებს შორის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის სამომავლო გახსნის მიზნით.

120 მეგავატზე ნაკლები სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებისთვის ელექტროენერგიის წარმოება 2027 წლამდე უმეტესწილად კვლავ დერეგულირების გრაფიკით რეგულირდება.

განახლებადი ენერგიის მხრივ, 2030 წლის განახლებადი ენერგიის მიზნები ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ გეგმაში შეესაბამება საქართველოს სამართლებრივ ვალდებულებებს, რომლებიც ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. განახლებადი ენერგიის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები განახლებადი ენერგიის მეორე დირექტივის (REDII) განსახორციელებლად არ არის მიღებული. საჭიროა დებულებები, რომლებიც უკავშირდება ბიოსაწვავის, ბიოსითხეების და ბიომასის მდგრადობისა და სათბურის გაზების ემისიების შემცირების კრიტერიუმებს REDII-ს ფარგლებში.

2025 წლის თებერვლის მდგომარეობით, წმინდა აღრიცხვის სქემით მოსარგებლე განახლებადი ელექტროენერგიის მწარმოებლების მთლიანი დადგმული სიმძლავრე 160.8 მეგავატს აღწევდა. მიღებული იქნა რამდენიმე კანონქვემდებარე აქტი, რომლებიც გათბობისა და გაგრილების სექტორებს უკავშირდება.

ენერგოეფექტურობის კუთხით აღინიშნა პროგრესის არარსებობა, მათ შორის შენობების ენერგოეფექტურობის სფეროში.

14-ვე საკანონმდებლო აქტი **ენერგოეტიკეტირების** თაობაზე ევროკავშირის კანონთა კრებულის (EU *acquis*) ტრანსპოზიციის შესახებ, მიღებული იქნა 2024 წლის ბოლოს და ძალაში შევა 2025 წლის ბოლოს. გარდა ამისა, საქართველომ შეიმუშავა მინიმალური სამართლებრივი ბაზა სავალდებულო ეკოლოგიური (ანუ ეკო-დიზაინის) მოთხოვნების დასაწესებლად ენერგიის მომხმარებელი და ენერგიასთან დაკავშირებული ყველა პროდუქტისთვის.

მმართველობის კუთხით, ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული გეგმის დანერგვა შეესაბამება ენერგეტიკული კავშირის მმართველობის და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის რეგულაციას.

ბირთვული უსაფრთხოების კუთხით, საქართველო ნაწილობრივ შესაბამისობაშია ევრატიმის ხელშეკრულების უსაფრთხოების დებულებებთან (*იხ. თავი 7 - კანონი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ*), ვინაიდან მან 2025 წლის მარტში მიიღო ტექნიკური რეგულაციები რადიაციული დაცვის დებულებებისა და მაიონებელი გამოსხივების წყაროების მართვის ფუნდამენტური მოთხოვნების შესახებ.

თავი 21 – ტრანსევროპული ქსელები

ევროკავშირი ხელს უწყობს ტრანსევროპულ ქსელებს (TEN) ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციებისა და ენერგეტიკის სფეროებში, რათა გააძლიეროს შიდა ბაზარი და ხელი შეუწყოს ზრდასა და დასაქმებას.

ტრანსევროპული **სატრანსპორტო ქსელები** (TEN-T) საქართველომდე ვრცელდება. საქართველოს საორიენტაციო ქსელი შედგება 714 კმ სიგრძის რკინიგზისგან (რომლიდანაც 585 კმ ძირითად ქსელზეა), 855 კმ სიგრძის ავტომაგისტრალისგან (რომლიდანაც 768 კმ ძირითად ქსელზეა), სამი პორტისგან (რომელთაგან ერთი ძირითადია) და ერთი ძირითადი აეროპორტისგან.

საქართველო აგრძელებდა საკუთარი საგზაო ინფრასტრუქტურის განახლებას ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის (TEN-T) შესაბამისობის სტანდარტების საფუძველზე. ძირითადი ქსელის საგზაო ინფრასტრუქტურის ხარისხი დამაკმაყოფილებელია, და 2024 წელს მისი 58% შეფასებულია, როგორც ძალიან კარგი ან კარგი (2023 წელს - 52%). ფართო ქსელის ჩათვლით, TEN-T-ის სტანდარტებს მხოლოდ 25% აკმაყოფილებს (2023 წელს - 20%). E-70 ავტომაგისტრალის გრიგოლეთი-ქობულეთის გზის მონაკვეთის მშენებლობა ჯერ არ დასრულებულა.

რკინიგზის სექტორში ხელისუფლება ძირითად ქსელში გამოვლენილ შეფერხებებს აგვარებს რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტის საშუალებით, რომელიც ამჟამად 99%-ით დასრულებულია. საანგარიშო პერიოდში აღინიშნა პროგრესის არარსებობა ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის (TEN-T) რკინიგზის შესაბამისობის ინდიკატორებთან დაკავშირებით ხაზის სიჩქარის, მატარებლის სიგრძის ან ლიანდაგის სიგანის კუთხით. საქართველოს რკინიგზას არა აქვს დანერგილი სარკინიგზო გადაზიდვების მართვის ევროპული სისტემა.

მთლიან ქსელს დაემატა რკინიგზის ახალი მონაკვეთი (სენაკი - ხამისკური). 2024 წლის ბოლოს საქართველოსა და ჩინეთს შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს სატრანსპორტო დერეფნების განვითარების შესახებ ჩინეთ-ევროპის რკინიგზის ექსპრესის, ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტისთვის (შუა დერეფანი).

ანაკლიის ღრმაწყლოვანი საზღვაო პორტის მშენებლობა დრაგირების/გრუნტის ამოღების

სამუშაოებით დაიწყო.

საქართველოს არა აქვს განხორციელებული ენერგეტიკაში ტრანსევროპული ქსელის (TEN-E) ძველი რეგულაციის (EU) 347/2013 ტრანსპოზიცია. ენერგეტიკაში ტრანსევროპული ქსელის (TEN-E) შესწორებული რეგულაცია ამჟამად საქართველოზე არ ვრცელდება.

თავი 27 – გარემო და კლიმატის ცვლილება

ევროკავშირი აქტიურად უწყობს ხელს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლას, მდგრად განვითარებას და გარემოს დაცვას. ევროკავშირის კანონები შეიცავს დებულებებს, რომლებიც აგვარებს კლიმატის ცვლილების, წყლის და ჰაერის ხარისხის, ნარჩენების მართვის, ბუნების დაცვის, სამრეწველო დაბინძურების, ქიმიკატების, ხმაურის და სამოქალაქო თავდაცვის პრობლემებს.

გარემო

ჰორიზონტალური კანონმდებლობის თვალსაზრისით საქართველო ნაწილობრივ შესაბამისობაშია ევროკავშირის კანონთა კრებულთან (*acquis*). გარემოს დაცვის პოლიტიკის განხორციელება, მონიტორინგი და აღსრულება კვლავ გამოწვევად რჩება, განსაკუთრებით შეზღუდული და არასტაბილური ადმინისტრაციული პოტენციალის გამო. საანგარიშო პერიოდში აღინიშნა პროგრესის არარსებობა გარემოსდაცვითი ინვესტიციების მომზადებისა და განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხში - მათ შორის პროცედურების გამჭვირვალობის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების და ჰორიზონტალური კანონმდებლობის (*acquis*) სხვა ელემენტების დაცვის კუთხით. ქვეყანას ჯერ არა აქვს რატიფიცირებული ესპოს კონვენციის ოქმი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ.

რაც შეეხება ჰაერის ხარისხს, საქართველომ 2024 წლის სექტემბერში თბილისის ჰაერის ხარისხის გეგმა დაამტკიცა. 2025 წლის იანვარში სრულად შევიდა ძალაში კანონი ავტომობილების ემისიის შესახებ და ევრო-5/V ავტომობილების ემისიის სტანდარტები, და ამჟამად ის ასევე ვრცელდება M3 და N კატეგორიის ავტომობილებზე. 2025 წლის მდგომარეობით, 35 სამრეწველო ქარხანაში დაინერგა თვითმონიტორინგის სისტემა და ისინი მუდმივად აწვდიან ინფორმაციას ემისიის შესახებ ზედამხედველობის ორგანოს. თვითმონიტორინგის მოწყობილობები დამონტაჟდა კიდევ ექვს მსხვილ ქარხანაში.

ევროკავშირის ნარჩენების მართვისა და წრიული ეკონომიკის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა საწყის ეტაპზეა. 54 (69-დან) მუნიციპალიტეტში შემუშავებულია ნარჩენების მართვის გეგმები.

წყლის ხარისხის სფეროში 2025 წლის მარტსა და თებერვალში მიღებული იქნა საკანონმდებლო აქტები მდინარის აუზების და მდინარის აუზის რაიონების საზღვრების შესახებ, ასევე მდინარის აუზის მართვის საკონსულტაციო და საკოორდინაციო საბჭოების შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ. მდინარის აუზის მართვის ყველა გეგმა დასრულებულია, გარდა მდინარის მტკვრისა. ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის ქსელი კიდევ უფრო გაფართოვდა.

ბუნების დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის კანონთა კრებულს (*acquis*). არსებული ზურმუხტის ქსელი მოიცავს ეროვნული ტერიტორიის 18%-ს, რაც ნიშნავს, რომ 2030 წლისთვის ის სავარაუდოდ 30.8%-იან სამიზნე მაჩვენებელს მიაღწევს. საქართველომ უნდა დაადგინოს და წინასწარ განსაზღვროს ადგილები, რომლებიც Natura 2000 ქსელში გაერთიანდება. დაცული ტერიტორიები ამჟამად მოიცავს ეროვნული ტერიტორიის 13.34%-ს. საქართველომ უნდა განაახლოს საკუთარი ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ბიომრავალფეროვნების შესახებ კანონპროექტი მიღებამდე უნდა დაიხვეწოს. ეროვნული სატყეო ინვენტარიზაცია ტყეების 55%-ს მოიცავს.

საანგარიშო პერიოდში აღინიშნა პროგრესის არარსებობა ევროკავშირის კანონთა კრებულთან (EU *acquis*) დაკავშირებით, რომელიც **სამრეწველო დაბინძურების კონტროლისა და რისკების მართვას** ეხება. უნდა დაჩქარდეს მუშაობა დამბინძურებლების გამოყოფის და გადაცემის ერთიანი ეროვნული რეესტრის შექმნის მიმართულებით.

ქიმიკატების შესახებ ევროკავშირის კანონთა კრებულის ტრანსპოზიცია კვლავ შეზღუდულად ხდება და საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

საქართველო ევროკავშირის **ხმაურის** შესახებ კანონმდებლობასთან შესაბამისობის საწყის ეტაპზე იმყოფება. ხმაურის ნორმების დამდგენი შესწორებები 2023 წლის ნოემბერში იქნა მიღებული, მაგრამ არ განხორციელებულა. ხმაურის სტრატეგიული რუკები და სამოქმედო გეგმები არ არის მომზადებული.

საქართველო აგრძელებდა **სამოქალაქო თავდაცვის და კატასტროფების რისკების მართვის** სისტემის პოტენციალის გაძლიერებას ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე. წყალდიდობის რისკის რუკები შემუშავდა ქვეყნის მასშტაბით ევროკავშირის წყალდიდობების დირექტივის შესაბამისად. წყალდიდობის რისკის მართვის გეგმები დასრულდა ოთხი მდინარის აუზისთვის (ხობისწყალი, ნატანები, კინტრიში და სუფსა), და გრძელდებოდა გეგმების შემუშავება დანარჩენი აუზებისთვის. ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელი გაფართოვდა 50 ახალი მონიტორინგის სადგურით, რამაც მათი საერთო რაოდენობა 255-მდე გაზარდა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა შეიმუშავა საგანგებო სიტუაციების მართვის ხუთი დამატებითი გეგმა ხუთი მუნიციპალიტეტისთვის, რამაც გეგმების საერთო რაოდენობა 16-მდე გაზარდა.

კლიმატის ცვლილება

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში გარკვეული პროგრესი აღინიშნა. საქართველო ჯერ კიდევ მუშაობს კლიმატის ცვლილების კანონზე, რომელიც ჯერ მიღებული არ არის.

საანგარიშო პერიოდში საქართველომ ძალისხმევა გასწია სათბურის გაზების ემისიის მონიტორინგის, ანგარიშგების, ვერიფიკაციისა და აკრედიტაციის ჩარჩოს დასაწესებლად გარემოს დაცვის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის გზით; აღნიშნულის მიზანია მონიტორინგის, ანგარიშგების, ვერიფიკაციისა და აკრედიტაციის (MRV-A) სისტემის ამოქმედება 2026 წლის იანვარში.

კლიმატის სტრეს-ტესტის ჩარჩო შემუშავდა 2024 წლის დეკემბერში და ის აერთიანებს მრავალ ანალიტიკურ მოდულს კლიმატური რისკების ეკონომიკური და ფინანსური ზემოქმედების შესაფასებლად.

სათბურის გაზების ეროვნული ინვენტარიზაცია და ორწლიანი გამჭვირვალობის ანგარიში გამოქვეყნდა 2025 წლის მაისში და წარედგინა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციას. საქართველო ამზადებს ახალ ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ წვლილს (NDC) პარიზის შეთანხმების ფარგლებში; ეს ახალი NDC უნდა შეესაბამებოდეს ძალისხმევას, რომლის მიზანია გლობალური დათბობის 1.5°C-მდე შეზღუდვა.

გარკვეული გამარტივების და რაციონალიზაციის მცდელობების მიუხედავად, ადმინისტრაციული პოტენციალი კვლავ დაბალია, რაც ზღუდავს საქართველოს შესაძლებლობას დაწეროს ევროკავშირის კანონთა კრებული (EU *acquis*) კლიმატის საკითხებზე. ამ სფეროში საჭიროა ადმინისტრაციული პოტენციალის, კერძოდ, ადამიანური და ფინანსური რესურსების გუმჯობესება.

კლასტერი 5: რესურსები, სოფლის მეურნეობა და კოჰესია

კლასტერი 5 რესურსების, სოფლის მეურნეობის და კოჰესიის შესახებ შემდეგ საკითხებს მოიცავს: სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება (თავი 11); სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და ფიტოსანიტარიის პოლიტიკა (თავი 12); თევზჭერა და აკვაკულტურა (თავი 13); რეგიონული პოლიტიკა და სტრუქტურული ინსტრუმენტების კოორდინაცია (თავი 22); ფინანსური და საბიუჯეტო დებულებები (თავი 33).

თავი 11 - სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება

ევროკავშირის საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა ფერმერების მხარდაჭერისა და ევროპის სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისკენ არის მიმართული. ის ხელს უწყობს კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლას და ეროვნული რესურსების მდგრად მართვას; ხელს უწყობს სასოფლო ტერიტორიების და ლანდშაფტების შენარჩუნებას ევროკავშირის მასშტაბით; და უზრუნველყოფს სასოფლო ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობას სამუშაო ადგილების მხარდაჭერით სოფლის მეურნეობაში, აგრო-სასურსათო მრეწველობასა და მასთან დაკავშირებულ სექტორებში. ეს მენეჯმენტის და კონტროლის მძლავრ სისტემებს მოითხოვს. გარდა ამისა, არსებობს ევროკავშირის საერთო წესები, რომლებიც მარკეტინგის სტანდარტებს, ხარისხის პოლიტიკას და ორგანულ სოფლის მეურნეობას ეხება.

ჰორიზონტალურ საკითხებთან დაკავშირებით, გადამხდელ ორგანოდ სოფლის განვითარების სააგენტო (RDA) დაინიშნა. სოფლის განვითარების სააგენტო ამ სექტორში სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებს ახორციელებს. 2024 წლის დეკემბერში დამტკიცდა ფერმერული მეურნეობების მდგრადობის მონაცემთა ქსელის შექმნის (FSDN) სამოქმედო გეგმა. მიწის ნაკვეთების იდენტიფიკაციის სისტემის შექმნის საწყის ეტაპზე, საქართველოს მიწის გამოყენება და მიწის საფარი (აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული სეპარატისტული რეგიონების გამოკლებით) საანგარიშო პერიოდში რუკაზე იქნა გადატანილი უახლესი ორთოფოტოგადაღების საშუალებით.

რაც შეეხება საერთო ბაზრის ორგანიზაციას, ევროკავშირის კანონთა კრებულთან (EU *acquis*) შესაბამისობა კვლავაც შეზღუდულია და ძირითადად კონკრეტულ მარკეტინგულ სტანდარტებს უკავშირდება. დამტკიცდა 2025 წლის სამოქმედო გეგმა, რათა თანდათანობით მოხდეს შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზრების ზოგად ორგანიზაციას ეხება. საწყის ეტაპზე საქართველომ უნდა აღიაროს მწარმოებელი ორგანიზაციები, როგორც ეს გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმით, რაც ფერმერების საკუთარი საბაზრო პოზიციების გასამძლიერებლად წახალისებს.

რაც შეეხება სოფლის განვითარებას, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელებით 2024 წელს 387 მილიონი ევროს ოდენობის ბიუჯეტის მობილიზება გახდა შესაძლებელი (23%-ით მეტი წინა წელთან შედარებით). სოფლის განვითარების სააგენტო სოფლის განვითარების 14 პროგრამისგან შემდგარი პორტფელის რეალიზაციას ახორციელებს.

ხარისხის პოლიტიკასთან დაკავშირებით, 2024 წლის ნოემბერში ძალაში შევიდა კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვისა და გამოყენების შესახებ, რომელიც ევროკავშირის კანონთა კრებულს (EU *acquis*) შეესაბამება.

რაც შეეხება ორგანულ სოფლის მეურნეობას, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

კორუფციასთან ბრძოლის კუთხით, კორუფციის პრევენციის კანონი წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს ყველა სექტორისთვის. სოფლის განვითარების სააგენტო აკეთებს ანგარიშს აღნიშნული დარღვევების შესახებ და იძლევა დაამეტებით ინფორმაციას. ამ უწყებას აქვს დარღვევების სპეციალისტის შტატი, ხოლო უწყების უფლებამოსილებათა პროცედურების სახელმძღვანელო განსაზღვრავს იმ დარღვევების გამოსწორების მეთოდებს,

რომელთა განხორციელება გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით გამოწვევას წარმოადგენს.

თავი 12 - სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და ფიტოსანიტარიის პოლიტიკა

ევროკავშირის სასურსათო კანონმდებლობა, მათ შორის საკვები პროდუქტების წარმოების ჰიგიენის წესები, სურსათის და საქონლის საკვების უვნებლობის მაღალ დონეს და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს. უზრუნველყოფილია ცხოველთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა და ცხოველური წარმოშობის საკვები პროდუქტების უსაფრთხოება, ისევე როგორც თესლების და მცენარეთა რეპროდუქციული მასალების ხარისხი, მავნე ორგანიზმებისგან დაცვა, ცხოველთა კვება და მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენება.

სურსათის ზოგადი უვნებლობის, სურსათის უვნებლობის წესების და საქონლის საკვებისთვის არსებული სპეციალური წესების მიმართულებით 2025 წლის იანვარში საქართველომ მიიღო ევროკავშირის კანონთა კრებულთან (EU *acquis*) ჰარმონიზებული კანონმდებლობა, კერძოდ - რეგულაცია (EU) 625/2017 ოფიციალური კონტროლის შესახებ, რომელიც ძალაში შევა 2027 წლის იანვარში. 2025 წლის ივნისში დამტკიცდა სურსათის უვნებლობის სტრატეგია 2025-2028 წლებისთვის. ის აერთიანებს ექვს სტრატეგიული ამოცანას, რომლებიც მოიცავს საკანონმდებლო ბაზას, სურსათის კონტროლის ეროვნულ სისტემას, კრიზისებზე რეაგირებას, რისკების ანალიზს, მდგრადობას და ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას. კომპეტენტური ორგანოების ხარისხის მართვის სისტემის (ISO 9001:2015) სერტიფიცირება ვეტერინარული კონტროლის სისტემაზე 2024 წლის ოქტომბერში გავრცელდა.

მისი განხორციელებისთვის საჭიროა ქვეყნის კონტროლის სისტემაში დამატებითი დებულებების შეტანა. კერძოდ, კომპეტენტური ორგანოების თანამშრომლების რეგულარული ტრენინგის მოთხოვნები; სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (SRCA) თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება; ეს ცენტრი წარმოადგენს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის, ასევე საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის რისკების შეფასების კომპეტენტურ ორგანოს.

საქართველოს ცხოველთა ჯანმრთელობის კანონმდებლობა ჯერ არ არის მოყვანილი შესაბამისობაში ევროკავშირის ცხოველთა ჯანმრთელობის პოლიტიკასთან და კანონთა კრებულთან.

საქართველოს ცხოველთა კეთილდღეობის პრაქტიკა და კანონმდებლობა ჯერ არ არის მოყვანილი შესაბამისობაში ევროკავშირის ცხოველთა კეთილდღეობის პოლიტიკასთან და კანონთა კრებულთან (*acquis*).

რაც შეეხება სურსათის, საქონლის საკვებისა და მეცხოველეობის სუბპროდუქტების ბაზარზე გატანას, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ განაგრძო რისკებზე დაფუძნებული ოფიციალური შემოწმების ჩატარება. უნდა გაძლიერდეს მიკვლევადობის სისტემა, რომელიც მოიცავს სასურსათო ბიზნესის ოპერატორების ძირითად პასუხისმგებლობას სურსათის უვნებლობასა და ხარისხთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს რეგისტრირებული სასურსათო ბიზნესის ოპერატორების მოცვა ყველა კვების ჯაჭვში, წვრილი მწარმოებლების და საოჯახო წარმოების სუბიექტების ჩათვლით. კერძო სექტორის ცნობიერების ამაღლებისა და სურსათის უვნებლობის თვითკონტროლის გაუმჯობესებისათვის შემდგომი ძალისხმევაა საჭირო.

სურსათის უვნებლობის ლაბორატორიული ანალიზების სრული სპექტრი ჯერ-ჯერობით დანერგილი არ არის. კვლავ რჩება გარკვეული საოპერაციო პრობლემები TRACES ელექტრონული სერტიფიკატების გაცემასთან დაკავშირებით. ათიდან ხუთი სასაზღვრო შემოწმების პუნქტი საჭიროებს ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის განახლებას, ხოლო რისკებზე დაფუძნებული შეფასების სისტემა სურსათის იმპორტიორებისთვის ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული.

კომპეტენტური ორგანოს - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარებული რისკის შეფასების საფუძველზე 2025 წელს გამოქვეყნდა რძეში აფლატოქსინ M1-ის რისკის მართვის და მალაქიტის მწვანით დაბინძურებული თევზის რისკის მართვის რეკომენდაციები.

ჯერ-ჯერობით არ არსებობს ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი სისტემა მეცხოველეობის სუბპროდუქტების შეგროვების, შენახვისა და გადამამუშავებისთვის.

პროგრესის არარსებობა აღინიშნა **გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების** რისკის შეფასების და ბაზარზე გატანის ნებართვის გაცემის პროცესებში.

რაც შეეხება **ფიტოსანიტარიის პოლიტიკას**, შეიქმნა სერტიფიცირების სისტემა მცენარეთა დაცვის პროდუქციის პროფესიონალი მომხმარებლებისა და პესტიციდებით დამუშავების მოწყობილობებისთვის, რათა განხორციელდეს ევროკავშირის დირექტივა 2009/128 მცენარეთა დაცვის თაობაზე. ეს ქმედება მიზნად ისახავს პესტიციდების მდგრად გამოყენებას და ასევე მოიცავს მავნებლებთან ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებების და ორგანული წარმოების მხარდაჭერას. რაც შეეხება კანონმდებლობას **მცენარეთა ჯანმრთელობის** თაობაზე, საქართველოს ჯერ არ მიუწოდებია რაიმე სახის ინფორმაცია ამ კანონმდებლობის ევროკავშირის კანონთა კრებულთან თანხვედრის თაობაზე.

თავი 13 - თევზჭერა და აკვაკულტურა

თევზჭერის ზოგადი პოლიტიკა ადგენს თევზის მრეწველობის მართვის წესებს, იცავს ზღვის ცოცხალ რესურსებს და ზღუდავს თევზჭერის ზემოქმედებას გარემოზე. ეს მოიცავს თევზჭერის კვოტების დადგენას, ფლოტის ტევადობის მართვას, კონტროლისა და ინსპექტირების წესებს, ბაზრებისა და აკვაკულტურის წესებს, და თევზჭერისა და სანაპირო საზოგადოებრივი ჯგუფების მხარდაჭერას. გარდა ამისა, ის ხელს უწყობს მდგრადი აკვაკულტურის განვითარებას.

არსებული კანონმდებლობა ადგენს ძირითად მოთხოვნებს, როგორცაა დროშის სახელმწიფოს, სანაპირო სახელმწიფოს, პორტის სახელმწიფოს და ბაზრის სახელმწიფოს ვალდებულება.

რაც შეეხება **თევზის მრეწველობის რესურსებს**, გარემოს ეროვნული სააგენტო (NEA) აქტიურად მონაწილეობს ხმელთაშუა ზღვის და შავი ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის BlackSea4Fish კვლევით პროგრამაში მონაცემთა შეკრების ისეთ სტანდარტიზებულ მეთოდებთან შესაბამისობის მიზნით, როგორცაა ზღვის ფსკერის კვლევა ფსკერთან ახლოს მცხოვრები (დემერსალური) თევზის კომერციულ სახეობათა მარაგების შესაფასებლად. გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მონაწილეობა მიიღო სენსიტიური და დაცული სახეობების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიებში და წვლილი შეიტანა მცირე მასშტაბის სანაპირო მეთევზეების სოციალურ-ეკონომიკურ კვლევაში. კომპეტენტური ორგანოს მიერ არ გაიცემა ევროკავშირში ექსპორტისთვის საჭირო თევზჭერის სერტიფიკატები, რადგან ავტორიზებული გადამამუშავებელი საწარმოებიდან შესაბამისი თევზჭერის პროდუქტები (თევზის ქონი და თევზის ფხვნილი) ჯერ არ არის განკუთვნილი ევროკავშირში ექსპორტისთვის.

მოქმედებს **ფლოტის მართვის** სისტემა თევზჭერის გემების რეესტრით და თევზჭერის საქმიანობის მონიტორინგით. ანჩოუსის ლიცენზიის ხუთი მფლობელი მკაცრად კონტროლდება ლიცენზირების ხელშეკრულების ფარგლებში.

ანჩოუსის ლიცენზირების ხელშეკრულებით მომუშავე გემებისთვის მოქმედებს **ინსპექტირებისა და კონტროლის** კომპლექსური სისტემა ონლაინ ვიდეომეთვალყურეობით, ინსპექტირებით ზღვაში და ტვირთის გადმოცლის ადგილებში. თევზჭერის კონტროლის სისტემა არ ემყარება რისკებზე დაფუძნებულ მართვის მეთოდოლოგიას. სანაპირო დაცვა აკონტროლებს ტერიტორიულ წყლებს და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონას. არ არის უზრუნველყოფილი მცირე მასშტაბის სანაპირო ფლოტის თევზჭერაზე მეთვალყურეობა და მონიტორინგი. ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის (GFCM) შესაბამისობის

კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, საქართველომ უნდა გააძლიეროს ძალისხმევა GFCM-ის რეკომენდაციების შესაბამისობის განსახორციელებლად და საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად, კერძოდ, საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავების მიზნით მცირე მასშტაბის თევზჭერის და აკვაკულტურის საქმიანობის რეგულირებისთვის.

საქართველოში თევზჭერისთვის კონკრეტული სტრუქტურული ზომების გატარება გათვალისწინებული არ არის. არ არის არავითარი წინსვლა სახელმწიფო დახმარების საკითხში, რომელიც ფლოტის მოდერნიზაციისთვის შეღავათიანი საკრედიტო სესხების გაცემას ითვალისწინებს.

საანგარიშო პერიოდში საბაზრო პოლიტიკის კუთხით პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

რაც შეეხება აკვაკულტურას, 2024 წლის სექტემბერში დამტკიცდა აკვაკულტურის მდგრადი განვითარების 2024-2028 წლების სტრატეგია. საზღვაო აკვაკულტურისთვის გამოყოფილი რვა ზონის მართვის გეგმა 2025 წლის მარტში დამტკიცდა. პირველი აუქციონის პროცედურა დაიწყო 2025 წლის აპრილში ერთი გამოყოფილი ზონისთვის. ნებადართვა, რომელიც თავდაპირველად გაცა 2025 წლის მაისში 20 წლის ვადით, ხელს შეუწყობს მომდევნო 10 წლის განმავლობაში დაახლოებით 55 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელებას, რომლის მიზანია წელიწადში დაახლოებით 18 000 ტონა თევზის წარმოება. აკვაკულტურის შესახებ კანონის აღსრულებასთან დაკავშირებით კვლავ არსებობს გამოწვევები, განსაკუთრებით მცირე მასშტაბის მწარმოებლების მიერ სანებართვო პროცედურების დაცვის საკითხში.

საერთაშორისო შეთანხმებების კუთხით, საქართველო აგრძელებს მონაწილეობას ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის (GFCM) შეხვედრებში და მან მიზნად უნდა დაისახოს ამ კომისიის მუდმივი წევრობა. საზღვაო სივრცითი დაგეგმარების ფარგლებში მოხდა საზღვაო აკვაკულტურისთვის გამოყოფილი ზონების საზღვრების დადგენა.

თავი 22 – რეგიონული პოლიტიკა და სტრუქტურული ინსტრუმენტების კოორდინაცია

რეგიონული პოლიტიკა წარმოადგენს ევროკავშირის ძირითად ინსტრუმენტს რეგიონული უთანაბრობის შესამცირებლად და ინვესტიციების განსახორციელებლად მდგრად და ინკლუზიურ სოციალურ ზრდაში. მისი მოქმედების მექანიზმია ერთიანი მენეჯმენტი ევროკომისიასა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის. ერთიანი პოლიტიკის პროგრამების განხორციელება მოითხოვს სათანადო ადმინისტრაციულ პოტენციალს პროგრამის და პროექტების დონეზე, ფინანსური მენეჯმენტის და კონტროლის მძლავრი სისტემების ჩამოყალიბებას, და ევროკავშირის კანონთა კრებულის სხვა ელემენტების შესრულებას, როგორცაა გარემოს დაცვის ან საჯარო შესყიდვების კანონმდებლობა.

საქართველოს არა აქვს რეგიონულ განვითარებასთან და კოჰესიურობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა. 2024 წლის სექტემბერში მთავრობამ დაამტკიცა მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგია და მისი 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმა. სტრატეგიის მიზანია გახადოს მთიანი დასახლებები უფრო მიმზიდველი საცხოვრებლად და სამუშაოდ, და ამავდროულად შეამციროს სოციალურ-ეკონომიკური და ტერიტორიული უთანასწორობა მთიან და დაბლობ მუნიციპალიტეტებს შორის.

ინსტიტუციური ჩარჩოს მხრივ, 2025 წლის აპრილში მთავრობამ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (MRDI) ორ დამოუკიდებელ ერთეულად გაყო (რეგიონული განვითარების სამინისტრო და ინფრასტრუქტურის სამინისტრო) რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის კოორდინაციის გაუჯობების მიზნით.

ადმინისტრაციული პოტენციალის მხრივ, რეგიონული განვითარების სამინისტროს და რეგიონებში სახელმწიფოს წარმომადგენლებს პოლიტიკის განხორციელების კოორდინაციის და მონიტორინგისთვის საჭირო საკმარისი ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსები გააჩნიათ.

პროგრამირების მხრივ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განაგრძო მუშაობა ჭკვიანი სპეციალიზაციის სტრატეგიაზე, რომელიც უნდა შემუშავდეს დასავლეთ საქართველოსთვის სტატისტიკისთვის ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურის (NUTS) მე-2 დონის შესაბამისად.

საქართველო უწინდებურად არის შავი ზღვის პროგრამის Interreg NEXT 2021-2027 მონაწილე ქვეყანა. თუმცა საგარეო საქმეთა სამინისტროს, როგორც ეროვნული ორგანოს ბოლოდროინდელმა რეორგანიზაციამ შეასუსტა ამ პროგრამის სათანადო ფუნქციონირებისთვის საჭირო მართვისა და კონტროლის სისტემის ეფექტურობა.

2024 წლის ბოლოსთვის დეცენტრალიზაციის სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ცენტრალური ხელისუფლებიდან მუნიციპალიტეტებს ქონების თითქმის 1 300 (1 254) ერთეული გადაეცა (შენობები, მიწა, გზები).

მონიტორინგისა და შეფასების კუთხით, 2025 წლის იანვარში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გამოაქვეყნა კონსოლიდირებული მონიტორინგის 2024 წლის ანგარიში საქართველოში სტატისტიკური ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურის (NUTS) დასაწერად „ჰარმონიზაციის გეგმის განხორციელების მონიტორინგის სახელმძღვანელოს“ შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში **ფინანსური მენეჯმენტის, კონტროლის და აუდიტის** კუთხით პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

კორუფციასთან ბრძოლის კუთხით, კორუფციის პრევენციის კანონი წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს ყველა სექტორისთვის. სოფლის განვითარების სააგენტო აქვეყნებს ანგარიშს რეგისტრირებული დარღვევების შესახებ და იძლევა შემდგომ ინფორმაციას. ამ უწყებას ჰყავს დარღვევების ოფიცერი, ხოლო დარღვევების გამოსწორებას სააგენტოს პროცედურების სახელმძღვანელო განსაზღვრავს.

თავი 33 – საფინანსო და საბიუჯეტო დებულებები

ეს თავი მოიცავს ევროკავშირის ბიუჯეტის („საკუთარი რესურსები“) დაფინანსების წესებს. ეს რესურსები ძირითადად შემდეგი კომპონენტებისგან შედგება: (i) თითოეული წევრი სახელმწიფოს მთლიან ეროვნულ შემოსავალზე დაფუძნებული შენატანები; (ii) საბაჟო გადასახადები; (iii) არარეციკლირებული პლასტმასის რესურსი და (iv) დამატებული ღირებულების გადასახადზე დაფუძნებული რესურსი. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ადმინისტრაციული პოტენციალი, რათა განახორციელონ ადეკვატური კოორდინაცია და უზრუნველყონ საკუთარი რესურსების სწორი გაანგარიშება, შეგროვება, გადახდა და კონტროლი.

რაც შეეხება **ტრადიციულ საკუთარ რესურსებს**, საქართველოში მოქმედებს სტრუქტურები საბაჟო გადასახადების დასაწესებლად იმპორტის განხორციელების ადგილებში. ქვეყანაში მოქმედებს დღგ-ის ეროვნული სისტემა (ინფორმაცია შემოსავლების ადმინისტრირების და გადასახადების შესახებ მოცემულია მე-16 თავში). საქართველოს სჭირდება მისი 2019 წლის საბაჟო კოდექსის ევროკავშირის საბაჟო კოდექსთან შემდგომ შესაბამისობაში მოყვანა.

რაც შეეხება **ადმინისტრაციულ ინფრასტრუქტურას**, ფინანსურ და საბიუჯეტო საკითხებზე საერთო პასუხისმგებლობა ფინანსთა სამინისტროს ეკისრება. შემოსავლების სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია საგადასახადო და საბაჟო საკითხებზე, არის ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი. შემოსავლების სამსახურმა უნდა გააძლიეროს თავისი საოპერაციო პოტენციალი და მოახდინოს საკვანძო ბიზნეს-პროცესების კომპიუტერიზაცია.

კლასტერი 6: საგარეო ურთიერთობები

ამ კლასტერში შედის ორი თავი: საგარეო ურთიერთობები (თავი 30); საგარეო, უსაფრთხოების

და თავდაცვის პოლიტიკა (თავი 31).

თავი 30 – საგარეო ურთიერთობები

მესამე ქვეყნების მიმართ ევროკავშირის აქვს ერთიანი კომერციული პოლიტიკა, რომელიც მულტილათერალურ და ბილათერალურ ხელშეკრულებებს და ავტონომიურ ზომებს ეფუძნება. ასევე მოქმედებს ევროკავშირის წესები ჰუმანიტარული დახმარებისა და განვითარების პოლიტიკის სფეროში.

ერთიანი კომერციული პოლიტიკის კუთხით საქართველო, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, კვლავ მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების მართვის კარგი ადმინისტრაციულ პოტენციალს აჩვენებს საგარეო კომერციულ ურთიერთობებში. საქართველო არის განვითარების ხელშეწყობი ინვესტიციების შესახებ მინისტრთა დეკლარაციის მხარე. 2025 წლის მაისში საქართველომ თევზჭერის სუბსიდირების შესახებ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა. მალე მიიღებენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საცნობარო დოკუმენტის ახალ დებულებებს მომსახურების შიდა რეგულირების თაობაზე.

ქვეყანამ უნდა მოხსნას მარეგულირებელი შეზღუდვები საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად, რაც მოიცავს უფრო ფართო სამართლებრივ ჩარჩოს და ინსტიტუტებს, ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქვეყნის ხელშეწყობის პოლიტიკას და პრიორიტეტული სექტორების ზრდის შემაფერხებელ ფაქტორებს.

რაც შეეხება **ორმაგი დანიშნულების საქონელს**, ექსპორტის კონტროლი ორმაგი დანიშნულების საქონელზე გამოიყენება 2013 წლის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ კანონის შესაბამისად, რომელიც 2019 წელს შესწორდა. საქართველოს ჯერ არ შეუმუშავებია კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს იმ პროდუქციის ექსპორტის კონტროლს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს სიკვდილით დასჯის, წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის მიზნით, ევროკავშირის წამების საწინააღმდეგო კანონთა კრებულის, კერძოდ, რეგულაცია (EU) 2019/125-ის შესაბამისად. საქართველო არის წამებისგან თავისუფალი ვაჭრობის ალიანსის წევრი. საქართველო არ არის ექსპორტის კონტროლის მულტილათერალური რეჟიმების წევრი, როგორცაა ვასენარის შეთანხმება, ბირთვულ მიმწოდებელთა ჯგუფი და სარაკეტო ტექნოლოგიების კონტროლის რეჟიმი.

რაც შეეხება **მესამე ქვეყნებთან ბილათერალურ სავაჭრო შეთანხმებებს**, საქართველო თავისუფალი ვაჭრობის 16 შეთანხმების მხარეა, მათ შორის ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA), თურქეთთან და გაერთიანებულ სამეფოსთან. პრეფერენციული შეთანხმებები მოქმედებს ზოგიერთ ქვეყანასთან, რომლებთანაც ევროკავშირს არ აქვს პრეფერენციული შეთანხმებები: ეს ქვეყნებია: აზერბაიჯანი, ჩინეთი, რუსეთის ფედერაცია, თურქმენეთი და უზბეკეთი. 2024 წლის ივნისიდან ძალაში შევიდა ახალი თაობის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (ყოვლისმომცველი ეკონომიკური პარტნიორობის შეთანხმება) საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის. 2024 წლის ნოემბერში საქართველომ და კორეის რესპუბლიკამ გააფორმეს ეკონომიკური პარტნიორობის შეთანხმება, რომელიც ძალაში შევა ეროვნულ დონეზე რატიფიკაციის პროცესების დასრულების შემდეგ.

საქართველო-უნგრეთის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2025 წლის იანვარში, რითაც 35-მდე გაიზარდა **ბილათერალური საინვესტიციო ხელშეკრულებების** რაოდენობა მესამე ქვეყნებთან, რომელთაგან 16 ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა.

საქართველომ მისი (მომავალი) ეროვნული კანონმდებლობა უცხოური ინვესტიციების შემოწმების შესახებ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ევროკავშირის 2019/452 რეგულაციასთან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოწმების თაობაზე.

განვითარების პოლიტიკის და ჰუმანიტარული დახმარების თვალსაზრისით, საქართველო ძირითადად დახმარების პროგრამების მიმღებად რჩება, და არა დონორად. საანგარიშო პერიოდში მიღებული რეპრესიული კანონმდებლობა, მათ შორის გრანტების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები და უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი, სერიოზულად აზიანებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ხელშეწყობ ფინანსურ გარემოს. საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც არეგულირებს ჰუმანიტარულ დახმარებას და მიზნობრივი დაფინანსების განაწილებას, ჯერ არ არის შემუშავებული. ჯერ არ არის შექმნილი სპეციალიზებული ადმინისტრაციული სტრუქტურები. საქართველოს ჯერ არ შეუმუშავებია კანონმდებლობა განვითარების პოლიტიკის შესახებ და ამ კანონმდებლობის ადმინისტრაციული სტრუქტურა.

თავი 31 - (საგარეო, უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა

წევრ სახელმწიფოებს უნდა შეეძლოთ პოლიტიკური დიალოგის წარმართვა ევროკავშირის საგარეო, უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში, ევროკავშირის განცხადებებთან შესაბამისობაში მოსვლა, ევროკავშირის ქმედებებში მონაწილეობა და შეთანხმებული სანქციებისა და შემზღუდავი ზომების გამოყენება.

ანგარიშების პერიოდში ევროკავშირსა და საქართველოს შორის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან (CFSP) დაკავშირებით პოლიტიკური დიალოგი არ გამართულა ევროკავშირის მიერ პოლიტიკური კონტაქტების შეზღუდვის გამო, რაც გამოწვეული იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული სერიოზული დემოკრატიული უკუსვლით.

საანგარიშო პერიოდში საქართველოში უმაღლესი წარმომადგენლის ევროკავშირის სახელით გაკეთებულ განცხადებებთან და საბჭოს სანქციებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებთან თანხვედრის მაჩვენებელი შემცირდა და რჩება დაბალი, კერძოდ, 2025 წლის 24 ოქტომბრის მდგომარეობით თანხვედრის მაჩვენებელი შეადგენს 40%-ს, 2024 წლის 53%-თან შედარებით.

შეუთავსებლობის შემთხვევები მოიცავდა განცხადებებსა და სანქციებს, რომლებიც დაკავშირებული იყო რუსეთის აგრესიულ ომთან უკრაინის წინააღმდეგ, და ასევე, მაგალითად, ჰონგ-კონგთან, სირიასთან, ტერორიზმთან ან ლგბტქ თემის უფლებებთან დაკავშირებულ განცხადებებსა და სანქციებს. საქართველო სისტემატურად არ უერთდებოდა უკრაინის მხარდამჭერ საერთაშორისო და ევროკავშირის ინიციატივებს, მათ შორის გაეროს გენერალური ასამბლეის, ადამიანის უფლებათა საბჭოსა და ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციებს. 2025 წლის ივნისში საქართველომ თავი შეიკავა ევროპის საბჭოს ფარგლებში სპეციალური ტრიბუნალის შექმნის მხარდაჭერისგან უკრაინის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი აგრესიის თაობაზე. საქართველომ თავი შეიკავა ხმის მიცემისგან გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციისთვის „უკრაინაში ყოვლისმომცველი, სამართლიანი და მდგრადი მშვიდობის ხელშეწყობის შესახებ“ რუსეთის უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის მესამე წლისთავთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ის ამ რეზოლუციის თანასპონსორი იყო.

საერთო მაღალი პრიორიტეტის და ეკონომიკურად კრიტიკული საქონლის რეექსპორტი კვლავ შემოფოთების საგანია. საქართველომ უნდა გააძლიეროს თანამშრომლობის ძალისხმევა, რათა თავიდან აიცილოს მისი ტერიტორიის და/ან საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირების გამოყენება ევროკავშირის შემზღუდავი ზომებისთვის გვერდის ავლის მიზნით. რუსეთში პირდაპირი რეისების რაოდენობა სხვადასხვა მიმართულებით მნიშვნელოვნად გაიზარდა.

საქართველო არის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, მათ შორისაა: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროპის საბჭო, ევროპის უსაფრთხოებისა და

თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია. 2025 წლის იანვარში საქართველომ მისი დელეგაცია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეიდან გაიწვია მას შემდეგ, რაც ასამბლეამ დელეგაციის უფლებამოსილების პირობითი რატიფიცირება მოახდინა და მნიშვნელოვნად შეზღუდა მისი უფლებები. საქართველო ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრია 2025 წლის ბოლომდე. მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლობა ნაწილობრივ შეიზღუდა, საქართველო კვლავ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო) გაწევრიანებისკენ ისწრაფვის და მონაწილეობს ნატოს ეგიდით წარმოებულ ოპერაციებში.

საქართველო აქტიურად არის ჩართული **განთავსებისა და იარაღის გაუვრცელებლობის** მხარდაჭერაში საერთაშორისო, რეგიონულ და ბილატერალურ დონეზე. საქართველო ასრულებს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს, ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციისა და ბიოლოგიური იარაღის კონვენციის წინაშე ნაკისრ ყველა ვალდებულებას. რაც შეეხება **მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღის და მსუბუქი შეიარაღების (SALW)** კონტროლს, საქართველომ აიღო ვალდებულება გაეროს SALW მოქმედების პროგრამის წინაშე, რომელიც SALW-ის უკანონო გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ფართო სპექტრს მოიცავს.

უსაფრთხოების ზომების კუთხით, გადახედვის პროცესშია 2016 წელს ხელმოწერილი შეთანხმება საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის უსაფრთხოების პროცედურების შესახებ.

რაც შეეხება **საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას**, საქართველოს ევროკავშირის კრიზისების მართვის მისიებსა და ოპერაციებში რაიმე ახალი წვლილის შეტანა არ შეუთავაზებია. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო თანამშრომლობაში უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში პროგრესის არარსებობა აღინიშნა.

ჰიბრიდული საფრთხეების კუთხით, ამ სფეროში ევროკავშირთან თანამშრომლობა ამჟამად შეზღუდულია. ხელისუფლებასთან დიალოგი და თანამშრომლობა უცხოური ინფორმაციით მანიპულირებისა და ჩარევის (FIMI) წინააღმდეგ ბრძოლაში შეზღუდულია, ხოლო ევროკავშირის და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობა FIMI-სთან ბრძოლაში გრძელდება. საქართველოს ხელისუფლება აქტიურად ავრცელებს დეზინფორმაციულ ნარატივებს და შეთქმულების თეორიებს, რომელთა სამიზნეს ხშირად ევროკავშირი და ევროკავშირში გაწევრიანება წარმოადგენს.

დანართი I – ევროკავშირის და საქართველოს შორის ურთიერთობები

საქართველომ განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე 2022 წლის 3 მარტს შეიტანა. 2022 წლის ივნისში ევროპულმა საბჭომ აღიარა ევროპული პერსპექტივა საქართველოსთვის. 2023 წლის დეკემბერში საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიანიჭა იმ პირობით, რომ ქვეყანა ევროკომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის რეკომენდაციით გათვალისწინებულ ცხრა ნაბიჯს შეასრულებდა. 2024 წლის 27 ივნისს ევროპულმა საბჭომ დაადგინა, რომ საქართველოს ხელისუფლების ქმედებები საფრთხეს უქმნიდა საქართველოს ევროკავშირისკენ მიმავალ გზას, რამაც გაწევრიანების პროცესის de facto შეფერხება გამოიწვია. ევროპულმა საბჭომ ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა 2024 წლის 17 ოქტომბერს.

საანგარიშო პერიოდში ევროკავშირის და საქართველოს შორის პოლიტიკური დიალოგი არ შემდგარა, რაც საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დემოკრატიული რეგრესიით იყო გამოწვეული.

2014 წლის ივნისში ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს **ასოცირების ხელშეკრულებას** (AA), რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის ივლისში. ამ შეთანხმების განუყოფელი ნაწილია **ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება** (DCFTA). ეს შეთანხმება წარმოადგენს პოლიტიკური ასოცირების და ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველს. ადრეულ ეტაპზე მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური დიალოგი ევროკავშირის და საქართველოს შორის, ისევე როგორც შეხვედრები ქვეკომიტეტებში ასოცირების ხელშეკრულების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების სტრუქტურების ფარგლებში, უმეტესწილად შეფერხებულია. ასოცირების საბჭო ბოლოს 2024 წლის თებერვალში შეიკრიბა, ვაჭრობის კონფიგურაციის ასოცირების კომიტეტი - 2023 წლის დეკემბერში, ხოლო ასოცირების კომიტეტი - 2023 წლის ივლისში. საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი ბოლოს 2023 წლის ივნისში შეიკრიბა.

ასოცირების ხელშეკრულების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების სტრუქტურების გარდა, საქართველოსთან ადამიანის უფლებების დიალოგი 2009 წლიდან მიმდინარეობს და, როგორც წესი, ეს ფორმატი ყოველწლიურად იმართება. საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებების დიალოგი არ გამართულა. მაღალი დონის სტრატეგიული და უსაფრთხოების დიალოგი, რომელიც საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში თანამშრომლობის წინსვლას უზრუნველყოფს, ბოლოს 2024 წლის იანვარში გაიმართა.

საქართველოს მთავრობა არ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ სეპარატისტულ რეგიონებზე. ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და 2008 წლიდან მონაწილეობს კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ძალისხმევაში, მათ შორის ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის და სამხრეთ კავკასიაში და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის საქმიანობის საშუალებით. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ერთადერთი საერთაშორისო წარმომადგენლობაა ადგილზე, რომლის პერსონალი 300-ზე მეტი თანამშრომლისგან შედგება.

საქართველოს მოქალაქეები **შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლით** 2017 წლის მარტიდან სარგებლობენ. ვიზების ლიბერალიზაციის მონიტორინგის მექანიზმის ფარგლებში ევროკომისია რეგულარულად აფასებს პროგრესს, რომელსაც ქვეყანამ მიაღწია ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელებაში. 2024 წლის დეკემბერში გამოქვეყნებულ ანგარიშში ვიზების შეჩერების მექანიზმის ფარგლებში კომისიამ მოუწოდა საქართველოს, მიეღო სასწრაფო ზომები მისი

რეკომენდაციების შესასრულებლად, განსაკუთრებით ფუნდამენტურ უფლებებთან, ანტიდისკრიმინაციულ და ანტიკორუფციულ საკითხებთან დაკავშირებით, რათა თავიდან აეცილებინა ვიზების შეჩერების მექანიზმის შესაძლო ამოქმედება. 2025 წლის 27 იანვარს საბჭომ შეაჩერა ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების შეთანხმების ნაწილები, რათა საქართველოს დემოკრატიული უკუსვლის საპასუხოდ სამსახურებრივი და დიპლომატიური პასპორტების მფლობელებისთვის უვიზო მიმოსვლა შეეჩერებინა. ევროკავშირსა და საქართველოს შორის რეადმისიის შეთანხმება 2011 წლიდან მოქმედებს.

უკანასკნელი პოლიტიკური მოვლენების შემდეგ მოხდა **ბილატერალური ფინანსური დახმარების** გადახედვა. ევროკავშირმა დაბლოკა 121.3 მილიონი ევროს ოდენობის ორმხრივი დაფინანსება, განკუთვნილი უშუალოდ საქართველოს ხელისუფლებისთვის (მაგ., ბიუჯეტის მხარდაჭერა, ტექნიკური დახმარება, საინვესტიციო გრანტები სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმის (NIP) ფარგლებში) სამეზობლო, განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტის - გლობალური ევროპა 2021-2027-ის (NDICI-GE) ფარგლებში. **აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP)** ერთობლივ ინიციატივაში საქართველო ამ ინიციატივის დაარსების დღიდან - 2009 წლიდან მონაწილეობს. ამ ყოვლისმომცველი ჩარჩოს ფარგლებში ორმხრივი და რეგიონული ურთიერთობები ევროკავშირთან კიდევ უფრო გაძლიერდა.

ევროკავშირის მხარდაჭერამ ევროპული სამშვიდობო მექანიზმის (EPF) ფარგლებში 2021-2023 წლებში მთლიანობაში 62.75 მილიონი ევრო შეადგინა (მხოლოდ არალეტალური აღჭურვილობისთვის). ევროპული სამშვიდობო მექანიზმის (EPF) 2024 წლის დახმარების ღონისძიების მიღება შეჩერდა ქვეყანაში 2024 წელს აღნიშნული გაუარესებული ვითარების გამო. 2025 წელს საქართველოსთვის EPF-ის ახალი დახმარება არ გაცემულა.

საქართველო 2014 წლიდან **მონაწილეობდა ევროკავშირის პროგრამებში**. ამჟამად ის მონაწილეობს პროგრამებში ჰორიზონტი ევროპა (Horizon Europe), შემოქმედებითი ევროპა (Creative Europe), EU4Youth, საბაჟო პროგრამა Fiscalis და შავი ზღვის აუზის ტრანსნაციონალური თანამშრომლობის პროგრამა Interreg. ორგანიზაციებს და ფიზიკურ პირებს საქართველოდან ასევე შეუძლიათ სარგებლობა მიიღონ კონკრეტული პროექტებიდან პროგრამის Erasmus+ და ევროპის სოლიდარობის კორპუსის პროგრამის ფარგლებში

დანართი II – სტატისტიკური მონაცემები

სტატისტიკური მონაცემები (11/09/2025 მდგომარეობით)

ძირითადი მონაცემები	შენიშვნა	2012	2020	2021	2022	2023	2024
მოსახლეობა (ათასი)		4 498 i	3 717 i	3 729 i	3 689 i	3 736 i	3 695 i
ქვეყნის მთლიანი ტერიტორია (კმ²)		69 700 w	69 700 w	69 700 w	69 700 w	69 700 w	69 700 w

ეროვნული ანგარიშები	შენიშვნა	2012	2020	2021	2022	2023	2024
მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) (მილიონი ეროვნული ვალუტით)	1)	27 897 w	49 789 w	60 724 w	72 860 w	80 883 w	91 892 w
მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) (მილიონი ევრო)	1)	13 139 w	14 017 w	15 921 w	23 662 w	28 464 w	31 213 w
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ევრო)	1)	3 524 w	3 765 w	4 293 w	6 374 w	7 661 w	8 448 w
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (მსყიდველობითი უნარის სტანდარტებით (PPS))							
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (PPS-ით), ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით (EU-27 = 100)							
რეალური მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი: წინა წლის მშპ-ის მოცულობის ცვლილება (%)	1)	6.6 w	- 6.3 w	10.6 w	11.0 w	7.8 w	9.4 w
დასაქმების მაჩვენებლის ზრდა (ეროვნული ანგარიშების მონაცემები) წინა წელთან შედარებით (%)		2 iw	- 4 iw	- 2 iw	5 iw	4 iw	5 iw
	1)	4 w	- 2 w	13 w	5 w	4 w	4 w
შრომის ეფექტიანობის ზრდა: მშპ-ის ზრდა (მოცულობაში) თითოეულ დასაქმებულ პირზე, წინა წელთან შედარებით (%)							
ერთეულზე სამუშაო ძალის ხარჯის ზრდა, წინა წელთან შედარებით (%)	1)	4 w	0 w	- 3 w	2 w	4 w	- 6 w
უ-წლიანი ცვლილება (T/T-3) ნომინალური ერთეული შრომითი დანახარჯების ზრდის ინდექსში (2015 = 100)	1)		121.4 iw	122.4 iw	123.2 iw	128.2 iw	115.8 iw
შრომის პროდუქტიულობა ერთ დასაქმებულზე: მშპ (PPS-ში) ერთ დასაქმებულზე, ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით (EU-27 = 100)							
მთლიანი დამატებული ღირებულება ძირითადი სექტორების მიხედვით							
სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა და თევზჭერა (%)	0-2	9.6 w	9.5 w	8.3 w	7.6 w	6.9 w	6.2 w
მრეწველობა (%)	0-2	14.4 w	15.4 w	16.9 w	16.5 w	14.1 w	13.5 w
მშენებლობა (%)	0-2	6.8 w	8.7 w	7.3 w	8.0 w	7.6 w	8.4 w
სერვისები (%)	0-2	69.2 w	66.3 w	67.5 w	67.9 w	71.4 w	71.9 w
საბოლოო მოხმარების ხარჯები, როგორც მშპ-ს (%) წილი	1)	92.4 w	94.5 w	95.6 w	85.7 w	83.6 w	84.8 w
საერთო ფიქსირებული კაპიტალის ფორმირება, როგორც მშპ-ს (%) წილი	1)	21.6 w	22.2 w	20.8 w	19.8 w	21.5 w	22.0 w
საქონლის და სერვისების ექსპორტი მშპ-სთან (%) შედარებით	1)	35.6 w	36.9 w	42.7 w	52.5 w	49.3 w	48.4 w
საქონლის და სერვისების იმპორტი მშპ-სთან (%) შედარებით	1)	54.1 w	56.0 w	58.9 w	62.2 w	57.9 w	56.0 w
საერთო ფიქსირებული კაპიტალის ფორმირება სახელმწიფო სამთავრობო სექტორის მიხედვით, როგორც მშპ-ს პროცენტი (%)	1)	5 w	7 w	6 w	6 w	7 w	

ბიზნესი	შენიშვნა	2012	2020	2021	2022	2023	2024
სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ინდექსი (2015 = 100)		98.1 w	110.8 w	128.6 w	147.2 w	148.7 w	149.8 w
მოქმედი საწარმოების რაოდენობა (რიცხვი)		54 626 w	129 659 w	139 741 w	149 110 w	162 891 w	
საწარმოების შექმნის მაჩვენებელი: საწარმოების შექმნის მაჩვენებელი სააღრიცხვო პერიოდში (t), გაყოფილი მოქმედი საწარმოების რაოდენობაზე t-ში (%)	3.	26.1 w	17.5 w	21.2 w	29.5 w	25.2 w	
საწარმოების სიკვდილის მაჩვენებელი: საწარმოების სიკვდილის მაჩვენებელი სააღრიცხვო პერიოდში (t), გაყოფილი მოქმედი საწარმოების რაოდენობაზე t-ში (%)	3.		17.4 w	17.5 w	17.9 w	12.8 w	
მეტირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებული ადამიანები, როგორც ყველა დასაქმებულის წილი (არაფინანსურ ბიზნეს-ეკონომიკაში) (%)		68.7 iw	63.7 iw	63.4 iw	61.9 iw	61.4 iw	

მიერე და საშუალო საწარმოების მიერ დამატებული ღირებულება (არაფინანსურ ბიზნეს-ეკონომიკაში) (მილიონი ევრო)		3 192 iw	4 205 iw	4 647 iw	7 199 iw	8 866 iw	
მთლიანი დამატებული ღირებულება (არაფინანსურ ბიზნეს-ეკონომიკაში) (მილიონი ევრო)		5 271 w	6 268 w	7 300 w	11 741 w	14 016 w	

ინფლაციის მაჩვენებელი და ბინის ფასები	შენიშვნა	2012	2020	2021	2022	2023	2024
I სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI), ცვლილება წინა წელთან შედარებით (%)					11.8 w	2.1 w	1.7 w

გადახდების ბალანსი	შენიშვნა	2012	2020	2021	2022	2023	2024
გადახდების ბალანსი: მთლიანი მიმდინარე ანგარიში (მილიონი ევრო)		- 1 467.0 w	- 1 737.7 w	- 1 645.6 w	- 1 012.9 w	- 1 582.8 w	- 1 388.3 w
გადახდების ბალანსის მიმდინარე ანგარიში: საგაყრო ბალანსი (მილიონი ევრო)		- 3 292.1 w	- 2 771.0 w	- 3 211.4 w	- 4 873.7 w	- 5 620.1 w	- 5 982.6 w
გადახდების ბალანსის მიმდინარე ანგარიში: ნეტო-სერვისები (მილიონი ევრო)		864.7 w	120.4 w	615.9 w	2 593.5 w	3 172.0 w	3 575.4 w
გადახდების ბალანსის მიმდინარე ანგარიში: ძირითადი შემოსავლის ნეტო ბალანსი (მილიონი ევრო)		- 133.4 w	- 662.1 w	- 1 002.0 w	- 1 656.5 w	- 2 212.2 w	- 2 035.8 w
გადახდების ბალანსის მიმდინარე ანგარიში: ნეტო ბალანსი მეორეული შემოსავლებისთვის (მილიონი ევრო)		1 093.8 w	1 575.0 w	1 952.0 w	2 924.0 w	3 077.5 w	3 054.6 w
ნეტო ბალანსი პირველადი და მეორეული შემოსავლებისთვის: მათ შორის მთავრობის ტრანსფერები (მილიონი ევრო)		818.7 w	709.2 w	816.6 w	1 144.9 w	767.5 w	966.5 w
უპ-წლიანი მიმდინარე ანგარიშის ბალანსის უკან მოძრავი საშუალო მშპ-სთან (%) შედარებით		- 10.9 iw	- 8.4 iw	- 9.6 iw	- 9.1 iw	- 6.8 iw	- 4.8 iw
უსაქონლისა და მომსახურების გლობალური ექსპორტის წილის ხუთწლიანი ცვლილება (%)		45.2 w	- 8.7 w	- 3.0 w	27.7 w	5.1 w	
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) ნეტო ბალანსი (შიდა - გარე) (მილიონი ევრო)		582.9 w	493.6 w	786.5 w	1 837.9 w	1 493.1 w	841.6 w
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) საზღვარგარეთ (მილიონი ევრო)		230.8 w	30.1 w	271.7 w	312.4 w	267.6 w	394.9 w
მათ შორის ანგარიშგების ქვეყნის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ევროკავშირის 27 ქვეყანაში (მილიონი ევრო)		137.2 w	120.8 w	110.1 w	179.0 w	143.0 w	147.1 w
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ანგარიშგების ქვეყანაში (მილიონი ევრო)		813.8 w	523.7 w	1 058.2 w	2 150.4 w	1 760.7 w	1 236.5 w
მათ შორის ევროკავშირის 27 ქვეყნის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ანგარიშგების ქვეყანაში (მილიონი ევრო)		285.7 w	299.1 w	302.9 w	800.4 w	632.9 w	289.2 w
ნეტო საერთაშორისო ინვესტიციების პოზიცია, მშპ-სთან (%) შედარებით		- 94.8 w	- 157.5 w	- 141.2 w	- 113.6 w	- 98.0 w	- 89.0 w
შრომითი მიგრანტებიდან მთლიანი ფულადი გადარიცხვების (ეროვნულ ვალუტაში) შემოდიანების წლიური ცვლილების ტემპი	1)	4.2 iw	7.3 iw	8.5 iw	9.2 iw	7.9 iw	6.3 iw

სახელმწიფო ფინანსები	შენიშვნა	2012	2020	2021	2022	2023	2024
სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი / სიჭარბე, მშპ-სთან შედარებით (%)	1)	- 0.6 w	- 9.2 w	49.0 pw	49.0 pw	- 2.3 w	:
სახელმწიფო ბიუჯეტის ჯამური დავალიანება მშპ-სთან შედარებით GDP (%)	1)	30.5 w	59.5 w	49.0 pw	39.1 pw	38.8 w	:
მთლიანი შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში, როგორც მშპ-ს პროცენტი (%)	1)	27.1 w	24.9 w	24.9 pw	26.6 pw	27.4 w	:
სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯები, როგორც მშპ-ს პროცენტი (%)	1)	23.3 w	26.9 w	25.3 pw	23.0 pw	22.9 w	:

ფინანსური ინდიკატორები	შენიშვნა	2012	2020	2021	2022	2023	2024
მთელი ქვეყნის ჯამური საგარეო ვალი, მშპ-სთან შედარებით (%)	1)	77.5 iw	122.0 iw	122.8 iw	94.9 iw	77.8 iw	77.2 iw
მთელი ქვეყნის ჯამური საგარეო ვალი, ჯამურ ექსპორტთან შედარებით (%)		222.8 w	354.3 w	273.5 w	181.0 w	161.4 w	154.2 w
ფულის მასა: M1 (ბანკოტები, მონეტები, ერთდღიანი დეპოზიტები, მილიონი ევრო)		1 529.0 w	2 825.9 w	2 970.3 w	4 346.1 w	6 175.0 w	5 957.0 w
ფულად-საკრედიტო საფინანსო ინსტიტუტების მიერ რეზიდენტებზე გაცემული ჯამური კრედიტი (კონსოლიდირებული)		3 979.2 w					:
ფინანსური სექტორის ვალდებულებების წლიური ცვლილება (%)							:
კერძო ვალი, კონსოლიდირებული, მშპ-სთან შედარებით (%)	1)	32.6 w	77.7 w	71.5 pw	61.9 pw	65.0 w	:
საპროცენტო განაკვეთი: ერთდღიანი საპროცენტო განაკვეთი, წელიწადში (%)	4.	7.44 w	8.45 w	9.50 w	10.89 w	10.43 w	8.27 w
ევროს გაცვლითი კურსები: პერიოდის საშუალო (1 ევრო = ... ეროვნული ვალუტა)		2.124	3.553	3.814	3.080	2.842	2.945
ვაჭრობის მიხედვით შეწონილი გაცვლითი კურსის ეფექტური ინდექსი, 42 ქვეყანა (2015 = 100)		97.9 w	97.8 w	97.3 w	123.7 w	152.6 w	159.5 w

“ვაჭრობის მიხედვით შეწონილი გაგვლითი კურსის ეფექტური ინდექსის 3-წლიანი ცვლილება (T/T-3), 42 ქვეყანა (2015 = 100)		0.1 iw	- 0.1 iw	- 0.1 iw	0.2 iw	0.6 iw	0.6 iw
სარეზერვო აქტივების ღირებულება (ოქროს ჩათვლით) (მილიონი ევრო)		2 180.8 w	3 184.9 w	3 777.0 w	4 591.6 w	4 528.2 w	4 260.6 w

საგარეო ვაჭრობა საქონლით	შენიშვნა	2012	2020	2021	2022	2023	2024
იმპორტის ღირებულება: ყველა სახის საქონელი, ყველა პარტნიორი (მილიონი ევრო)		6 106 iw	7 047 iw	8 539 iw	12 866 iw	14 430 iw	15 657 iw
ექსპორტის ღირებულება: ყველა სახის საქონელი, ყველა პარტნიორი (მილიონი ევრო)		1 801 iw	2 925 iw	3 587 iw	5 302 iw	5 629 iw	6 061 iw
სავაჭრო ბალანსი: ყველა სახის საქონელი, ყველა პარტნიორი (მილიონი ევრო)		- 4 305 iw	- 4 122 iw	- 4 951 iw	- 7 563 iw	- 8 802 iw	- 9 597 iw
ვაჭრობის პირობები (ექსპორტის ფასების ინდექსი / იმპორტის ფასების ინდექსი * 100) (რიცხვი)							
ექსპორტის წილი ევროკავშირის 27 ქვეყანაში მთლიანი ექსპორტის ღირებულებაში (%)		14.0 iw	20.9 iw	16.9 iw	15.4 iw	11.6 iw	8.7 iw
იმპორტის წილი ევროკავშირის 27 ქვეყნიდან მთლიანი იმპორტის ღირებულებაში (%)		28.8 iw	22.9 iw	22.9 iw	22.6 iw	24.5 iw	27.2 iw

დემოგრაფია	შენიშვნა	2012	2020	2021	2022	2023	2024
მოსახლეობის ზუნებრივი ცვლილების ზოგადი კოეფიციენტი (ზუნებრივი ზრდის მაჩვენებელი): დაბადებულია რიცხვს მიწუსს გარდაცვლილთა რიცხვი (ათას მოსახლეზე)			- 1.1	- 3.8	- 1.8	- 0.7	- 1.2
ზავშეთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ერთი წლამდე ასაკის ზავშეთა სიკვდილი (ყოველ ათას ცოცხლად დაბადებულზე)		:	7.9	:	7.6	8.2	:
სიცოცხლის მოსალოდნელი ზანგრბლივობა დაბადებისას: მამაკაცები (წლები)		:		:	69.4	69.9	:
სიცოცხლის მოსალოდნელი ზანგრბლივობა დაბადებისას: ქალები (წლები)		:		:	78.1	77.5	:

შრომის ბაზარი	შენიშვნა	2012	2020	2021	2022	2023	2024
20–64 წლის ასაკის პირების ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელი: 20–64 წლის ასაკის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი (%)		77.5 w	63.2 bw	64.5 w	65.9 w	68.7 w	
20–64 წლის ასაკის პირთა დასაქმების მაჩვენებელი: 20–64 წლის ასაკის დასაქმებული მოსახლეობის წილი (%)		63.0 w	51.1 bw	50.6 w	54.0 w	56.9 w	
20–64 წლის ასაკის მამაკაცთა დასაქმების მაჩვენებელი (%)		72.4 w	58.7 bw	58.1 w	62.2 w	64.9 w	::
20–64 წლის ასაკის ქალთა დასაქმების მაჩვენებელი (%)		54.8 w	43.9 bw	43.5 w	46.4 w	49.4 w	::
55–64 წლის ასაკის პირთა დასაქმების მაჩვენებელი: 55–64 წლის ასაკის დასაქმებული მოსახლეობის წილი (%)		65.7 w	47.0 bw	47.3 w	50.6 w	52.3 w	:
დასაქმება მირითადი სექტორების მიხედვით							
სოფლის მეურნეობა, მეტყვევობა და თევზჭერა (%)	5)	46.9 w	19.8 bw	18.9 w	17.9 w	16.5 w	::
მრეწველობა (%)	5)	7.2 w	11.4 bw	11.3 w	11.9 w	12.2 w	::
მშენებლობა (%)	5)		6.9 bw	7.8 w	8.5 w	8.8 w	::
სერვისები (%)	5) 6)	45.8 w	61.9 bw	62.1 w	61.8 w	62.4 w	::
საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანების წილი დასაქმების მთლიან მაჩვენებელში, 20–64 წლის ასაკის პირები (%)		18.5 w	23.5 bw	24.3 w	23.4 w	23.3 w	:
კერძო სექტორში დასაქმებული ადამიანების წილი დასაქმების მთლიან მაჩვენებელში, 20–64 წლის ასაკის პირები (%)		81.5 w	76.5 bw	75.7 w	76.6 w	76.7 w	
უმუშევრობის მაჩვენებელი: იმ სამუშაო ძალის წილი, რომელიც უმუშევარია (%)	7)	17.2 w	18.5 bw	20.6 w	17.3 w	16.4 w	::
მამაკაცთა უმუშევრობის მაჩვენებელი (%)	7)	18.2 w	20.2 bw	22.7 w	19.3 w	18.3 w	::
ქალთა უმუშევრობის მაჩვენებელი (%)	7)	16.1 w	16.2 bw	17.8 w	14.6 w	14.0 w	::
ახალგაზრდობის უმუშევრობის მაჩვენებელი: 15–24 წლის ასაკის უმუშევარი სამუშაო ძალის სამუშაო ძალის წილი (%)		36.1 w	39.4 bw	42.9 w	39.4 w	34.5 w	::

გრძელვადიანი უზუშეერობის მაცენებელი: სამუშაო ძალის წილი, რომელიც უზუშეერია 12 თვის და მეტის განმავლობაში (%)	7)	7.5 w	5.8 bw	7.2 w	6.6 w	6.5 w		:
--	----	-------	--------	-------	-------	-------	--	---

იმ პირთა უმუშევრობის მაჩვენებელი (25–64 წლის ასაკის), ვისაც მიღებული აქვს ყველაზე ქვედა დონის საშუალო განათლება (განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის (ISCED 0-2 დონეები) (%)	8)	6.2 w	25.0 bw	32.1 w	24.8 w	20.8 w	
იმ პირთა უმუშევრობის მაჩვენებელი (25–64 წლის ასაკის), ვისაც მიღებული აქვს უმაღლესი განათლება (ISCED 5-8 დონეები) (%)		21.3 w	14.5 bw	15.3 w	13.0 w	13.1 w	

სოციალური კოპესია	შენიშვნა	2012	2020	2021	2022	2023	2024
საშუალო ნომინალური თვიური ანაზღაურება და ხელფასი (ეროვნული ვალუტა)		713 w	1 191 w	1 305 w	1 543 w	1 767 w	
რეალური ანაზღაურების და ხელფასის ინდექსი (ნომინალური ანაზღაურების და ხელფასის ინდექსი გაყოფილი ინფლაციის ინდექსზე) (2016 = 100)			106 w	106 w	112 w	125 w	
ჯინის კოეფიციენტი		44 w	37 w	36 w	36 w	36 w	
სიღარიბის სიღრმე	9)	6.8 w	5.5 w	5.5 w	5.8 w	5.6 w	

ცხოვრების სტანდარტი	შენიშვნა	2012	2020	2021	2022	2023	2024
მსუბუქი მანქანების რაოდენობა მოსახლეობის რიცხვთან შედარებით (რაოდენობა ათას მოსახლეზე)		150.0 i	319.0	343.0	357.0	389.0	414.0
მოთხილური ტელეფონების აბონენტთა რაოდენობა მოსახლეობის რიცხვთან შედარებით (რაოდენობა ათას მოსახლეზე)		1 088.3 w	1 273.7 w	1 343.6 w	1 388.5 w	1 480.6 w	
ფართობოვანი მოთხილური კავშირის გავრცელება (100 მოსახლეზე)							
ფართობოვანი ფიქსირებული კავშირის გავრცელება (100 მოსახლეზე)							

ინფრასტრუქტურა	შენიშვნა	2012	2020	2021	2022	2023	2024
სარკინიგზო ქსელის სიმჭიდროვე (მოქმედი ხაზები ათას კვ.კმ-ზე)		20.9 iw	16.0 iw	16.0 iw	16.0 iw	16.0 iw	
ავტომანქანების სიგრძე (კილომეტრებში)		80 w	234	263	263 w	271 w	

განათლება, ინოვაცია და კვლევა	შენიშვნა	2012	2020	2021	2022	2023	2024
უმაღლესი განათლების მქონე 30-34 წლის ასაკის პირთა პროცენტი (ISCED 2011 დონეები 5 - 8)		42.4 w	38.2 w	35.5 w	35.2 w	35.6 w	:
უმაღლესი განათლების მქონე 30-34 წლის ასაკის პირთა პროცენტი (ISCED 2011 დონეები 5 - 8) მამაკაცები		42.6 w	33.6 w	32.3 w	30.4 w	31.2 w	:
უმაღლესი განათლების მქონე 30-34 წლის ასაკის პირთა პროცენტი (ISCED 2011 დონეები 5 - 8) ქალები		42.2 w	42.7 w	38.9 w	40.1 w	40.3 w	:
სკოლამდელი ასაკის განათლებაში მონაწილეობა (3 წლის და მეტი ასაკის ბავშვები)		:	158.1 w	154.5 w	148.7 w	141.3 w	:
სკოლამდელი ასაკის განათლებაში მონაწილეობა (3 წლის და მეტი ასაკის ბავშვები) ბიჭები		:	:	:	:	:	:
სკოლამდელი ასაკის განათლებაში მონაწილეობა (3 წლის და მეტი ასაკის ბავშვები) გოგონები		:	:	:	:	:	:
15-წლის ასაკის ბავშვთა ჩამორჩენა კითხვაში		:	:	:	:	:	:
15-წლის ასაკის ბავშვთა ჩამორჩენა მათემატიკაში		:	:	:	:	:	:
15-წლის ასაკის ბავშვთა ჩამორჩენა მეცნიერებაში		:	:	:	:	:	:
განათლების და სწავლების ვადამდე მიტოვება: არაუმეტეს არასრული საშუალო განათლების მქონე 18-24 წლის ასაკის პირების წილი (ISCED 2011) არაუმეტეს დონე 2), რომლებმაც არ გააგრძელეს განათლების მიღება და სწავლა		7.1 w	8.2 w	7.3 w	6.0 w	5.3 w	:
განათლების და სწავლების ვადამდე მიტოვება: არაუმეტეს არასრული საშუალო განათლების მქონე 18-24 წლის ასაკის მამაკაცების წილი (ISCED 2011) არაუმეტეს დონე 2), რომლებმაც არ გააგრძელეს განათლების მიღება და სწავლა		8.6 w	8.8 w	7.6 w	6.1 w	5.1 w	:

განათლების და სწავლების ვადამდე მიტოვება: არაუმეტეს არასრული საშუალო განათლების მქონე 18-24 წლის ასაკის ქალების წილი (ISCED 2011) არაუმეტეს დონე 2), რომლებმაც არ გააგრძელეს განათლების მიღება და სწავლა		5.8 w	7.4 w	7.0 w	5.9 w	5.4 w	
25-64 წლის ასაკის პირების წილი, რომლებმაც გაიარეს სწავლება და ტრენინგი (გასული 4 კვირა)			1.1 w	1.2 w	1.6 w	1.7 w	
25-64 წლის ასაკის პირების წილი, რომლებმაც გაიარეს სწავლება და ტრენინგი (გასული 4 კვირა), მამაკაცები			0.9 w	1.1 w	1.3 w	1.6 w	
25-64 წლის ასაკის პირების წილი, რომლებმაც გაიარეს სწავლება და ტრენინგი (გასული 4 კვირა), ქალები			1.2 w	1.3 w	1.8 w	1.8 w	
პროფესიული განათლების და მომზადების კურსდამთავრებულები, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი სამუშაო ადგილებზე (20-34 წლის ასაკის მოსახლეობის %)							
მინიმუმ საბაზისო ციფრული უნარების მქონე ადამიანების წილი (16-74 წლის მოსახლეობის %)		:	29.8 w	31.5 w	32.4 w	34.5 w	36.3 w
მინიმუმ საბაზისო ციფრული უნარების მქონე ადამიანების წილი (16-74 წლის მოსახლეობის %), მამაკაცები		:	27.7 w	29.4 w	30.5 w	33.5 w	35.9 w
მინიმუმ საბაზისო ციფრული უნარების მქონე ადამიანების წილი (16-74 წლის მოსახლეობის %), ქალები		:	31.8 w	33.4 w	34.1 w	35.4 w	36.6 w
სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე მშპ-სთან შეფარდებით (%)	1)	2.7 iw	3.8 iw	3.6 iw	3.2 iw	3.7 iw	
მთლიანი შიდა დანახარჯი მეცნიერებასა და კვლევაზე მშპ-სთან შეფარდებით (%)	1)	0.13 iw					
საბიუჯეტო ასიგნებები ან დანახარჯები მეცნიერებასა და კვლევაზე (GBAORD), როგორც მშპ-ს პროცენტი (%)	1)	0.20 w	0.23 w	0.20 pw	0.15 pw	0.18 pw	0.16 pw
შინამეურნეობების პროცენტი, რომელსაც სახლში აქვს ინტერნეტზე წვდომა (%)	10)	31.1 w	83.8 w	86.1 w	88.4 w	89.0 w	91.5 w

გარემო	შენიშვნა	2012	2020	2021	2022	2023	2024
სათბური გაზების ემისიის ინდექსი, CO2 ეკვივალენტი (1990 = 100)		43.7 w					
ეკონომიკის ენერგოტეკადობა (კვ წვეთობის ეკვივალენტი 1 000 ევრო მშპ-ზე 2015 წლის მდგრადი ფასებით)			445.9 w	463.1 w	365.1 w	309.4 w	
განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგია, ელექტროენერგიის მთლიან მოხმარებასთან შეფარდებით (%)				51.3	55.5	66.3	
გზების წილი ქვეყნის შიდა სატვირთო გადაზიდვებში (ტონა-კმ-ს საფუძველზე) (%)	11.	9.6 ew	19.6 ew	17.8 ew	14.8 ew	16.1 ew	

ენერგეტიკა	შენიშვნა	2012	2020	2021	2022	2023	2024
ყველა სახის ენერგოპროდუქტის პირველადი პროდუქცია (ათასი ტონა წვეთობის ეკვივალენტი (TOE))		:	1 043	1 248	1 272	:	:
წედილი წვეთობის პირველადი პროდუქცია (ათასი TOE)		:	32	36	37	:	:
მყარი საწვავის პირველადი პროდუქცია (ათასი TOE)		:	40	60	59	:	:
გაზის პირველადი პროდუქცია (ათასი TOE)		:	8	14	13	:	:
ყველა ენერგოპროდუქტის ნეტო იმპორტი (ათასი TOE)		:	3 984 i	4 133 i	4 561 i	:	:
ენერგიის შიდა ჯამური მოხმარება (ათასი TOE)		:	4 998	5 385	5 867	:	:
ელექტროენერგიის ჯამური გენერაცია (გიგავატ-საათი GWh)		:	11 160	12 645	14 247	:	:

სოფლის მეურნეობა	შენიშვნა	2012	2020	2021	2022	2023	2024
სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობის ინდექსი (მწარმოებლის ფასებით) (2015 = 100)		87.4 w	109.3 w	111.8 w	109.9 w	106.8 w	:
გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია (ათასი ჰექტარი)							:
საქონლის სულადობა: ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ათასი სული, პერიოდის დასასრული)		1 128.8 w	925.8 w	928.6 w	853.7 w	837.7 w	:
საქონლის სულადობა: ცოცხალი ღორი (ათასი სული, პერიოდის დასასრული)		204.3 w	165.7 w	152.9 w	150.2 w	141.6 w	:
საქონლის სულადობა: ცოცხალი ცხვარი და ცოცხალი თხა (ათასი სული, პერიოდის დასასრული)		742.6 iw	946.5 iw	956.8 iw	914.0 iw	761.7 iw	:
ფერმებში არსებული წედილი რძე (ათასი ტონა)		589.5 w	569.0 w	587.9 w	564.8 w	584.3 w	:
ადებული მოსავალი: მარცვლეული (ბრინჯის ჩათვლით) (ათასი ტონა)		370.0 iw	405.1 iw	430.2 iw	370.5 iw	392.5 iw	:
ადებული მოსავალი: შაქრის ჭარხალი (ათასი ტონა)							:

ადებული მოსავალი: ზოსტნული (ათასი ტონა)	12)	235.2 w	259.7 w	226.9 w	201.1 w	187.5 w	
---	-----	---------	---------	---------	---------	---------	--

წყარო: ევროსტატი და/ან საქართველოს სტატისტიკური ორგანოები

: = არ არის ხელმისაწვდომი

b = წვეტა სერიაში

d = განსაზღვრა განსხვავდება

e = მოსალოდნელი მნიშვნელობა

n = არ არის მნიშვნელოვანი სიდიდე

p = დროებითი

i = ევროსტატის შეფასება

w = მონაცემები მოწოდებულია ეროვნული სტატისტიკური ორგანოს მიერ და მისი პასუხისმგებლობით და ქვეყნდება, ისე, "როგორც არის", ყოველგვარი გარანტიის გარეშე მათი ხარისხის და ევროკავშირის სტატისტიკურ მეთოდოლოგიასთან თანხვედრის თვალსაზრისით.

* = მაკროეკონომიკური დისბალანსის პროცედურის (MIP) ინდიკატორი

** = საქართველოსთვის ნაჩვენები მონაცემები გამორიცხავს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რეგიონებს, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების კონტროლს არ ექვემდებარება.

შენიშვნები:

1) 2008 წლის ეროვნული ანგარიშების სიტემის საფუძველზე.

2) გამოანგარიშები გაკეთებულია NACE მე-2 ვერსიით.

3) მოიცავს: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს, სააქციო საზოგადოებებს, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს, კოოპერატივებს, შეზღუდულ პარტნიორობებს, ინდივიდუალურ საწარმოებს, უცხოური საწარმოების ფილიალებს.

გამორიცხავს: ეკონომიკური საქმიანობების კლასიფიკაციის (NACE) მე-2 ვერსიით ქვეთავებს K, O, T და U.

4) TIBR 1 დღე.

5) 2020 წლის შემდეგ: ეკონომიკური საქმიანობების კლასიფიკაცია (NACE) მე-2 ვერსია; 2020 წლამდე: NACE ვერსია .1.1.

6) მშენებლობის ჩათვლით.

7) 15 წლის და მეტი ასაკი პირები.

8) გამოირიცხნენ განათლების არმქონე პირები.

9) მოხმარება შედარებითი სიღარიბის საფუძველზე.

10) შინამეურნეობების პროცენტი, რომლებსაც სახლში აქვთ ფიქსირებული ინტერნეტ-კავშირი (ამდენად, გამოირიცხება მობილური სატელეფონო ქსელი).

11) არ შეესაბამება "ტერიტორიულ პრინციპს"; მათ შორის ყველა რეზიდენტი გადამზიდავის საქმიანობა ეროვნულ ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ.

12) ზოსტნების ჩათვლით.